



האזנה

10

1987



სესია

363

გამოცემის ოცდამეთერთმეტი წელი

10

თვეობიერი

1987

თბილისი

საბ. კვ. ც. -ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკა

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწიგნობართა კავშირის ორგანო

ბ ი ნ ა ა რ ს ი

150 — ილია ჭავჭავაძე — 150

3. ბრიგოლ კობაძე — ქართული პროზისათვის. ლაშა თაბუკაშვილი — შენი საფლავის წინ დადებინ ფიცს, ეშვარ კვიტიშვილი — ჩვენი ბამბოლოების სიმბოლო. თედო ბექიშვილი — მაღლობა • მოგავლისათვის, ვაჟა ხორაშვილი — „შვილმა უნდა იცოდეს...“ კოსტოე ჩხეიძე — მოგვიხვე მშვიდობით, ვახტანგ ხარაილაშვილი — ილია ჭავჭავაძის მონოლოგი, ბელა შალვაშვილი — როგორ გვიმართლა.

კოეზია და კროზა

25. ლალი თოთაძე — ლექსები
27. რენე ქალანდია — ლექსები
29. თენგიზ ჩალაუკი — ...და არ იყო ჩვენს შორის ბმირი, რომანი, დასასრული.
74. ელა გოჩიაშვილი — ლექსები
77. ვაჟა შუბუნიძე — ლექსები
80. ნუგზარ კობეაძე — ლექსები
82. გომეზარი ჩოხელი — მბელი, რომანი, გაგრძელება
107. ზურაბ კახიანიძე — ლექსები
110. ჯაბა ასათიანი — ლექსები
112. ალექსანდრა დიდუბაშვილი — ლექსები

150 — ილია ჭავჭავაძე — 150

114. სერგი შილაია — უბიბოლო მამა მირისა
122. შოთა ბადრიძე — ილია ჭავჭავაძე და საქარ-თველს ისტორია
131. ლუბა მფხარიშვილი — ზოგიერთი ხელნაწილი წყარო ილიას შესახებ
136. ნანა ჯეღბინიძე — ილია ჭავჭავაძე და ინტელისური კულტურული სამყარო
140. ლია ქიმიანიძე — ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ეპოქის სიმბოლო
144. შალვა მარკოზაშვილი — ერთგული მსახური
149. გიორგი კოსტაველი — დიდი ილია უმცროსი, მებრძოლთა მოგონებებში
152. კუპური თორდია — ილია ჭავჭავაძე და სამცხე-ჯავახეთი
157. ავთანდილ კოკიაშვილი — „მზავრის წიგნი-ლექსი“ ერთი ადგილის გაგვიხსნათვის
159. ძროხიძე

შთავარი რედაქტორი ჯანსუღ ლვინჯილი

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაიშვილი

თედო ბექიშვილი

(შთავარი რედაქტორის

შოადგილე)

გურამ ბაბუშიძე

გივი ბაბუქიანი

გიორგი გუგულია

თეიმურაზ დონიაშვილი

მერაბ ელიოზიშვილი

მედეა ქახიძე

შოთა ნიჟნინიძე

გურამ ფანჯიკიძე

მირიან შოთაშვილი

ალექსანდრა შარაშიძე

ნუგზარ შატაძე

ავთანდილ

ჩხიკვიშვილი

(ასუსისმკვებელი მდივანი)

სოსო ცინცაძე

გიორგი წარბაქიანი

ტარიელ ჭანტუაძე

ბადრი ტონონელიძე

მანანა ჯოხაძე

გრიგოლ რობაქიძე

ქართული პროზისათვის

პროზატი

საქართველოში ლექსის კულტურა უფროა გამახვილებული ვიდრე კულტურა პროზის. ბესიკი საოცარი მაგალითია: ლექსში ძლიერი და პროზაში უმწეო.

მისი ლექსი: „შენის ბაგისა ორნი მეცნეს; ტყბილი და მწარე: ორკეცად შენი სიყვარული თავს დამაფარე“.

მისი პროზა: „მათ ვარსკვლავთა ფიცხელისა სახითა ქცევისა გულსა შური შემადგების მის დღისათვის, ვითა, მათებრივ რეცა უსხეულოდ მფრინვალედ მორბედი, კაცია დადიანი მიმოქროლვითა თვალსა მიტაცებს გონებისასა“.

ხშირია: პოეტი პროზაში სუსტი. მაგრამ ეს სისუსტე რომ ასეთს უმწეობამდე დადიოდეს, პირდაპირ უმაგალითოა: სისუსტე აქ ნამდვილი ენაბრკვილობაა.

აღბად ეს საოცარი მოვლენა პროზისა და პოეზიის დაცილების ხაზებში უნდა იხსნებოდეს.

რემი დე გურმონ სწერს:

„ლექსის რიტმი არ არის დამოკიდებული გრამატიკული ფრაზისაგან; იგი სდებს თავის ძლიერ ხანებს ხმებზე და არა აზრებზე. პროზის რიტმი დამოკიდებულია გრამატიკული ფრაზისაგან: იგი სდებს თავის ძლიერ ხანებს აზრებზე და არა ხმებზე. და რადგან ხმა და აზრი მეტად იშვიათად ხედებიან ერთი-მეორეს, პროზა სხვერპლავს ხმას და ლექსი სხვერპლავს აზრს („Le deuxieme livre des masques“, გვ. 22).

ეს განმარტებები მისაღებია. მხოლოდ ზოგიერთი დათუებით. ლექსი არის მეტრით გამართული სიტყვა მაგრამ ხელოვნურს პროზაშიაც გვხვდება მეტრი. თუმცა არგანზომილი წინასწარ. ასეთი მეტრი ფადდემ ზელინსკიმ პლატონის დიალოგებში ამოაჩინა. ამ მხრით პროზა და პოეზია უახლოვდებიან ერთი-მეორეს. თვითონ „პოეტურობისათვის“ თუ „პროზაულობისათვის“ არსებითად სხვა. ნიშანია საჭირო: მეტრი აქ მხოლოდ გარეფორმაა. მათი გამიჯვნისათვის აუცილებელია შინაფორმა. პოეტური სიტყვა არის უცნაური ხილვა საგანის თუ მოვლენის. პროზაული თქმა ჩვეული ხედვა იმავე საგანის თუ მოვლენის, ამ მხრით: შესაძლოა სიტყვას პოეტური გარეფორმა ჰქონდეს, ხოლო შინაფორმით კი იგი პირწავარდნილი პროზა იყოს, — და პირიქით: შესაძლოა სიტყვა გარეფორმით პროზა იყოს, ხოლო შინაფორმა კი მას ნამდვილი პოეტური ჰქონდეს. პირველის მაგალითი ცოტაა, მაგრამ გულისხმიერი. ნაღსონი პროზაიკოსია, თუმცა ლექსით სწერდა. დოსტოვესკი პოეტია, თუმცა პროზით სწერდა.

ერთი რამ მაინც უნდა ითქვას. თუ პოეზია უცნაური „ხილვაა“, იგი თანვე შინაგანი „ამღერება“. ეს ამღერება თხოულობს წინასწარ განზომილ



მეტრის ამისათვისაა, რომ პოეზია ფორმით უფრო ლექსს მიმართავს ვიდრე პროზას. აქ არის დაფარული აღნიშნული არევე-დარევა.

მეტრით გამართული სიტყვა თავისთავადია. იგი თითქო სცილდება მქნელს და თავისთა ავრძელებს სიტყვებს. აქედან ადვილი ამოსაცნობია, რომ ლექსურ თქმაში უფრო მეტი ტრადიციული ტენილი არის ვიდრე პროზაული სიტყვაში.

შესაძლოა ამით აიხსნებოდეს ბესიკის უცნაური ფენომენი: ლექსის ტრადიცია მასში უფრო ძლიერია ვიდრე პროზის. აქედან ლექსში ძლიერი და პროზაში უმწეო. ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა.

* * *

საქართველომ იცის პროზის კულტურაც. ჩემთვის ნამდვილი „წყაროს თვალია“ პირველი ძეგლი „ქართული წერილი“ სიტყვის: „წამებაა წმინდისა შუშანიკისა“. ავტორი: იაკობ ხუცესი (მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში ქ. შ.). აქ არის მოცემული ქართული სიტყვა თავიდან ბოლომდე რასიული დაწმენდით.

„მაშინლა იწყო სიტყუად და თქუა: რაჲსა ხელ იწიფა ჩემზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ. აწ მივედით და არქუთ ვითარმედ შენ ჩემი ხატი დაამხუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გადაასხ და შენი ადგილი დაგიტევიბეს და სხუად წარსულ ხარ“.

„ხელს იწიფა და ნაცარი გადაასხ“: მთელს პოემას გაეტოლებიან.

„და ვითარ შემოიყანა მკველმან მან და ვიხილე ტარივი იგი ქრისტესი შეენიერად ვითარცა სძალი შემეყული საქრველთა მათგან“.

აქ სიტყვა სიტყვას გამძაფრებული რიტმიულობით ეჭრება.

„უამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწყული იგი მხურვალეება მზისაჲ, ქანის ზორშანი და წყალი მავნებელნი; რომლისა მკვიდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლით განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწრეტილნი და დამშრალნი და დამლიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი“.

გამოთქმის ფორმა ძალოვანი, ხოლო აქ არის მარჯვე არქიტექტონიკული ხაზი: „ჩერ ორი სიტყვა: „განსივებულნი და განყვითლებულნი“. შემდეგ სამი: „დაწრეტილნი და დამშრალნი და დამლიერებულნი“. ბოლოს სიტყვის შემატებით ფრაზა უფრო გაძლიერებული: „ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი“. აქ უკვე ხელოვანი სჩანს.

ხოლო ეს ფრაზა პირისპირ შედევრია:

„მაგოს მას უფალმან ვითარ მან უეამოდ ნაყოფნი ჩემნი მოსთულნა და სანთელი ჩემი დამრიტა და ყუავილი ჩემი დააჭნო და შეენიერება სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა“.

ეს ფრაზა დარჩება ქართული სიტყვის ნამდვილ ფრესკოდ. აქ არის პირველ მიწის პირველი ყვავილის სურნელი. პრიმიტივი ლგიურობის სუნთქვით. კემმარტიად მომაჯადოვებელია ქართული სიტყვის პირველი ძეგლი, სწორედ ისე როგორც მომაჯადოებელია მასში აწერილი შუშანიკ, რომელსაც წმინდა ნინოს ჯვარი ესვენა წინ გადმოცემით.

ქართული პროზა შემდეგ (მეათე საუკუნის მეორე ნახევარში) აღწევს მონუმენტალურ ფორმებს. „ცხორებაჲ წმინდისა გრიგოლ ხანძთელისაჲ“ (ავტორი გიორგი მერჩული) თაურთა ქართული სიტყვის გენიის. ეს ქმნილება ჯერ დაუფასებელია. იგი ითხოვს საკუთარს მონოგრაფიას. დარწმუნებული ვარ. ისეთი ამოჩენანი ამოვარდებიან მასში, რომ ქართული კულტურის პრობლემა ძირეულად შეირყევა.

სიტყვა სადა და შემეცველი. თქმა სუფთა და დამტევენელი. ხაზი თითქმის მათემატიური. ფრაზა მოქნეული და მოზომილი. პერიოდი მარჯვედ მოზმული სახეობა ზომიერი. კოლორი სურნელით. თავიდათავი — „აღნავობაა როგორც ქართულ არქიტექტურაში „სამკაული“ მხოლოდ როგორც დეტალი რასისული დახვეწილობადასიწმინდეფორმების, შიგადაშიგ არიული სინათლე და მზერა. ბოლოს და ბოლოს მომაჯადოვებელი.

„ხოლო იყო ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გუამითა მრთელ და სულითა უბიწო“.

აი სიტყვის: ეკონომია, სისწოროს ლაპიდარობა.
აი ქართული სტილის ხერხემალი.
გიორგი მერჩულზე იტყვიან ბევრს...

* * *

მონღოლების შემოსევამ გასტეხა ქართველთა ხერხემალი, გამწირდა ფსიქიკა. სიტყვა დაავადდა. დაუძღურდა. სინტაქსი შეიცვალა ძირეულად: რასიული სიწმინდის მაგიერ ათასნაირი „ნალექი“. აქედან სიტყვაში და თქმაში: მებრძოლი, მებეჭვი, ხორკლი, ხიწვი, დახორკება, დამძიმება, დამბლა, სიტყვამ და-ჰკარგა თავისთავადობა: გაიყვანა აქედან „დვალიზმი“ (დუალიზმი სიტყვის), ანუ სიტყვის გაბითურება. მაგალითები ურიცხვი.

მთელი ისტორია ქართული სიტყვის მონღოლების შემოსევის შემდეგ ცდაარის პირვანდელის აღდგენის, როგორც ცდა კეთილშობილი, მაგრამ ღონემიხდილი.

„განახლების ხანაში“ საჯულისხმოა მეტად სულხან საბა ორბელიანი. მისი „სიბრძნე სიცრუვისა“ წელში გამართვაა ქართული სიტყვის.

იგი ერთგულია პირვანდელის.

„მოვიდა ჭუმბერ, აიყვანა თხა, გაჰხდა ხიდსა, და დასვა მუნ. გამოხდა, გაიყვანა მგელი, გაჰხდა ხიდსა, მგელი მუნ დაუტევა და თხა ამიერ გამოიყვანა. თხა დასვა, თივა აიღო, გაჰხდა ხიდსა და თივა მგელთან დადვა. გამოხდა, თხა აიყვანა. გაიყვანა იგიც იმიერ“.

აქაც სიმბრტყე და ლაპიდარობა. „სიბრძნე სიცრუვისა“ ნამდვილი მუხლია ქართული სიტყვის ვითარებაში. ამ მხრით ისიც შეუფასებელია.

* * *

მეცხრამეტე საუკუნეში ქართული პროზის გამართვა ილია ჭავჭავაძეს და-აწვა ტვირთად. რამდენად სუსტი იყო მასში რიტმი ლექსის, იმდენად ძლიერი იყო მასში რიტმი პროზის. ბოლოს და ბოლოს მეცხრამეტე საუკუნეში მარტო ილია ჭავჭავაძე იყო დიდი პროზაიკოსი. სახეში მაქვს არა ლიტერატურული ფორმა რომანის; აქ მას სხვები სჭარბობენ (თუმცა მისი „ოთარანთ ქვრივი“ კარგი პროექტია ასეთი ფორმის), სახეში მაქვს მისი პროზაულა თქმა როგორც ასეთი. აქ ის უძლეველია.

თავის თავად ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძე ვერ გადალახავდა ისტორიას და პირდაპირ ვერ შეუერთდებოდა ქართული სიტყვის პირვანდელ სიქალწულეს. რასსიული „ნალექები“ მაზედაც იქონიებდნენ გავლენას უთუოდ. ეს ასეც მოხდა. მაგრამ ილია ჭავჭავაძემ შესძლო ამ „ნალექების“ სხვანაირი აცდენა. მან მიიღო ისინი მხოლოდ როგორც „გადახვევის“ (და არა ხინჯის) ხაზები. რასაკვირველია ქვეშეცნულ შემოქმედებაში. აქ გაიმართა მისი სტილი. იგი არ არის სადა, მაგრამ მისი სირთულე დაბორკებაში არ გადადის. იგი არ არის სუფთა, მაგრამ მისი დანართი ხორკლებად არ გამოდის. იგი არ არის მსუბუქი, მაგრამ მისი სიმძიმე სიჩაღუნგეში არ იხრჩობა, მისი სტილი გრავნილია ზვეული, ხავოიანი მტკიცეკოჭებიანი.

ილია ჭავჭავაძე არ წონის სიტყვას, არც მზერს მას, არც უსმენს. იგი ყნოსავს სიტყვას და ხელით ეხება მას. უფრო კი ყნოსავს.

ლუარსამ თათქარიძე: „კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი როგორც კარგი ნასუქი კურატი... თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგევივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო, წითელ თურამაულ ვაშლისავით ხაშხაშა ლაკები, სამკეცად ჩამოსული ტრფიალების აღმგზნები ფაფუკი ღაბაბი; დიდრონი თვალები ყოველთვის დასისხლებულნი, თითქო ყელში თოკი წაუჭერიათო; გაბერილი, მეტად გონიერად გადმოგდებულები, დიდად პათივსაცემი და პათივცემული ღიბი; კოტითა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები, დამორილი სხვილი ფეხები...“

მისი ცოლი: „ეს ამოდენა დედაკაცი ჩაგოდრებული, ჩასორსლებული ხშირად დილიდამ შუადღემდინ იდგა და გორგალსავით დაგორავდა“.

ეს აღწერა კი არა, „გასტრონომია“ პირდაპირ. ან კიდევ:

„სასაცილო იყო ეს ლამაზისეული: ერთი რაღაც უშნოდ ჩასუქებული, ჯმუხი, ჭუჭყიანი. ტანზედ ეცვა ხამის ჩითის კაბა, ჭუჭყისაგან ვერ გაირჩეოდა რა ფერისა იყო; კალთები აქა-იქ გამომწვარი ჰქონდა ზამთარში ცეცხლთან ახლო-გდებისაგან; დახეულებიდან გამოჩანდა ერთი რაღაც დამპალის საბნის ნაგლეჯი, კაბის ქვეშა გარშამო ჩამოკიდებული... იმ ამოფლეთილებში მუთაქის მატყლსავით დასორსვილი შავი წილიანი და დაუვარცხნელი თმა მუჭა-მუჭად ამოშვებოდა. ქუსლებ-დახეთქილი, მუგუზულსავით შავი ფეხები, წენგოსაგან შედებილი ხელები, ცხვირ-პირი ქვაბის მურით მოთხუპნული...“

აქ პირდაპირ ყასბის დანა სჩანს.

საერთოდ: ილია ჭავჭავაძე ყნოსავს და შემდეგ გემოს უსინჯავს სიტყვას. მისთვის ეხერხება მას ასეთი გზნებით საჭმელის აწერა.

„ერთი კარგი მსუქანი არტალა, ჩვენი თედოს მოხარშული, ნივრით“. ან კიდევ: ჩიხირთმა, ბოზბაში: „მაგრამ რომ მაგონდება პირამდინ პურჩაყრილი, ჩაუქუქუნებული ბოზბაშით სავსე მათლაფა. თუ ზემოღამაც ერთი კანჭი აძევს“.

აქ „ჩაუქუქუნებული“ ყველაფერია.

მას უყვარს საერთოდ „მსუქანი“. თითქო ჯიქანს ეხება:

„დადგა მაძლარი შემოდგომა. სოფელში გაიმართა ქვევრების რეცხვა, საწნახელების ხიზვა და წმენდა. ქარვასავით ჩაფერიანებული მსუქანი მტევნები თეთრის ყურძნისა, მაყვალსავით შავად შეკუნწლული საფერავის ვაზები“ („ოთ. ქვრივი“).

აქ მარტო ერთი „შეკუნწლული“ რად ღირს. ან კიდევ:

„ღონღონი, დუნენი“ („ოთ. ქვრივი“)

აქ თვითეულ სიტყვაში „შავი მიწა“ იშმუშნება და იდედება.

ილია ჭავჭავაძე „ღონესაც“ კი სენსუალურ ათვისებით იღებს: „ღონის გასიება“ (იქვე).

ეს სიმსუქნე „ქონში“ გადადის:

„კაცია-აღამიანში“ ხშირად არის ხსენება „გაქონილი ქალღლის“ ფანჯარაზე.

ყოველი მისი სახე სენსუალურია როგორც ძირმაგარი:

ჭიის კარი, „ისე საცოდავით დაღრეჯით გადმოჰკიდებოდა ერთს ყუნწსა, ასე გგონია, ბოძს დაუჭერია საცმელად“.

აქ თვითონ „ყუნწის“ ფონეტიკაა ხორციანი.

ან კიდევ: „კბილებ-ჩაცვინული ბებერ დედა-კაცის დაღებულ პირსავით ამოჭვარტილი, მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი“.

გაგრძელება ზედმეტია.

ილია ჭავჭავაძის სიტყვა მსუქანია და შედეგებული: მას აქვს: ჯიში, ჯილაგი, ჯავარი, ზავთი, ბარაქა, დოვლათი. ყველგან ხორცი, მაგრამ არა უძვალს; ხორცი მსუქანი, თითქმის ქონიანი. სტილი მისი არ არის პლასტიური: პლასტიკას მარმარილო უფრო უყვარს, ვიდრე „მიწა“. იგი ხორციელების ნოყიერებაა: როგორც ასეთი იგი მიხვეულ-მოხვეულია, ხანდახან მიკიბულ-მოკიბული, ყოველთვის დაგრაგნილი, ოღრო-ჩოღროიანი, ჯანლიანი, მაგრამ მუდამ ფესვგრძელი, მუხლმაგარი, ტანბრგე, ტოტბეაყრილი, და თავიდათავი: მწიფე. თესლიანი, ოჯახიანი. ხშირად მასში ხორცმეტიცაა, მაგრამ საერო სურათში იგი მოჩანს როგორც დიდი სალი და ან როგორც მაგარი კორძი.

ქართული პროზა ამით არ იწურება: იგი მოელის კიდევ დიდს განვითარებას. პრობლემა ასეთია: სინთეტიური შეგზნება ქართული სიტყვის პირვანდელი სიქალწულის და მონუმენტალური განსხეულება მისი ეხლანდელ ნიადაგზე. სა „ქმე“ დიდი და მაღლიანი.

ლაშა თაბუკაშვილი

შენი საფლავის წინ დაღვპენ ვიხს

ჭერ იყო რალაც თავისთავადი, გაუთვითცნობიერებელი, რომელიც თურმე მშვენიერ შენაკადად შედიოდა სისხლში. ფრაზები: ერის წყლული მაჩნდეს... წყლულად... დამე, ურემი და მარტონელა მხედარი დამეში... რალაც გზა, უცნაური სახელწოდებით, კუდიგორა!

ფიქრიანი კაცის პორტრეტი, სკოლის ახლადშედგებილ კედელზე, ჰკვიანი, ამაყი მზერა... მოხუცი, სახელად ილია. რალაცა დაკავშირებული ღორმუცელა ცოლ-ქმართან და ცად აზიდული ზვინიდან დაგორებულ ყმაწვილთან... შავოსანი ქვრივი. კიდევ ვილაც გარიბალდი და პოეტი ილია ჰავკვაძაძე, რომელსაც მის რაზმში ჩარიცხვა სურდა. (აბა როგორ უნდა ექნია ხმალი ამ მოხუცს?!).

შემდეგ გაუგებარი სიტყვა, თერგდალეულნი... ჰაბუკი ილია! როგორ თუ ჰაბუკი? ჰაბუკი, ესე იგი ახალგაზრდა! თურმე ილიაც ყოფილა ახალგაზრდა... უცნაურია! ჰაბუკი ილია, ქართველებისთვის სრულიად უცნობი პოეტის, ტატო ბარათაშვილის ლექსების რვეულით ხელში... ლამაზი, გოროზი ქალი ეკატერინე ჰავკვაძაძე...

სკოლის მომაბეზრებელი პროგრამა, მასწავლებლები, გაზეპირებული ციტატებით და ებითეტებით. ილია — პოეტი, საზოგადო მოღვაწე, პატრიოტი... გასაგებია, ბატონო! „განდევილი“, „კაკო ყაჩაღი“, საზეპიროები აქედან აქამდე (ფრჩხილით დანიშნული), გარეთ კი გაზაფხულია, ფეხბურთს თამაშობენ. რა დროს დაზეპირება? უეცრად — „სარჩობელაზედ“-ს წაკითხვა...

გარბიან წლები და ყოველდღე... ილია! ილია! ილია! უნივერსიტეტის მშენებლობა, სათავადაზნაურო ბანკი, მაზრის მოსამართლეობა...

და შენ ვერ ხვდებოდი, რომ ყოველ წუთს, ყოველ ქამს ეს სახელი და მცნება — ილია — ცოცხლობდა და ფეთქავდა შენში!

თუ გახსოვს, მწერალთა კავშირში რომ დაიწყე მუშაობა, უცხოელი მწერლის, მისი მეუღლისა და მთარგმნელის მეგზურობა დაგავალეს მთაწმინდის ჰანთონში. მეათასედ აისრიალა მალა ვაგონებმა, მეათასედ მიუახლოვდი ილიას საფლავს და პირველად შენს ცხოვრებაში შეეცადა აგეხსნა ვილაცისთვის — თუ ვინ განისვენებს აქ. ალბათ სწორედ მაშინ, ამ უცხოელის წინაშე ზრდილობიანად რომ განემზადა მოსასმენად, იჩინა თავი იმ უხილავმა, დაგუბებულმა, ილია რომ ერქვა სახელად. ცრემლი მოგვრია, ხმა ჩაგვლიჩა... აბა როგორ უნდა გაეგო იმ ყურადღებიან, ზრდილ ვეროპელს, ვინ არის ილია?! უჭრო სწორედ, რას ნიშნავს ქართველისთვის ილია! უცხოელმა ალბათ სენტი-



მენტალურად ჩაგვავალა, მაგრამ შენ ამისთვის ყურადღება არ მიგიქცევია. მეორე მზერა გავიჩნდა, საკუთარ სულში ჩაიხედე და განცვიფრდი — რამხელა ადგილი დაეპყრო ილიას!

და მაშინ გაკადნიერდი და მიმართე მას: ილია ბატონო, ნება მომეცი მეც ვეამბორო შენს ნათელ, არაკაცის ტყვეით შელეწილ შუბლს და ჩემს მეგობრებთან ერთად მეც მოგვე პირობა, რომ ერის წყლულით დავიწყლულვებთ მკერდს, რომ არ ვულაღატებთ შენს ნაანდერძევს, ჩვენო სათაყვანებლო კაცო, რომ ჩვენს ლეკვებსაც სალოცავად გავუხდით შენს სხივნათელ სახეს და, რომ ოდესმე მოვლენ ისინიც და შენი საფლავის წინ დადებენ ფიცს, რომ ჭეშმარიტად ეყვარებათ და ერთგულ მსახურად დაუდგებიან ერს, ერს, რომელმაც საკუთარი მამა გიწოდა.

ემზარ კვიციანი

ჩვენი გაპქლოვის სიგოლო

ძნელია მოიძებნოს ქართველი ადამიანი და მით უმეტეს მწერალი, ვის სულიერ აღზრდაზე, ზნეობრივად ჩამოყალიბებაზეც ილია ჭავჭავაძეს უდიდესი ზეგავლენა არ მოუხდენია. და მაინც, ილიას პიროვნების შეცნობასა და მისი შემოქმედების რამდენადმე სრულად გაგებას ასაკი და გამოცდილება სჭირდება.

თავად ილია სრულიად ჭაბუჯი იყო, თავისი ხალხის წინაშე განსაკუთრებული მისიის მტვირთველად რომ იგრძნო თავი და ერის წინამძღოლობა იკისრა. მისი ბედის ზიარმა და უღლის გამწვევმა აკაკი წერეთელმა იმთავითვე უცდომლად შეაფასა ილიას მნიშვნელობა და იგი ნიკოლოზ ბარათაშვილს დაუწვვილა, „ჩვენი მწერლობის მოსე და აარონი“ უწოდა მათ.

დღევანდელსა და მომავალს თაობებს მუდამ მაგალითად გამოადგება ის მუხლმოდრეკა და თაყვანისცემა, ჩვენი დროის ორმა დიდმა პოეტმა — გალაკტიონ ტაბიძემ და გიორგი ლეონიძემ რომ გამოიჩინეს ილიას პიროვნების, ღვაწლისა და შემოქმედებისადმი.

გალაკტიონმა უმნიშვნელოვანესი ეპოქის დასასრულად აღიქვა ილიას მკვლევლობის თარიღი. არაერთი ლექსი ცხადყოფს, თუ მის სულიერ სამყაროსა და პიროვნულ, ადამიანურ განცდებში რა ღრმად იყო ფეხგადგამული საამყო წინამორბედის ძვირფასი ხატი. საამისოდ ერთი სტროფის გახსენებაც იკმარებს:

ილია მღერის — ვაჰმე!
ანდა რას ნიშნავს ნეტა:
ისე არ გავა ღამე,
არ დამესიზმროს დედა.

რამდენი სიტბო და სიფაქიზება ამ სტრიქონებში, რაოდენ მშობლიურ გემო-
რემოშია მოქცეული ილიას სახელი.

ერთ მცირე, ღრმა აზრის დამტევე უსათაურო ლექსში ჩვენ პირდაპირ „აჩ-
რდილის“ სუნთქვა მოგვესმის, თითქოს მის დამწერს ილიას ლანდი ჰქავდეს
გამოხმობილი:

ამ ბნელი ღამით ვიღაც დადის
საქართველოში,
ვიღაცა კვენისის:
ვახსენოთ ჩვენ ის, უკანასკნელ სადღეგრძელოში,
სადღეგრძელოში ვახსენოთ ჩვენ ის.

ნაცნობი და ახლობელია ღამეში მოარული კაცის კვენისა; ეს საქართვე-
ლოს „თანამდევნი, უკვდავი სულია“. იგივე ილია: ყველაზე მეტად იღუმალე-
ბის საბურველში გახვეული ლექსი მას შეჰფერის.

გიორგი ლეონიძემ ერთადერთი სტრიქონით დაგვიყენა თვალწინ ჩვენი
ერის სულიერი მოძღვრის დაუფიწყარი სახე: „ილია — შუბლი საქართველო-
სი“, სხვა ლექსში კი ასევე სხარტად მოხაზა ილია ჰავჭავაძის გრანდიოზული
ფიგურა, მთელი ხალხის სათქმელი თქვა:

შენ ძირს დაგცეს ფოთოლივით
და მთასავით წამოდექი!

ამის დამწერი სიცოცხლის ბრლომდე სასოებით შეჰყურებდა ილიას წმინ-
და ხატს, ვერ იშორებდა უღვთოდ გამეტებული ბრძენკაცის მწუხარე მოლან-
დებას:

დიდო აჩრდილო, რას დაგვიბარებ,
წარბშერკმით მდგარო, სევდით მღიმარო,
შუბლსა და მკერდზე ხელებს იფარებ.
აღბათ გასურს, წყლული რომ დაგვიმალო.

ბოეტის თანამედროვენი ცდილობდნენ დაეხატათ ილიას გარეგნობა, მი-
სი სულის სიმდიდრე. მართლაც იშვიათი სანახავი იქნებოდა ცოცხალი ილია
ჰავჭავაძე, მუდამ ღრმა აზრით სავსე, ღვთაებრივი ცეცხლით ანთებული მისი
თვალები.

ძალიან მომწონს იაკობ მანსვეტაშვილის „მოგონებებში“ გაბნეული სტრი-
ქონები:

„ვისაც ილია პირადად, ცოცხლად მოლაპარაკე არ უნახავს, იმას ფოტო-
გრაფის სურათი ვერას ეტყვის. ფოტოგრაფიას არ ძალუძს გადმოგვცეთ ადა-
მიანის სულიერი არსება, მისი სრულქმნილი მშვენიერება. მისი იღუმალ ძალ-
თა მოძრაობა...“

„წარმოიდგინეთ მაღალი, გაშლილი, გადატკეცილი შუბლი, სწორე, თით-
თქოს საგანგებოდ ჩამოსხმული, გამოქანდაკებული ცხვირი, მრგვალი მოძრავი
ნესტოებით, მოკუმული ტუჩებით, მოკუმული ისე შავრად, რომ კბილებს არა-
სოდეს არ გიჩვენებდათ. შემორგვალებული, ცოტად წინ წამოწეული ნიკაბი
და თვალები, ჰკვიანი, მეტყველი, ილიას თვალები. ხან ლმობიერნი, სათნოიანი,
როდესაც მეგობრულად გამოიყურებოდნენ; ხან არა ამქვეყნიური, ზეციური,
როდესაც შემოქმედების სივრცეში დაცურავდნენ, ხან მრისხანენი, ცეცხლის
მფრქვეველნი, როდესაც მტერს შეებრძოდა, — წარმოიდგინეთ ყველა ეს და
თქვენს თვალწინ გეყოლებათ ცოცხალი ილია“.

ცოტა ჰქვემოთ ნათქვამია თუ როგორ აფრთხილებდა იგი მის გარშემო
შემოკრებილ ახალგაზრდებს — თანამებრძოლებსა და თანამოაზრეებს.

„ემაწვილებო, არ მილატოთ, თორემ ხომ იცით, თუ პაკეტს ერთი წვეტი მოერღვა, გათავდა, პაკეტი ბოლომდე ჩაირღვევა, იმის შველა შეუძლებელია მეც ასეთი თვისება მაქვს, მე შუა გზაზე დადგომა არ ვიცი: ამასაც გეტყვით: კამბეჩის ჯიშისა ვარ, რაც უნდა მძიმედ დატვირთული ურემი იყოს, უკან არ დავიხევე, ხრამიდანაც ამოვიტან, თუ უღელში შესაფერი ტოლები მეყოლება, ბიან, მხარს დამიჭერენ. მაგრამ ოჩანის ცხენის ზნეცა მჭირს: თუ ერთი შევდექი, დავოჩნდი, — გათავდა, მერე კეტებით რომ მტემოთ წინ ფეხს ველარ გადა მადგმევინებთ“. ამ სიტყვებში კაცის მთელი ხასიათია.

მარტო ლაბას, გამწვევ ხარს როდი მიმართავდა ილია, როცა ქვეყნის მარჩენალის, ქართველი გლეხის „ოროველას“ სევდიან ზუზუნში ამბობდა:

ერთგულად ვჭიმოთ ჭაბანი ჩვენი,

უსიხარულოდ გავლიოთ დღენი.

იცოდა, ოფლდადენილი ბელტებით გადაშავებულ ხნულში კეთილი, სამომავლო თესლი რომ უნდა ჩაეგდო.

ილია ჩვენი გამძლეობის, ქირათმენის უკვდავი სიმბოლოა. უძრავი და გაყინული კი არა, ნიადაგ მებრძოლი, საჭიროებისდა მიხედვით რომ იცვლის სახეს, გვანჯღრევს და გვაფრთხილებს — ძილს, მოდუნებას რომ არ დაუნებდეთ, რომ არ გადაგვიარონ და ნაბადივით არ გაგვეთლონ. მან დაგვარგა, ყოველდღე რომ უნდა მოსთხოვო პასუხი საკუთარ თავს — რა გაუკეთე ხალხს, ქვეყანას, ვის რა არგე. იგი არ არის რაიმე თარიღთან დაკავშირებული სახელი, ჩვენი დაუქანგავი ფარი და მახვილია — მოყვარესთან მოყვრულად მიმგებელი და ტრისთვისაც საკადრისი პასუხის გამცემი. იგი ჩვენი არა მარტო გუშინდელი და დღევანდელი, უფრო მეტად ზვალინდელი დღეც არის.

ამჟამად, როდესაც ჩვენგანვე დაფლეთილი, წონასწორობადაკარგული, გალიზანებული ბუნების რისხვა დაგვატყდა, ზვავისა და მეწყერისგან დღევანდელი მამაბაბური ფუძეების აღდგენას ვლამობთ, ისევ ილიას აჩრდილს ვიშვებოვებთ, ისევ ჩაგვესმის ბრძენის მანუგეშებელი, ლოცვად წარმოთქმული სიტყვები: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა...“

გულისწყრომასთან ერთად ილიამ საოცარი მოფერებაც იცოდა; სხვა ვინ შეკითხვია ასე ალერსიანად მამულს:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია...

აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია...

ამავე ლექსში გახარებული ამბობს იგი: „წვირილშვილნი წამოგვესწრენი ნაზარდნი, გულმტკიცები...“ რა ცეცხლი შემოენთებოდა ამის დამწერს, ჩვენი ახალგაზრდობის საკმაოდ მოზრდილი ნაწილის წახდენა და საბედისწერო გადაგვარება რომ დაენახა. ჩვენდა სამწუხაროდ, ახალგაზრდობაში, ერის გულსგულში, იმედში საკმაოდ ღრმად გაიდგა ბოროტი ფესვი უსაძგაღესმა, მომავალი მაკვდინებელმა სენმა — ნარკომანიამ, რაც ჩვენისთანა ბატარა ხალხს აშკარად გადაშენების საფრთხეს უქმნის. ამ ძნელბედობის, დროსაც ილიას სახელი უნდა და მოვიშველიოთ: ისე უნდა დავხვდეთ კარზე მომდგარ უბედურებას, როგორც იგი დახვდებოდა. ჯერ კიდევ როდის ატეხა მან განგაში — დღესდღეობით მტერი ხმლით აღარ მოდის, სხვა გზებით ლამობს ჩვენს განადგურებას.

ტყუილად როდი იბრძვის ასე თავგამოდებულად რესპუბლიკის მთავრობა, მის მხარდამხარ მთელი ქართული მწერლობა, საერთოდ, ყველა ნამდვილი მამულიშვილი ამ ჩვენი დამაქცევარი სენის ამოსაძირკვად.

ილია მთელი ცხოვრება უმკაცრეს სიმართლეს ამბობდა და ზოგიერთებს იგი სამშობლოს მოძულედაც კი მიაჩნდათ. სწორედ ასეთი ჭკუით ბეცები,

ბრიყვების ბრალდებაზე წერდა ერთ ლექსში: „...ჩვენს ცუდს არ მაღავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია...“

მსოფლიო ლიტერატურამ არაერთი მაგალითი იცის დიდი ადამიანების მხრიდან „მრისხანებად ქცეული სიყვარულის“ გამოვლენისა. ისინი მუდამ შეუვალი სიმკაცრით დარაჯობდნენ ერის ზნეობას.

გამძვინვარებული დანტე „უმესაჟოდ დარჩენილ ხომალდსა“ და „საროს-კიბო სახლს“ ეძახდა თავისი დროის იტალიას.

მე სრულებითაც არ ვფიქრობ დიდ ფლორენციელთან გვატარო პარალელი, მაგრამ „აჩრდილში“ ილია საქართველოს ძველ დედაქალაქზე, ერთ დროს სახელოვან მცხეთაზე მწარე გულისტკივილით ამბობს:

და იგი დედა-ქალაქი ვრცელი
აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა.

ამ მეტაფორას კიდევ უფრო შემზარავი სახე მისცა ილიას უმცროსმა თანამებრძოლმა, ვეა-ფშაველამ და მძაფრად გამოხატა ერის დაკნინება-დაწვირილმანება: „ქვეყანა იქცა ღუქნადა“.

მიხეილ ვრუბელი დიდად წუხდა, როგორ არ მინდა ჩემი სურათი „ისა-მანი“ ოდესმე მუზეუმის ექსპონატი გახდესო. მართლაც, ამ იშვიათ ტილოზე ისეთი სიღმანეა აღბეჭდილი და ისე პოეტურად, ცოცხლად, არაა გასაკვირი — მხატვარს იგი მუზეუმის მყუდრო დარბაზში ჩამოსაკიდალ, ოთხ კედელში გამოსაკეტად დანანებოდა; ალბათ ერჩივნა (შესაძლებელი რომ ყოფილიყო), მუდამ ბუნების წიადში, მზის სინათლეზე ეკაშაშა.

ილიას სახელს და შემოქმედებას არასოდეს დაედება მუზეუმის მტვერი. იგი — ჩვენი საფიცარი წინაპარი — არასოდეს იქცევა წარსულად, გუშინდელ დღედ. ისარივით ნიადგ მომავლისკენ იყო მიმართული და ამიტომაც გვიანდერძა: „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...“ არავითარი წინსვლა და გამარჯვება არ გვიწერია, თუკი ამ ცეცხლოვან მოწოდებას დავივიწყებთ.

ილიამ შექმნა და დაუბინდავი ნათლით შემოსა დიდებული მითი ბაზალეთის ტბაზე; გადაგვიშალა მის ზურმუხტოვან ფსკერზე აბიზინებული, გაუხუნარი „უცხო წალკოტი“, წელიწადის დროთა ბრუნვას, ჟამთა ცვლას რომ არ მორჩილებს. ილიამ დაგვანახა ბოროტ თვალთაგან უხილავი და მიუგნებელი ოქროს აკვანი და ამ აკვანში მწოლი ყრმის ღვთაებრივი ათინათით გაცისკროვნებული სახე, ოღონდ ამ ყრმის სახელი არ გაუმხელია, ვარაუდობდა, შთამომავლობა ისედაც მიხვდებოდა — ჯადოსნურ აკვანში საქართველოს იმედი, მისი მომავალი იკრეფდა ძალას. ცხადია, ილიას კონკრეტული პიროვნება არ უგულისხმია. ჩვენ კვლავ ამ იმედს უნდა შევნატროდეთ, ვინაიდან იმედისა და მომავლის რწმენის გარეშე ერს არსებობა არ შეუძლია.

ილიაზე დაუცხრომელი და ფხიზელი გონება საეჭვოა რომელიმე ქართულ მწერალსა და მოაზროვნეს ჰქონოდა, მაგრამ როცა საქმე პოეზიის არსის წვდომაზე მიდგებოდა, იგი უყოყმანოდ იზიარებდა ძველთაგანვე გამოთქმულ ჭეშმარიტებას და ამასაც თავისებურად გვეუბნებოდა:

„რა არის პოეზია, ამას ვერა კაცი ვერ ავიხსნით, მთქმელიც ტყუილად მოსცდება და გამგონიცა. პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი. ჩვენ მხოლოდ მისი ზემოქმედება ვიცით“.

სხვა გზა, სხვა საზომი და გასაღები პოეზიის იდეალს ბჭესთან მისაღწევად მად არც არსებობს.

ჩვენ ისე უნდა ვცხოვრობდეთ და ვმუშაობდეთ, დარწმუნებული ვიყოთ, რომ ილია თვალს ადევნებს ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას და გარჯას, ჩვენს მოქალაქეობრივ პოზიციას.

ყველა ჩვენგანს კარგად მოეხსენება — ილია რომ დღეს ცოცხალი იყოს, ათას უკეთურებას შეებრძოლებოდა, პირად კეთილდღეობას დახარბებულ და საკუთარ მუცელზე გადაყოლილ ბევრ უგუნურს წაუხდენდა გუნებას, არაერთ თვალთმაქცსა და დემაგოგს ჩამოაფხზრეწდა სახეზე ურცხვად მორგებულ ერისკაცობის ნიღაბს.

ილიასებური შემართებით უნდა შევებრძოლოთ მამებლურ, პირად გამორჩენაზე დამყარებულ დიოთრამბულ კრიტიკას, მასავით მძაფრად უნდა შევეუტიოთ პარაზიტობის ყველაზე საშიშ სახეს — ენერგიულ, საეჭვოდ მოძალბებულ უნიჭობას, ლაფანჭამიასავით რომ მიდგომია და ხრავს ჩვენი მწერლობის მარადმწვანე ხეს. სამწუხაროდ, გვაკლია ის შეუპოვრობა და პირდაპირობა, რასაც ეს საქმე მოითხოვს.

მწერლობაში დღეს ბევრს აქვს მოკავებული „საკარ-მიდამოები“, ბევრის ფუყე სახელი ხშიანობს და ხმაურობს, მაგრამ შეიძლება ითქვას — უკვე კარს მომდგარ შემდეგ საუკუნეში ასევე ბევრი ცარიელი ადგილი დარჩება, ხოლო ბუნებას, როგორც მოგეხსენებათ, სიცარიელე არ უყვარს.

არაერთხელ შეუხსენებიათ იუბილეების მოყვარულთათვის, თუ როგორ არ ააღნიშვნინა ილიამ თავისი სამოცი წლის იუბილე, მაგრამ ეს ფაქტი პომპეზური საღამოების მოწყობებზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს. ისევ ისე გრძელდება თვალში ნაცრის შეყრა.

შემაშფოთებელია, რომ მწერლობაში კარგა ხანია საიმედო ახალგაზრდობა ნაკლებად ჩანს (განსაკუთრებით დამაფიქრებელი ამ მხრივ პოეზიის მდგომარეობაა). ამას რუსეთშიაც შეშფოთებით აღნიშნავენ და ნაირ-ნაირ მიზეზებსაც ეძებენ. ერთი ნიჟიერი, ძალზე საინტერესო რუსი პოეტი ამას წინათ წუხდა — ამდენი უსახური და უსულგულო ლექსი არასოდეს არ იწერებოდაო. იმედი უნდა ვიქონიოთ, სასიკეთო ძვრები ახლო მომავალში მოხდება.

ქართველი ლიტერატორისთვის რა უნდა იყოს იმაზე საშური და საბატო, ვიდრე ილიას მემკვიდრეობის ათვისება და შესწავლა. პირადად მე ილიას პოეტურ ოსტატობაზე მოზრდილი წერილი მაქვს გამოქვეყნებული, მაგრამ სრულებითაც არ ვთვლი, თითქოს ვალი მოვიხადე. დასანანია, რომ დღემდე სათანადოდ ვერ არის შეფასებული ილიას უმნიშვნელოუანესი, ახალი ტიპის პოემა „აჩრდილი“, რომლის რთული კომპოზიცია იმთავითვე ვერ იყო კარგად გაგებული და ზოგიერთი, საკმაოდ განათლებული მკვლევარის თვალში ეს ნაწარმოები ცალკეული, ერთმანეთთან მხოლოდ თემატურად დაკავშირებული ლექსების ციკლად ჩანდა. „აჩრდილზე“ საგანგებო წერილის დაწერას ვაპირებ და უფრო იქ გამოჩნდება ჩემი დამოკიდებულება ილიას შემოქმედებისა და კონკრეტულად ამ ბრწყინვალე ლირიკული პოემის მიმართ.



გაღობა მოგავლისათვის

ილია!

მარადიული თანამდევნი საქართველოსი!

რა მესიანური ძალისხმევა იყო საჭირო, რათა ამ ორ სიტყვას — ილიასა და საქართველოს — დღევანდელი ძალა და ელვარება შეენარჩუნებინა! დღეს თუ ერთიც არსებობს და მეორეც, და თუ მათი უერთმანეთოდ ყოფნა უკვე ვეღარც წარმოგვიდგენია, ძალაუნებურად ვფიქრობთ იმ მართლაც მესიანურ ძალაზე, რომლითაც ილიამ წარსულის საქართველო სამომავლო გზებზე გამოიყვანა.

„სოფელი ვინა და — ერთი კაციო!“ — ამბობს ხალხური ანდაზა. ილია სწორედ ის ერთი კაცი გახლდათ, ის ერთი კაცი, ვისშიაც მოქცეული აღმოჩნდა მთელი „სოფლის“, ანუ სრულიად საქართველოს სასიცოცხლო ძალა და ენერჯია, ვინც ყველაფერი გაიღო იმისათვის, რომ „სოფელი“ თავისი ღირსეული ხვედრი დაემკვიდრებინა ამ წუთისოფელში, ვინც არავითარი შეაღვათი არ მისცა არც თავის თავსა და არც „საყვარელ მამულს“, ვინც პირადი მაგალითის ძალით ერი საღათას ძილიდან გამოიყვანა და ამომავალი განთიადისაკენ მიახედა. ხოლო მის ტრაგიკულ აღსასრულში საბოლოოდ შეიკრა და გამთლიანდა დიადი ცხოვრების გზა — რაც სიცოცხლით ვეღარ შეიძლო, სიკვდილით განასრულა!

იმ ტრაგიკულმა დღემ წარმოაჩინა უცხადესად, რომ ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი საგანი — საქართველო კვლავ ცოცხალი იყო და ფეხზე იდგა! შეძრწუნებული და შეძრული მომხდარის საშინელებით, მაგრამ ცოცხალი, გადარჩენილი, სახიფათო უფსკრულეებს გამოღწეული საქართველო!

ილია გაღვიძებული სინდისია ჩვენი ქვეყნისა! როცა კაცში თუ ერში ეს გრძნობა მიიძინებს, კაციცა და ერიც ადამიანურ სახეს ჰკარგავს და უცილობელი კატასტროფისაკენ მიქანება.

დღეს, ილია ჭავჭავაძის 150 წლის საიუბილეოდ, უმთავრესად მიმაჩნია არა ის, რომ რაც შეიძლება ბევრი წიგნები და წერილები ვწეროთ ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების ამა თუ იმ კერძო მხარეებზე... მე მეშინია საიუბილეო ზარ-ზეიმის აჟიოტაჟით არ დაიჩრდილოს, თვალსა და ხელს შუა არ გაგვისხლტეს ის უმთავრესი, რისთვისაც ამ იუბილეს ვიხდით:

გვიყვარდეს ჩვენი ქვეყანა, როგორც ილიას უყვარდა!

ვიცხოვროთ იმ ზნეობრივად კანონებით, როგორც მან გვიანდერძა!

მიმოვიხედოთ ჩვენს ირგვლივ იმ ფხიზელი მზერით, რომლითაც ილია უყურებდა ქვეყანას!

ვიყოთ ყველაფრისადმი, რაც ჩვენს წინსვლას აფერხებს, ისევე უკომპრომისო და შეუთრიალი, როგორც ეს შეეძლო ილიას!

მისი ცხოვრების ყველაზე დიადი ანდერძი ალბათ ისაა, რომ მარადიული მოძრაობის, მარადიული თვითგანახლების სული არ ჩაიკლათ, ყურზე არ ჩამოვიძინოთ და თვალს არ დავუხუჭოთ სადღეისო მტკიცვეულ საქვეყნო პრო-

ბლემებს, პრობლემებს, რომელთაც დრო ყველა თაობის წინაშე აყენებს. ჩვეუ
ბედნიერი ვართ, რომ ილია ჩვენთანაა. ჩვენთანაა მისი დიადი ცხოვრების მა-
გალითი, გზას გვინათებს მისი უკვდავი „თანამდევნი“ სული!

იმ დროშაზე, რომლითაც ილია მიუძღვებოდა საქართველოს, სამი უკვ-
დავი სიტყვა იყო ამოტვიფრული:

ძმობა,
ერთობა,
თავისუფლება!

ეს სანუკვარი სიტყვები უნდა ჩავიჭედოთ ყველამ ღრმად გულში, რადგან
ძმობის, ერთობისა და თავისუფლების გარეშე დღეს არათუ საქართველოსი,
მთელი მსოფლიოს არსებობა და მომავალია წარმოუდგენელი!

განახლების გზებს მარადიული ჭეშმარიტებების ლამპარი მიუძღვის მუ-
დამ.

ჩვენც, მისი უკვდავი შუქით განათებულთ, მადლობა ვუთხრათ დიდ წინა-
პარს:

მადლობა წარსულისათვის,
მადლობა აწმყოსათვის,
მადლობა მომავლისათვის, რომელსაც კვლავ და კვლავ ილიასთან ერთად
მარადიულად შეეგებება საქართველო!

ვაჟა ხორნაული

„უპილა უნდა იმოდეს...“

ვინაც თავისი სამშობლო
თვით ღმერთზე მეტად იწამა
და დიდად პატარა ერი
გულმა ითვისა მისამა...
ვაჟა-ფშაველა

ეს იყო საკმაოდ დიდი ხნის წინათ...

მასწავლებელი იღვა და ილია ჭავჭავაძეზე ლაპარაკობდა. იგრძნობოდა,
რომ ეს გაკვეთილი მისთვის განსაკუთრებით დღესასწაული, თვალები უბრწყინავდა,
მისი ხმა იყო საოცრად მშობლიური, ფანჯრებს მიღმა მოჩანდა ხევსურეთის
მალალი მთები და სიჩუმეში ისმოდა სიტყვები: „მამულის ლამპარი“, „დიდი
მამულიშვილი“, „ერის წინამძღოლი“, „უდიდესი განძი“, „ვეფხის-ტყაოსნის“
დამცველი და დამფასებელი“... მასწავლებელი ლაპარაკობდა... იგი ჩვენ გვი-
ყურებდა და თითქოს ვერ გვხედავდა, თითქოს ჩვენი სახეების მიღმა, ულამა-
ზეს სამყაროში იმზირებოდა...

ვინ იცის, რამდენმა ჩვეულებრივმა გაკვეთილმა ჩაიარა უკვალოდ; ბევრი

ლამაზი გაკვეთილიც თანდათან გამკრთალდა, მაგრამ ის ერთი დღესაც ცხადად მახსოვს და ახლაც მკაფიოდ ჩამესმის ილიას სიტყვები, მასწავლებელმა ოდნავ ხმამალა, თითქოს მკაცრადაც რომ წარმოთქვა: „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღელას წევა“.

გადიოდნენ წლები. ვიზრდებოდით ჩვენ და ჩვენში, გარემომცველ სამყაროსთან ერთად, იზრდებოდა ილია ჭავჭავაძე, გოცების ერთი ტალღა მეორით იცვლებოდა და არაფერი იყო უფრო ლამაზი და საოცარი, ვიდრე ამ ტალღების შუქი და ენერგია...

ილია ჭავჭავაძე არც მხოლოდ ათას რვაას ოცდაჩვიდმეტში დაბადებულა და არც ათას ცხრაას შვიდში გარდაცვლილა: იგი დაიბადა საქართველოსთან ერთად, მის წილში ფეთქავდა და იკვებებოდა; იგი იმ ხომალდს წააგავდა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სხვა, მასავით დიდი, ხომალდების გუგუნსა და სიჩუმეს ისმენდა, მათს ხიფათიან, გამაოგნებელ მგზავრობას შესცქეროდა და იცოდა, როდის დადგებოდა მისი ჭერი, როდის უნდა შეცურებულყო დიდი ბრძოლების ოკეანეში, რომ დროის რომელიღაც საბედისწერო მონაკვეთში მასაც ეხსნა „თავისი მხარე, რომელმაც გაავსო, როგორც საქართველო, აგრეთვე, საბერძნეთი და პალესტინა ქართულის სამკაულებით და მანუსკრიპტებით, რომელმაც ძველადვე ჰთარგმნა ფაშალურ ენაზე შედგენილი სანსკრიტული მოთხრობა „ქილილა და დამანა“, „ვის-რამიანი“ და შექმნა დიდებული პოემა „ვეფხისტყაოსანი“...

ოცდაერთი წლის ილია ჭავჭავაძე წერდა:

კაცო, გიყვარდეს!
 ცათ შთამომძახეს,
 როს მათ დამბადეს.

ილია ჭავჭავაძეს უყვარდა არამარტო ძმა და მოყვასი, არამედ ყველა, ვინც კი ამქვეყნად, სამზეოზე, თუნდაც ცხრა მთას იქით, დააბიჯებდა და ისევე უბრალოდ ტკებებოდა მზითა და ჰაერით, როგორც თვითონ, როგორც მისი თანამემამულენი; სწორედ ამ სიყვარულმა ააბაღლა იგი იმ სივრცეებამდე, საიდანაც დედამიწა მშობლიური სახლივით ძვირფასი და მშვენიერი მოჩანს; ამ სიყვარულმა ათქმევინა ის დიადი სიბრძნე, რომელიც ერთნაირად დაამშვენებდა ნებისმიერი რელიგიის დროშას: „ყოველ ერს საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება. ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრძნეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა“... ამავე სიყვარულმა აპოვნინა წარსულის ნისლოვან მხარეებში უთვალავი განძი და ჭრილობა, ამავე სიყვარულმა გაახედა მომავლისკენაც, სადაც ისეთი ზღები და მწვერვალები დალანდა, როგორიც მაშინ მხოლოდ ფიქრსა თუ ოცნებაში წარმოედგანა...

... მის თვალწინ, მწვანე ტოტებში თოფის ლულამ გაიელვა.

„ილია ვარ!“ — დაიძახა და ეტლში აღიმართა.

„ილია ვარ!“ — ეს მთელმა საქართველომ დაიძახა მისი ბაგეებით.

„ილია ვარ!“ — საქართველოს წარსულმა, აწმყომ და მომავალმა დაიძახა მისი გულიდან...

მაგრამ მაინც ესროლეს: წარსულსაც უღალატეს, აწმყოსაც და მომავალსაც... უფრო მწარე ტყვია, ალბათ, არც ახსოვს საქართველოს სივრცეს და მაშინდელი სროლის ექო იყო უფრო დამანგრეველი, ვიდრე ერთად მოვარდნილი ათასი ქარიშხალი... ესროლეს, მაგრამ დაავიწყდათ, რომ ილია ჭავჭავაძე მხოლოდ ათას რვაას ოცდაჩვიდმეტში არ დაბადებულა და არც ათას ცხრაას შვიდში მოხერხდებოდა მისი მოკვლა; მათ იმ დიდი მდინარის შეჩე-

რება სცადეს, რომელმაც გასაკეთებელი უკვე გააკეთა: ძველ სადინარს მივლინებოდა და მიმართულება მიანიჭა, წასალეკი წალეკა, ხოლო მშობლიური წილის შრეებში არსებული განძის დიდი ნაწილი სამზეოზე ამოიტანა და ერი მის-სავე მარადიულობაში კიდევ ერთხელ დაარწმუნა...

კარგ საქმეებს მრავალნი აკეთებენ, ხოლო შეუძლებელს — ერთეულები. ილია ჭავჭავაძემ შეუძლებელი გააკეთა თავისი ქვეყნისათვის და ყველა თაობის გასაგონად განაცხადა ის ბრძნული სიტყვები, მე რომ საკმაოდ დიდი ხნის წინათ, საკლასო ოთახის სიჩუმეში, მოვისმინე: „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა“.

ილია ჭავჭავაძე მარტო წარსულის დღეების სინათლიდან როდი გვესაუბრება. იგი მომავლის მხარეებიდანაც შეგვახსენებს, რომ არ არსებობს არც ადამიანის სიყვარულზე დიდი განძი და არც მოყვასისათვის თავგანწირვაზე დიდი საოცრება.

როსტომ ჩხეიძე

პოპოსევი ეპილოგი

ის ორი სახელი, რომლებიც ილიას სახელის ხსენებისას შეიძლება წამოტივტივდეს მესხიერებაში, თავდაპირველად იქნებ ხელოვნურად დაკავშირებული ან, სულ ცოტა, მეტად თავისუფალი ასოციაციებით გამოწვეული უფრო გვეგონებოდა, რადგან ერთმანეთთან თითქოს განსაკუთრებული არაფერი უნდა ჰქონდეთ საერთო.

მართლაც, რა ისეთი განსაკუთრებული საერთო შეიძლება ჰქონდეს უოლტერ სკოტს, რაღვ უოლდო ემერსონსა და ილია ჭავჭავაძეს, მათი საგანგებოდ ერთად ხსენება რომ არ გვეხამუშოს?

უაღრესად განსხვავდება მათი მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსი.

უაღრესად განსხვავდება მათი მსოფლმხედველობა.

ხოლო რომელიმე ბიოგრაფიული დეტალის მსგავსებას განსაკუთრებული მნიშვნელობა რად უნდა მინიჭებოდა?

თუმცა დეტალიც არის და დეტალიც.

ხომ არსებობს ისეთი ბიოგრაფიული ფაქტები, გამორჩეულ მნიშვნელობას რომ იძენენ არამარტო მწერლის ცხოვრებაში, არამედ მთელი ეროვნული მწერლობის ისტორიაში.

არსებობს და ეროვნული მწერლობის ღირსებას სწორედ ამგვარი ფაქტების სიუხვე ჰქმნის —

ვთქვათ, ერთი ეპიზოდი ილიას ცხოვრებიდან.

სკოტისა და ემერსონის ცხოვრებიდანაც.

ოლონდ ჯერ ეს სცენა გავიხსენოთ, სცენა, რომელიც ბიოგრაფოსთა მონათხრობის წყალობით ასე აღსდგება ჩვენს წარმოსახვაში:

1886 წელი.

ეურნალ „ივერიის“ რედაქცია.

თანამშრომლები შეკრებილან, ვაჟა-ფშაველას პოემის ხელნაწერი დაუ-
ტოვებია, „მოხუცის ნათქვამი“, და ის უნდა წაიკითხონ.

ვაჟა სულ ახალი გამოსულია სალიტერატურო ასპარეზზე.

ჩერ მხოლოდ ფებს იკიდებს, თუმცა ილიამ იმთავითვე იგრძნო ჭაბუკის
ნიჭიერება.

„ნობათში“ დაბეჭდილი „შვლის ნუკრის ნაამბობი“ რომ წაუკითხავს, მის
აღტაცებას საზღვარი არა ჰქონია. კოჭებზედვე ეტყობა, რა ვაიცი უნდა გამო-
ვიდეს მაგ ვაჟასაგან, შორს წავა, შორსო, თურმე ასე გაიძახოდა.

„ივერიის“ ფურცლებზეც გამოუქვეყნა რამდენიმე ლექსი.

ახლა პოემა უნდა გასინჯონ და დასაბეჭდად გამზადონ.

მკითხველის მოვალეობა ყოველთვის კისრად ედო გრიგოლ ყიფშიძეს, რო-
მელსაც ამის გამო შეგობრები რედაქციის მედავითნეს ეძახიან.

გიგას ახლაც თავისებურად, გრძნობით გადაუბუღებულგებია „მოხუცის ნა-
თქვამი“.

— გიგა, აბა, ერთი კიდევ გადაიკითხე, — უთქვამს ილიას.

გიგასაც ხელახლა გადაუკითხავს.

ილია დიდხანს ჩაფიქრებული მჯდარა, როგორც შეუტყვეიათ, წაკითხულმა
იქონია დიდი შთაბეჭდილება. მერე თითქოს ძილიდან გამოერკვო, აღტაცებით
წამოუძახია:

— არა, ჩვენ, ძველებმა ახლა კალამი ძირს უნდა დავსდვათ! გზა ვაჟას
უნდა დავუთმოთ!

ეს სცენა იაკობ მანსვეტაშვილს აქვს გადმოცემული თავის მოგონებებში.
იაკობი ერთ-ერთი იყო რედაქციის თანამშრომელთაგან, რომელიც „მოხუცის
ნათქვამის“ კითხვას უსმენდა და მეხსიერებას ცხოვლად შემოუნახავს იმდღე-
ვანდელი შთაბეჭდილება.

ცოცხლადაც ჰყვება და გარეგნულად თითქოს ძუნწი შტრიხებით თვალწინ
წარმოგვესახება რედაქციის საერთო გარემოცა და ილიას სულიერი განცდაც.
ახალი ტალანტის გამოჩენას ასე რომ აღუტაცებია და სიხარული ამ სიტყვებით
გამოუთქვამს:

— არა, ჩვენ, ძველებმა ახლა კალამი ძირს უნდა დავსდვათ! გზა ვაჟას
უნდა დავუთმოთ.

სიტყვებით, რაც თავისი ღრმა შინაარსით მხოლოდ ერთი — თუნდაც
ასეთი დიდი — პიროვნების სულიერ სიმაღლესა და კეთილშობილებას კი აღარ
გამოხატავს, არამედ გაცილებით ფართო აზრს იძენს და კიდევ ერთხელ ადას-
ტურებს ეროვნული ხასიათის ამოუწურავ სიმდიდრეს.

და თუმცა ამ სიტყვების გარეგნული პათეტიურობა იწვევს ცდუნებას, ჩვენც
ავყევთ და ასევე პათეტიურად შევასხათ ხობა ილიას ამ კერძო საქციელს.
მაგრამ ეს და ამგვარი ცდუნებანი იოლად უნდა გააქარწყლოს იმის შეგნებამ,
რომ ილიას სახელი უკვე თავისთავად გულისხმობს ყველანაირ კეთილშობილე-
ბას; და ჩვენც ისევე უბრალოდ წარმოვიდგინოთ ეს სცენა, როგორი შინაგანი
უბრალობებითაც იტყოდა ილია, გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ.

უფრო მეტი აღიარება რა შეიძლება ყოფილიყო.

ასე შეეგება და ეს შეგებებაა, სკოტისა და ემერსონის სახელებს რომ წა-
მოატივტივებს.

საქ. სსრ კ. მარტსის
სახ. სახ. ნესბუბ.
ბიბლიოთეკა

ასეთივე ალტაცებით შეხვედრიან თავის დროზე დიდების შარავანდედებს შემოსილი სკოტი და ემერსონი ორი ახალბედას გამოჩენას ლიტერატურაში. ამ ახალბედათაგან ერთი ბაირონი გახლდათ.

მეორე — უიტმენი.

ბიოგრაფოსებს არ შემოუნახავთ მათი ცხოვრებიდან ასეთი სცენა, ილიას ცხოვრებიდან რომ შემოგვრჩა, თუმც იმ მთავარს საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ აქ, ინგლისში, სკოტმა მართლა დასდო კალამი, გზა ბაირონს დაუთმო და მეტი ლექსი აღარ დაუწერია; რომანებს კვლავაც წერდა, მაგრამ პოეზიაშიც ხომ არანაკლები სახელი და იმედები ჰქონდა, ვიდრე პროზაში, ახლა კი ბაირონი აღიარა უფრო ნიჭიერ პოეტად, უფრო დიდ მოვლენად და კიდევ გაეცალა ამ ასპარეზს.

უფრო მეტი აღიარება რა შეიძლება იყოს.

ხოლო იქ, ამერიკაში, ემერსონს ალტაცებით აღუპყრია ხელნი უიტმენისა და მისი „ბალახის ფოთლების“ წინაშე, რადგან ამ წიგნში ჰპოვა სრულქმნილად განხორციელებული ის, საითქენაც მიისწრაფოდა თვითონ, როგორც პოეტი, და რაც იდეალად დაესახა.

უიტმენსაც ასევე მისწერა და პირველი პოეტური კრებულიც ასე შეუფასა —

„სიბრძნითა და თვითმყოფადი ნიჭით იგი ყველაფერს აღემატება, რაც კაღღემდე შეუქმნია ამერიკას... თქვენ გააკეთეთ ის, რის გაკეთებასაც ვესწრაფოდით მუდამ...“

უფრო მეტად როგორღა ეღიარებინა.

შეუძლებელია აქვე არ გაგვახსენდეს ბალზაკიც, სტენდალის „პარმის სავანეზე“ გამოქვეყნებული მისი ეტიუდი, რომელშიც დიდად სახელგანთქმულმა რომანისტმა თვითონვე აღნიშნა დამწეები (თუმცა ასაკით მასზე უფროსი) პროზაიკოსის უპირატესობა გარკვეული თემატიკის (კერძოდ, ომის თემატიკის) დამუშავებისას. ეს ფაქტი საფიქრებელს ხდის, რომ ბალზაკის ბუნებისა და სულიერი სიმაღლის კაცი, ალბათ, არც სრული უპირატესობის აღიარებაზე იტყოდა უარს, მაგრამ ვითარებამ ისეთნაირად მოიტანა, რომ საამისო მიზეზი არ მისცემია და, ამდენად, ეს სამი მაგალითი — სკოტის, ემერსონის და ილიასი — გაცილებით უფრო შთამბეჭდავი ჩანს.

ამასთან, ისიც სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია, რომ არც ერთი ამ მწერალთაგან მხოლოდ ალტაცების გამოთქმით არ დაკმაყოფილებულა, შემწედ ამოუდგნენ მხარში ლიტერატურულ ასპარეზზე ახლადგამოსულთ და ცოტა წვლილი არ მიუძღვით თავის დროზე მათი სახელის დამკვიდრებისათვისაც.

თუ შემთხვევა მიეცემოდათ, იმასაც ცდილობდნენ, რომ ახალგაზრდა მწერლები მათი ბუნებისათვის შეუფერებელი გარემოსთვის აერიდებინათ.

ვთქვათ, ილიამ ვაჟას გერმანიაში სასწავლებლად წასვლა რომ გადააფიქრებინა გარკვეული მოსაზრების გამო.

ანდა ეჭვით რომ უყურებდა ვაჟას სურვილს, „ივერიის“ რედაქციაში დაეწყო მუშაობა, და თუმცა მისი თანამშრომლები ძლიერ იყვნენ მოწადინებულნი და არც თვითონ უთქვამს უარი, ეჭვი მაინც არ სცილდებოდა, ცოლო არ იქნება მაგისი ნიჭი გაზეთის მუშაობაში ჩაეკლათო?

ვაჟამ მართლაც სამ ღღეზე მეტი ვერ გაძლო რედაქციაში და თავი მიანება, ამიტომ რედაქციის (და ცხადია, პირველ რიგში, თვითონ ილიას) გადა-

წყვეტილებით ვაქას ყოველთვის დაუნიშნეს ხუთი თუმანი, ოღონდ იმ პირობით, რომ იმას თვეში რაიმე ნაწარმოები უსათუოდ მიეწოდებინა.

არაერთხელ დაუმოწმებიათ ილიას ის სიტყვებიც, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას რომ მისწერა, როცა ვაქას მიერ თარგმნილი შილერის „ორღენელი ქალწული“ გადასცეს წასაკითხად და აზრის გამოსათქმელად, მას კი ეს თარგმანი ვაქას ნიჭის შესაფერისად ვერ უცვნია.

„თარგმანი „ორღენელი ქალწულისა“ მე არ მომეწონაო, — ასე პირუთვნელად გამოთქვამს თავის აზრს, მაგრამ იქვე იმასაც მოადევნებს, — უმორჩილესად ვთხოვ გამგეობას, მარტო ჩემს აზრს არ დასჯერდეს და სხვასაც ვისმე გაასინჯოს თარგმანი. ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმდენად პატივსაცემი მწერალია, რომ მისის ნაწარმოების დასაფასებლად საკმაო არ არის მარტო ერთი კაცის აზრი და შთაბეჭდილება“.

აქაც ვაქას ავტორიტეტზე ზრუნავს, როგორც ყოველთვის.

სხვათა შორის, როგორც იპოლიტე ვართავაგა იგონებს, საზოგადოების გარკვეული ნაწილი იმასაც კი ამბობდა, „ივერიამ“ (ანუ ილიამ) ისეთი წარმოდგენა შეუქმნა ვაქას საკუთარ თავსა და ღვაწლზე, რომ არავითარ შენიშვნას ახლოსაც არ გაიკარებსო. აქ ახლა ნაკლებმნიშვნელოვანია, მართლა ასეთი წარმოდგენა ჰქონდა შექმნილი ვაქას თუ არა; ეს უთუოდ გაღიზიანებული ნათქვამი გვაწვდის იმ ცნობას, რომ საზოგადოებისათვის იმთავითვე სრულიად აშკარა იყო „ივერიის“ გულმოდგინება ვაქასთვის ყოველნაირი მხარდაჭერისა და შემწეობის აღმოსაჩენად და ვაჟაც, მძიმე ნაღველი რომ შემოაწვებოდა ათასგვარი უსამართლობისა და მისი დამცირების მოსურნეთა მხილველს; გულს იმით იმხნევებდა, ილიას მოსწონს, ჩემი ნაწერები ილიას მოსწონსო.

ნაღველსაც ეს უქარვებდა, იმედიოც ეს აღავსებდა.

უიტმენიც ემერსონის ბარათმა აღავსო იმედიოთა და მხნეობით, იმან გადაატანინა იოლად კრიტიკის თავდასხმები და მომდევნო წელსვე „ბალახის ფოთლების“ საკმაოდ შევსებული ახალი კრებული გამოსცა.

ემერსონი და მისი წრე კვლავაც განაგრძობდა უიტმენის სახელის პოპულარიზაციას, მის პოეზიას დიდ აღმოსავლურ პოემებსაც კი ადარებდნენ და ეს შედარება გაზვიადებული სრულებითაც არ მიაჩნდათ, თუ „ბალახის ფოთლების“ თავისებურებანი და სილიადე სწორად აიხსნებოდა.

სწორად ახსნისათვის კი ემერსონი მაშინდელ კრიტიკულ აზრს დაუპირისპირდა, რათა უიტმენს, რაც შეიძლება, ნაკლებად შეშლოდა ხელი თავისი მისიის აღსრულების გზაზე.

მანამდე, რამდენიმე ათეული წლის წინათ, სკოტიც დაუპირისპირდა კრიტიკულ აზრს, ამ შემთხვევაშიც შეეცადა სამართლიანობის დაცვას და 1822 წლის 12 იანვრის რიცხვით დათარიღებულ წერილში ბაირონი მადლიერების გრძნობით იხსენებს ამ ფაქტს, „მე უფრო მეტი ვალი მაწევს თქვენს წინაშე, ვიდრე ჩვეულებრივი მოვალეობანია ლიტერატორთა შორის ან თავაზიანობა თუ უბრალო მეგობრობა; თქვენ ხომ გზა გაიმრუდეთ, რათა 1817 წელს მხარში ამომდგომოდით“.

ეს სიტყვები უკვე თავისთავად მეტყველებს გამწვავებულ ვითარებაზეც და ასეთ ვითარებაში სკოტის მხარდაჭერის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზეც, მაგრამ ბაირონი თავს ვერ იკავებს, რომ კიდევ და კიდევ უთხრას, კიდევ და კიდევ მიაგოს მადლიერება.

„ასეთ საქციელს მარტო კეთილმოსურნეობა კი არა, გამბედაობაც სჭირ-



დებო, — ასე განაგრძობს, — თქვენეული ასეთი მოხსენიება ყოველთვის მათო იქნებოდა, მაგრამ ისეთ დროს, როცა, ანდაზისა არ იყო, „მთელი მსოფლიო და ცოლიც“ ცდილობდა გავეთელე, გაცილებით მეტს ნიშნავდა ჩემთვის — რაც ჩემზე ეწერა „ქვორთერლი რევიუში“, „ჩაილდ ჰაროლდის“ მესამე სიმღერის გამო; მიუთრეისაგან შევიტყვე, თქვენი დაწერილი ყოფილა და, მართლაც, ეს მის შეუტყობინებლადაც უნდა მცოდნოდა, რადგან შეუძლებელია ქვეყნად ორი ისეთი ადამიანი არსებობდეს, რომელიც ახლა შეძლებდა და მოინდომებდა ამასო“.

ბაირონი იმასაც შენიშნავს, სიავის წილ სიკეთე მომაგეთ, მართლაც რომ სახარების მსგავსად და გარწმუნებთ, გულის სიღრმემდე შემძარითო, და „სიავეში“ გულისხმობს თავის სიჭაბუკისდროინდელ თავდასხმას სკოტზე (სატირულ პოემაში „ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველები“), აშკარად მიტევენას თხოულობს, იმ ოდინდელი ცდომილების გამოსწორებას ცდილობს და სკოტის შემოქმედებას ახლა ასეთნაირად აფასებს, „ვისი უნდა გშურდეთ?“ — ცხადია, ცოცხლისა — არავისი, და (ყველაფერი რომ გავითვალისწინოთ) მკვდრისა ვილასი უნდა გშურდეთ?“

ღირსეულ საქციელს ღირსეულადვე მიაგო ბაირონმა.

მოგვიანებით, რამდენიმე ათეული წლის მერე, ემერსონი უიტმენს რომ მისწერს, „ბალახის ფოთლები“ ყველაფერს აღემატება, რაც აქამდე შეუქმნია ამერიკას და თქვენ ის გააკეთეთ, რასაც მუდამ ვესწრაფოდითო, უიტმენი, თავის მხრივ, მეორე კრებულისათვის წამძღვარებული წინასიტყვაობის ფინალში საქვეყნოდ განუცხადებს, „ყველას გასაგონად ვიტყვი, რომ თქვენდენი არც არავის გაუკეთებია ამერიკისათვის და ვერც ოდესმე გააკეთებსო“.

იმასაც ეტყვის — მე თქვენ მომიყვანეთო.

იმასაც — გულწრფელად ვამბობ, რომ თქვენამდე არაფერი ვიცოდით, თუ რამ შევიტყვეთ, თქვენგან შევიტყვეთო.

იმასაც — ჩვენ მტკიცედ გავყვებით თქვენს გზასო.

ამ სიტყვებში არაფერია მოულოდნელი, უიტმენის პოეზიის იდეური საფუძველი ემერსონის ფოლოსოფიურ მოძღვრებაში ძეგს, აქედან ამოიზარდა მისი მხატვრული სამყარო, მისი ესთეტიკური მრწამსი. როგორც ბიოგრაფოსები მიუთითებენ, ემერსონის წაკითხვამ აპოკინინა უიტმენს საკუთარი თავი და მანამდე ხელმოცარული ლიტერატორი დიდ პოეტად აქცია.

აქ კი არაფერია მოულოდნელი, მაგრამ, ცოტა არ იყო, მოულოდნელი ის იყო, უიტმენმა შემდგომში სრულიად რომ უარყო, ემერსონს რაიმე გავლენა თუ მოეხდინა მასზე, უარყო ზემოხსენებული წინასიტყვაობის პათეტიკური დასასრულიც და ამტკიცებდა, ის ჩემი მოძღვარი არასოდეს ყოფილა და არც მე ვყოფილვარ არასოდეს მისი მოწაფეო. როგორც ჩანს, აღარც მისი პიროვნული კეთილშობილების გახსენება სურდა.

მას უკვე თვითონ გაეჩინა მოწაფეები, ისინი საიდან აღარ ჩამოდიოდნენ მასთან, თავს დასტრიალებდნენ და იწერდნენ ყოველ სიტყვას, რასაც წარმოთქვამდა, იწერდნენ, როგორც წინასწარმეტყველის სიტყვებს და უიტმენმაც ირწმუნა თავისი განსაკუთრებულობა. განდიდების წყურვილმა შეიპყრო და ამ წყურვილმა ათქმევინა უარი ემერსონზე. მაგრამ უიტმენის ბუნებისა და პიროვნული ღირსებების კაცი შეუძლებელია წარმატებულად განცდათა ტყვეობაში დარჩენილიყო, შეუძლებელია ილუზიებს გაპყროლოდა და ბოლოს მიინც არ ეთქვა მისებური სიმტკიცით ის, რაც სიმართლე იყო.

შეუძლებელია მის მონოლითურ ხასიათს რაიმე ბზარი დაჩნეოდა მომ-

დევნო თაობების თვალში და ემერსონის სამარესთან წარმოქმნილი სიტყვით საბოლოოდ დააღწია თავი წარმავალ ვნებებს.

ამ სიტყვაში კვლავ ის კაცი წარმოსდგება, თუ რამ შევიტყვეთ, თქვენგან შევიტყვეთო, ემერსონს რომ მიმართავდა, და თქვენს გზას მტკიცედ გავყვებითო, აღთქმას რომ დებდა მის წინაშე.

ვაჟას ასეთი აღქმა საქვეყნოდ არასოდეს დაუღია ილიას წინაშე, მაგრამ მისი მოღვაწეობა — მხატვრულ-ესთეტიკური კონცეფციის განსხვავების მიუხედავად — ამგვარი აღთქმის ხორცშესხმის ნიმუში გახლავთ.

ყოველთვის მტკიცედ იდგა ამ გზაზე.

და ამ გზას ბოლომდე მტკიცედ გაჰყვა.

მითუმეტეს, რომ ვალი მეტი დაჰკისრებოდა, აქ ეროვნული ტკივილიც ემატებოდა.

როცა ილიას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ცილისწამება ცილისწამებაზე დაატეხეს თავს, იპოლიტე ვართავავას ცნობით, რამდენიმე კაცთან ერთად ვაჟასაც მოუხდომებია პოლემიკაში ჩარევა. მაგრამ ილიას არ დაუნებებია, მე თვითონ გავუხსწორდებიო.

ვაჟა წინ ვერ აღუდგებოდა ილიას სურვილს, მხოლოდ ამიტომ გამოეცალა პოლემიკას.

განზე არ გამდგარა.

არც ილია მიუტოვებია.

სხვაგვარი შთაბეჭდილება დაგვრჩებოდა პოლემიკის მასალების გადათვლიერებისას ვაჟას სახელს რომ ვერსად წავაწყდებოდით.

ეს უაღრესად საგულისხმო ცნობა კი სულ სხვაგვარ შთაბეჭდილებას გვიქმნის.

ცხადია, ვაჟა მაშინაც იმ თავგანწირვით ჩაებმებოდა ბრძოლაში, როგორც ილიას მკვლელობის მერე შეეება მის აჩრდილზე წასეულ ყვაყვორნებს, მაშინაც არავეითარ ცილისწამებას არ შეუშინდებოდა, როგორც მერე არ შეუშინდა, ვთქვათ, ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოში მონაწილეობისათვის გაზეთმა „საქმემ“ ღვარძლი რომ დააფრქვია თავზე, ნაციონალისტებმა ილიას ხსოვნა, სახელი ექსპლოატაციის საგნად გაიხადეს, მოზარედ დაუდგნენ და ხალხს აბრიყვებენო.

ჩვენ ჩვენსაც გავნაგრძობთ, ილიას სახელმა რომ განამტკიცოს ჩვენი ეროვნული გრძნობაო, მთლიანად ამ თვალსაზრისზეა აგებული ვაჟას საპასუხო წერილი და განუხრელადაც მისდევდა ამ თვალსაზრისს. მაგრამ მწვავე და ტკივილიანი ვითარების გახსენებამ სახიფათოა მსჯელობის გეზს არ გადაგვაცდინოს. ეს მაინც უკვე სხვა თემაა, აქ კი მხოლოდ ის უნდა ითქვას, რომ სკოტსაც, ემერსონსაც და ილიასაც ღირსეული საქციელი ღირსეულადვე მიეგოთ, ცოდვა იქნებოდა, კეთილშობილების წილ უღირსობას რომ წაწყდომოდნენ, ცოდვა იქნებოდა, რადგან ასე უჩვეულოა მათი საქციელი და ამ უჩვეულობის გამოა, რომ ყველა ერის ლიტერატურის ისტორიას როდი ამშვენებს.



გასტანგ ხარჩილაგა

ილია ჭავჭავაძის მონოლოგი

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?“

ილია

წიწამურთან ჯილდოდ ტყვია დამხვდება
ერთგულების, სიყვარულის სანაცვლოდ.
საქართველოს ხატებო და საყდრებო,
კვლავ ეშმაკმა დაგასწროთ.
კვლავ დავმარცხდით,
კვლავ ავსულმა გვაჯობა,
მოგვინგრია საძირკველი გალავნის.
შეიძლება გაპატიონ ლაჩრობა,
გმირობას კი არ შეგინდობს არავინ.
ისევ ისმის გმირთა სისხლის ლალადი,
რომ მიჰყვება გვერდით ჟამთა დინებებს.
შეიძლება გაპატიონ ლალატი,
ერთგულებას კი არ გაპატიებენ.
დრო შეჩერდა და ერთ გმინვად შენივთდა,
ფრთა დაკეცა ქარ-წვიმამ და არწივმა.
შეიძლება სიძულვილი შეგინდონ,
სიყვარულს კი განანებენ ასწილად.
ნუ დამტოვებ ლამეების ამარა,
ნუ მიდიხარ, დღეო, ნუ დაბინდდები.
სიცოცხლეში გაგიოხრიან სამარეს,
სიკვდილს მერე შეგამკობენ დიდებით.
ჩვენისთანა ბედნიერი სად არი
ერი,
კიდევ სადმე თუ იპოვება?
ხან ჯიუტი, ხან მორჩილი სადავის,
თვალაკრული რომ მიჰყვება ცხოვრებას.
ჩვენი მიწა, ჩვენი ცა და ტყე-ველი
მშველელს უხმობს, ტბა და წყარო ხმეირი.
ერთნი ყრუნი, ცრუნი, ფარისევლები,
მეორენი — გულადნი და ძლიერნი.

მაინც გავძლებთ, ვიყავით და ვიქნებით,
წამოვდგებით სამართით თუ სამარხით.
ერთნი ყალბნი, ლაჩარნი და მლიქვნელნი,
მეორენი — უშიშონი, ამაყნი.
ო, ეს ხიდი ცოდვა-მადლის ხიდია,
მტერს და დუშმანს აქ, ამ ხიდზე ვეომეთ.
ერთს მამული თუ ფეხებზე ჰკიდია
მამულისთვის თავს ხომ წირავს მეორე?
განთიადი არ დადგება თავისით
გული თუ არ შეაშველე განთიადს.
ერთნი მამულს თუ ჰყიდიან ხალისით
მეორე ხომ სანთელივით ანთია.
ის მეორე, ის მეორე რომ არა
ვერც შევძლებდით მშობლის გამოსარჩლებას.
მოვა ყამი,
ორგულსა და მცონარას
ქარი წაზეტს.
საქართველო დარჩება!

ბელა შალვაშვილი

როგორ გვიმართლა!

როგორ გვიმართლა ბედმა და ხვედრმა,
როგორ გაბრწყინდა ქართული გენი,
რომ ერთი არის ილია ქვეყნად
და ისიც ჩვენ ვშვით და არის ჩვენი.
მაგრამ ის მარტო როდია ჩვენი,
ის ყველასია, ის იტევს ყოველს,
რადგან მიზეზი კმუნვის და ლხენის
ვიგრძენით მისით და მისით ვპოვეთ.
ის თვისის ქვეყნის ღვიძლი შვილია
და ყველას შვილიც ამიტომ არის...
დღეს უკვე ვიცით, ვხედავთ, ილიამ
მახვილად როგორ აქცია ქნარი.
და ახლა მჯერა, როგორც არასდროს,
მიზეზიც სწორედ ამწუთას ვიცან...
იცოცხლებს ერი აწ და მარადის,
ვინაც ქვეყანას ილია მისცა.
სახელი მისი — მარადყამისი,
გაუხუნარი და... სამარადო...
ძალზე მცირე ვარ მე საიმისოდ,
რომ ილიაზე ვილაპარაკო;
ერთი კი ვიცი და ვგონებ, ვინმეც
არ ეტეობს, რომ ამ ცასა და მიწას...
არ უწერია სიკვდილი იმ ერს,
ვინაც ქვეყანას ილია მისცა!



ღაღლი თოთაძე

აღტაცებულმა ამ მზით და სიტყვით
და გადმოღვრილმა უფრო დიდ მზიდან,
დამალა ჩემმა მაცდურმა სისხლმა,
წინასწარ მიგრძნო და მიმოზიდა.
მაგრამ დაძლია ჩვეულმა სევდამ,
და, რადგან ველარ ვხიბლავ და ვალხენ,
მოვწყინდი უკვე, იჩქარის ჩემგან,
ტრფიალებს უცნობ ლანდსა და სახელს.
მე კი არ მინდა, სხვებივით გაჰქრე,
არ მსურს სიკვდილი, ძვლები დავმალე,
სამხრეთის გზაზე, ნაღვლიან აქლემს

ავციდე ჩემი თბილი სამარე.
განა რა არის ქვეყნად ნამდვილი,
რაც დგას, რაც ლელავს, ბორგავს და
დადის,
წავა სიზმარიც, ზეცას გადივლის,
ჩემს სიცოცხლეზე დიდი და ცხადი.
გაქრება ნისლი, წვიმა და კვალი.
ძირს რომ დატოვეს ზეცის მხედრებმა
და სიტყვაც, შემტყნარ ბაგესთან
მდგარი,
სისხლია, გარეთ რომ იხედება.

ფარდობზე ელავს

ეხვევა შუქი განაბულ სურვილს,
აელვარებს კუნელს და ძახელს,
ფერად-ფერადი სიტყვების სუნი
ქარს მოაქვს ტყიდან და თავბრუს
მახვევს.
წარსულს და აწყყოს უკუნს მიაფენს,
გაიხლართება ჩემს ჩრდილში შვებით
და ძოწისფერი კენკრის კიაფზე
შეკრთება სისხლი და გაშმაგდება.
მაგრამ ხმა მოვა წარმტაც ოსანის,
წაგვიყვანს მაღლა მსუბუქი კვამლი,

როგორც ბრმა მიჰყავთ შორ
სალოცავში
ფეხებშეკრული წითელი მამლით.
შემატორტმანებს სურნელი ნაზი
ერთგულებას და ტრფობას ნაჩვევი,
მამულის მკაცრ და ხორცილიან გზაზე
უსიყვარულოდ მაინც არ ვრჩები.
თავისუფლდება სამსხვერპლო ნიშთან
სისხლი მკაცრი და სისხლი გულჩვილი
და ჩვეულებრივ საღამოს ბინდში
ფერდობზე ელავს მოსეს ბუჩქივით.

ერთ ვარსკვლავზე

გავიდა მარტი. ალბათ, დამშვიდდი,
მომეჩვენე და შორეთში წახველ.
ხან დილა მახსოვს, ხან კიდევ ბინდი,
ხან უნახავი ცრემლი და სახე.
მე, რას გავიგებ, რა მსურს, რა მინდა,
რა ემართება ამ მიწას მცივანს,
როცა ეიღვრები ჩემი თავიდან

და ჩემს სულს ჩემი სხეული ცვივა.
გული აედერებს მდუმარ საკრავებს,
ვერ მტოვებს ჭუმალ, ვერ მტოვებს
მშვიდად
და დაბადებულს მრავალ ვარსკვლავზე.
მრავალ ვარსკვლავზე სიკვდილიც
მინდა.

როცა შემაერთობს უამი ავსული,
ბედს შევუძახებ, ფლიდსა და გამცემს,
მამშვიდებს შენი უცხო წარსული,
შენი თამამი მზერა მამაკაცებს.
მინდა, დავმალო შენი ცრემლები
და შენი სევდით ვეჩვენო გამჩენს,

როგორც სიზმარში სიზმრის ჩვეულებას
მე შენს ღიმილში სხვა ღიმილს ვაჩვენებ
ვამჩნევ დამეში პატარა ცისკარა,
სისხლისფერ ხარებს დაღწეულ რქებით.
უამრავ ვარსკვლავს ვეტრფი და
და ერთ ვარსკვლავზე უმწეოდ ვტრები.

მაბრძანებებს

ვარ ნამეხარი ავდარის მერე,
მზეში ვბოლავ და მართობს ცისკარი,
სახეშეშლილი საოცარ ფერით
თავს ვიმკაცრებ და არვის ვიკარებ.
ცა გადახაზა კაშკაშა ხელმა,
ცა ძველებურად იმედებს იტევს,
რა პატარაა მაცდური ელვა,
ნისკარტით მოაქვთ ნამცეცა ჩიტებს.
როგორც უმწარეს წუთების ელდა,
როგორც ნაყოფი შემოსულ კენკრის,
მეხება ჩემი კაშკაშა ბელი,

მე თვალებს ვხუტავ და სუნთქვა
მეცერის.

გამიქრა უკვე ოცნების კვალი,
წალეკა წვიმამ, მიწაში სახლობს.
შორიდან გჩანვარ ელვარე კვარი,
დაღრეჯილი ვარ პირქუშად ახლოს.
შორსაა მინც ნაყოფი მწარე,
ჩიტებს რომ მოაქვთ ფარული ელდით
და, რომ მაცდუნოს ნამცეცა წამით,
მაბრძანებებს ჩემი კაშკაშა ბელი.

გამეზღობ

წვიმაა იქვე, ცოდვილთა მფარველს
ართობს და ხიბლავს ღრუბლების ხმები.
ვინ მოვა ახლა, სულეთის კარებს
ვინ შემოადებს საკუთარ ნებით.
ვინ მოვა რიდით თვალბდახრილი,
ვინ დაუდგება სურვილებს მწედა,
ვის ხელში ელავს ჩემი მახვილი
და ჩემი ცრემლი ვის თვალში წვეთავს.
მოსასხამების ამაყ ფრიალში,
იმ ბოლო ღამით, ან ბოლო დღით,

ნუ მოხვალთ ჩემთან, როგორც
თეატრში,
ვარდებით, ტაშით და მოლოდინით.
მწველია ზეცა, როგორც ალერსი,
მაგრამ ვარდები ტანჯვა მარჯვენა,
საქეტაქლის შემდეგ მტვრიან სკამებზე
ვეძებდი თქვენი ტრფობის ნარჩენებს.
მქონდა იმედი, მიყვარდით რაკი,
მტანჯა ნუგეშმა და მინც ვენდე
და პაწაწინა, გრძნეული სარკით
ვეძებდით ჩემი სიკვდილის შემდეგ.

დგანან უფსკრულთან ხარი და ფური
დაღლილი მრავალ ომით, თარეშით,
მზე თვალებიდან ამოდის თურმე,
დაიღლებს და ჩადის თვალბდახრილი.
უფსკრულის თავზე უწვირლეს სიმთა,
აქედრებს ადრე მოსული ბინდი,
შერიგებული საკუთარ ჩრდილთან
მზე კვდება, როგორც ხოგაის მინდი.

ზეცის კარებთან სინათლედ გაშლის
უკვე დაკარგულ იმედს და წადილს,
აწითლებს ღრუბლებს და გლოვის ხმაში
ღია თვალბდახრილი ქუხილით ჩადის.
ხოლო უფსკრულთან ხარი და ფური
თვალბდახრილ ხუტავენ, ტანჯვის ვარეშე,
მზე თვალებიდან ამოდის თურმე
და სიკვდილის წამს ჩადის თვალბდახრილი.

მზის დასასრული

მოვდივარ შენსკენ, — დადლილი
 კრავი...
 ჰა, როგორც იქნა, დიდი ხნის
 შემდეგ —
 გამოვალწიე... ვდგავარ და ვბღავი,
 გვედრი: შენდობა შემომამშველე...
 მზედაკარგული სიცოცხლე ჩემი —

ფესვებისა და ბგერის ლოდინში
 ირწვევა, კვნესის — დაკარგა ხემი
 და სამი ადლი მიწაც ოდისის...
 საწუთრო? — ტანჯვა გაუფასურდა,
 სიკეთის თესლიც უამს არ სჭირდება...
 შორს ბღავის კრავი, ასე რომ სურდა
 ბლუჯა ბალახი ზეცის კიდესთან...

მოაზროვნე ლერწამი,
 უფლის თიხით შექმნილო!...
 სანამ უნდა ეწამო —
 ცაში ფეხმოკვეთილო?!.
 თუნდაც ზრქენმა დაგხატოს, —
 ზვარაკს — როგორ გიშველოს?...

იმოსები? — რაღა დროს? —
 გაჩენიდან შიშველო!..
 აჰა, ქარში ირწვევი —
 ცოდვილი და დადლილი —
 წმინდანის ძმა — ლერწამი —
 მსხემი და თავდახრილი...

კოეზიის საღამო

უამი? — „ცნობილი“ მორიელი მიფრინავს ცაში,
 „მწირი“ არწივი მილოდავს ველზე...
 მეტამორფოზას დაუკართ „მქუხარე ტაში“...
 მე? — ველარ შევძლებ...
 ხელებზე მადევს პოეზიის ბორკილები და
 თვალეებზე — იისფერი ნისლია...
 სული უდრეკი — მარადისი მორკინალია,
 თუმც გვირილებზე გულის სისხლია...
 რისთვის გჭირდებათ სიბინძურის მოვარაყება?...
 საით წაიღოს პოეტმა ღალა?!.
 უფალო ჩემო, უპოვრობა მეამაყება,
 როცა ქვეყანას ახურავ ჩალას...
 და მაინც ვდღემვარ... შორს ციმციმებს სტრიქონი ჩემი...
 ახლოს? — თვალეები ჩარაზულია...
 მიფორთხავს გვამი მარტოსულის — მარადი მსხემი,
 შუბლზე — ცისფერი აღსასრულია...

პარდასული ჯაფხულის პაკანაქების კოეზია

წამგვარა სული, წარილო ხორცი
 და უსახელო სევდა დატოვა...
 მუნჯი ვარ უკვე... საფლავს კოცნიან
 გვირილის სუნთქვა და სიმარტოვე...
 იქით, მიმწუხრის დასალიერზე
 კვითინებს მზერის ნახევარსფერო...

ჩემი მოცარტი და სალიერი
 მუსაიფობენ აკლდამის ქვემოთ:
 — რა სიგრილეა! რა მყუდროება!
 რა მსუბუქია სამარის ჩრდილი, —
 როცა წარსულში ელავს დროება,
 ვით აკრძალული სამოთხის ხილი...

პოეტის აღსასრული

აწ შებრუნდება კედლისკენ
 მშვიდად, —
 მარილზე წასვლას დაელოდება...
 უცებ: სტრიქონი — თოვლივით წმინდა
 და, საოცრება განმეორდება...
 უტყვი კედელი... ფერმკრთალი ხელი
 ღვთის სიტყვას დაწერს და
 გაშეშდება...
 იოსაფიტის ყვითელი ველი
 გადააშავებს შურის მხედრებმა...
 მიდის... მიარღვევს სივრცეს შრიალით,
 მწუხრში თრთის ნათლის სხივი —
 დახრილი
 და ზანზალაკის კვნესა-წყრიალით
 წყვილიაში მიქრის უამის მარხილი...

ზუგდიდი, ქუთაისის ქუჩა, № 62

ცხაურებიან, მუქ ოთახში გულამა ვწევარ,
 ვით პატიმარი...
 უამით გარდაცვლილ პოეტების მწუხარე მზე ვარ
 თუ სატიკივარი
 მომავალ დღეთა უფსკრულებთან შემართულ ჯიშის? —
 თავის... უფალი!..
 უამ-უამად მანჯღრევს სამეგრელო ბორგნულ ძილშიც,
 როგორც უფალი...

მუსიკალური წრა

დაიბადება მუსიკა სულში
 და ბედისწერის ხაფანგში წვალობ,
 ავი წამები ისევ, ვით გუშინ,
 ჩაგჭურჩულებენ უამურს — ამოდ:
 წამოდი! — ზღურბლთან აღსასრულია!..
 წამოდი! — ხილვის უამი მთავრდება!..
 მარადი მხოლოდ სხივი — სულია,
 ნათელი მწუხრში დაიბადება...

მეგვიდრობა, რომლისთვისაც არ დაჰპირდებათ ნობარისი...

გიორგის და ნინოს

...ვით სისხლიან ფრთას, გიტოვებთ ამ
 ლექსს,
 და ნუ იკითხავთ, — ნულარასოდეს:
 — რა აწვალვდა, რად წუხდა ასე,
 რად გაურბოდა ორპირთა ორდენს?!
 მხოლოდ სინდისმა იცის სიმართლე,
 სტრიქონმა უწყის მამის ქონება,
 რომ იყო ჯვარცმა... ხოლო სიმაღლე —
 ცრემლი, ნიშანი და შთაგონება...

პანორამა

სახლების კრილში შავი ზღვა მოჩანს,
 სახლების ნისლში სუნთქავს შავი
 ზღვა...
 სახლების ფონზე ფოთლად... და,
 მორჩა!..
 სახლების ქვებთან ერთი შავი ქვაც...
 პა, მოვშორდები წყეულ აივანს,
 მაინც ძველი გზით ივლის ცხოვრება
 და იწრიალებს დასაბამიდან
 ჩემი ერთგული განმარტოება...
 იქით, ყრუ კედლის მიღმა ხმაურობს
 დღე დაბადების... აქ — აღშფოთების
 სევდა ანათებს, როგორც ამური —
 ლარნაკზე — ღიმილთ და სანთოებით...



...და არ იყო ჩვენს შორის ბშირი

რომანი

მეშვიდე დღე იწურებოდა, უფარა-ჯო ჯარისკაცი და არქეოლოგიის დოქტორი, წინამორბედთა მსგავსად, უგზო-უკვლოდ იყვნენ გამქრალნი, არადა, შინაგანი რწმენითა თუ ინტუიციით ხანინს ყველაზე მეტად მათი იმედი ჰქონდა. მიწისქვეშეთში ტიფი და სურავანდი მძვინვარებდა, ჰოსპიტალში მტკაველის დადება ადგილიც არსად მოიძებნებოდა, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა კატაკომბების მიტოვებას და დანებებას არც ფიქრობდა, იქნებ იმის გამოც, ადრე ტყვედ ჩავარდნილთა ზვედრი რომ ყველასათვის ცნობილი გამხდარიყო, ხოლო მებრძოლებს ვერც თავად ხანინი მისცემდა კატაკომბების დატოვების უფლებას, რადგან თავიანთი დიდი მისია ბოლომდის უნდა შეესრულებინათ.

დღითი დღე, თვალშისაცემად კლებულობდა გარნიზონის შემადგენლობა, ყოვლისმჭვრეტმა ხანინმა ისიც უწყობდა, რომ მეომრები უკვე აღარ ერიდებოდნენ სიკვდილს და ყველაზე უფრო ეს აღონებდა, რადგან დარწმუნებით იცოდა, ადამიანის სიცოცხლე ყოველივეზე ძვირადღირებული საუნჯე იყო ამქვეყნად და მას დიდზე დიდი გაფრთხილება ესაჭიროებოდა.

მესამე ბატალიონის მეტყვიამფრქვევებმ სლაეინმა, რომელიც ოდესღაც მფრინავ-შტურმანობაზე ოცნებობდა და ბედის უკუღმართობით, არათუ ცაში, მიწაზეც აღარ ედგომებოდა, მესხი-

ერებაში აღიდგინა სასწავლებელში ოდესღაც თვალმოკრული სქემა, თითქმის არაფრისგან ააწყო ხელით სატრიალებელი დაზგა და რაციას ისე მოარგო რომ რადისტ ბეგლოვსკის ფონტის ამბების მოსმენის საშუალება მიეცა; ასე გახდა მათთვის საცნაური მრავალი მნიშვნელოვანი ამბავი. სტალინგრადთან მსოფლიო ისტორიაში გაუგონარი სიმძაფრის ბრძოლები მიმდინარეობდა, კავკასიონის კალთებზე მიჯაჭვული ამირანის ჩასანთქმელად ფაშიზმის უძლეველი კოლოსი მიბობდავდა. ხოლო სევასტოპოლს და ტამანის ნახევარკუნძულს ზვიგენივით მისდგომოდა გერმანიის ფლოტი, დაჭრილი დელფინივით ნაჭერ-ნაჭერ ფლეთდა და ყლაპავდა. ასეთი ინფორმაციების მიღებისას, გარნიზონის უფროსი კიდევ მეტად ილუშებოდა და გრანიტის ფერი ეღებოდა, მაგრამ მისი ფოლადის მაგვარი სიმტკიცე და რწმენა ოდნავადაც არ სუსტდებოდა, თავადაც მყარად სჯეროდა და სხვებსაც უნერგავდა იმ აზრს, რომ ქვეყნად ორი უდიდესი ძალა დედის — სული და მახვილი, და რომ სული გაცილებით ძლიერია, ვიდრე მახვილი.

ნაპოლეონის ამ ცნობილ გამონათქვამს იგი საკუთარი მაგალითით ცხადყოფდა, უსმელ-უქმელი და უძინარი ერთ ადგილზე მყარად იჯდა, ყოველგვარ ადამიანურ მოთხოვნილებაზე უარს ამბობდა და თითქმის უიმედო ბრძოლას კვლავინდებურად ხელმძღვანელობდა.

ბერლინიდან გენერალ-პოლკოვნიკ

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 6, 7, 8, 9.



ენნეკს უკანასკნელი სიტყვებით თათხავდნენ და საღორეში ჩამწყვდევის პირობებდნენ; თავხედი პარტიზანების სასწრაფო განადგურებას და გავაგასტლებული ნაწილების კავკასიის მიმართულებით გადაყვანას ბრძანებდნენ; საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალიც; თავის მხრივ, შტურმბანდიერერ გენერალის და მის ხელქვეითებს უარესად ბინძურ სადგომებში დაბინავებას უქადა და ამიტომაც მოხდა, ესესელეებმა და მათმა დამხმარე ნაწილებმა ერთობლივი ძალით რამდენჯერმე რომ სცადეს კატაკომბებში იერიშით შეჭრა. მაგრამ ისეთი მარცხი იწვინეს და იმდენი უაზრო მსხვერპლი გაიღეს, რომ ამდგვარ უგუნურ თავგანწირვებზე სამუდამოდ უარის თქმა მოუხდათ.

გაბორტებული საღიზმის ფანტაზიას ზღვარი არ უღევს; მისივე გამონათქვამია — ომში გამარჯვების მისაღწევად ყოველგვარი ქმედება გამართლებულიაო. ესესელ შტურმფიურერ გუზემანსაც, უდავოდ, ბორფტების ამ ლოზუნგმა მოაფიქრებინა ბომბებით გარდევული ჭერიდან გვირაბებში მოწამლული სურსათისა და ტკბილეულის ჩაყრა, და მისი მსხვერპლნი ის მცირეწლოვანი აღმოჩნდნენ, რომელთაც ჯერაც არ უწყოდნენ, გამოუვალ გაჭირვებაში მყოფსაც კი მტერი საკვებით რომ არასოდეს მოგამარაგებს.

ანისკამ ბედზე მიუსწრო თავის უმცროს დაიკოს, სწორედ მაშინ, როდესაც ნაპოვნით აღტაცებულ მარისკას აცახცახებული ხელით, უკვე პირისაკენ მიჰქონდა მოწამლული ორცხობილა. და სასოწარკვეთილსა და აწიოკებულს, ძალისძალად წაპვლიჯა ეშმაკეულის ნაბომვარი.

კიდევ შვიდი ბალღისათვის გაითხარა იმ დღეს სამარე აღრინდელი სასაფლაოს გვერდით.

ერთადერთი, ვინც ფაშისტების ნობათი საძლოად მიიღო, ისიც გონსგადამცდარი, შეშლილი მშობლის ხელით და, მაინც გადაურჩა სიკვდილს, სწორედ ის ჩვილი აღმოჩნდა, რომელიც

მღვდელმა ალექსი ბონდარენკომ მსხვერპლებით ავსილი საბავშვო ბაგინის სკნელი გამოიყვანა.

მესამე ღამე იწურებოდა რაც ბოსფორის სახელმწიფოს უპირველესი ხუროთმოძღვარი დრიოდე ცერბერის ყბაში იყო მოქცეული და წამებით სულს ღაფავდა.

პერისად პირველმა უმეტესად სასტიკი სასჯელი ველარ მოისაზრა, მხოლოდ ცოტაოდენ შეეცვალა იგი, მოხუცი არქიტექტორი გულალმა განართხმეინა და ისე დაამზობინა მის მუხლებზე უზარმაზარი ლოდი, შემდგომ კი თავადვე განუმარტა სიკვდილმისჯილს, რატომ მოექცა ასე, სხვათაგან განსხვავებულად — ბოსფორის ხელმწიფეთა ღალატი მათი მფარველი ღმერთების შეურაცხყოფაცაა და ამიტომ დამნაშავემ ტარტარში ჩავარდნამდე მათ მარადიულ სამყოფელს უნდა უმზიროს და ჩადენილი ცოდვის მიტევებას შეევედროსო. ამასთანავე, გვირგვინოსანმა ერთი გამონაკლისიც დაუშვა, განწირულის საუკეთესოდ კვება და დარწყულება ბრძანა, რათა ბერძენ ხუროთმოძღვარს ტანჯვა-ვაება უკიდურესობამდე გაგრილებოდა და გახანგრძლივებოდა.

სამი დღე და სამი ღამე ხაფანგში მოყოლილი მგელივით ღრიალებდა ენა-ამოცლილი დრიოდე და მის ბებრულ, გვემულ სხეულს, ალბათ, აღრევე განეყრებოდა სული, ერთი თვით მედიცინისათვის მარად ამოუცნობი საიდუმლოება რომ არა — მომაკვდავი ვილაცის თუ რალაცის უსაშველო მოლოდინში იყო და ამ ლოდინს ისეთი ზეადამიანური გამძლეობა ჰქონდა, რომ თვით თავხემდგომ სიკვდილსაც კი იგერიებდა.

გამთენიისას, როდესაც პანტიკაპონის ზეცას მზე შორიდანვე მიეფერა და ვარდისფრად შეფაცლა, ახვლებულმა დრიოდემ უეცრად ხმა გაიკმინდა, ხოლო მოშორებით მდგომმა დარაჯმა,

რომელიც ხრწნად ხორცის სიმკრალეს გარიდებოდა, შვევით გაიფიქრა, წამებული სამარადეამოდ გადასახლდა ჩრდილთა საუფლოში.

მაგრამ დარაჯი, როგორც არც თუ იწვიათად ხდება, ცდებოდა, ტანჯულის გული ჯერ კიდევ ფეთქავდა. გონებაც აზროვნებდა და, რაც კიდევ უმთავრესი იყო, მისი უკიდურესობამდე დამაბული სმენა ტყის მფრთხალი ფრინველივით აყურადებდა გარემოს.

სადღაც შორიდან, კარიერს გადმოყუდებული მაღალი ფლატეს გადაღმიდან, იქ, სადაც ცეცხლოვანი მნათობი უნდა გამოჩენილიყო, ძლივს გასაგონი ღიღინი ისმოდა და ეს უცნაური ბგერები სხივთა მომძლავრებასთან ერთად ნელ-ნელა მატულობდა და ძლიერდებოდა.

ბოლოს და ბოლოს, გარიდებით მდგომ დარაჯსაც მოესმა ლოცვასავით მოლიღინე მელოდიური ჰანგი, რომელიც თანდათან მაღლდებოდა და მხნევდებოდა, თითქოს ქვეყნად უპირველესა და უდიდეს კერპს არა მხოლოდ მადლს მიაგებდა, არამედ დაუფარავ, გამხელილ სიყვარულსაც უმძლავნებდა და უმტკიცებდა.

„ო, დელა, დელა, დელიაო დელა, დელია დელასა...“

ცერბერის ყბებში მოქცეულმა ტანჯულმა, სიმწრით დაქმული, დასისხლიანებული ტუჩებით გაიღიმა და, მიუხედავად გაუსაძლისი ტკივილისა, თვალეები ნეტარად მილულა.

ღრიოდეს კარგად ახსოვდა ეს სიმღერა, რომელიც ერთხელ უკვე ჰქონდა მოსმენილი, მაშინ, როდესაც ტყუპი ძმები ლაბირინთში შეამწყვდიეს და ტანშიშველმა გოლიათმა დათჰუმ თითქმის ამოშენებული ტიხარის იქიდან მზეს გამოსათხოვარი ჰიმინი აღუვლინა.

ბერძენმა ხუროთმოძღვარმა ძმები ახლაც ერთადმყოფნი წარმოიდგინა და მხოლოდ იმის გამო იგრძნო სინანული, რომ მისმა მოწაფემ და უნებლიე მოქიშპე თუტუმ, ყოველი მის მიერ მოგონილი ხრიკი განქვრიტა და აღმატებუ-

ლი გონების შემწეობით თავისუფლდება მოიპოვა, გარდა ამისა, რაც კიდევ უფრო მთავარი იყო, იგი ოდესმე შეძლებდა ისეთი მარადიული ძეგლის შექმნას, რომლითაც მასწავლებლის ნამოღვაწარს დაჯაბნიდა და დაჩრდილავდა.

მაგრამ ეს სინანული იმწამსვე გაუქარწყლა აზრმა, რომ შემოქმედის ნიჭმა მაინც დაჯაბნა ტირანის ცბიერება.

ღრიოდემ კვლავინდებურად დაიბლავლა, ერთხელაც გააფრთხო მკერდზე მაჯალაჯუნასავით შემომჯდარი სიკვდილი, რადგან დიდი მოლოდინის გამართლებების იმედი და სურვილი ჯერაც არ განელეობდა.

როდესაც მნათობი ბოსფორის სახელმწიფოს ესტუმრა და ერთიანად გაასხივონა, ქვის კარიერის შემოგარენში დათხილი ბედაურების ფლოქვების შორეული თქარუნი გაისმა და ბერძენმა ხუროთმოძღვარმა ერთხელაც შესწყვიტა ხავილი, გაშეშებული კისერი მარჯვნივ გადმოაგდო, თვალეები გადმოატრიალა და პანტიკაპონიდან ლაბირინთისაკენ მომავალ გზას გახედა.

პირველხანად ვერაფერი შენიშნა, თუმცა უკიდურესად დამაბული მზერით იცქირებოდა, მაგრამ ჩასისხლიანებული, ქუთუთოდასივებული თვალეები ღალატობდა, შორეულ სივრცეს ბუნდოვნად აღიქვამდა, შემდეგ კი, როდესაც მეფეთა ყორღანის მხრიდან პერიოსად პირველის მსრბოლავი ეტლი გამოჩნდა და ქარის სისწრაფით მოუახლოვდა, ცერბერის ყბებში გამომწყვდეულ ბერიკაცს უკანასკნელ ბრძოლაში გამარჯვებული ხვადი მგლის ყმული აღმოხდა.

ეტლზე ამაყად შემართულ ტახტისმპყრობელს ზურგს უკან ბროწეულისფერი მოსასხამი ხანძარივით უფრიალებდა და ტანზეც მზისფერის ნაცვლად, სისხლივით წითელი სამოსი ეცვა.

გვირგვინოსანის გვერდით აქეთ და იქით ოთხ-ოთხი მცველი მოაგელვებდა გახვითქულ ბედაურებს, ხოლო ოდნავი ჩამორჩენით და განმარტოებით მეცხრეც მოჰყვებოდათ, და ღრიოდე

გუმანით მიხვდა რომ ის, ბოლოში მო-
ქცეული, ზენონი იქნებოდა.

— უკანასკნელი თხოვნით ვემუდარ-
ები მაღალ ღმერთებს, — თვალთა
აპყრობით ახედა ზეცას ხუროთმოძღვა-
რმა. — ნუ შეაბრკოლებენ თემიდას
მიუეჭროებელ სამართლებლივ მსახუ-
რებას!

ნესტოებზე თითებშემოქდობილი
დარაჯი ფეხაკრებით და შიშნულად
მიუახლოვდა ლოდზე განრთხმულს, წა-
ინარა, ცისკენ მაცქერალ უმოძრაო
თვალეში ჩახედა და სწორედ იმ დროს,
როდესაც გაიფიქრა, „ჩააძლდაო“,
თავით-ფეხებამდის გალურჯებულმა წა-
მებულმა ჩაშავებული პირიდან წაკვე-
თილი ვენის ნარჩენი გაასავსავა და მთე-
ლი ხმით შეჭლირალა.

თვით სიკვდილიც არ იქნებოდა ისე-
თი საზარელი, როგორც დროდღე იყო.

ეს ზენონმაც პირველშეხედვისთა-
ნავე აღნიშნა და თუმცა გულჩვილობი-
თ არასოდეს გამოირჩეოდა, მინც შეე-
ბრალა თვისტომი, რომელიც ერთ
დროს ამ ქვეყნის პირველი არქიტექ-
ტორის ტიტულს ფლობდა და ხშირად
თავის დაკვრის ღირსადაც არ სცნობდა.

მეფის პირველი პირისფარეში დაზა-
ფრულ დარაჯსა და დროოდეს შორის
ტიხარეით ჩადგა, უბიდან მალულად
ისეთივე პატარა დაფა და ცარცის ნაჭ-
ერი ამოაცოცა, როგორც ვენის მოკვე-
თის ღამეს თითების მოძრაობით მოს-
თხოვა დროოდემ და ღვარძლიანად გა-
იფიქრა:

„გვირგვინოსანნი ცხოვრების მანძი-
ლზე მხოლოდ ერთხელ ცდებიან, იგი-
ვე დაემართა პერისადს, როდესაც ამ
აქოთებულ მძორს, ენასთან ერთად,
ხელებიც არ წაჰკვეთა.“

ცოტაოდენ ხანში ზენონმა ცოცხალ-
მკვდარი დროოდესგან დაფა უკან დაი-
ბრუნა და ყურადღებით დააცქერდა.

მეფეთა აკლდამაში შემავალი საი-
დუმლო ხვრელის ადგილმდებარეობა
თეთრით შავზე თვალსაჩინოდ და გარ-
კვეთით იყო გამოსახული.

ქვის იატაკზე გაშოტილი ფეხ-
ენბერგი მოზომილმა სილაქმა გონს
მოიყვანა და თვალი გაახელინა. ჩამუხ-
ლული უფარაჯო ჯარისკაცი თავზე და-
პყურებდა და შეშფოთებული დასცქერ-
ოდა.

— რა მოხდა? — ამოთხვრით იკი-
თხა არქეოლოგიის დოქტორმა.

ჯარისკაცმა ჭრაქი შემართა, ერთხე-
ლაც გამომცდელად დახედა და შემ-
დეგ გაუღიმა.

— თუ არ ვცდები, გერმანელმა მეც-
ნიერებმა ფუგასური ბომბი იმიტომ გა-
მოიგონეს, რომ მანცდამანც თქვენ
წაგაცალონ თავი.

ფონ ბაბენბერგმა სანახევროდ ჩამო-
ქცეულ ჭერს ახედა, რაღაც იაზრა,
ჯარისკაცს ხელი გაუწოდა და წამოჭდა,
კეფა ისე უბზუოდა, თითქოს ახალმოს-
ახლე ფუტკრები ესხნა შიგ.

— მძიმე დღეში ჩავევადით, — ამც-
ნო უფარაჯომ. — ორთავე გასასვლელი
ჩახერგილია და, თუ არ ვცდები, საკ-
მაოდ მყარადაც.

— რატომ ორთავე? — ვერ გაერკვა
არქეოლოგიის დოქტორი და შემდეგდა
აულო ალღო მომხდარს, — ჰო, გასაგე-
ბია, — მჭმუნვარედ აღნიშნა, — ალბათ,
ლაბირინთის კარიც...

უფარაჯო ჯარისკაცი ფეხზე წამოდ-
გა, წამომჯდარიც წამოაყენა და ორთა-
ვენი ჩამოქოლილი გასასვლელების შე-
მოვლასა და შემოწმებას შეუდგინა.

უძველესი საიდუმლო ხვრელით
უკან დაბრუნების იმედიც კი თავის მო-
ტყუება იქნებოდა, რადგან მძლავრ
აფეთქებას ერთიანად დაექცი და ჩაეგ-
მანა იგი, ორივემ უყოყმანოდ დაადს-
ტურა ეს ფაქტი და შემდეგ აკლდამი-
დან ლაბირინთში გამავალი კარისაკენ
გაეშურნენ, მაგრამ იქაც არანაკლები
გაწბილება ელოდათ — მთლიანი კლდის
უზარმაზარ ნატეხებს ერთიანად ამოე-
ვსო მეფეთა სამარხის თითქმის მეოთ-
ხელი.

უფარაჯო ჯარისკაცი და ფონ ბაბენ-
ბერგი აზრის გაუზიარებლად გამობრუ-

ნდნენ და უძველესი სარკოფაგის კიდე-
ზე დაზაფრებულები ჩამოსხდნენ. „წინ-
ასწარმეტყველივით მართალი აღმოჩნდა
ანისკა, — ტივილით გაუელვა უფა-
რაჯოს, — მხოლოდ წამიერი სიყვარუ-
ლი გვარგუნა ბედმა“.

მარსის ქანდაკებაზე შემოდგმული
ჭრაქი, მართალია, სუსტად, მაგრამ მა-
ინც ანათებდა ვრცელი აკლდამის შუა-
გულს და არქეოლოგიის დოქტორმა
თვითუნებურად შეათვალიერა იქაურო-
ბა, შემდეგ პროფესიულმა ცნობისწა-
დილმა წასძლია, წამოდგა, სანათურიც
გაიყოლა და ყოველივეს შემოვლასა და
თვალიერებას შეუდგა.

„მეფეთა სანარხი, უდავოდ, გაძარ-
ცულია, — ფიქრობდა ის, — ამას საი-
დუმლო ხვრელიც ადასტურებს და სა-
ხურავახდილი განსასვენებელიც. მაგრამ
საოცარია, რატომ არის ერთ მათგანში
ხელმწიფის ხელუხლებელი მუშია, რო-
დესაც მეორე ცარიელია?“

ვრცელი მიწისქვეშა აკლდამის შე-
მოვლის დროს ფონ ბაბენბერგს ფეხე-
ბში უკვე დანაწევრებულ ჩონჩხთა
ნარჩენები წამოდო, ადამიანთა ძვლე-
ბმა უსიამოვნოდ გაიზხრიალა ქვის ია-
ტაქზე — მაგრამ ეს ჩვეულებრივ ამბად
მიიჩნია, რადგან უძველეს ხანაში გარ-
დაცვილი დიდებულთათვის მონათა
მსხვერპლად შეწირვა და საიქიოს ფა-
რეშად გაყოლება ჩვეულებრივ ამბად
ითვლებოდა; ამასთანავე, მათმა ამჟამინ-
დელმა მდგომარეობამ იმაშიც დაარწ-
მუნა, რომ არქიტექტორს თავის დრო-
ზე, საქმის ცოდნით შეერჩია სამარხისა-
თვის ვარგისი ქანის შრე, რომელიც
მთლიანიც იყო და, მათდა საუბედუ-
როდ, სრულიად მშრალიც, ისე რომ
ერთი კედელიც კი არ ჰქონდა იმდენად
ნესტიანი, წყლის გამორწუნვა რომ ყო-
ფილიყო შესაძლებელი.

— რას მირჩევთ, — დაეითხა უფა-
რაჯო ჯარისკაცი, — რომელ გასას-
ვლელს ვარგუნოთ არჩევანი, ლაბირი-
ნთის კარს თუ საიდუმლო ხვრელს?

— ორთავე ჩანაფიქრი განუხორცი-
ლებელია, — დაბეჭითებით მიუგო არ-

ქეოლოგიის დოქტორმა. — ხვრელში
გაწმენდა და აღდგენა საერთოდ შეუძ-
ლებელია, ხოლო ლაბირინთამდე მიღ-
წევას, სულ მცირე, ერთი თვე მაინც
მოუწინდებით და, რომ შევძლოთ კიდევც,
შემდგომ გზის გაკვლევას მაინც ვერ
მოვახერხებთ.

ჯარისკაცმა ნაძალადევად და ნერვი-
ულად ჩაიცინა, „ის კი, ალბათ, მოუთ-
მენლად მელოდება“. გაიფიქრა დანა-
ნებით.

— ყოველივეს ისე მშვიდად მიხსნით,
თითქოს ეს მდგომარეობა ჩვენს ყოფნა-
არყოფნას არც ეხებოდეს.

— არის წინააღმდეგობანი, რომელთა
დაძლევაც ადამიანის ძალ-ღონეს აღე-
მატება, — ისეთი ინტონაციით განუმა-
რტა ფონ ბაბენბერგმა, თითქოს უკმათ
სტუდენტს შეგონებას უკითხავდა. —
ასეთ დროს განგების ნებასურვილს ემ-
ორჩილება ყველაფერი.

— იქნებ მართალიც ხართ, — თით-
ქოს დაეთანხმა უფარაჯო, — მაგრამ
ადამიანი ვალდებულია სცადოს შეუძ-
ლებლის შეძლება, ამაშია კაცობრიო-
ბის დანიშნულებაც და ძალაც, ჩვენ
უნდა გავიკვლიოთ გზა ლაბირინთამ-
დის და იქითაც!

გერმანელმა არისტოკრატმა მძიმედ
გაიქნია თავი და ერთგვარი ნათელი
შურით გადახედა.

„ასეთ ახალგაზრდა კაცს როდის
ჩაუნერგეს ადამიანის ყოვლისშემძლე-
ობის ამდაგვარი ურყევი რწმენა. თით-
ქოს ბავშობა არც კი ჰქონდეს გავლილი,
უმწეობაც არასოდეს ეგრძნოს და პირ-
დაპირ მეტროლოდ მოვლენილიყოს
ამქვეყნად“, განაჯა და იმავე წამს ხელი
ისე სწრაფად აიქნია, თითქოს აბეზარ
მწერს იშორებდა.

— შეხედეთ, — თითის მიშვერით
უჩვენა, — ალი ცანცახებს!

უფარაჯო ჯარისკაცი პატრუქს დააც-
ქერდა.

— არაფერია გასაოცარი, — უგერ-

თენგიზ ჩალაუბრი

...და არ იყო ჩვენს შორის ბიძი



გილოდ აღნიშნა, — ალბათ, ხვრელიდან ჰაერის რაღაც ნაწილი მაინც ახერხებს აქამდე შემოღწევას.

— არა, — დარწმუნებით უარყო არქეოლოგიის დოქტორმა, — მაშინ ალი თქვენსკენ უნდა იხრებოდეს, ახლა კი იქით მიიწევს. — ცერით ზურგის მხარეს მიანიშნა.

ფონ ბაბენბერგმა ჭრაქს ხელი დასტაცა და მოპირდაპირე კედლისაკენ გაეშურა, ზედ მიადგა, გააშუქა, ნაბიჯ-ნაბიჯ მარცხნივ ჩაუყვავა და სულ მალე მეორე საიდუმლო გასასვლელის ღია კარს მიადგა.

— როგორც ჩანს, მაინც ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილხართ დაბადებულნი, — ნაცადი ასტროლოგივით უმკითხავა და გვირახის კიბეს აუყვავა. ჯარისკაცმა იმედიანად ჩაიხითხითა და იმავე წამს ცისფერკაბიანი გოგო გაახსენდა, ხელბეჭდამოწვდილი ერთადერთი სიტყვის თქმას რომ სთხოვდა.

— ვგონებ თქვენც. — სანაცვლო მიუზღვა წინმავალს.

— საუბედუროდ, არა, — იუარა იმან, — მაშინ საუკუნით ადრე ან გვიან გავჩნდებოდი, ჩვენს ასწლეულში გერმანიაში ბედიღბლიანი ადამიანი ვერ დაიბადება.

სიმხნევე და სიხალისე მოეძალა ორთავეს და ეს შეგრძნება არც მაშინ განელებიათ, როდესაც ორმოცი თუ ორმოცდაერთი საფეხურის ავლის შემდეგ გვირაბი ერთიანად ჩამოქცეული და ჩახერგილი აღმოჩნდა.

მთელი დღე-ღამის განმავლობაში ქანცის გაცლამდის იზრომეს ისედაც ძალაგამოცილებმა და ჩამოშლილი ქანისაგან გზა მაინც გაწმინდეს, შემდეგ კიდევ ოთხი-ხუთი კიბე აიარეს და იქ კიდევ უფრო მტკიცე და ძნელად დასაძლევნი დაბრკოლება დაუხვდათ.

გამოცდილი ქვისმჭრელის ხელს ზედმიწევნით სიზუსტით გამოეთალა მთლიანი ქვის სფერო, მალლიდან დაეგორებინა და ბოთლის ყელივით შევიწროებულ გვირაბის ხორხში საცობივით გაეჭედა.

მხოლოდ ლოდის თავთან შერეულად დედივით მოჩანდა დღის სინათლის ვიწრო, მორკალური ზოლი.

ამის შემხედვარე ფონ ბაბენბერგს დაქნეული მათრახებივით ჩამოუცვივდა მკლავები და თავის დაღწევის ყოველგვარ განზრახვაზე ოცნებაც კი უარყო, თითქოს თვით ბოროტებას საქმე გამოლოდა ამქვეყნად და ახლა ამ ორი კაცის სამკვდრო-სასიცოცხლო გაწამაწიით ისე ერთობოდა, როგორც თავთებში წრუწუნამომწყვედეული მადღარი კატა.

● თავგზააბნეული ანისკა მოჩვენებასავით დაბორილებდა კატაკომბებში, ადგილს ვერსად პოულობდა, და, იმის ნაცვლად, გამოფიტული სხეული უმოძრაობით დაესვენებინა, უკანასკნელ ძალ-ღონეს უმიზნო ხეტიალში ფლანგავდა.

— არ დაბრუნებულა? — მალიმალ აკითხავდა მანოხინს, რადგან გარნიზონის უფროსთან შესვლას ვერ ბედავდა.

ისიც, კუშტადმოშირალი და ათასი თავსატეხით გაბეზრებული, მოკლედ ეუბნებოდა: — ჯერ არა.

„ასეც ვიცოდი, გული ხომ მიგრძნობდა, რომ ველარასოდეს შევხვდებოდი, — იცრემლებოდა ანისკა, — ღმერთი მაინცა მწამდეს, — ნატრობდა და იმწამსვე უარყოფდა, — ღმერთი რაღად მინდოდა, მერჩივნა, საიქიოსი მჭერებოდა“.

ორი დიდზე დიდი სატკივარი დაჰქონდა მკერდით მისულფერებულ გოგოს — უფარაჯო ჯარისკაცისა და უმცროსი დისა, ამ ბოლო დროს ნახველს სისხლის კოლტებს რომ აყოლებდა.

როგორც კი მარისკას მიაძინებდა, ისევე მანოხინთან გარბოდა.

- არ გამოჩენილა?
- არა-მეთქი!
- მეორე?
- არც ის.
- კვირა ილეოდა, რაც უფარაჯოს

დამორდა, ხედებოდა, რაღაც სახიფათო და საძინელო საქმეზე რომ გაგზავნეს, დაბდღნოილ, კუჭუყიან ქვეშაგებზე მიეგდებოდა თუ არა, თუმცა აღარაფრისა სწამდა, მაინც ჩურჩულით ლოცულობდა: „უფალო, დამასიზმრე! მაინც, უფალო, დამასიზმრე!“ მაგრამ არც ამაში სწყალობდა ბედი, ხან დედაბრის ტანს წაგლეჯილი თავი ელანდებოდა, ხანაც აისხლში მოთხვრილი ქურანა, და ღამეში სამჯერ მაინც ერთიანდ ცივი ოფლით გახვითქული; კვილით იღვიძებდა, თუმცა ვინ იცოდა, ღამე იყო თუ დღე, მოჩვენება თუ სინამდვილე. არც არავინ ეკითხებოდა, რა ჭაკივლებსო, ახლა ძილში ყველა ღრიალებდა, ზაოდა და ილანძლებოდა, მხოლოდ მარისკა ეგდო ჩვარივით და შოშის ბარტყივით პირდაღებული გაჭირვებითა და ხიხინით სუნთქავდა ჩამყაყებულ ჰაერს.

მერვე დღეს ანისკას მაკლავუნა ჩაყოლილივით საშინელი კოშმარი ესიზმრა. ჯარისკაცის ამბის გასაგებად მიმავალს, ზღაპრადაც რომ არ სძენოდა, ისეთი საზარელი ურჩხული დაედევნა. ლაშებზე დუემორეული გამაყრუებლად აკაკაპებდა ხანჭლებივით ეშვებს და უზარმაზარი ჭიაყელასავით გაწლილი, მუცელზე ხოხვით მოსდევდა.

გულგახეთქილი ანისკა დაფეთებული შველივით მიჰქროდა, მალიმალ იტყირებოდა უკან და სიბნელეში წითელ შუქნიშანივით აბრიალებულ წყვილ თვალს ხედავდა. ბოლოს, როგორც იქნა, ლაბირინთის გასასვლელში გაიჭრა, ვიწრო ბილიკი აირბინა, ერთხელაც მიიხედა ზურგს უკან და, როგორც კი გაიფიქრა, გადავრჩიო, რაღაცას ღობესავით მყარს და მკვირვს შეეჯახა, ინსტინქტურად ხელებიც ჩასჭიდა და შემდგლა შეატრიალა თავი.

მუჭებში პარდაღებული დრაკონის ქვედა ღოჯები ეპყრა და უკუშტევა დააპირა თუ არა, საშინელებამ ზედა ყბა ფოცხივით ჩამოაგდო და ხელის მტევნები მაჯებში წაჰკვეთა.

მთენისკამ იკივლა და კუბრგადასხმრე ლივით წამოხტა.

ორთავე მკლავში ჩაჭიდებული მარისკა მოუთმენლად ანჯღრევდა.

— წამოდი, რა გიჩვენო, — მესაიდუმლეს ხმით გაენდო და ერთხელაც გაჰქაჩა.

— დამაცადე, — ამოხვრით მოიშორა ანისკამ, — გონს მოვეგო.

— წამომყევი-მეთქი, — არ მოეშვა უმცროსი და, — ისეთი რამეა, ისეთი... თვალებს არ დაუჭერებ.

ანისკა დავრდომილი დედაბერივით კრუსუნით წამოიძარათა, ყოველი კუნთი გაძაგრული და დაჭიმული ჰქონდა.

— ისევ იქ ეგდე? — წყრომით დაეკითხა.

მარისკამ უარის ნიშნად თავი გააქანქარა.

— უფრო შორს, წამოხვალ?!

მას შემდეგ, რაც მოალყებმა ქვესქნელში გამომწყვდეულებს სურსათი ჩაუყარეს და ბავშვები დაუწამლეს, ანისკა წუთითაც ველარ ენდობოდა უმცროს დას, რადგან ხედებოდა, უკიდურესობამდე დამშეული ხუთი წლის გოგო ცთუნებას ვერ გაუძლებდა და უბედურებას გადაეყრებოდა.

სრული ნახევარი საათი იბორიალეს ჩაბნელებულ კატაკომბებში დებმა, პატარა ქვაბურიც განვლეს, სადაც ანისკა უფარაჯო ჯარისკაცს დაემშვიდობა და იქვე, მარისკას აღმოჩენილ მეტისმეტად ვიწრო და ძნელად შესამჩნევ ხვრელში შეძვრნენ, დაოთხილებს მოუწიათ ფორთხვა და ბოლოს წინმიმავალმა ანისკამ სრულიად მოულოდნელად ისეთი რამ იხილა, რის შესახებ კარგა ხანია ოცნებასაც ვერ ბედავდა.

მის თვალწინ ყველაფრისაგან დაუფარავი და აუკრძალავი მზე, ცა და დედამიწა გადაშლილიყო, მთელი თავისი სიმშვენიერითა და ჯადოსნური მიმზიდველობით, თავისუფალი, შეუბღალავი და პირველყოფილი, ისევე მტკივნეულად წმინდა და უმწიკვლო, როგორც დედის ხსოვნა.

ამ სანახაობით გაოგნებული, განა-



წამები დები ერთიმეორეს ჩაეკვრნენ, ჩაეხუტნენ და ერთდროულად აცრემლდნენ, წამით ყოველივე დაივიწყეს, ყველა სატკივარი და სადარღებელი, თვით შიმშილიც, რომელიც ძილშიც კი ცოფიანი ძაღლივით მწარედ და დაუნდობლად იკბინებოდა.

იმდაგვარი კრძალვით მიეახლნენ შუქმფინარ გასასვლელს, როგორც პირველყოფილი ადამიანები შეუცნობად ცეცხლს და იქ, პატარა, ფრთხილი ცხოველებივით გაუბედავად შეჩერდნენ.

მარისკამ, თითქოს შიშობს, არსად გაიქცეწო, ისე უნდობლად გაუშვირა მზის სხივებს ხელისგული, მუჭში მოიქცია და უფროს დას, როგორც ჩანჩქერის წმინდა წვეთები, სახეში შეასხურა, მერე სათავისოდაც გაიძეტა, თმაზე ნება-ნება ჩამოსივა და თვალები მილულა.

— ჩუ, — მოულოდნელად და მომთხოვნად თქვა, ისე რომ ქუთუთოები არც კი აუზიდავს, — ჩუმად, — გაიმეორა, — გესმის?!

ანისკა შემფთობებული შეაკქერდა უმცროს დას, რომელსაც სახე პაწაწა ანგელოზივით დაწყნარებოდა და გასხივოსნებოდა.

— ქარი მღერის... — კენესანარევი ხმით დაიჩურჩულა მარისკამ, — გესმის, დაიკო, ქარი მღერის...

მართლაც ხვრელის შემოსასვლელიდან ქარის ლაღი და თავისუფალი ქროლის ხმა ისმოდა, თითქოს ამქვეყნად ყველაზე დიდი მუსიკოსი მსუბუქად დაატარებდა ხემს ვიოლინოს სიმებზე და რაღაც მეტისმეტად ახლობლურს, მშობლიურს და მტკივნეულად მივიწყებულ მელოდიას უკრავდა.

დებმა მოჩადობებულებივით გადადგეს რამდენიმე ნაბიჯი და ხვრელის ამოსასვლელში სანახევროდ ამოიმართნენ.

ერთხანს ასევე დარჩნენ, გარინდებულნი, მოშვევებულნი და ოცნებას მინდობილნი, და უცხად, სრულიად მოულოდნელად და უადგილოდ, საიდანღაც

მაშაყაცთა აღტაცებული ყიფიანობის დახილები შემოესმათ, იმდაგვარი, სტადიონზე გოლის გატანისას რომ გაისმება ხოლმე.

ანისკა და მარისკა დამფრთხალი სინდიოფალებივით იმწამსვე მიწაში ჩაიმაღნენ, მაგრამ ცოტა ხანში, როდესაც ერთმანეთს ხმა კვლავ განმეორდა, მიხვდნენ, ეს გნისი და ხორხოცი რომ მათთვის საშიშროებას არ წარმოადგენდა და კვლავინდებურად წელამდე ამოიმართნენ, მერე გარეთ გასვლაც გაბედეს, აბიბინებულ ბალახზე, როგორც ხალიჩაზე, ისე გაწვნენ და დაბლაც ჩახხედეს.

ხევის იქითა მხარეს, მოზრდილი ვუბურის პირას, ერთ ჯგროდ შექუჩებულ გერმანელი ჯარისკაცები დაინახეს, ზოგი იღვა, ზოგიც ჩაცუცქულიყო და წრეში მოქცეულ ორ მოჩხუბარ მამალს გაფაციცებულნი შესცქეროდნენ.

ოდნავ მოშორებით, პატარა ბექობზე, საველე სამზარეულო გაემართათ, სადაც აბაზანასავით მოფარლალებული ქვაბიდან შეხევებს ისროდა აქაფქაფებული წვნიანი. ეს ხომ თავისთავად საოცრებად ჩაითვლებოდა, მაგრამ უფრო დიდი და დაუჯერებელი რამ სამზარეულოს გვერდით მდგომი მაგიდა იყო, რომელზეც ფუმფულა მრგვალი და დაბრაწული უკრაინული პურები ერთიმეორეზე ახორხილი ეწყო.

ქარმა, ცოტაოდენი ხნის წინ რომ ასეთი ნეტარება განაცდევინათ, მხარი იცვალა, ახლა ხევის გადაღმა მხრიდან წამოუბერა და შიმშილისაგან მისულფერებულ დებთან ის სურნელი მიიტატანა, რომელსაც ქვეყნად ვერავითარი სუნამო მეტოქეობას ვერ გაუწევდა — ახლად გამომცხვარი პურის სუნი.

ამ თბილ, გამაბრუებელ ოხშივარს სამარეშიც კი იგრძნობდა დამშეული ადამიანი და მარისკას; რომელიც საველე ქვაბს მიშტერებოდა და ფიცრულ მაგიდას ჯერ ვერ ამჩნევდა, ნესტოები დაებერა და აუთოთოლდა.

— იქ, სადაც... — გაუსაძლისად

ამოიკვნესა და დას მხარში ჩააფრინდა. — იქით-მეთქი, საღდაც... — ჩურჩულით გაიმეორა და ამ ხმაში ისეთი ტკივილი, სასოწარკვეთა და გაუმხელელი იმედი ჩააქსოვა, რომ ანისკამ უცებ, ერთი გაფიქრებით მიიღო გადაწყვეტილება.

„ისინიც ხომ ადამიანები არიან, — ნაძალადევი თვითღარწმუნებით გაიაზრა. — მათაც ხომ ჰყავთ პატარა დები, ბავშვები, შვილები... მერე რა, რომ მტრებად მოგვევლინენ, რაიმე სიბრაულულის მაგვარი ხომ მაინც ექნებათ შემორჩენილი... ჰო, აგრეა, — დაადგინა შემდგომ, — თუ ყოველივე დამაჯერებლად ავუხსენი, აუცილებლად გამიბეებენ... ასეა თუ ისე, მაინც ადამიანები ჰქვიათ“.

აპე იმხნეებდა თავს, რადგან არჩევანი, შესაძლოა საბედისწეროც, ურყევად ჰქონდა მიღებული; სხვაგვარად აღარ შეეძლო მოქცევა, ისევე როგორც მარისკასაქენ მიხედვა და მისი უკვე მრავალნატანჯი, მომლოდინე მზერის დანახვა.

— ასამდე თვლა თუ გახსოვს? — კისერმოუქცევლად ჰკითხა.

— როგორ არა, — სასწრაფოდ მიუგო იმან, — თავად არ მასწავლე?! —

ანისკა მუხლებზე წამოიზიდა.

— ძალიან კარგი, — უთხრა, — ახლა ხერულში ჩახვალ და აუჩქარებლად ათჯერ ასს დაითვლი, ესე იგი, ათასს, თუ ამასობაში არ დაებრუნდი, ჩვენებთან გაიქეცი, მაღლა ამოსვლა არც გაბედო, გამიგე?! —

— შენ სადღა მიდიხარ? — იმედიანად დაეკითხა მარისკა.

უფროსმა დამ აცახცახებული ხელი-სგული თავზე დააბჯინა.

— იმათთან... — შეყოვნებით ამცნო. — იქნებ ცოტაოდინი ჰური გამოიმეტონ... არ დაგავიწყდეს, გულმოდგინედ დაითვალე, ცრუპენტელოზა არ გაბედო, შემდეგ კი პირდაპირ მანოხინთან გაიქეცი და ყველაფერი უამბე.

მარისკა იმწამსვე წამოხტა და ხაროში ფაცხაფუცხით ჩახტა.

— ეგრე მოვიქცევი, ოღონდ დროზე

დაბრუნდი, — მომთხოვნად დაარბია ანისკა, — არ დაიგვიანო.

ანისკა უკვე დაბლა მიმავალ ბილიკს ჩასტკეროდა, თითქოს ჭოჭოვანობდა, ბოლოს ხელი ჩაიჭინა, „მაინც ადამიანები არიან“, ერთხელაც გაიმეორა და თავვედ მხნედ დაეშვა.

განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილია ჯარისკაცებს მსუყე სადილის მოლოდინში წრე შეეკრათ და მამლების ჩხუბით ერთობოდნენ.

ფელდფებელ ჰანს ფისნერის ბოლოწითელი მამლისათვის მეტოქედ წინაღობით დარბეული ვოიკოველი გლეხის ეზოდან ნადავლად წამოყვანილი თეთრი ნაყვინჩილარი შეერჩიათ, რომელიც მრავალნაცად მოჩხუბარს უკვე სიკვდილის პირზე ჰყავდა მიყვანილი

დამარცხებულს ბიბილო მთლიანად აფხრეწილი ჰქონდა, მარცხენა თვალის ადგილზე კი შავი ფოსოლა მოუჩანდა. გასისხლიანებული და ქანცაწყვეტილი გაქცევას ცდილობდა, მაგრამ ჯარისკაცები ფეხისკვრით აბრუნებდნენ არენაზე, სადაც ტანად ორჯერ აღმატებული ბებერი მამალი, გამარჯვებული კეტჩერივით გაფხორილი და მკერდამობერილი, ამაყად სცემდა ბოლოს.

როგორც კი წრეში შეაგდებდნენ, ახალგაზრდა იმწამსვე დასაკრუხებელი დედალივით ჩაიყუნცებოდა და თავს ფრთისქვეშ ამოიჩრიადა, მთელი არსებით აგრძობინებდა, — ვიჯობნია, გნებდებო, მაგრამ მყურებელთა ყიფინა გამარჯვებულს კიდევ მეტად ალაგზნებდა, ვაჟაკობის გამოჩენის და დამტკიცების სურვილს უღვივებდა და უწყალოდ პუტავდა და ჯიჯგნიდა მისავთებულ მოწინააღმდეგეს.

Töten! Töten! ბლოდნენ აღტყინებული ჯარისკაცები, — მოკალი, რაღას ელოლიავები!

ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდა ნაყვინჩილარს რეტი დაესხა, გვერდზე გადაიქცა და დაუფარავი თავი გამოუჩინდა. ბებერი უმაღლვე ზედ შეახტა, ბუმბულუმოკორტნილ კისერზე მარწუხებევით შემოაჰლო დეხები, გააკა-

ვა და მძლავრი ნისკარტი გამეტებით დაუშინა კვეფში. ყოველ დაკვრახე თავს ცისკენ იღვრებდა, ჩასისხლიანებულ თვალებს აბრიალებდა, მთელი ტანით ქანს იღებდა და, თითქოს ლურსმანს აქედებდა, ერთსადანიმავე ადგილზე დურგალივით უჟაკუნებდა.

— ყოჩაღ, ეგრე, მიდი მიასიკვიდილე!
— იყო ერთი ტაშისცემა და ღრიალი.

Töten... Töten!

გამარჯვებულმა ერთხელაც მთელი ძალით ჩამოიქნია ნისკარტი და ბალახზე წამოქცეულის თავის ქალამ ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს გამხმარი წვირი გადატეხესო.

ეს უმნიშვნელო ბგერა ყველამ გაიგონა, გარშემოჯარულნი უეცრად გაჩუმდნენ, გაირინდნენ და ბებერ მამალს მიაშტერდნენ. იმან კი გრძელი, კაუჭა ნისკარტი, თითქოს დაფლულ სავანძურს ეძებსო, ისე მოაფათუა თავგაჩეხილის ქალაში და როდესაც ამოაძრო, თან თანამომძის პატარა, ნეკა ფრჩხილის ოდენა ტვინი ამოაყოლა.

ჰანს ფისნერმა გლადიატორთა ბრძოლა დამთავრებულად ჩათვალა, ოდნავ გულიც კი დასწყდა, ასე სწრაფად რომ დასრულდა ყოველივე, საამაყო მამალს წასწვდა, ტომარაში ჩაუძახა, შემობრუნდა და აღტაცებულმა იღრიალა:

— ჰეი, ბიჭებო, შეხედეთ ვინ გვესტუმრა!

წამოჭარხლებული, აღღვებული ჯარისკაცების წინ ჯერაც უმწიფარი, ერთიანად გაძვალტყავებული და გაზუნულ-გამურული გოგო იდგა.

სქელუა ჰაინრიხმა აღფრთოვანებით სავან ტაშიც კი შემოჰკრა.

— წაწყმედილი დედის სულს გეფიცებით, ქალიშვილია, — ხრინწიანი ტენორით წამოიმღერა. — პირდაპირ საოცრებაა, თავისავე ფეხითაც რომ მობრძანებულა. ხოლო შარფიურერმა ლინსბერგმა, ჯოხზე წამოცმული კაბაც რომ ქალად მიაჩნდა, ჯერ ჩექმის ჰვინტებით მიწა მოჩიჩქნა, მერე ხელები რუპორივით შემოიდო ტუჩებზე და

ქედნახრილმა ბულასავით დაიბოლოვლა. ახალწვეული წითელლოყევისა და თეთრის სის გარდა, რომელსაც ჯერხობით ერთი ადამიანის ცოდვაც არ აწვა კისერზე, ყველა ხმაშეწყობით ახორხოცდა და ახარხარდა, გასაქცევად გამზადებულ ანისკას გარს შემოერთყნენ და შემფასებლურად დაუწყეს სინჯვა-თვალიერება.

— ძალიან გამხდარია, — დაიწუნა ყბედმა ჰეტერმა.

— მეტისმეტად ქუჭუყიანიც, — დაუმატა სისუფთავის მოყვარულმა მაქსმა, მეტსახელად „კონტაპრუფს“ რომ ეძახდნენ, — რაიმე უბედურება არ შეგვეყაროს.

— გავრეცხოთ, — საქმიანად შესთავაზა შარფიურერმა ლინსბერგმა, — ვისა გაქვთ საპონი?!

ანისკამ ჯერ ცას ახედა და რატომღაც უჩვეულოდ მოქუფრული ეჩვენა, შემდეგ ზურგს უკან გააპარა მზერა, იმ მხარეს, სადაც მარისკა ეგულებოდა.

— იქ, ჩემი პატარა დაიკო მელოდებდა, — სხვა მხარეს მიანიშნა ჰანს ფისნერს, რომელსაც მაჯით გაეკავებინა და ლოჯბდაკრეჭილი შეჭლიმოდა. — მშვიერი მიკვდება, კვირაზე მეტია სისხლს ახველებს, ისეა... ისე... ფეხზე ვეღარ დგება... იქნებ ერთი მათლაფა წვნიანი და ცოტაოდენი პური გამოიმეტოთ, ჩემთვის არა გთხოვთ, მხოლოდ იმისთვის, ავადმყოფისთვის... ძალიან, ძალიან გვიჭირს...

— კარაქზე და ძეხვზე რას იტყვი? — ენის მოჩლექით დაეკითხა შარფიურერი, რომელსაც ცოტაოდენი რუსულისა გაეგებოდა და მკერდზე გამეტებით უჩქმიტა.

ანისკამ შეჰკვივლა და ახლალა მიხედა, რა უბედურებასაც გადაეყარა, მხოლოდ დაჯერება არ უნდოდა, მაჯლაჯუნასავით იშორებდა ამ აზრს, შემდეგ ისეთი გამწარებით გაიქნია ხელი, რომ მგელ ფისნერს მაჯა გამოჰკლიჯა და შავფორმოსნებში გასხლტომა სცადა, მაგრამ ფეხი დაუდეს, წააქციეს



და წელანდელი ნაყვინჩილარივით პან-
დურის კვრით წრეში შეაბრუნეს.

— საპონი ვინა გაქვთ-მეთქი! — ახლა
კობტაპრუწა მაქსმა იღრიალა, — დრო
არ ითმენს, სადაცაა სადილობისას შემ-
ოპკრავენ.

— მე... ე... — თხასავით დაიპეტლა
ენაბლუ იოჰანმა, — ფრა...ნგული, სა...-
განგებო.

ანისკამ, რომელიც ახლა ორ ჯარის-
კაცს ჰყავდა გაკავებული, შარფიურე-
რისაკენ გაიწია, ენის მცოდნეს იქნებ
რაიმე შეევასმინო.

— ჩემს დას კლექი სჭირს... — ტი-
რილიანი ხმით შესჩვილა. — ჯერ მხო-
ლოდ ხუთი წლისაა და სისხლს აღე-
ბინებს... ვემუდარებით, ცოტაოდენი
და ხევში ჩამდგარ წვიმის წყლის გუბუ-
რისაკენ გააქანეს.

— მაშ მხოლოდ პური? — კვლავ
ენის მოჩლექით ჰკითხა იმან და ტუ-
ჩებში ხელის ზურგი შემოპკრა, — აბა,
ბიჭებო, — მხიარულად იკითხა, — ვინ
აჭყუმპალავებს ჩვენს პაწაწა ფიფ-
ქიას?

ყბედი პეტერი და კობტაპრუწა მა-
ქსი ანისკას კაბის კალთებში ჩასწვდნენ,
აპქაჩეს და ჭუჭუყიან ტილოში გახვეული
წმინდა სანთელივით გამოაძვრეს, უკ-
ვე დედიშობილა, მკლავებით გაითრიეს
და ხევში ჩამდგარ წვიმის წყლის გუ-
ბურისაკენ გააქანეს.

— ეი, შენ, — ლოყაწითელ თომასს
გასძახა სქელუა ჰაინრიხმა, — გაიქეცი
და პატეფონი მოარბენინე, ასეთი საქ-
მის კეთება მუსიკის რიტმზე უფრო მო-
სახერხებელია.

მაგრამ იმან ყურცი არ ათხოვა, ნა-
ცემი ძალღვივით იჭდა და ნიკაპი აცახ-
ცახებულ მუხლებზე დაებჯინა, „რო-
გორა ჰგავს ჩემს პატარა ლილიენს...
ო, რა საოცრად ჰგავს...“ — მონოტონ-
ურად იმეორებდა გაოგნებული და
მზერაგაცივებული.

ვილაცამ მაინც მოათრია პატეფო-
ნი, ფირფიტაც სავანგებო შეერჩია —
სამხედრო მარში, და მთელი ხმით ად-

რიალეს, თითქოს რაიხის მთავარსა-
დლობას აღლუმს აბარებდნენო.

გოგო უკვე ვაესაპნათ და ერთია-
ნად გალურჯებულს, პეტერი და მაქსი
მორიგეობით აყურყუმელავენდნენ.

როდესაც ნაპირზე ამოათრიეს,
ანისკა ველარაფერს გრძნობდა, აღარც
რაიმეს აქცევდა ყურადღებას, ერთადე-
რთი რამ უტრიალებდა გონებაში, „ათ-
ასს რომ დაითვლის, მერე როგორ მოი-
ქცევა... ათასის შემდეგ რას იზამს“?

მარისკამ მხოლოდ ბოლო ასი მოი-
პარა, გაუსაძლისი იყო ასე ყოფნა და
ლოდინი, დარწმუნებით სჯეროდა, უფ-
როსი და ხელცარიელი არ დაბრუნდე-
ბოდა, იქ ხომ იმდენი პური ეწყო, ვინ
დაუკავებდა? „ცხრაჯერ ასიო“, თქვა
თუ არა, სამალავიდან ამოხტა, ქვევით
ჩაიხედა და თვალებს არ დაუჭერა.

შავფორმიანი ჯარისკაცები ანისკას
ეთამაშებოდნენ, მხოლოდ მეტისმეტად
უცნაურად და უხეშად, ხან ერთი ამო-
იღებდა ქვეშ და ხან მეორე, „ეს რაღა
გართობააო“, წყენით გაიფიქრა და მა-
შინდა შენიშნა, მისი დაიკო ერთიანად
შიშველი რომ იყო და რომელიღაც
ფრინველივით კიოდა, ალბათ, ჭოტი-
ვით, ამიტომაც შეშინდა, მაგრამ რო-
დესაც იმან ხმა გაიკმინდა და მიჩუმდა,
ცოტა არ იყოს, დამშვიდდა.

ბოლოს ყოველივე მშვიდობიანად
დამთავრდა, ჯარისკაცებს თამაში მობე-
ზრდათ და ანისკა მინდორში გაჩაჩხუ-
ლი მიატოვეს, თავად კი ფიცრულ მაგი-
დას შემოუსხდნენ და რკინის კოვზების
კაჟინი ატეხეს.

ერთმა გამხდარმა და წითელლო-
ყებამ, მაგიდიდან მთლიანი პური აიღო
და ანისკასაკენ წამოვიდა, მაგრამ მეო-
რე, ჯმუხი და ბუჭგანიერი დაედევნა,
წინ გადაუდგა და ისეთი გამეტებით გა-
აწნა სილა, რომ ტყაპუნის ხმა მარისკა-
საც კი შემოესმა.

ხევის თავში, ვიწრო შარაზე, ცხე-
ნოსანი გამოჩნდა, ბრჭყვილა კოკარ-
დიანი ქუდი ეხურა, ჯარისკაცებს რომ
მიუახლოვდა, ყველანი ფეხზე წამოხ-

ტნენ, ორნი ჩამოქვეითებაში მიეხმარნენ.

შტურმფიურერიმა გუზემანმა მხოლოდ ახლა შენიშნა შუა მინდორში მიგდებული, გაუპატიურებელი გოგო და ცეცხლწაქიდივით დაემსგავსა.

— თავხედო და ბინძურო ღორებო! — აღშფოთებული აღრიალდა, — არ შეგიძლიათ ასეთი რამეები სადმე მოფარებულში აკეთოთ, თუ საკუთარი საჯდომების თვალთვალი ვაიმოვებთ... ბრძევებო! სადაცაა შტურმბანდიურერი გენერციუსი მობრძანდება, ახლავე მოაშორეთ ეს გათახსირებული აქაურობას.

სქელუა ჰაინრიხმა და ენაბლუ იოჰანმა იმწამსვე ანისკას მიაშურეს, ხელფეხიდან აიტაცეს, გატყავებული ცხვარივით გამოტილი გაარბენინეს და გუბურაში მოისროლეს.

სული რომ შეეხუთა, ანისკა შემდეგდა მოეგო გონს, წყალში წამოჭდა, წამოდგომაც სცადა, მაგრამ ახლად დაბადებულ ხბოსავით უღალატა მუხლებმა, მთელი სხეულიც ისეთი უგრძობი და დაბუქებული ჰქონდა, თითქოს ხორცი ერთიანად გაცეცხლდა და მხოლოდ ძვალიდა დაეტოვებინათ.

ბოლოს მაინც გაიმართა, აცახცახებული ხელები დაკბენილ-დასისხლიანებულ მკერდზე აიფარა და ბორძიკ-ბანცალით გუბურის შემოვლა დაიწყო, მაგრამ წყალი ბეჭამდისაც კი ვერსად მისწვდა. როდესაც დარწმუნდა, უფრო ღრმა ადგილს ველარ მივაგნებო, ნაწნავები მაჯაზე გადაიხვია და წყალში პირქვე ჩაემხო.

გუზემანი შორიახლო იდგა, გოგოს გაწამაწამის უცქეროდა და ჩექმის ყელზე ბრაზიანად და ნერვიულად იტყაპუნებდა მათრახს.

როდესაც ანისკამ მესამე ცდაც უშედეგოდ დაამთავრა, შტურმფიურერს მოთმინებამ უღალატა.

— ჰანს! — გაავებულმა იღრიალა.

ფელდფებელი ფისნერი იმწამსვე წინ გამოეჭვიმა.

— ხომ ხედავ, — მათრახის ტარით მიანიშნა, — არიელი ულაყებისაგან

გახედნილ ჭაკს არ სურს წითელი მკერდების კერძიც შეიქნეს... მიეხმარე!

ჰანს ფისნერი შეველსდადევნებული მგელივით შევარდა წყალში, ანისკას გრძელ, ქერა თმაში წასწვდა, თავთხელში გამოათრია, ერთი დაქნევით მოუდრიკა კისერი, პირისახით ჰანსკობში ჩაამხო და უსაშველოდ მძიმე, ჯარისკაცული ჩექმა კეფაზე დააბჯინა.

ამ ამბის შემაცქერალი მარისკა შიშის ზარმა აიტანა, დაკვივლება სცადა, მაგრამ სპაზმებით გაძაგროლი ყელიდან მხოლოდ ხავილიდა აღმოხდა, შემდეგ დაფეთებულმა ხვრელში ისკუპა, და, როგორც უფროსმა დამ დაარიგა, მანოხინისაყენ გაქუსლა.

კიმერიის ბოსფორის გამგებელი პერისად პირველი, როგორც ყოველთვის, ახლაც თავაწყვეტით მიაქროლებდა გახვითქულ ბედაურებს ლაბირინთისაყენ მიმავალ გზაზე. საომარ ეტლზე ამაყად მდგომს თვალეზი ცივი ცეცხლივით უელავდა და ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდა.

— ჰილ... ჰილ... ჰილ!

სამხრეთის მხარეს, პირამიდასავით წამოზიდულ ცერბერის ყბას რომ გაუსწორისწორდა, მბრძანებელმა მხოლოდ წამიერად გახედა ურჩათთვის შექმნილ სატანჯველს და ქვედა ლოდზე გულღამა გაშოტილ კაცს, „იდიდი ლევკონის სასუფეველის მძარცველი“, ქირდვით გაიფიქრა და მისი გაწამებული სახე ცხადლივ წარმოიდგინა.

ამ წარმოსახვაში ბერძენ არქიტექტორს თუმცა მკმუნვარე, მაგრამ რატომღაც დამცინავი თვალეზი ჰქონდა.

მეფის პირადი მცველები, სახელმწიფოს რვა საუკეთესო მეომარი, გაჭირვებით და მთელი მხედრული უნარის მოშველიებით, ძლივსლა ახერხებდნენ მის თანხლებას, რადგან გზის სივიწროვის გამო მინდორში მიაჭენებდნენ ცხენებს.



ახლა, არც ერთ მათგანს აზრის ნატამალიც აღარ უფიქრებდა თავში. მაგრამ გამთენიისას, როდესაც გვირგვინოსანი აკროპოლისის კიბეზე მდღი-ღურად გადმოდგა, უკვე ამხედრებულ-მა მცველებმა გაოცებით გადახედეს ქრთურს.

პერისად პირველი ჩვეული მზისფერის ნაცვლად, რატომღაც სისხლივით წითელი ტანსაცმლით შემოსილიყო და გრძელი, ყვითელი მოსასხამიც ბროწეულისფერით შეეცვალა, მაგრამ ვინ შეჰბედავდა ყოვლისშემძლე ხელმწიფისთვის ეკითხა, რა მოსაზრებით მოიმოქმედა ეს.

ერთადერთმა ზენონმა უწყობა მიზეზი, ისიც მიახლოებით, თუმცა შედეგის განსაჭვრეტად არც გონება ჰყოფნიდა და არც განსჯის უნარი.

მისთვის უმთავრესი იყო დროოდეს მიერ დაფაზე ცარციტ დაწერილი შეთანხმება, რომელიც არქიტექტორმა ენის წაკვეთის დამეს შესთავაზა და რომლის თანახმადაც იგი — ზენონი, უმდიდრესი საგანძურის მფლობელი შეიქმნებოდა, თუ განწირულის ერთადერთ პირობას შეასრულებდა: მეფის მონა ქალის ლელიას შემწეობით, პერისად პირველს რჩეულ მზისფერ სამოსს სისხლისფრად შეუღებავდა.

დროოდეს სიტყვის კაცი იყო, ბოლო წლების განმავლობაში ხელმწიფის პირველი პირისფარეში ამ შეფასებაში სრულად დარწმუნდა, მაგრამ ვიდრე ასეთ საშიშ მკრეხელობას ჩაიდენდა, ზენონმა ერთი შეხედვით უმნიშვნელოცა ჩაატარა, საუზმეზე მბრძანებელს წითელის ნაცვლად, ქარვისფერი ვაშლები მიართვა და პერისადმა მხოლოდ დაგემოვნების შემდეგ აღმოაჩინა მათში სხვაობა, რითაც ბერძენი ხუროთმოძღვრის ვარაუდი უნებლიეთ დაადატურა.

ლელიასთან კი დროოდეს დანაბარები ფრაზა, „წამებულზე უბედური მწამებელია“, სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, და რომც არ ყოფილიყო, პერისადისაგან წლობით ნაგვემი ეს ულა-

მაზესი ქალი ზენონის ნება-სურვილი მაინც შეასრულებდა, რადგან ხნის წინ უკვე ხასად ჰყავდა დამჯდარი.

მზისფერ სამოსს, რომელიც მის უზუნაქობას ადასტურებდა, ზოსფორის გამგებელი ორ შემთხვევაში იცვამდა; როდესაც საომრად მიმავალ ჯარს გზას ულოცავდა, ანდა ამფითეატრონში სანახაობებს მართავდა, მაგრამ იშვიათად იყო მესამე, გამონაკლისიც, რომელსაც ყურადღებას ცოტა ვინმე თუ აქცევდა. ზოგჯერ და არა ყოველთვის, ანუ მკვეთრი ფერით მოსილი პერისადი ლაბირინთსაც აკითხავდა.

ამიტომაც იყო მეფის პირისფარეშმა დროოდეს უცნაური მოთხოვნა პირველ ორ შემთხვევას რომ დაუკავშირა და საგულისხმოდ ვერაფერი განჭვრიტა, თუმცა კარგად ხვდებოდა, რომ გაიძვერობით განთქმული არქიტექტორი, რომელსაც გვირგვინოსანმა ენა მოჰკვეთა და უახლოეს ხანში უარესსაც არგუნებდა, ტყუილუბრალოდ არ დახარჯავდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს და ყოველივეს სამაგიეროს მიზღვია გამო სჩადიოდა.

მომაკვდავ ხუროთმოძღვართან შეყოვნებული ზენონი ცერბერის ყბას გამოსცდა თუ არა, ჩამოჭვეითდა, საგულდაგულოდ მიმოიხედა, უბიდან პატარა დაფა ამოაცოცა და ყურადღებით დააკვირდა, სიჭაბუკეში თავადაც საბერძნეთში განათლებამიღებულს, სრულებითაც არ გასძნელებია დროოდეს სქემაში გარკვევა, გარემოს ერთი თვალის შევლებითაც მიხვდა, სადაც იქნებოდა საგანძურში ჩამავალი საიდუმლო ხვრელი და, როგორც კი ყოველივეში დარწმუნდა, დაფა სახელოთი გადაწმინდა, მუხლზე გადაიმტვრია და შორს მოისროლა. შემდეგ საკუთარ ცხენს მოზრდილი ქვა ჩაჰკრა კოჭში. დააკოჭლა, ერთხანს ასე აბონდრია, ბოლოს ზედ ამხედრდა და აუჩქარებელი ჩორითი მბრძანებელის მიერ განკლილი გზა განაგრძო.

ამ დროს პერისად პირველი უკვე



ლაბრინთში შედიოდა, მისი საუფლოს თორმეტი შავად მოსილი ქურუმი შესავლელშივე შეეგება გვირგვინოსანს. მათი ამდაგვარი შეხვედრაც იშვიათობად ჩაითვლებოდა. მხოლოდ მათ, დიკრთა და მეფის მსახურთ უწყობდნენ, რომ როდესაც კიანფა მიწისქვეშაში თავისუფლად დაბობლავდა, იქ ყოფნა სიკვდილთან შეყრას უდრიდა. ხოლო ორთავა ურჩხულის სადგომში შებრუნება დედამიწაზე ერთადერთ სულიერს შეეძლო და ის კაცი პერისად პირველი იყო.

ლაბრინთში შესვლისთანავე მდებლად თავდახრილმა მთავარმა ქურუმმა გვირგვინოსანს ჩირალდანი მიართვა და სახეზე ნათლად გამოესახა განცვიფრება, რადგან სისხლისფერ სამოსში გამოწყობილი ხელმწიფე არასოდეს ეხილა, მაგრამ შეკითხვა სიბრიყვედ ჩათვალა და დუმილი ამჯობინა.

მანძილი ცენტრალური შესასვლელის უკანასკნელ განშტოებამდე და შემდგომაც, დრაკონის მუდმივ სადგომამდე, ბოსფორის განმგებელმა აუჩქარებელი, მედიდური ნაბიჯით განვლო; ქურუმნი და მცველნი საპატიო მანძილზე ჩამორჩენილნი მიჰყვებოდნენ და ფეხსაც შესამჩნევად ითრევდნენ. ეს ერთადერთი გამოჩაქლისი იყო, როდესაც არც ერთ მათგანს არ ჰქონდა სურვილი გვირგვინოსანის უახლოეს თანმხლებლად ყოფნისა და ამას საკმაოდ მნიშვნელოვანი მიზეზი ჰქონდა.

ტყუბი ძმების დევნითა და გვირგვინებში ხანგრძლივი ბორიალით დაღლილი კიანფა, რკინის თეჯართან გაწოლილი და მოვლემარე დაუხვდა მბრძანებელს. ურჩხულს თავები ერთიმეორისათვის მიეხრინა და ისეთი შიშინით სუნთქავდა. თითქოს გავარვარებულ რკინას წყალს ასხამენო. ბნელეთის ეს ნაშიერი ძილ-ბორთუნშიც გრძნობდა, რომ ახლოვდებოდა ეამი მზესავით საშიში კაცის გამოჩენისა, იმ ერთადერთი არსებისა, რომელსაც იგი მორჩილებდა, და ვინც კვლავინდებურად შეამწყვდევდა მუდმივ ბუნაგში, ხოლო შემდგომ

უდიდეს ძღვენსაც არგუნებდა ^{ანტიკვლური მუზეუმი} ხალი ადამიანის სისხლსა და ხორცს.

როდესაც მეფის თანმხლებნი კლდეში გამოკვეთილ უგრეს დარბაზში შევიდნენ და შიშნარევი ძრწოლით პირველსავე კედელთან განლაგდნენ, პერისად პირველი უკვე კიანფას უახლოვდებოდა, ხოლო რკინის უმძიმესი ტიხარი, რომელსაც მიწისზემოთ გამართულ ორ უზარმაზარ დოლაბს ჩაჭიდებული ორმოცი მონა ატრიალებდა, ღრუბლივით ქერისაყენ იზიდებოდა.

ბოსფორის განმგებელი ძილ-ღვიძილში მყოფ დრაკონს თითქმის ზედ მიადგა, მარცხენა, ჩირალდნიანი ხელი თავზემთ შემართა, მარჯვენა წინ გაიშვირა და მაღალი, მწივანა ხმით შეჰყვირა:

— კი ან ფა!

ურჩხულის ორთავე თავმა შეკრთომით, თითქმის ერთდროულად გაახილა ოთხივე თვალი და შიშისმომგვრელი მზისფერის ნაცვლად, მადინალმძვრელი და დუქის მომდენი სისხლისფერი აღიჭვა. გონს მოსვლაც კი ვერავინ მოასწრო, რომ დრაკონის ყბებიდან ლერნის უხსენებელივით უგრძესი ორი ენა გამოსრიალდა, ჯერაც ამაყი და მრისხანე იერით მდგომ ბოსფორის ხელწიფეს წვივებზე შემოეგრავნა და წააქცია.

პერისად პირველმა არაადამიანური ხმით იღრიალა და ამ ზარითა და საშინელი სანახაობით დაზაფრულმა მისმა ერთგულმა ქვეშევრდომებმაც გაძლიერებული ექოსავით ბლავილით მისცეს ბანი.

ოცდაერთი ადამიანის ერთდროულმა და სასოწარკვეთილმა შეძახებამ თავზარი დასცა მიწის ზევით მყოფ მონებს, რომლებმაც ისიც კი არ იცოდნენ, რა მიზნით ატრიალებდნენ ამ უზარმაზარ დოლაბებს — ეს საზარელი მიწისქვეშა ღრილი მათ ტარტარში ჩამწყვდეულ ტიტანთა ამბოხად მიიჩნიეს, ხელნებს ხელი უშვეს და, ზედამხედველთა თანხლებით, სხვადასხვა მხარეს მიმოიფანტნენ.

თვით კიანფას ზებუნებრივი ძალის



შემკავებელი, უმესაჭეებოდ მიტოვებული რკინის უმძიმესი თეჯირი მოწყვეტით დაეშვა, ქანაღებული დაენარცხა იატაკს და დარტყმის უდიდესმა ძალამ ქვესკნელი ერთიანად შეაზანზარა, შეარყია, ნაბზარალი ლოდები ჭერ-კედლებიდან ჩამოჰყარა და ერთი მათგანი, ამასთანავე უდიდესი, დარბაზიდან გასასვლელ ყელთან გაჩხირა.

ახლა უკან, ლაბირინთში გაღწევას არათუ ადამიანი, მოზრდილი ვირთხაც კი ვეღარ შეძლებდა.

ქვეთაცვენას ყველა გადაურჩა, მხოლოდ ერთ-ერთი, საფლავის ლოდით მოგრობო ქვა პერისადსა და კიანფას შორის დაეცა, ურჩხულს ორთავე ენა დაუჩქჩქვა, დაუბეჯა და განწირული გვირგვინოსანი უცილობელი სიკვდილისაგან იხსნა.

აქ, დედამიწის უსაშინელეს არსებასთან ერთ დარბაზში გამომწყვდეულ ქვეშევრდომებშიც კი უდიდესი იყო ბოსფორის განმგებელის ნება და სურვილი. მან კარგად უწყოდა, რომ კიანფა უძღები არ იყო და დღეში ერთი ადამიანის სისხლ-ხორცი ჰყოფნიდა, ამიტომაც ჯანმავარმა მცველებმა უპირველესად ყველაზე სუსტი და მორჩილი ქურუმი მიართვეს ზვარაკად ორთავა ურჩხულს.

იმავ საღამოს გამჭირახმა პერისადმა ისიც დაადგინა, რომ მისთვის სამოსი შეეღებათ და დრაკონის ყოველ მორიგ მსხვერპლს, აღსასრულის წინ, მისი ბრძანებით, მაჯებს უსერავდნენ, იმ იმედით, იქნებ რომელიმე მათგანს ყვითელი სისხლი აღმოჩენოდა და ამ სითხით გადაფერილ სამოსელს ხელმწიფე ეხსნა.

მაგრამ რა იცოდა განსაცდელში ჩავარდნილმა გვირგვინოსანმა, რომ ღმერთებისა და ბუნების ნებით, დედამიწაზე არსებულ ყოველ ადამიანს ერთი ფერის სისხლი ჰქონდა, თვით მასაც კი — ბოსფორის აღზევებულ მბრძანებელს.

კიანფას უკანასკნელი მსხვერპლი პერისად პირველი აღმოჩნდა.

ასე დასრულდა სიცოცხლე იმ ტრეპისა, რომელიც ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ დესპოტი განმგებელი მარადეამს უფრო ძლიერი იქნება მოწყალესა და გულკეთილ ხელმწიფეზე, რამეთუ ბოროტება მუდამ ბოროტებას შობს, ხოლო სიკეთე სიკეთეს — თითქმის არასოდეს.

უკვე მეცხრე დღე იწურებოდა, რაც უფარაჯო ჯარისკაცი და ფონ ბაბენბერგი გვირაბის ყელში გაჩხერილ ლოდს ეჭიდებოდნენ და ებრძოდნენ, შრომის იარაღად კი ამ საქმისათვის თითქმის გამოუსადეგარი საგნები ჰქონდათ — გერმანული ავტომატი და მეზღვაურული ბეჭუთი.

პირველ ხანად უფარაჯო ჯარისკაცს არცთუ დიდად საძნელოდ ეჩვენებურთივით მრგვალი ქვის გარშემო კედლების ჩამოფხეკა და ხერელის გაგანიერება, მაგრამ შემდეგ და შემდეგ დარწმუნდა, რომ პესიმისტურად განწყობილი არქეოლოგიის დოქტორი უფრო გამოცდილი იყო ამ საქმეში.

ბოთლის ყელივით შევიწროებულ საიდუმლო გვირაბის კედლები, მართალია, დიდი ჯაფის ფასად, მაგრამ მაინც ფართოვდებოდა, ხოლო მათში ჩაქედილი სფერო არა და არ აპირებდა დაგორებას და გზის გათავისუფლებას.

ის მცირეოდენი საგზალი, რომელიც მანოხინმა აქეთ წამოსვლისას გაიმეტა, შარშანდელი თოვლივით გამქარალიყო. უკანასკნელი თითო ყლუბი წყალიც ორი ღლის წინ ჰქონდათ მათარიდან გამოწურული და შოკოლადის ბოლო ნატეხიც ფონ ბაბენბერგმა ამ დილით გაწუწუნა, ხოლო უჯარაფო ხახამშრალი დარჩა, რადგან თვალისჩინივით გასაფრთხილებელი შოკოლადის კენიწა, წინა ლამით გულისჯიბიდან იმ ვირთხამ ააწუპნა, რომელიც აკლდამაში მოხვედრისთანავე ჯიბგირივით უტრიალებდათ და საღ ჯანდაბიდან იყო მოთრეული, არავინ უწყოდა.

მეფეთა განსასვენებელში გამომწყვდეულებმა, უპირველესად საცობი

ლოდის წინ სამაროვანი თბრილი გაჭრეს, რათა ქვის სფეროს დაგორების შემთხვევაში, მორიგედ მომუშავე შიგ ჩაწოლილიყო და გასრვისაგან თავი ეხსნა.

მონაცვლეობით შრომას კი კვირის თავზე შეუდგნენ, როდესაც ქვის ბურთი ერთობლივი ძალით შეაყანყალეს. მას შემდეგ ერთი თუ ხვრელის კედელს ხებდა და ფშვნიდა, მეორეს ეძინა, რათა დახარჯული ენერგია ნაწილობრივ მაინც აღედგინა.

მაგრამ ახლა, მეცხრე დღის დასაწყისში, უფარაჯო ჯარისკაცი, იმის ნაცვლად, რომ ცარიელ სარკოფაგში მოკალათებულიყო და თვალი მოეტყუებინა, მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის მეტისმეტად შეუფერებლად და უცნაურად იქცეოდა.

გასასვლელ ხვრელთან ჩამქადარს, საიდანაც მჭრქალი შუქი აღწევდა, წინ ფონ ბაბენბერგის ფეხსაცემლიდან ათლილი ტყავის ნაგლეჯი ეგდო, წინასწარ ჭრაქის ალზე რომ გაეხუხა, და ხელში ქვამომარჯვებული იმ თავხედი ვირთხის გამოჩენას ელოდა, რომელმაც წინა ღამით უკანასკნელი ლუკმა ააწაპნა.

მაგრამ ბოროტმოქმედი ოთხფეხი არ ჩქარობდა, თუმცა, უდავო იყო, რომ გატრუსული ტყავის სუნმა კარგა ხნის წინ შეუღლიტინა ნესტოებში და მადაც გაუღვიძა. ჩანდა, თანდაყოლილი ინსტინქტი კარანახობდა, რომ სიფრთხილეს თავი არ სტკივა, უფარაჯო დარწმუნებულად კი იყო, რომ აკლდამის რომელიღაც კუთხეში მიყუჩული ქურდბაცაცა გულდაგულ უთვალთვალებდა და მოთმინებით ელოდა, როდის მიატოვებდა დადარაჯებული ადამიანი სატყუარად დაგდებულ ტყავის ნაჭერს.

ზევით, საიდუმლო ხვრელის ყელში, არქეოლოგიის დოქტორი გამეტებით სცემდა ავტომატის ლულას ქვის კედელს; თუმცა აქამდე მხოლოდ ყრუ, სუსტი ბეგერები აღწევდა, რომლებსაც მოლოდინში განაბული მტრდენელი მაინცდამაინც არ უნდა დაემინებინა.

სამსაათიანი და კიდევ მეტობის ხანის ლოდინის შემდეგ ჯარისკაცმა უეცრად შენიშნა, რომ აკლდამის მარჯვენა კუთხეში რაღაცამ წუმწუმასავით გაპკვესა და ჩაქრა. ოდნავ მოგვიანებით ამ ნათებამ უფრო ახლოს და ხანგრძლივად გადმოინაცვლა და დადარაჯებულმა ადამიანმა ნელ-ნელა, გოჯობით იწყყო ქვიანი ხელის შემართვა.

ბოლოს და ბოლოს, ცდუნებამ მაინც სძლია სიფრთხილეს და როგორც კი ტყავის ნაჭერს მტკაველის სიგრძე ჩრდილი გადაეფარა, უფარაჯომ მთელი შერჩენილი ძალით დაიქნია ქვაჩაბლუჯული მუშტი და იმავე წამს თითებით ჯერ ცოცხალი სხეულის სივლუჯე და სირბილე იგრძნო, ხოლო შემდეგ აგონიაში მყოფი ცხოველის ჭყვირილიც შემოესმა და ქვა ხელმეორედ მოუნაცვლა.

— ჰერ ოტო, ჰერ ოტო! — ასძახა მალა მყოფ გერმანელ არისტოკრატს, — ცოტა ხნით ჩამოეშვით, ვგონებ, სადღილი მოვინადირე.

ხვრელის თავში ქვაზე ლითონის ცემის ხმა შეწყდა.

— კარგად არ მესმის, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოისმა აქოშინებული კაცის ხმა, — გამიმეორეთ, გეთაყვა.

ჯარისკაცი ქვის საფეხურებზე გადაწვა და ხვრელში თავი შეყო.

— ჩამოდით-მეთქი, — ახლა უფრო ხმამაღლა ასძახა, — საკბილო მოვიხელთე!

ვიდრე არქეოლოგიის დოქტორი დაბლა დაეშვებოდა, უფარაჯო ჯარისკაცმა მეფეთა სარკოფაგს მიაშურა, შიგ ჩადგმული ჭრაქი მოიძია, ასანთი გაპკრა, ასანთი და როდესაც უკან მიბრუნდა, ფონ ბაბენბერგი უკვე კიბის პირველ საფეხურზე ჩამომჯდარი დაუხვდა.

ჯარისკაცმა და არქეოლოგიის დოქტორმა იმედიანად დახედეს ნანადირევს, რომელიც ქვის იატაკზე უსულოდ ეგდო, და პირველხანად განსაკუთრებული ვერაფერი შენიშნეს, მაგრამ შემდეგ მათ გაოცებას ზღვარი არ ჰქონდა.

ოცი თუ ოცდახუთი სანტიმეტრის სიგრძის პატარა ცხოველს ვირთხის არაფერი ეცხო, ის კი არა, ბუნებაში არსებულ არც ერთ არსებას საერთოდ არაფრით ჰკავდა.

— გინახავთ რაიმე მსგავსი? — იკითხა ჭარისკაცმა.

ფონ ბაბენბერგმა თავიც გაიქინა და მხრებიც აიჩეჩა.

— არა თუ მინახავს, არც კი მსმენია. — მიუგო ხილულით გაოგნებულმა, — ზოოლოგიის სახელმძღვანელოებში, გამყინვარებამდე არსებულ ცხოველთა ილუსტრაციებშიც კი არასდ შეგმხვდრია, იქნებ მხოლოდ ზღაპრებში...

ჭარისკაცი მოიხარა, ჭრაქი იტაკზე დადგა და პირქვე ჩამხობილი მოკრუნჩხული არსება გულაღმა ამოაბრუნა.

თავისთავად თითქმის დაუჭერებელი იყო, რომ ამ ვითომც ვირთხას რვა ფეხი ჰქონდა, მაგრამ კიდევ უფრო ფანტასტიკური ის აღმოჩნდა, რომ იმ ადგილზე, სადაც მღრღნელს, წესით, კუდი უნდა ჰქონოდა, პირველის ტოლფარდი მეორე თავი ება.

— იქნებ გველანდება, — ეჭვი გამოთქვა კარგა ხნის თვალთვალის შემდეგ არქეოლოგიის დოქტორმა, — ხომ დასაშვებია, რომ აღრინდელივით ახლაც ჰალტუცინაციები დაგვეწყო.

— გველანდება თუ გვეჩვენება, მნიშვნელობა არა აქვს, ჩვენ მას მაინც შევჭამთ, — კატეგორიულად განაცხადა უფარაჯო ჭარისკაცმა, ჩექმის ყელიდან მეზღვაურული ბებუთი ამოაძრო და ნანადირევის გატყავებას შეუდგა.

აკლამაში გამომწყვდეულებმა შეშის უქონლობის გამო, ოდესღაც აქ დახოცილი მონათა ძვლები შეაქუჩეს, ერთიმეორეზე დაახევეს და კოცონი დაანთეს. არც ერთ მათგანს ეს ამბავი მკვრებელობად ან ცოდვად არ მიუჩნევია, რადგან უმძიმესი გაჭირვების უამს ადამიანი ადრე მისთვის წარმოუდგენელ საქციელსაც კი ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევს.

მაგრამ როგორც კი მონათა ძვლებით ანთებული კოცონის მომწვანო ალი

ორთავიანი არსების ხორცს შეეხო, იდუმლო ხვრელის თავში რაღაცა გამოაყრუებელი ჭახანი გაიღო, კიბეზე გრიალით დაეშვა და უმძიმესმა ქვის სფერომ ჯერ ზუმბაზე წამოცმული ნანადირევი გადათელა, შემდეგ ბოსფორის განმგებელთა სარკოფაგები, ბოლოს აკლამის დასავლეთ კედელს ეძგერა, გაანგრია და ლაბირინთის ერთ-ერთ დამრეცად მიმავალ გვირაბში ხრიალით დაეშვა.



ქვეყნად ყველაზე უბედური, უდავოდ, ის ადამიანია; ვინც საკუთარი შეილების შიმშილით სულის ამოხდომას უცქერის და ვერაფრით შევლია.

დაახლოებით ამას განიცდიდა გარნიზონის უფროსი ხანინი, რომელიც ახლა უკვე თავფეხიანად გაქვავებული, კვლავინდებურად უჭდა საწერ მაგიდას. მაგრამ დაუძლეურებული, დავრდომილი ჭარისკაცებისა და ოფიცრების უმრავლესობას არა თუ ბრძოლის, მოძრაობის ილაჯიც აღარ ჰქონდათ. თვით ავადმყოფ ბავშვებსაც კი, მესამე დღე ილეოდა. პირში ხემსი არ ჩასვლოდათ, უკანასკნელი, რაც მათ არგუნეს, ბაბა შუტრას ჭრელი დედალის — აუტლინას ხორცი და ბულიონი იყო, ხოლო თავად დედაბერი იმ დილით პატარების ლახარეთის შესასვლელთან ჩატუტქული გარდაცვლილიყო, ჭერაც თბილ-თბილი კვერცხით ხელში.

თითო-ოროლა საბრძოლო ვაზნაც კანტიკუნტად თელა შემორჩენოდა ვინმეს და იმასაც ყოველი მათგანი სათავისოდ ინახავდა. გარშემოჯარულ მოალყევებს ყოველი გასასვლელი მიგნებული ჰქონდათ და ტყვედ დანებების ნებისმიერ მსურველს — სამხედრო იქნებოდა თუ სამოქალაქო — გამოჩენისთანავე ტყვიამფრქვევის ჯერით ცხრილავდნენ. ჩანდა, ესეგლებიც კარგად ხედებოდნენ მიწისქვეშეთელთა უკიდურეს სიძაბუნეს, თუმცა კატაკომბებში შეჭრას ჯერჯერობით მაინც ვერ ბედავდნენ.

ერთადერთი, ვისაც ჯერ კიდევ მერჩენოდა გვირაბებში ხეტიალის ძალღონე, შეშლილი მარია იყო — ჩვილბატებული უთავბოლოდ რომ დაბორთალებდა და ყოველ შემხვედრს აკვიატებულ ფრაზას უჩიჩინებდა: „ბავშვები სიყვარულმა უნდა იხსნას... საყოველთაო სიყვარულმაო“, მაგრამ სიყვარულსაც ხომ ძალა სჭირდებოდა, ძალა კი აღარავის აღარაფრისა ჰქონდა...

სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ კატაკომბებში უფარაჯო ჯარისკაცი და ფონ ბაბენბერგი.

კომისარმა მანოხინმა მათი დაბრუნებით ისე გაიხარა, თითქოს თვით ხორცშესხმულ იმელს შემოხვდაო. უფარაჯო მკერდში ჩაიკრა და დაუხანებლად ხანინს მიჰგვარა.

— გაიკვლიეთ გზა ოტვაქნიმდე? — უბგერო ხრილით ჰკითხა გარნიზონის უფროსმა.

— ვერა, — მიუგო უფარაჯომ, — მაგრამ გვირაბი, რომელიც აღმოვაჩინეთ, მავთულხსოვრების გადაღმიდან იწყება. მანოხ. ნმა ფრთამოტეხილი ფრინველივით ს. ნახევროდ აიქნია მკლავები.

— მადლობა ღმერთს... — თქვა, გაიღიმა და სახე ერთიანად დაეღმიჭა.

— რამდენ კაცს შეუძლია სურსათზე გასვლა? — ჰკითხა ხანინმა, „მარჯვენა ხელს“.

მანოხინი არც დაფიქრებულა, თუმცა თითებზეც შეეძლო ჩამოთვლა.

— საკმაოდ ბევრს, — იმედინად მოახსენა.

— დაღამებისთანავე გაავზავნე, — ბრძანა გარნიზონის უფროსმა, — შესძლებ გზის ჩვენებას? — დაეკითხა ჯარისკაცს.

კედელს მიყუდებულმა უფარაჯომ ნაბიჯი წარსდგა, წაბანცალდა და თავი ძლივს შეიმავრა.

— ვეცდები, — მიუგო.

შუალამისას ცხრა კაცი გაუყვა ახლად აღმოჩენილ კატაკომბს, წინ უფარაჯო ჯარისკაცი და ფონ ბაბენბერგი მიუძლოდნენ, დანარჩენი შვიდნი, საშოვარზე მიმავალნი; ქონდრისკაცებივით პატა-

რებმ და ჩია ტანისანი ჩანდნენ. მარნიზონის დისაც ვერ სწვდებოდნენ წინმიმავალთ, მაგრამ მთელ გარნიზონში მხოლოდ მათ ჰქონდათ შემორჩენილი ნაბიჯის გადადგმის უნარი. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ბუნებით სუსტებსა და აღნაგობით დაჩაგრულებს, როგორც ცნობილია, საკვებიც ნაკლები ესაჭიროებათ და ამიტომ უკმელობის გამო ძალღონეც გაცილებით გვიან ელევათ.

გამთენიისას ექვსი მათგანი უვნებლად დაბრუნდა, ერთი გაპარულიყო. მოსულებმა სურსათ-სანოვავებს იმედიც მოაყოლეს, თურმე მზისქვეშეთში ჯერ კიდევ სულდგმულობდა კეთილი უკრანელი გლეხკაცის ქილაგა.

მეორე ღამით თორმეტი მიჰყვენენ იმავე გზას და ამჯერად ყველანი უკლებლივ მობრუნდნენ, არც რუსი ქალთ ამომწყდარაყო ამქვეყნად, არც მას გაქვავებოდა სათნო და მოსიყვარულე გული.

აღარც მომდევნო ღამეებს გაუწიბილებია მიწისქვეშა გარნიზონის მებრძოლები, მათაც მოიტანეს სასიხარულო ამბები, თურმე ჯერაც დააბიჯებდნენ დედამიწაზე სამშობლოს მოყვარული და მტრის მოძულე ბელორუსები და კაზაკები, ყაზანელი თათრები და ებრაელები, ძველი სკვითების, სინდებისა თუ მეოტთა შთამომავალნი, რომელნიც ახლომასლო სოფლებში ბინადრობდნენ, შრომობდნენ, იბრძოდნენ და მიუხედავად მიძიმე განსაცდელისა, მომავალს იმედის თვალით შესცქეროდნენ.

ამასთანავე, ისიც დადგინდა, რომ თითქმის გაპარტახებულ ქალაქ ქერჩში და მის შემოგარენში, პარტიზანთა საკმაოდ მძლავრი და ორგანიზებული რაზმებიც მოქმედებდნენ და მათთან კავშირის დამყარებაც მოხერხდა.

ათორდე დღეში ხალხმა სული მოითქვა, მოლონიერდა, იმედი მოიცა და საბრძოლველად განეწყო.

იმ გვირაბით, რომელიც უფარაჯო ჯარისკაცმა და ფონ ბაბენბერგმა მეფეთა აკლამირდან თავის დაღწევისთანავე

იზოვეს, გზის გამკვლევეები კვლავ მიუბრუნდნენ ბოსფორის გამგებელთა სამარხს და ქვის ბურთისაგან კედელში განგრეული ზვრელით ძველი ლაბირინთის დამრეც გვირახს ჩაჰყენენ.

თითქმის კილომეტრის გავლის შემდგომ ქანაღებულ ქვის სფეროს კიდევ ერთი კეთილი საქმე მოემოქმედა, დიდ ჩინურ კედელზე უსქესი კლდე ჭურვივით გაეხვრიტა და სოფელ ვოიკოვოს მახლობლად, ძეძვით დაფარულ პატარა ბორცვში გასასვლელი გაეთხარა.

აჯიმუშკაის გარნიზონიდან ადგილობრივი მოსახლეობისა და დაჭრილ მებრძოლთა ევაკუაცია დაიწყო.

ყოველ ღამით ბავშვები, ქალები და მოზულები ახლად მიგნებული მიწისქვეშა გზით სამშვიდობოს გაჰყავდათ და ახლომდებარე სოფლების გლეხებთან აბინავებდნენ, დაჭრილები კი მეთევზეთა ნაგებობა და კაპარქებით ტამანის ნახევარკუნძულზე გადაჰყავდათ.

სრულ ორ კვირას გრძელდებოდა გარესამყაროსთან ფარული კავშირი, მაგრამ ივნისის დასასრულს, სრუტის გადალახვისას ერთ-ერთ ნავს შემთხვევით გერმანელთა საზღვაო პატრული გადააწყდა და რომელიღაც სულითგატეხილმა და ილაჯგაცილილმა პირველსავე სილაქზე საიდუმლო გასცა და გამთენიისას, როგორც კატაკომბის ამოსასვლელი, ასევე მეფეთა აკლდამის საიდუმლო ზვრელიც აფეთქებული და ჩაგმანული აღმოჩნდა.

გარნიზონი კვლავინდებურად რკინის მარწუხებში მოემწყვდა.

ანისკას უბედურების ამბავი უფარაჯო ჭარისკაცმა დაბრუნების მეორე დღეს მისი უმცროსი დისაგან შეიტყო და განრისხების ნაცვლად, რატომღაც, ყველაფრისადმი ზიზლი და ანტიპათია იგრძნო. ყოველგვარი წინააღმდეგობა თუ ჭირთათმენა სრულ უაზრობად ეჩვენა, თვით სიცოცხლე და ამქვეყნად არსებობაც წყვედიადით მოცულ ბნელ საკნად წარმოუდგა, რომელშიც თავადაც იყო გამომწყვდეული და უსახურ

გარემოს ბრმასავით არარსებული მითითებით შესცქეროდა.

სრული ცხრა დღე-ღამე გრძელდებოდა მისი ამდაგვარი ყოფა, როდესაც ყოველგვარი ადამიანური სურველი თუ მოთხოვნილება აბსოლუტურად დაჩაღუნებულა. ამ ხნის განმავლობაში თვალიც არ მიუღულავს, არც განძრეულა და ოხვრაც კი არ ამოხდომია.

სრული ცხრა დღე-ღამის განმავლობაში ოტო ფონ ბაბენბერგი გვერდიდან არ მოსცილებია. უფარაჯო ჭარისკაცს, დამბლადაციემული ბავშვივით ასმევდა და აქმევდა, ქვეშაგებს უცვლიდა, ათბუნებდა, თმა-წვეკს ვარცხნიდა და მკბენარს აცლიდა.

მეთექვსმეტე უფარაჯო გარნიზონის უფროსმა მოიკითხა და როდესაც მისი მდგომარეობა მოახსენეს, აქ მომგვართო, ბრძანა.

საკაცზე დასვენებული ჭარისკაცი, რომელსაც მიცვალებულისაგან ძნელად თუ ვინმელა გაარჩევდა, ხანითან საკანში მიიყვანეს და იატაკზე დაასვენეს.

ქვადქცულმა გარნიზონის უფროსმა ყველას თანდასწრებით უაზროდ თვალგაშტერებულ ავადმყოფს სრულ ხეთწუთს უცქირა და შემდეგ ლითონის ზორხით დამარცვლით დაიქორიალა ერთადერთი სიტყვა — შურისძიება! უფარაჯო ჭარისკაცი იმავ წამს წამოდგა, ხანინისავე განკარგულებით აღრევე მიტანილი და იქვე კედელზე მიყუდებული ხელის ტყვიამფრქვევი აიღო და გარნიზონის უფროსის სადგომიდან კრინტის დაუძვრელად გავიდა.

ბოსფორის სახელმწიფოს ყოფილი განმგებელის პირისფარეშმა ზენონმა, მეფეთა აკლდამის გაძარცვა დაბინდების ეამს გადაწყვიტა, რათა შეღამებულზე შეუმჩნევლად გადაეცურა კიმერიის სრუტე და სამშობლოში უმდიდრეს კაცად დაბრუნებულყო.

საიდუმლო ზვრელთან ზენონი ლეღიას თანხლებით მივიდა, თან შუბი

და ტყავის ხალთაც მიიყოლა, მხევალი ჩასასვლელთან მეთვალყურედ დააყენა. ხოლო თავად ჩირაღდნით ხელში გვირბის კიბეზე დაეშვა.

ლელია უზარმაზარ ქვის ბურთს ამოეფარა, რომელიც ხერხელის თავთან იმდაგვარად დაედოთ, რომ საბიჯის მოკლალა სჭირდებოდა, რათა თავქვეშ დაგორებულყო და აკლდამაში ჩასასვლელი სამუდამოდ ჩაეგმანა.

პერისადის, მისი ქურუმებისა და მცველების უგზო-უკვლოდ გაქრობის საიდუმლოება ამჟამად ამ ორი ადამიანისთვის იყო ცნობილი, რაც შეეხება დრიოდეს, მისი გეამი უკვე მინდორში ეგდო და სვავ-ყორანთა საჯიჯგნად ქცეულიყო.

ზენონმა შუბის მოშველიებით ძლიერძლივობით შეძლო ლეკონ პირველის სარკოფაგის თავსადგამის გადახდა და როდესაც შიგ ჩაიხედა, სიხარბისაგან თვალები აუციმციმდა და ნერვიული სლოკინი აუტყდა.

მარტო უძვირფასესი თვლებით მოოჭვილი გვირგვინი და კვერთხი ერთ ქალაქს იყიდდა, ხოლო თასებს, გულსაკიდებსა თუ ბეჭდებს ვერც ერთი ოქრომჭედელი ფასს ვერ დაადებდა.

მხოლოდ ერთმა გარემოებამ შეაშფოთა ზენონი, სარკოფაგის გახსნისთანავე მეტისმეტად საეჭვო, მოხალულნი ნუშის სუნი რომ იუნოსა, მაგრამ ამისათვის დიდი მნიშვნელობა აღარც მიუნიჭებია, განაძი ფათათუთით ამოკრიფა, ტყავის ხალთაში გამოკრა და საიდუმლოდ ხერხელს ქურდი კატის სიმარადით აპყვა.

დღის ნათელს ჯერაც სრულად არ მიეტოვებინა პანტიკაპონის შემოგარენი, ზენონი რომ მიწის პირზე ამოვიდა და იქ მომლოდინე ქალს მრავლისმეტყველად გაუღიმა.

მუდამ ჩანმაგარი და ლაქალა პირისახის მქონე შეყვარებული ლელიას მეტისმეტად ფერმკრთალი ეჩვენა.

მეფეთა სამარხის მძარცველმა ქვის

სფეროს საბიჯი გამოაცალა, ოღონდ უბიძგა და დააგორა.

უმძიმესმა ბურთმა ნელინელ აიღო ქანი, წინასწარ ამოღებული თხრილით საიდუმლოდ ხერხელის ყელი მოძებნა, კიბეზე რახარახით დაეშვა და ბოთლის ყელივით შევიწროვებულ კედლებში საცობივით გაიჩხირა.

ზენონი რატომღაც გაკირვებით გაიმართა, უეცრად შუბლზე ცივი ოფლი მოასკდა, შემდეგ ერთიანად გაიხვითქა, მთელი სხეულით აცახცახდა და სული შეეხუთა.

გულთმისანივით წინასწარმეტყველი აღმოჩნდა თუტუ, როდესაც დათუ გააფრთხილა.

„მიცვალებულთა ძარცვა ამქვეყნად უდიდესი ცოდვია და, ეგეც რომ არ იყოს, როგორ გგონია, თუ პერისადმა ოცდაათ ოქროში ცოცხალი სიკვდილი ჩასვა, წლობით ნაგროვებ საგვარეულო საგანძურში რაღას ჩაამწყვდევდაო“.

მართლაც, ბოსფორის განმგებლის მიერ ეგვიპტიდან ამფორით ჩამოტანილი მომწამვლელი აირი, რომლითაც ყოველისმცოდნე ქურუმნი ფარაონთა პირამიდებში აკლდამებს ავსებდნენ და რომელიც პერისადმა მამის განსასვენებელ სარკოფაგში მარადიულ მცველად დატოვა, მასზე დაკისრებულ ჯალათის მოვალეობას შეუცდომლად ასრულებდა.

მიუხედავად ლელიას ყოველმხრივი მცდელობისა, ზენონმა ტანჯვა-წამებით დაღლია სული და ბოლომდე ერთგულმა საყვარელმა ქალმა, სხვა რომ ვეღარაფერი იღონა, მისი ცხედარი კლდის ნამტვრევებითა და ქვებით დაფარა, რათა ტურისა თუ აფთარის კერძი არ შექმნილიყო, შემდგომ უძვირფასესი საგანძურით ავსილი ხალთა ზურგზე მოიგდო და კამერიის სრუტის მიმართულებით დაეშვა; იქ, სადაც წინასწარვე გარიგებული მენავე ელოდა, რომელიც მშვიდობიანად და უვნებლად გააცილებდა მას ბოსფორის სახელმწიფოს საზღვრებს.



ყველანი ნაჩვევ ადგილზე შექუჩდნენ. წრე შეკრეს და მამლები ერთმანეთს რეს მიაგდეს.

ბოროტება რომ დაშინებული სამართლის შვილია, ამას ლოყაწითელი თომასი მაშინდა მიხვდა, როდესაც ფელდფებელ ფისნერის მუქარანარევი ბრძანებით პარტიზანთა დახმარებისათვის საკუთარი ხელით დაახვრეტინეს სამი გლეხაკი.

მთელი დღის განმავლობაში თომასი თავბრუსხვევამ და გულისრევამ გააწაჟა, დედის ხსენიც აღარ შეარჩინა, იმის ბლეილსა და ოხვრაზე ქიმიური ნაწილის ათეული ლამის სიცილით გაიგუდა. თითქოს უმეტესი გასართობი ქვეყნად არც ეხილათ.

შუალამისას ეშმაკთან ახლად წილნაცარი მკვლელი კარავიდან ნიფხავპერანგის ამარა გამოიძურწა, „სიკვდილის ყუთად“ წოდებულ გაზის მანქანის კარის სახელურზე თოკი ჩამოაბა, ყულფი გამოწასკვა და თავი ჩამოიხრჩო.

„კონტაპრუწა“ მაქსმა „მგელი“ ფისნერი დილაუთენია გააღვიძა და ეს სამარცხეინო ფაქტი აცნობა. ფელდფებელი შეშლილს დაემგვანა, ამ ამბის გამო რომ ჩინს არ მოუმატებდნენ, მშვენივრად იცოდა, ენაგადმოვადებული, გალურჯებული გვამი სახელურიდან თოკიანად ჩამოგლიჯა, ფეხქვეშ გაიგდო და წიხლებით შესღა.

მისი ხელქვეითები რომ არა, უსულოცხედარს, ალბათ, ტალახში ჩაგლისავდა, თუმცა შემდგომ გონს მოეგო, ყველას ენაზე კბილის დაჭერა უბრძანა, თომასს ყულფი შეხსნა, მანქანის საბურავს მიაყუდა და ხუთი ნაბიჯიდან შუბლში ტყვია დააქვდა.

ასეთი სიკვდილი ფიურერის ჯარისკაცისთვის გაცილებით ღირსეულად ჩათვლებოდა.

ნასადილეც, თანამებრძოლის დამარხვის შემდგომ, ათეულმა გუნება გამოიკეთა, როდესაც შარფიურერმა ლინსბერგმა საიდანაც ოქროსფერი მამალი მოიყვანა და ფისნერსაც დაენახლევა, შენ ჩემპიონს ჩემი ახალბედა ნახევარ საათს გაუძღვებო.

თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული, ფელდფებელის უძლეველ ბოლოწითელას ოქროსფერმა რომ სიქა გააცალა, მიმინოს ჯიშისა თუ იყო, ახლოსაც არ მიიკარა, ფრთით სცემდა და ყოველ წამოკვრაზე ნისკარტით მიწას ახვნევივებდა.

საბოლოოდ, მრავალნაცადმა მოჩხუბარმა ტანი ველარ აითრია, არაქათავალილი განერთხო და ახლა ყველა იმის მოლოდინში იყო, როგორც ჩაუჩეჩქავდა გამარჯვებული თავის ქალას დამარცხებულს, მაგრამ იმან მხოლოდ გარშემო შემოუარა, მერე განზე გადგა, გაიფხორა და რამდენჯერმე ვაჟაკურად დაიყვილა.

ფელდფებელმა წელზე შებმული ქარქაშიდან დანა იძრო, წაქცეულს ჩასწვდა, კისერქვეშ შეუტურა და ის იყო ყელში უნდა გამოესვა, რომ ენაბლუიოჰანის ღმუილმა შეაჩერა.

— ე... ეს ვინ... და...ა?! — თითის მიშვევრით იღრიალა იმან.

წრეში ჩაცუცქულები მინიშნებულ მხარეს შებრუნდნენ და გაოცებისაგან პირები დააბჩინეს.

ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ჰანს ფისნერმა ანისკა წამოაქცია და ქანჭკობში ჩაახრჩო, გამხდარი და წვერმოშვებული უფარაჯო ჯარისკაცი იდგა, ხელში მათკენ მიმინებელი ტყვიამფრქვევი ეკავა და თვალანთებული იცქირებოდა.

— თქვენ რომ გოგონა მოკალით, იმი-საგან ნობათი მოგიტანეთ! — ზორხისმიერი გერმანულით ამოიხრიალა ჯარისკაცმა და სასხლეტს თითი დააჭირა.

იქ მყოფ სულიერთაგან მხოლოდ ორნი გადაურჩნენ სიკვდილის ცეცხლოვან ცელს — ოქროსფერი და ბოლოწითელი მამალი, რომელთაგან ერთ-

თენავიზ ნალაუჩი

...და არ იყო ჩვენს შორის გმირი

თი აღმოსავლეთისაკენ გარბოდა, და მეორე დასავლეთისაკენ.

მშვიდობიანობის ეპის ნებისმიერ სახელმწიფოში. თვით უდიდეს ბოროტმოქმედთა თუ საღისტო მიმართ ჩადენილი შურისძიება და სისხლის აღება დანაშაულად ითვლება და კანონით ისჯება, მაშინ როდესაც ომიანობის პერიოდში იგივე ქმედება გამართლებულია და ამასთანავე მებრძოლისათვის ღირსეულ საქციელადაა მიჩნეული.

ამდგავარი სანაცვლოს მიზღვა, მართალია, შურისმაძიებელს სულიერ ტკივილს ვერ უამებს, მაგრამ დროებით მაინც გულს უღობობს და ნალველს უმსუბუქებს.

უფარაჯო ჯარისკაცს, განსაკუთრებული დანიშნულების ქიმიური ნაწილის ათეულის ამოყუყვის შემდეგ არც წუხილი განელდება და არც შვება უგრძობია, პირიქით, ბოკვერებწართმეული ვეფხვივით დაუნდობელი და სისხლისმოსურნე შეიქმნა.

მიუხედავად ხანინის ბრძანებისა, რომელმაც რაღაც ჩანაფიქრის გამო მტერზე ყოველგვარი თავდასხმა კატეგორიულად აკრძალა, უფარაჯო მარისკას მიერ აღმოჩენილი ზვრელით ყოველ დამით ფარულად ტოვებდა მიწისქვეშა სამყოფელს და პროფესიონალი მონადირისათვის შესაშური გამჭრიახობით გარიჟრაჟამდე ნადირობდა ესესელთა გუშაგებზე და პატრულზე.

ყოველივე ამას ისე შეუქმნევლად ახერხებდა, რომ მხოლოდ ფონ ბაბენბერგის ძილუკარება თვალი ამჩნევდა მის გაქრობას და იმასაც ხვდებოდა, რა ქარბორბალაც უტრიალებდა გულ-ღვიძლში ამ ოცი წლის ბიჭს, რომელმაც პირველი და ერთადერთი სიყვარული ესოდენ შემზარავად დაკარგა.

ამდენი უბედურებისა და ერთობლივად გადატანილი გაჭირვების შემდეგ, ეს ახალგაზრდა კაცი იმდენად ახლობელი შექმნილიყო გერმანელი არისტოკ-

რატისათვის, რომ მფრთხალი მშობელი ვით გამთენიამდე ელოდა მის გამოჩენას და მხოლოდ მაშინ მშვიდდებოდა. როდესაც დალილ-დაქანცული მარტოსული საკანში ბრუნდებოდა და ქვეშაგებზე უღონოდ მიეგდებოდა.

სადაცაა ორი თვე შესრულდებოდა, რაც აჯიმუშკაელთა გარნიზონი ალყაში იყო მომწყვდეული და გენერალ-პოლკოვნიკ ენნეკეს ღრმა რწმენით, იქ რამდენიმე ათეული ფანატიკოსი თულა იქნებოდა შემორჩენილი და ისინიც უთუოდ უკიდურესად დაძაბუნებული, სასიკვდილოდ მომჩვარული და აგონიაში მყოფნი, რადგან ვერც ერთი ნორმალური ადამიანი ფიზიკურად და ფსიქიურად უმეტესის გაძლებას ვერ შეძლებდა.

ამ დროს კი მიწისქვეშეთში სულ სხვა ამბები ხდებოდა.

ხანინი უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა, რადგან გუმანითაც და გონებითაც ერთდროულად ხვდებოდა, რომ ესესელები აჯიმუშკაის გარნიზონს რეალურ საფრთხედ და მოწინააღმდეგედ აღარ მიიჩნევდნენ, პირად შემადგენლობასაც ყოველდღიურად ამცირებდნენ და კავკასიის ფრონტზე აგზავნიდნენ.

ვიდრე მოალყენი მიწისქვეშეთელთა ახლად აღმოჩენილ გვირაბს ააფეთქებდნენ და ჩაგმანავდნენ, ქერჩელ პარტიზანთა ხელშეწყობით, გარნიზონმა სურსათიც საკმაოდ შემოზიდა და საომარი მასალაც უხვად მოიმარაგა.

ახლა, ხელმეორედ ძალამოცემული სამი ათასამდე კაცი ხანინის ბრძანებასა და ელოდა, რათა ზღუდე გაენგრია და მოსისხლე მტრის მშვიდად მყოფ, შეთხელებულ ნაწილებს თავს დასხმოდა, მაგრამ ქვად ქცეული უფროსი, ყველასათვის გაუგებარი მიზეზის გამო, ბრძანების გაცემას არ ჩქარობდა.

თუმცა, ადრე თუ გვიან, ეს დღე უნდა დამდგარიყო და დადგა კიდევ.

რვა ივლისს, რადისტ ბეგლოვსკის მოხერხებით საცნაური გახდა, რომ ფა-



მისტებმა სევასტოპოლელთა წინააღმდეგობა, როგორც იქნა, დასძლიეს და ქალაქი აიღეს, ხოლო გენერალ-ბოლკოვნიკმა ენეკემ, ამ ღირსშესანიშნავი გამარჯვების აღსანიშნავად ქერჩის საოკუპაციო ჯარისკაცებისათვის საყოველთაო დღესასწაული გამოაცხადა.

გამთენიისას, როდესაც მთელი დღელამის ღრებობითა და ლოთობით გონდაბინდულ ესესელთა ნაწილებს საღათას ძილქუშით ეძინათ, უფარაჯო ჯარისკაცისათვის ცნობილი პატარა ხერხელით მთელი მიწისქვეშეთი დედამიწაზე შურისსაძიებლად ამოვიდა.

ერთადერთი, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო და ბრძოლაში მონაწილეობა არ ინდომა, გერმანელი არისტოკრატი ფონ ბაბენბერგი იყო, თუმცა მისთვის ეს არც არავის უთხოვია.

თავდასხმის მოულოდნელი ოპერაცია ხანინს უმცირეს დეტალებში, წამიწამ და გოჯიგოჯ ჰქონდა გათვლილი და გაზომილი, ამიტომაც მოწინააღმდეგის ყოველი სადგომი, სამყოფი და განსაცხრომელი ისე აღმოჩნდა გარემოცული, რომ გონს მოსვლაც ვეღარაფერ მოასწრო.

გამარჯვებულთა დღესასწაული მათსავე სისხლიან ტრაგედიად იქცა. აჯიმუშაის მოალყე იქამად იქ მყოფი ორი ათასი ესესელიდან მხოლოდ ერთადერთი, მეჭინიბე გადაურჩა სიკვდილს და ისიც იმან იხსნა, რომ აზრდაშრეტლ მთვრალს მხარი ქცეოდა, გზაკვალი ვეღარ გაეგნო, თავლაში დასძინებოდა და ცეცხლის გახსნისთანავე მუცელზე ხოხვით გაედწია სამშვიდობოს.

გამთენიისას ხანინს მისი „მარჯვენა ხელი“ ბატალიონის მეთაურების თანხლებით წარუდგა და მოალყე მტრის სრული განადგურება ამცნო.

— ახლა გზა ხსნილი გვაქვს, — მოახსენა მანოხინმა, — მეეთვზეთა კაპარქები, ნავეები და სახელდახელოდ შეკრული ტივები სანაპიროზე გველიან, ტამანის ნახევარკუნძულზე გამაგრებული

ჩვენების არტილერიაც დაგვეხმარება და ხელს გაგვიმართავს სრუტის გაწვლა ლახვამი.

ხანინმა გაკვირვებით აზიდა დამძიმებული ქუთუთოები.

— მე აქ ვრჩები, — უღრიალა ხმით წარმოთქვა, — რადგან ჩემი ვალდებულება ბოლომდე არა მაქვს მოხდილი, სხვებსაც გამოუცხადე, მხოლოდ ნებაყოფლობით, ვისაც ჯერ კიდევ შერჩენია ძალა და სურვილი, ნუ მიატოვებს გარნიზონს.

ამ მოულოდნელი განცხადებისაგან მანოხინს ყვრიმალეები აუფორაჯდა.

— ეს ხომ თვითმკვლევლობას უდრის? — ცხოვრებაში პირველად შეჰბედა შეპაექრება უფროსს.

— თავგანწირვას, — შეუესწორა ხანინმა, — ეს ყოველმა მოხალისემ ზედმიწევნით უნდა შეიგნოს.

მანოხინი სილაგაწულვივით შემცბარი შეტრიალდა.

„ამდენი უბედურებისა და ტანჯვა-ვალების გადამტან ხალხში, ათი კაციც არ აღმოჩნდება მაგის შემძლე, — ფიქრობდა მიმავალი, — თუმცა ორი მათგანი ახლავე ვიცი... მე და უფარაჯო ჯარისკაცი“.

თავით-ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი და უკვე წასასვლელად გამზადებული სამი ათასი კაცი მთავარ ქვაბურსა და მისგან გამავალ გვირაბებში ელოდა გარნიზონის დატოვების უფლების მიღებას.

მანოხინი ქვაბურის შუაგულში მდგომ რკინის კასრზე შედგა, რკინიგზელის ფარანი თავზევით შემართა და ყურადღება ბრძანა.

— ამხანაგებო, — თითქმის ღრიალით დაიწყო, — გარნიზონის უფროსი გილოცავთ სახელოვან გამარჯვებას და მამაშვილურ მადლობას გიხდით თავდადებისა, გამირობისა და ჭირთათმენისათვის, ახლა ყოველ თქვენგანს ეძლევა უფლება დატოვოს კატაკომბები და ორგანიზებულად ჩვენს მებრძოლ არმიებს შეუერთდეს.



აქ მან ცოტა ხნით შეისვენა, მათარი-
დან წყალი მოსვა და ჩაბრინწული ყელი
ჩაიწმინდა.

— თავად გარნიზონის უფროსი და
მასთან ერთად მეც, აქ ვრჩებით, — უკ-
ვე ჩვეულებრივი, სასაუბრო ხმით განა-
გრძო, რადგან ირგვლივ ისეთი სიჩუმე
ჩამომდგარიყო, თითქოს ქვის კედლებს-
ღა ებაასებოდა, — ჩვენ საშუღამოდ
ვრჩებით კატაკომბებში, რადგან
ვთვლით, რომ იმ წმიდათაწმიდა საქმი-
სათვის, რომლის გამოც ვიბრძვით, ასეა
საჭირო, ამას გვაკლავდებულებს სამშო-
ბლოს წინაშე მარად მოუხნელი მოვა-
ლეობა.

მანოხინმა სათქმელი მომთავრებუ-
ლად ჩათვალა და სიტყვაც აღარ დაუ-
მატებია, ისე ჩამობობლდა კასრიდან.

წუთზე მეტი ხნის განმავლობაში
კრინტიც აღარავის დასცდენია, ყველა
თავ-თავის საფიქრალს ჩაღრმავებოდა
და საკუთარ მეორე „მეს“ ეჭიდებოდა,
ყოველ ჯარისკაცსა თუ ოფიცერს მი-
ტოვებული ოჯახი ედგა თვალწინ, ცოლ-
შვილი, მშობლები და ახლობლები, დი-
დი და სრულმხრივი განსჯა სრულები-
თაც არ იყო საჭირო იმის დასადგენად,
რომ ვერც ერთი აქ დამრჩენთაგანი ვე-
ლარასოდეს იხილავდა მზის ნათელს,
რადგან ასეთი მარცხის შემდეგ ფაში-
სტები არც რაიმეს მოერიდებოდნენ და
აღარც არაფერს დაინანებდნენ სამა-
გიეროს მიზღვისა და შურისძიებისათ-
ვის.

— ჩვენ როგორღა მოვიქცეთ? — თი-
თქმის ჩურჩულით იკითხა ვილაცამ და
უცნობის ამ ნათქვამმა საყოველთაო
სატკივარი გააცხადა.

— ეგ თავად უნდა გადაწყვიტოთ, —
მშვიდად მიუგო მანოხინმა, — პირადად
მე ვერც რჩევას მოგცემთ და მით უმე-
ტეს, ვერც ვერაფერს გიბრძანებთ, წა-
მსვლელები გასასვლელთან მოეწყვეთ,
დამრჩომნი კი ჩემგან ხელმარცხნივ
განლაგდით.

როდესაც მანოხინი ფიქრობდა, ასე
უღმერთოდ ნატანჯ ხალხში ათი კაციც

არ აღმოჩნდება ამის შემძლეობის
თვითუნებურად ერთ მნიშვნელოვან
ფაქტს არ ითვალისწინებდა — ყოველ
მიწისქვეშეთელს რომ ადრევე შეეძლო
თავის შევლაც, გარნიზონის უნებართ-
ვოდ მიტოვებაც და თუნდაც ავადმყო-
ფობის სიმულორებით ევაკუაციაში მი-
მავალი მშვიდობიანი მოსახლეობის
თანხლებაც. მაგრამ ყველაფერი თვა-
ლისდახამამებში არ მომხდარა, რად-
გან თვით უმამაცესი და სულიერად
უმტკიცესი ადამიანიც კი, რომელსაც
ბრძოლის დროს დაუფიქრებლად შეუ-
ძლია თავგანწირვა, საკუთარი ყოფნა-
არყოფნის მშვიდი არჩევანისას, უცბად
და ხელადებით ვერ გადაწყვეტს სიცო-
ცხლისაკენ გადადგას ნაბიჯი თუ სიკე-
დილისკენ იბრუნოს პირი, მით უმეტეს,
თუ მეომრული ვალი უკვე ნათლად და
პატიოსნად აქვს მოხდილი.

პირველი, ვინც გარნიზონის კომი-
სარს მხარში ამოუდგა, უფარაჯო ჯარის-
კაცი აღმოჩნდა, შემდეგ სხვებიც დაიძ-
რნენ და წინასწარშეთანხმებულებივით
ერთი თუ აქეთ წამოვიდოდა, მეორე
გასასვლელს მიაშურებდა, მაგრამ რო-
დესაც დამრჩენთა გვერდით მეცხრე კა-
ცად გერმანელი არისტოკრატი ოტო
ფონ ბაბენბერგიც დადგა, წამსვლელთა
რიგს თითქმის აღარავინ შემატებია.

— თქვენ სრული მორალური უფლე-
ბა გაქვთ კატაკომბების მიტოვებისა,
— მიმართა მანოხინმა არქეოლოგიის
დოქტორს, — რადგან თავისუფლება
ჩვენდამი გაწეული ამაგით დაიმსახუ-
რეთ.

— არა მაქვს, — მშვიდად იუარა
იმან, — ამასთანავე, არც მებრძოლად
გიერთდებით, თუმცა, იმედი მაქვს, რა-
იმეში კვლავინდებურად გამოვადგეთ.

ორი ათას ცხრაას მოხალისეში მანო-
ხინმა მხოლოდ ათასამდე კაცი ცნო ვა-
რგისად და ამისათვის დიდი ჯაფა არ
დასდგომია, უბრალოდ, ყოველ მათგან-
თან მიდიოდა და ორივე ხელით მხრებ-
ზე ღონივრად აწევებოდა, ის, ვინც ჩაი-
მუხლებდა, ვალდებული იყო გარნიზო-



ნი დაეტოვებინა, ვინც გაუძალიანდებოდა, მიწისქვეშეთის მარადიულ მებრძოლად რჩებოდა.

ერთადერთი, მანოხინის ნებადაურთველად რომ დარჩა კატაკომბებში, ხელში ჩვილატატებული შეშლილი მარია იყო, რომელიც სად დაძრწოდა, თვით მამაზეციერმაც არ უწყოდა.



კიმერიის სრუტის ჩრდილოეთ სანაპიროზე, ხშირ ჩირგვებში შეყუყუთული ტანშიშველი გოლიათი დათჰუ, დაბინდება-მდე ზევრავდა გარემოს, ხოლო შემდგომ, როდესაც მისი მეორე უდიდესი სალოცავი კერა — ღამის მნათობი მოველინა ქვეყანას, ფრთხილი ნადირივით დაეშვა წყლისაკენ, სილაზე უპატრონოდ მიტოვებული მეთევზის ნავი ზღვაში შეაცურა და გაღმა მხარეს მშვიდობიანად გააღწია...

პერისად პირველის მიერ მამის სარკოფაგზე დატოვებულმა ოქროს სტატირებმა დიდი სამსახური გაუწია ყოფილ მონას; ბერძენთა ქალაქ-პოლის გერმონასაში მეორე დღესვე გაუჭირვებლად შეიძინა მდიდრული ტანსაცმელი, საგზალიც მოიპარავა და კვირის თავზე დიოსკურიისაკენ მიმავალ ფინიკიელი ვაჭრის აფრებიან გემზე ფრიად საპატივცემულო მგზავრად აბრძანდა.

ერთმა მოულოდნელმა შეხვედრამ აქაც განაცდევინა თითქმის მივიწყებული შიში და ძრწოლა დათჰუს, როდესაც უკვე ტალღებზე ატორტმანებული გემის გემბანზე, ბოსფორის განმგებელის მხევალს, ლელიას შეეფეთა.

ძველმა ნაცნობებმა ერთურთს თვალი აარიდეს და უბრად გაშორდნენ, მაგრამ როდესაც ათი დღის მგზავრობის შემდეგ ჰორიზონტზე მზით ვაცისკროვნებული კოლხეთის ცისფერი მთები გამოჩნდა, ატრემლებული ლელია თავად მიეჭრა დათვივით აღრიალებულ დათჰუს და მკერდში ჩაეკრა.

არც არაფერი იყო გასაოცარი იმაში, რომ ისინი აღარასოდეს დაშორდებოდ-

ნენ ერთმანეთს, ანდა რომელი მათგანი იპოვინდა ისეთ მეწყვილეს, რომელსაც უმეტესად ეკოდინებოდა მონობის უღლის სიმძიმე, თავისუფლების ფასი და სამშობლოში დაბრუნებით გამოწვეული ბედნიერება.

კოლხეთის მთიანეთში მამაპაპისეულ კარ-მიდამოში დაბინავებულ მოსიყვარულე ცოლ-ქმარს წლის თავზე ბიჭი შეეძინა და უპირველესი, რაც მამამ მოიმაჟმედა, ის იყო, რომ ჩვილი დღის ნათელზე გამოიყვანა, მაღლა აზიდა, პირისახით ახლად ამომავალ მზის სხივებს მიუშვირა და ყურადღებით შეაცქერდა.

სრულიად საღსალამათ ბიჭს მეტისმეტად უცნაური თვალები ჰქონდა, მარცხენა უღრუბლო მაისის ზეცასავით ლურჯი და მოკამკამე, ხოლო მარჯვენა კარბონატივით შავი და სხივმფრქვეველი.

და მაშინ ათვის ძალამოცემულმა გოლიათმა ისეთი ტკივილიანი ხმით დაიღრიალა — „თუტუ!“ რომ ამ სახელმა გრგვინვასავით გადაუარა მთებსა და ზღვებს, ბოსფორის სახელმწიფოსაც უწია და მეფეთა ლაბირინთში მთვლემარე ბოროტი ურჩხული კიანფა მზედასიზმრებულებით დაფეთებული წამოაგდო.



ცნობამ პარტიზანთა მიერ ქერჩის ნახევარკუნძულზე ორი ათასი ურჩეულესი ესესელის გაყლეტის შესახებ თვით ფიურერის ყურამდე მიადწია და დიდი სიდარბაისლით არცთუ ადრე გამოჩნეული მესამე რაიხის ბელადი ავზნეშეყრილს დაემსგავსა.

ტუჩზე დუჟმორეულმა „ერთგული ვაჟების დამკარგავმა“ მამამ, გადთეთრებული თვალები წამწამებზე გადმოიკიდა და სუნთქვაშეკრული გენერალიტეტის წინარე, მშობიარე ქალის ხმით, ნახევარსაათიანი მოთქმა-გოდება გამართა, რომლის საბოლოო აზრი რთულ ქვეწყობილ წინადადებად ჩამოაყალიბა:



„წყველთა შორის უმეტარვალესი აქიმუშკაის გარნიზონის განდგურებასთან ერთად. მისი არსებობის მიმინძმნეველი ფარატინა ჭაღმადიციკლ კეჭბლს და დავიწყებას უნდა მისცემოდეს რათა ისტორიას იქაური ავაზაკების მოხსენების საშუალება სამარადეთამოდ მოსპობოდეს“.

ახალი მესიის ამ განაჩენის აღსასრულებლად ქერჩში დაუყოვნებლივ იქნა მივლინებული გენერალ-ლეიტენანტი შონპარტი — ფაშოზმის იმპერიაში და მსჯელი ექსპედიციების მოწყობის უდიდესი სპეციალისტი, რომელსაც ყოველგვარი მოქმედების განუსაზღვრელი უფლებები მიენიჭა.

მიუხედავად ფრონტისა და საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალთა წინააღმდეგობისა, ფიურერის ნების აღმსრულებელმა გენერალმა ათი ათასი ესესელის სასწრაფო გადაჯგუფება მოახდინა და აქიმუშკაის კატაკომბებს იმ ზღაპრული გველუშაბივით შემოერტყა, სამ რკალად დაგრაგნილს კუდი რომ პირში აქვს გაჩრილი და კოშკში გამოკეტილი მზეთუნახავი რგოლებში ჰყავს დატყვევებული.

თუმცა ამ შემთხვევაში, უმწიერად აცრემლებული ქალწულის ნაცვლად, მიწისქვეშა ციხესიმაგრეში მრავალნაცადი ბებერი მანგუსტა იყო გამოწყვდებული, რომელიც მიუხედავად დაცვეთილი კბილებისა და დაუძღვრებული სხეულისა, ეამიყამ მაინც ახერხებდა სოროდან გამოსხლტომას და საკმარის მწარედაც იკბინებოდა.

ცნობილია, რომ ზღაპრებში ბოროტების მძლეველ მზეკბატუქს მრავალი მეგობარი და გულშემატკიავარი ჰყავს — ბრძენი მოხუცი, კეთილი ფერია თუ მფრინავი რაში, აქიმუშკაის გარნიზონი კი ყოველი მოკეთისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა და თავადაც კარგად უწყოდა, დახმარების იმედიც რომ აღარავისი უნდა ჰქონოდა.

ტამანის ნახევარკუნძულიდან ყოველ ღამით ხედავდნენ, როგორ ისერე-

ბოდბა ქერჩის ღამეული ზეცა ტყველთა ცეცხლოვანი ზოლებით, ესმოდათ გერმანელთა ზარბაზნებისა თუ ნაღმტყორცნების ზატყი და სულთმოობრძავ თანამომეო, ოტერა-გმინვაააც გრძნობდნენ, მაგრამ, თავადაც უმძლავრეს მარწუხებში მოქცეულთა არა თუ განწირულთა მიშველება, მომხვედური მტრის შეკავებაც მეტისმეტად უჭირდათ.

კიდევ სამ თვეზე მეტხანს უმკლავდებოდა ათასი კაცი ათი ათასს, და თუ მიწისქვეშეთელთა მსხვერპლი აუნაზღაურებელი იყო, მოალყეებს დანაკარგი ისევე ევსებოდათ და უმართლდებოდათ, როგორც გველ გარინიჩს მოკვეთილი თავები.

ქერჩის წმინდა ვასილის ეკლესიის მალაღობრის მოძღვარი ალექსი ბონდარენკო რომ მომწამვლელ გაზეხს არ ემსხვერპლა და იმის ნათელმხილველად დარჩენილიყო, თუ როგორ სრულად შეიმეცნეს და გაისიგრძეგანეს ქვესკნელში მოხვედრილებმა კეთილისა და ბოროტის პირველყოფილი არსი, ბიბლიაში მრავალგზის ამოკითხულ იეპოვას მომდევნო განსჯა-მსჯავრსაც უცილობლად გაიხსენებდა:

„და თქვა ღმერთმან: აჰა, ადამ იქმნა ვითარცა ერთი ჩვენთაგანი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა. და აწ განწვადოს ხელი თვისი და მოწყვიტოს ნაყოფი ხისაგან ცხოვრებისა და ჭამოს, და იცოცხლოს მარად“.

ამქვეყნად ყოველივეს იმთავითვე მიეცა დასაბამი და დასასრული — სიცოცხლეს, სიყვარულს, უძლეველ ძალას თუ უღრეკ ნებისყოფას.

ეამი აღსასრულისა აქიმუშკაის გარნიზონსაც დაუდგა.

კომისარი მანოხინი ამას ნოემბრის მეორე კვირის დამდეგს მიხვდა, როდესაც გარნიზონის უფროსს უკანასკნელად ესაუბრა.

მანამდე თვეზე მეტხანს არ ენახა ხანინი, რომელიც უკვე გარდაცვლილი და გაქვავებული ეგონა, ამასთანავე, აღარც თავად გააჩნდა ძალ-ლონე იმის საკნამ-

დის მილასლასებულიყო, რადგან მუხ-
ლებმა სამუდამოდ უმტყუნა.

ახლა კი ინსტინქტურად იგრძნო ზემო-
დგომიან ხლებს უსიტყვო ბრძანება,
უფროაჲო ჭარისკაცს, რომელსაც ჯერ
კიდევ შეეძლო ბორძიკით გადაადვილ-
ება, სთხოვა ყავარჯანად შედგომოდა
და რის ვაი-ვაგლახით გარნიზონის უფ-
როსისაკენ გასწია.

ერთიმეორეს გადაქდობილი, საფრ-
თხობელებივით ჩამოძონძილი და ჯო-
ხად ქეუელნი, ძლივს მიბანცალდნენ
ხანინის სადგომამდე და, უბირველესი,
რამაც გააოცათ, იქიდან გამომავალი სი-
ნათლის ჭავლი იყო.

გაქვევებული და ენგისფერდაკრუ-
ლი გარნიზონის უფროსი კვლავინდე-
ბურად უჯდა ძველებურ საწერ მაგიდას,
რომელზეც ერთ დროს ყბადაღებული
ბაგეროველი გლეხის შუქმფინარი ნავ-
თქურა იდგა.

კომისარსაც და ჭარისკაცსაც რადაც
ეუცხოვათ მის გარეგნობაში და როდე-
საც ყურადღებით დააკვირდნენ, მო-
ულოდნელი აღმოჩენით შეკრთნენ.

მარჯვენა ხელი, რომლის მტევანიც
ხანინს, ჩვევისამებრ, კიტელის მესამე
და მეოთხე დილ-კილოებს შორის ჰქონ-
და შეჩურთული, ახლა მხარში მოკვე-
თილი აღმოაჩნდა და მის ადგილზე ქამა-
რში გაჩრილი მომჩვარული, სახელო
ეკიდა.

— დღეს ხუთი თვე შესრულდა ჩვენი
აქ შემოხიზვნის დღიდან, — ამცნო მათ
გარნიზონის უფროსმა ისე, რომ თვა-
ლიც არ დაუხამხამებია, — ზამთრის
დადგომადე ოცდაერთი დღეა დარჩა.

„მაგას ჩვენთვის აღარავითარი მნი-
შენლობა არა აქვს.“ — მომაკვდავი
კაცის ირონიით გაიფიქრა მანოხინმა.

— აქვს და საკმაოდ მნიშვნელოვანი,
— მიუხედა ხანინი, — ამას მერე აგი-
ხსნი, ახლა ეს მიპასუხე, რამდენი მებ-
რძოლია გარნიზონში?

კომისარმა გაკირვებით გაიქნია თავი
და ნიკაბი მკერდზე ჩამოუვარდა.

— არც ერთი, — პირდაპირ ურიდებლად გაუმხილა.

ხანინი გაყუჩდა, ერთ წერტილს მიჩე-
რებული თვალის გუგები ნელ-ნელა გა-
უფართოვდა.

— როგორ, — წყენანარევი ინტო-
ნაციით ამოთქვა, — სამოცდაცამეტ კა-
ციში ერთიც აღარა ხართ მეომარი?!

„ესეც რომ ზუსტად სცოდნია“, —
გაიკვირვა მანოხინმა, — კაცი რომელ-
საც წყვილი ვაზნაც არ გააჩნია და იმ-
დენადაა დაუძღურებული, რომ წამო-
დგომაც უქვოს, მეომრად ვერ ჩაითე-
ლება, — მორიდებული დუდღუნით შე-
ეპაექრა.

გარნიზონის უფროსს გაციებული
მზერა ბენგალიური ცეცხლის ალით
აუკიაფდა და როდესაც კვლავ აღაპარა-
კდა, ამკარად შეემჩნა, რომ ყოველი
სიტყვის ამოთქმა დიდ ტანჯვად უღი-
რდა.

— ზამთრის დადგომამდე მანც უნდა
გაუძლოთ, — ცხოვრებაში, ალბათ, პი-
რველად შეებარა თხოვნა ხმაში, —
სულ ოცდაერთი დღე, გესმის, კომისა-
რო, ეს ჩემი უქანსკენელი ბრძანებაა;
მხოლოდ პირველ დეკემბრამდე... ვი-
ცი, რომ წარმოუდგენელს გავალდე-
ბულებთ, მაგრამ მანც უნდა შეძლოთ!

— ვხვდებით, — უგერგილოდ და-
ეთანხმა მანოხინი, ისე რომ მკერდზე
ჩამოგდებული თავი არც აუწევია, სა-
თავისოდ კი სხვა გაიაზრა — „ეს იმას
ჰგავს, მიცვალებულს რომ საკუთარი
კუბო აჰკიდო და სასაფლაოზე მიტანა
უბრძანო“.

ხანინმა გაავებით დაიხრიალა, ჩაქ-
ყლეთილი საყვირის უსიცოცხლო ხმა
გამოსცა და ისეთი რამ თქვა, რომ მისმა
მისაგათებულმა მსმენელებმა საკუთარ
ყურებსაც აღარ დაუჯერეს.

— ჩემგან ხელმარჯვნივ, უჯრაში ყვე-
ლა სახეობის იარაღის ვაზნები აწყვია,
ხოლო მარცხენა, შაქრითაა საფხე... წა-
იღეთ და იმოქმედეთ!

ამ სიტყვების გაგონებაზე უფარაჲო
ჭარისკაცს ყბა მოექცა, დაასლოკინა.



მერე კისერზე გადადებული კომისრის მკლავი მძიმე უღელივით გადმოაგდო, წინწაქანებული ბანცალით დაიძრა, საწერ მაგიდას ნებებით დაებჯინა და გარნიზონის უფროსს სახეში შეაეჭქრდა.

— ეგ ხომ გამიზნული დესპოტიზმია! — კბილების ღრქიალით ამოიგმინა, — წინასწარგათვლილი, უსულგულო და საშინელი... — აქ ჯარსკაცს მღელვარებისაგან ნერვიული ხველება აუტყდა და ხუნაგმეყრილივით ახავდა. — როდესაც ჩვენი უერთგულები თანამებრძოლნი შიმშილით იხოცებოდნენ, — განაგრძო სულის მოთქმისთანავე, — ხოლო ნებისმიერ მათგანს ერთი კვნიწი კი მთელი დღით გაუხანგრძლივებდა სიცოცხლეს, თქვენ... დიახ, თქვენ, ჩვენი მეთაური და წინამძღოლი, ამდენ შაქარს ბებერი ძუნწივით სინდისის უქეგნელად მალავდით. როგორ შეგძლოთ ასეთი მზაკვრობა, ანდა რისთვის და რა მიზნის გამო?!

გარნიზონის უფროსს ჯარისკაცის ბრალდებაზე არც ნიჩი შეუცვლია და არც წარბი შეტოკებია, კვლავინდებურად მოპირდაპირე კედელს მისჩერებოდა, მზერაგაციებული და სრულიად უგრძნობელი.

როდესაც უფარაჯომ სათქმელი მოამთავრა, ხანინი მოშლილი რადიომიმღებივით ახრიალდა.

— ეს გამიზნული დესპოტიზმი კი არა, კარგად ვათვლილი და გონებით აწონილი ჰუმანიზმია... მართალია, უბულო და ცივი, მაგრამ მაინც ჰუმანიზმი, — დარწმუნებით განუმარტა, — თქვენ ამჟამად კატაკომბების გარშემო ათი ათას ესესელს აყოვნებთ, სხვა ადგილზე და სხვა გარემოებაში ყოველი მათგანი კვირაში ერთ ადამიანს მაინც იმსხვერპლებდა და რადგან გარნიზონმა ოცდაერთ დღეს კიდევ უნდა გაძლოს და გაძლებს კიდევ, უბრალო არითმეტიკული გამოთვლითაც დაადგენთ, რომ ამ ხნის განმავლობაში, სულ მცირე, ოცდაათი ათასი თანამემამულის სიცოცხლეს იხსნით... ვესმით, ოცდაათი ათა-

სისას... იმაზე გაცილებით მეტს, ვიდრე დენიც აქ ჩამოხიზნის დღეს ვიყავით. ხანინი წამით დადუმდა, აღბათ, ის პირველი დღე თუ ვაიხსენა.

— რაც ამ უჯრებში აწყვიტა, ჩემი კოთენილი ულუფის ზეპირიანობათაა და გროვილი... წაიღეთ, ოცდაერთ ნაწილად გაყავით და ყოველდღიურად განაწილოთ... დაიხსომეთ — ყოველდღიურად... ჩვეულად და უნარიანად იმოქმედეთ... რწმენა, მოვალეობა და მომავლის იმედ იყოს თქვენი შემწე...

ლოცვასავით წარმოთქმული ამ სიტყვების მომთავრებისთანავე გარნიზონის უფროსს თვალები ნელინელ მიეხლიტა, რაც მხუთავი გაზების ჩამოშვების შემდეგ პირველი შემთხვევა იყო, მერე მკვეთრად, ციბიანივით გააქროლა, მხრებში ძალუმად გაიმართა, მომჩვარული სახელო მალა დროშასავით აიქნია და ისეთი მყიფე ჭახანის ხმა გამოსცა, თითქოს მთლიანი სალი კლდე გაიპოო.

— ვაი, დედა! — განაწამები ხმით ამოიგმინა და სამუდამოდ გაირინდა.

მრავალი ადამიანის აღსასრულის შემსწრე კომისარიც და ჯარისკაციც, ჯერ განუცდელი შეგრძნებით დაზაფრულნი შეაეჭქრდნენ გარნიზონის უფროსის გარდაცვალებას, ხოლო შემდეგ, როდესაც ხანინის ბრინჯაოსფერმა სხეულმა თვალდათვალ იწყო გათეთრება და ყინულივით გამჭვირვალეც გახდა, ორივეს ისეთი თაგზარი დაეცა, თითქოს სამყაროს დაქცევას ესწრებოდნენ.

საკანში გაუსაძლისი ყინვა და სუსხი დატრიალდა, ნესტიანი კედლები წაშში დაითრთვილა, ნავთქურის შუშა ჯერ წრიბინით დაიბზარა და მერე უთვალავ ნაწილად დაქუცმაკებული ჩამოიფშენა, პატრუქის ალი მოიკუნტა, შემცივნებული ძაღლის კუდივით აცახცახდა და ჩაქრა.

მაგრამ ირგვლივ მაინც ნათელი იდგამოლოდ უკვე უსიცოცხლოდ მოცისფრო, რომელსაც ხანინის გამჭვირვალე



სხეული ფოსფორისებური ციაგით გამოსცემდა.

გათოწილმა, ერთიანად თრთოლვა-ატანილმა თანამებრძოლებმა უკუსვლით დაიხიეს გასასვლელისაკენ და როდესაც საკანის კარში გაიჭურწნენ, ორივეს შაჭრითა და ვაზნებით ავსილი ტოპრაკები ჰქონდათ ჩაკრული მკერდში, რომელიც ვინ მიაჩნათ და როდის, აღარ ახსოვდათ.

ჩაბნელებულ გვირაბში ტორტმანით მიმავალი კომისარი, რომელსაც რაღაც სასწაულით იმდენი ძალა მისცემოდა, რომ სხვათა დაუხმარებლად შეეძლო გადაადგილება, უკვე იმაზე ფიქრობდა, როგორ შეესრულებინა გარნიზონის უფროსის უკანასკნელი ბრძანება ბრძოლით ოცდაერთი დღით გაძლების თაობაზე.

უფარაჯო ჭარისკაცი კი იმას ჰკვირობდა, თუ რანაირად შეეძლო ამდაგვარი რწმენის, შეგნების და სიმტკიცის ზეადამიანს, როგორიც ხანინი იყო, აღსასრულის ეამს ბოლოთქმად არ წარმოეთქვა ისეთი დიდი მცნებები, როგორცაა „სამშობლო“, „თავისუფლება“ ან „გამარჯვება“ და მათ ნაცვლად ამოეგმინა მთლად უბრალო, ყოველდღიური სიტყვა — „დედა!“



პირველ დეკემბერს, გამთენიისას, მთავარი ქვაბურის სამხრეთ კუთხეში მიმჯდარმა ფონ ბაბენბერგმა გვერდით კედელზე მისვენებულ უფარაჯო ჭარისკაცს მხარზე ხელი მძიმედ ჩამოაყრდნო და ძალამილეული, ჩახრინწული ხმით ჰკითხა:

— როგორ გგონიათ, რატომ არის მსოფლიო ისტორია ძირითადად ერთიმეორეს გადაბმული, გაუთავებელი ომების ამსახველი მატთანე?

უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში ისინი შეუჩერებლად ბჭობდნენ არსებულზე და არარსებულზე — სამყაროზე, ღმერთზე, სიკვდილ-სიცოცხლის არსზე, ბოროტებასა თუ სიკეთეზე, და ადამიანის ამქვეყნიურ დანიშნულებაზე.

მსჯელობდნენ და ბაასობდნენ რაღაც კი ოდესმე აინტერესებდათ. აფიქრებდათ და ალელვებდათ. რადგან კარგად გრძობდნენ, რომ აღსასრულს, რომელსაც ამდენი ხანი ეწინააღმდეგებოდნენ და ებრძოდნენ, გარდაუვლად მოეღწია.

დავრდომილნი და ხორციელად გამოფიტულნი, იმ ძნელადმისაღწევ ზღვარს იყვნენ გადამცდარნი, როდესაც დიდი ხნობით ნაშინაშლივე ადამიანს, საჭმლის ხსენებაც კი ზიზღს ჰგერის, ხოლო უსაშველოს მოლოდინით შეპყრობილი, ადგნებული გონება წყნარდება, იწმინდება, შინაგანი შუქით ნათდება და უჩვეულო აღმაფრენას განიცდის.

მანოხინი მათ საუბარში არ ერეოდა. რადგან სურავანდისაგან კბილებდაცვენის, ტუჩ-პირი ერთიანად დასივებული და დაწყულულებული ჰქონდა.

ბოლო ოცდაერთი დღის განმავლობაში, ის სამოცდაცამეტი კაცი, აჯიმუშკაის მატთანეს დიდი, წითელი წერტილის დასმით რომ ასრულებდა, მწოლიარე იბრძოდა, რადგან არა თუ გარეთ გაჭრის და მტერზე თავდასხმის, ადგილიდან დაძვრის ნიათიც კი აღარავის გააჩნდა.

გენერალი შონჰარტი, რომელიც კვლავინდებურად ფლობდა დამსჯელი ექსპედიციების საუკეთესო სტრატეგის ტიტულს, ყოველდღიურად აიძულებდა ესესელებს იერიში მიეტანათ კატაკომბებზე, თუმცა მომხდურის ამ მოქმედებას იერიში კი არა, უფრო ხაფანგში მოყოლილი და დიდი ხნის ქანცავილი ნადირის მისაკლავება ეთქმოდა.

„ხანინის ანდერძის აღმსრულებლებმა“, — ასე შეარქვა კომისარმა მანოხინმა ცოცხლებში დროებით დარჩენილთ, თავდაც მოისაზრეს გაეკეთებინათ ვაკანათის მავგარი რამ მონადირეთა გასაბმელად.

ერთ დროს ყველგან მიმოფანტული კონსერვის ცარიელი ქილები შეაგროვეს, ერთიმეორეს თოკით გადააბეს და



გასაშრობი სარეცივიტო გარდიგარდმო გაჰკიდეს გვირაბებში.

ახლა, როდესაც წყვარამ ჭურღმულს მომწყდარი მტერი გზის განათებასა და დამხვედურთან ჭიჭურ მიჭრას ცდილობდა, ფანრის შუქი საუკეთესო სამიზნის როლს ასრულებდა, ხოლო თუ მიპარვითა და ჩქამდაუცდენლად აპირებდა მიახლოვებას, მაშინ თუნუქის ქილები ერთგული დარაჯებებით სტეხდნენ უღრილსა და განგაშს.

საკმაოდ მრავალრიცხოვანი და უაზრო მსხვერპლის გაღების შემდეგ შონპარტმა, მართალია, იძულებითი, მაგრამ მაინც ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილება მიიღო — ლოდინი.

„რატომ არის მსოფლიო ისტორია ერთიმეორეს გადაჯაჭვული ომების ამსახველი მატინე?“

ეს აზრი ფონ ბაბენბერგს პირველად იმ დღეს აღედრა, როდესაც ფლატეზე გარინდული, იმის უნებლიე მხილველი შეიქმნა, თუ როგორ ამოხოცეს მოალყეებმა მეფეთა ლაბორინტიდან გამოცვენილი პარტიზანები და შემდეგ რა სისასტიკით დააგლოჯინეს დობერმან პინჩერებს რამდენიმე კაცი. პასუხი ამ კითხვაზე გერმანელმა არისტოკრატმა მაშინვე გასცა ამგვარი განმარტებით: „ალბათ, იმის გამო, — გაიფიქრა მან, — რომ ღმერთმა და ბუნებამ ერთდროულად და ტოლწილად არ ჩასახა ადამიანში გონება და სიკეთე“.

თუმცა ბოსფორის განმგებელთა აკლამაში მოხვედრისა და იქ ამოხოცილ მონათა ჩონჩხების ხილვის შემდეგ, მან პირვანდელი შეხედულება შეცვალა და სხვაგვარად ჩამოაყალიბა აზრი: „იმიტომ, რომ ისტორიას უმეტეს შემთხვევაში ღვთაებათა რანგში აყვანილი არაკაცები ჰქმნიდნენ“.

ისეთი აბსურდული და დოგმატური ცნებები, როგორც არის რელიგიური ომები, ანდა ერებისათვის სასიცოცხლო სივრცეების მოპოვება თუ სხვადასხვა პოლიტიკურ წყობათა უცილო-

ბელი შეჯახებები, მან თავიდანვე ყო და უკუაგდო, რადგან გონებაჩლუნგი ბავშვისთვისაც საცნაური უნდა ყოფილიყო ამგვარი კონცეფციების დანიშნულება — მათი მეოხებით. აღზევებულთა კიდევ მეტად განსადიდებლად, ახალი და უფრო სისხლისმღვრელი ომების გამართვა.

იმ ხნის მანძილზე, რაც გერმანელმა არისტოკრატმა მიწისქვეშეთში დაპყრო, ამ თემაზე მრავალგზის შეიცვალა აზრი, მაგრამ საბოლოო დასკვნა მაინც ვერ გააკეთა, ხოლო ახლა, ზამთრის დამდევს, როდესაც ხანინის ანდერძს ვადა გასდიოდა და მთელი ეს ვაივაგლახი, ასე თუ ისე, უნდა დასრულებულიყო, ფონ ბაბენბერგმა ხუთთვიან განსჯაძიებას პასუხიც მოუნახა და წერტილიც დაუსვა, თუმცა მოკლე ხანში ხელახლა შეეპარა ეჭვი დადგენილ ქეშმარიტებაში უფარაჯო ჯარისკაცმა მის კითხვას ყურადღება ვერ მიაქცია, რადგან თვალი და გონება შემოსასვლელის ყელში შემოჭრილი განთიადის იისფერ ნათელისაკენ გაჰქცეოდა.

მანოხინი, ჯარისკაცი და ბაბენბერგი წინაღლით მობანცალდნენ მთავარ ქებატურში და ჭის სიახლოვეს დაბინავდნენ. სამოცდაცამეტი კაციდან ისინი — დაარჩენილიყვენ ცოცხალი, ყველა დანარჩენი, შიმშილითა და ავადმყოფობით დახოცილნი, სხვადასხვა გვირაბებში იყვნენ მიმოფანტულნი და მიწის მიმყრელიც არავინ ჰყავდათ.

ეს პატივი არც იმათ ერგოთ, ვინც კატაკომბებიდან გასვლა გაბედა და ახლა, შონპარტის ბრძანებით დახვრეტილნი, აკიმუშკაის მართლმადიდებლური ეკლესიის გადაღმა ტალახსა და ჭანჭუკოში ეყარნენ.

— უკვე დროა, კომისარო, — წყნარად და უდრტინველად წარმოთქვა ჯარისკაცმა, — ჩენი უკანასკნელი დღეც დადგა, წვაიდიეთ!

კედელზე კეფამიბჯენილმა მანოხინმა თვალი გაახილა, ჯარისკაცს გახედა, მაგრამ მისი ჩამუქებული კონტურის მე-



ტი ვერაფერი გაარჩია, შემდეგ ორივე ხელის თითები ტუჩ-პირზე მიიფარა, რომ სიტყვის ამოთქმისას სისხლმეონი იარები არ დახსნოდა.

— ცოტა ხანს დამიცადე, ერთი საქმე მაქვს მოსაგვარებელი, — ჩურჩლით უთხრა, ხელის მოფათურებით მუხლი მოუძებნა, ზედ დაეყრდნო და გაჭირვებით წამოიზიდა.

— სად მიდიხარ? — შეშფოთდა ჯარისკაცი, თან, რომ არ წაქცეულიყო ხელი შეაშველა.

— ხანითან, — მიუგო იმან, — მოვახსენებ, რომ მისი ბრძანება შევასრულვთ.

„უთუოდ მეხსიერება დაებინდა“, — გაფიქრა უფარაჯომ.

— გარნიზონის უფროსი ხომ ამ სამი კვირის წინ გარდაიცვალა, — შეახსენა ბარბაცით მიმავალს, — ტყუილად ირჯები.

— ვიცი, — შეეხმინა თითქმის გაუჩინარებული კომისარი, — მაგრამ იმასაც ვხვდები, რომ ხანინი ჩვენს ამბავს მკვდარიც მოსიმენს.

ჯარისკაცმა ხელის ჩაქნევა დააპირა, იდაყვი აზიდა, მაგრამ მეტისმეტად ემძიმა და პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნა.

— რატომ გაუშვი, ხომ შეიძლება, წაიქცეს და ველარ წამოდგეს, — უსაყვედურა ფონ ბაბენბერგმა, შემდეგ ალბათ, კომისარის მომავალი ბედიც განკვირბა და დახანებით დაუმატა: — თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, სად დასრულდება ყოველივე, მისთვის იქნებ ასეც სჯობდეს.

უფარაჯომ იმ გვირახს გახედა, სადაც მანოხინი ეგულეობდა.

— ეგეთები, ვიდრე რაიმე ვალდებულება აკისრიათ, არ ეცემიან, — დარწმუნებით თქვა, — ათჯერ მეტიც რომ ჰქონდეს გასავლელი, ადგილზე მაინც მიაღწევს.

ფონ ბაბენბერგმა მუხლებშუა ჩადგმულ წყლით სავსე მუზარადში თითები ჩაყო და სველი ნები პირსახეზე ჩამოისვა.

— ახლა ვგრძნობ, როგორ გადაიქცეულიყავი, — მობოდიშებით უთხრა, — დაცნაურებეველ ძილ-ბურანში ვარ.

ჯარისკაცს მიმტვევბლურად გაედმიმა. — ცოტაც, მოითმინეთ და რამდენიმე საათში თბილ ლოგინში იქნებით, — უშურველად აღუთქვა, — თქვენთვის ყოველგვარი გაწამაწია დამთავრდა.

გერმანელმა არისტოკრატმა მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის მეტისმეტად სხარტად შემოატრიალა თავი და კისრის მალამ გახევებული თითის სახსარივით გაიტაკაცუნა.

— შესაძლოა, — ურწმუნოდ დაეთანხმა, — ვნაბოთ... დრო გეჩვენებს.

მხოლოდ, ახლა იგრძნო ჯარისკაცმა, სულ მოკლე ხანში გონებისთვისაც კი რა განუზომელი მანძილი დაამორებდა ამ კაცს, რომელსაც ტოლწილად გაზიარებული ამდენი გაჭირვების შემდეგ, უდიდეს პატივს სცემდა და, მიუხედავად ასაქობრივი სხვაობისა, მეგობრად თვლიდა.

— რატომ არ მიატოვეთ აქაურობა, როდესაც ხანინმა ამის ნება დაგართო? — პირდაპირ დაეკითხა.

— ხანინმა კი არა მანოხინმა, — უქსწორა ფონ ბაბენბერგმა.

ჯარისკაცმა მხარზე გადადებულ მაჯაზე რამდენჯერმე მსუბუქად დაჰკრა ხელის ზურგი თითქოს აფხიზლებდა.

— გარნიზონის უფროსის ნებართვის გარეშე მისი „მარჯვენა“ ვერასოდეს მოგცემდათ ამის უფლებას.

არქეოლოგიის დოქტორი ნათქვამს ჩაუფიქრდა.

— მაგდენს ველარ მივხვდი, — აღიარა. — საინტერესოა, რატომ არ დამხვრიტა ხანინმა ტყვედ ჩავარდნის პირველსავე დღეს.

— ღირსი არ იყავით, — განუმარტა უფარაჯომ, — ხელებზე სისხლი არ გეცხოთ და იმიტომ.

ფონ ბაბენბერგმა მხრები აიწურა.

— ეს, რაღა თქმა უნდა, ასეა, — დაადასტურა საკუთარი უცოდვილობა, — მაგრამ თავად როგორღა მიხვდა. — თუმცა, რას ვლაცობო, ხანინი ხომ არა-

ჩვეულებრივი ადამიანი იყო, მან ყველაფერი იცოდა.

უფარაჯო ჯარისკაცმა მრავლისმთქმელად ამოიქაშინა.

— არაჩვეულებრივი პიროვნებები ჩვეულებრივმა ადამიანებმა მოიგონეს, — შეესიტყვა გვერდით მყოფს, — ყოველივეს კი ის უღვეს საფუძვლად, რომ კაცობრიობამ ჯერაც ვერ განჰკერიტა გონიერი არსების სრული ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობები, ამიტომაც გვეჩვენება მრავალი ბუნებრივი ამბავი საოცრებად და ჯადოქრობად.

ისინი რომ ამ საუბარში იყვნენ, მანოხინი უკვე გარნიზონის უფროსის სადგომს უახლოვდებოდა და გზადგზა იმას ფიქრობდა, დაემარხა თუ არა მისი ნეშტი, თუმცა კლდეში სამარის გაჭრისთვის სამყოფი ძალა ნამდვილად არ ჰქონდა.

საქნის კარამდე სულ მცირედელია უკლდა, რომ იქიდან მკვეთრი ჰრიალის ხმა შემოესმა, თითქოს ვიღაც ღერძაუბოხავ ურემს მოაგორებსო, გაფაციცებით მიაყურადა და ახლა მძიმე, ნალდაკრული ჩექმების ხმაც შემოესმა.

კედელს აკრული კომისარი საკანთან მიახლოვებას ველარ ბედავდა, თუმცა, წესით, აღარაფრისა უნდა შინებოდა, გაურკვეველი ჰრიალისა და ნაბიჯების ხმა კი უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

და ბოლოს საკანის კარში ხანინის მონუმენტური ფიგურაც გამოჩნდა.

კვლავინდებურად ფოსფორული ალით მოციანგე მისი სხეული მექანიკურ ქმნილებასავით მოდიოდა, ფეხებსაც მომართულივით ამოძრავებდა და ისეთ ხმას გამოსცემდა, მარტის დამდგვს ჩრდილოეთის მდინარეებზე ყინულის სკდომისას რომ იცის.

გვირაბში შემოსვლისთანავე გარნიზონის უფროსი ერთიორად გაიზარდა და გაფართოვდა, კატაკომბა მთლიანად ამოავსო, შემდეგ მძიმედ, თითქოს მუხლუხოზე დგასო, ადგილზე შემოტრი-

აღდა და მანოხინის მიმართული დაიძრა.

„გონს ხომ არ გადავციდი?“ — გაიფიქრა შეშფოთებულმა მანოხინმა და უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ, რატომღაც, ნაბიჯიც ვერ წარდგა და სიზმარში მყოფივით მხოლოდ ადგილზე შეტოკდა.

უზარმაზარი, თითქმის გამჟვირვალე მთაკაცი კი აუჩქარებლად მოემართებოდა და ნელ-ნელა უახლოვდებოდა.

„აუცილებლად გამსრესს, — შიშით გაუელვა მანოხინს, — კედელს თიხასავით შემაგლესს და მომხდარს ვერც კი იგრძნობს... იქნებ რაიმე შევძახო, ხომ შეიძლება, გაიგონოს და შეისმინოს.“

როდესაც მოარული კოლოსი თითქმის ზედ მიადგა, გვირაბის კედელს მიტმასნილი კომისარმა ისეთი მძაფრი სუსხი და ყინვა იგრძნო, რომ უეცრად ერთიანად გაითოშა და გაითანგა.

— თქვენი ბრძანება შესრულებულია, — რაც შეეძლო ხმამალა შესძახა, — უკვე პირველი დეკემბერია!

ისიბერგვიით მომავალმა ხანინის ჭანდაკებამ არაფერი შეიმჩნია, თავის მოუტრიალებლად, ბილიარდის ბურთებივით უსიცოცხლო თვალებით გადმოხედა, შემდეგ ღრმად შეისუნთქა, ნექნები შესწია და კომისარი გარდაუვალ სიკვდილს გადაარჩინა.

ვიდრე გასცდებოდა, ქვის კედელზე ლოყამიკრულს, ფერდით ყურზე გაეხახუნა და მანოხინს კოლოსის სხეულიდან გულის ცემის ნაცვლად, სახელმწიფო პიშინის პირველი აკორდები შემოესმა.

„სიზმარში ვარ თუ ცხადში? — ეჭვი გაუძაფრდა მანოხინს და ყურის ბიბილო გაძეტებით მოისრისა. — ასეა თუ ისე, მაინც დასადგენია, სად მიდის!“ — დააინტერესა და წინ წასულ გოლიათს ოციოდე ნაბიჯზე აედევნა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ყინულის მთა კაცი ცენტრალურ ქვაბურში შევიდა, ტანის შეურხველად მარცხნივ შე-



მოზრუნდა, კიდევ მეტად ამოღდა, თავით ჰერს მიეხვინა და გაიჩინდა.

„ახლა კი მივხვდი, რაც ჰქონია განზრახული, — გონება გაუნათდა კომისარს. — თურმე კატაკომბების შემოსასვლელში მონუმენტად განუზრახავს დამკვიდრება, ღირსიც არის... დამსახურა, თუმცა რას ვსულელობ, ხანის მსგავსი სურვილი არასოდეს გაუჩნდებოდა, იგი გაცილებით მაღალი მისწრაფებების პიროვნება იყო“.

ამას ფიქრობდა და გარნიზონის უფროსს ქვეშ-ქვეშ ასცქეროდა, სამუდამოდ ემშვიდობებოდა, შემდეგ, „ყოველივე დასრულდა“, დასკვნა, შეტრიალდა და ჰის მიმართულებით გაეშურა, სადაც უფარაჯო ჯარისკაცი და ფონ ბაბენბერგი ელოდნენ.

ქვაბურის ნახევარიც არ ჰქონდა გადავლილი, რომ გუმანით იგრძნო რაღაც, მხოლოდ სრულად ვერ გაერკვა, და შედგა თუ არა, იმავ წამს კარგად ნაცნობი, მტკიცე და მძლერი ხმა შემოესმა.

მანოხინი შემოზრუნდა და ხანინის ქანდაკებას გახედა.

გარნიზონის უფროსს თავი ჩაეხარა და ჯურღმულის სიციარიელეს ისევ-მინებოდა, თითქოს ტრიბუნაზე მდგომი მიმართავდა მოედანზე შეკრებილ, სმენადქცეულ ბატალიონებს.

— თანამებრძოლნი! — ჰქვის იატაკს ჩასძახოდა, — ჯარისკაცებო და ოფიცრებო, დებო და ძმებო, მოხუცებო და ბავშვებო! ერთ წუთს ყური მათხოვეთ, თქვენი გარნიზონის უფროსი სმენას ვითხოვ, გამოსათხოვარი სიტყვა მაქვს სათქმელი.

ხანინის ამ მიმართვისთანავე კომისარმა ცხადლივ იგრძნო, როგორ იძრა და შექანდა მის ფეხქვეშ კატაკომბის ფსკერი, ჯერ სუსტად, შემდეგ უფრო მძლავრად, გვირაბების მთელ გაყოლებას ურყოლვასავით გადაუარა, მტერის ბული წამოშალა და მუხლის სიმაღლეზე ჯაფივით მოიგდო.

„მიწისძვრალა მაკლდა“, — გაიფიქრა

მანოხინმა და მოპირდაპირე კედელს ტორტმანით მიაშურა.

ლაბორინთის ფსკერი ერთხელაც შეირყა, ამჯერად ქვევიდან ზევით. თვალსაჩინოდ ამოიბურცა, მერე ბზარიც გაიჩინა, ახლად აღდუღებული ფაფასავით ამოიბუხებუყა და პირი გახსნა.

ქვაბურში მიწის თბილი ოხშივარი და სურნელი დატრიალდა.

ნაპრალი ცენტრალური კატაკომბის მთელ სივრცეზე გავრცელდა, ძაფებდაწყვეტილ იარასავით გაიბრუნა, გაგანიერდა, მტერის ბულიც გადაიყარა და საძმო საფლავი ხორცგაცილილ ხერხემალივით გამოაჩინა.

ორ წყებად ჩატყუებული მიცვალეზული ჯერ შეიშმუშნენ, თითქოს ღრმა ძილქეშიდან გამოეკვცნენ, მერე აქა-იქ კიდევ შეტოკდნენ, შეიბრნენ, კისრები წამოზიდეს და გადათუთრებული თვლებით თავზე მდგომ გარნიზონის უფროსს შეაკეკრდნენ.

— დღეს, — იძულებითი პაუზის შემდგომ განაგრძო ხანინმა, — აჯიმუშკაის პარტიზანული შენაერთი თავის ექვსთვიან ბრძოლას და, მასთან, არსებობასაც ამთავრებს, რადგან მისი შემადგენლობიდან ცოცხალი მხოლოდ ორი მებრძოლი და ერთი ტყველაა დარჩენილი, მაგრამ ჩვენი გარნიზონი დამარცხებულად არ ჩაითვლება, იგი, უბრალოდ რომ ვთქვათ, — მოისპო.

პირგახსნილ სამარეს უსიტყვო ოხვრის შრიალმა ნიავეით გადაუარა.

— ასეა, ჩვენ გავწყდით, — ხმა აღიმალა ხანინმა, — გავიწირენით... შეგნებულად და შედეგიანად, იმდაგვარად, როგორც მზის სხივები ეწირება ქვეყნიერებას — სინათლის, სითბოს და სიცოცხლის დასამკვიდრებლად, და მე მწამს, რომ თქვენც, ამ უთანასწორო ბრძოლაში თავდადებულნი, კუმარიტი მზის შვილები ხართ, მისი ღირსეული პირმშონი, და ეს ყოველი ადამიანისა თვის უმადლესი წოდებაა.

ხანინმა ერთი ნაბიჯი წარსდგა წინ და საძმო საფლავის კედეს მიადგა. ხოლო

მიცვალბულნი იდაყვებზე წამოიზიდნენ, რათა უკეთ სმენოდათ მისი სიტყვა.

— გაივლის წლები, — განაგრძო გარნიზონის უფროსმა. — დადგება გაზაფხული და ჩვენი სახელმწიფო მსოფლიო ისტორიის ყველაზე სისხლიანი და დაუნდობელი ომის დასასრულს იზეიმებს, თუმცა ეს არა მარტო ჩვენ, არანედ მთელი კაცობრიობის გამარჯვება იქნება.

აქ ხანინი წამით დადუმდა, თითქოს სათქმელს წონიდა.

— თქვენ ვერ შეეცნობით იმ საყოველთაო დღესასწაულს, — მთელ სამარეს ხელისგაყოლებით აუწყა, — თუმცა ღირსნი კი იყავით ამისა, და მე ვიტყვი ამას იმ მომავალი დღესასწაულის ყველა მონაწილეზე უკეთესად, რადგან თქვენ ადამიანთა მერმისისათვის ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღეთ — საკუთარი სიცოცხლე.

მზის სხივების ტოლ-სწორნო, თქვენს შორის მე არ მეგულება გამორჩეული გმირი და იგი არც შეიძლება იყოს, რამეთუ საკუთარი ნებით სიკვდილს მიახლოებულნი, უკლებლივ ყველანი, უდიდესი გმირები ხართ!

გარნიზონის უფროსი დადუმდა, მოლუშული ჩააქცერდა სამარეს, შემდეგ აცახცახებულნი ცაყით ქუდი მოიხადა, მკერდზე მიიღო და დაღუბულ თანამებრძოლებს, მათივე თანდასწრებით, წუთიერი დუმილით მიაგო პატივი.

ქვაბურის კედელს აკრული მანოხინი, ყელში მოწოლილი ბლავილი რომ როგორმე შეეკავებინა, სისხლის დადენამდე კბენდა საკუთარ მაჯას, ამასთანავე, ცხადლივ ამჩნევდა ამ ბოლო წუთის მანძილზე როგორ პატარავდებოდა და მცირდებოდა ყინულის მთა კაცის გოლიათური მონუმენტი, თითქოს ლღვებოდა, ცრემლად იღვრებოდა და ამ საოცრებასთან თანხლებით, შინაგან ციკასა და სხივმფრქვეველობასაც კარგავდა.

ქვაბურში საგრძნობლად ჩამობნელდა, მხოლოდ საფლავიდან ამომავალი

უსიცოცხლო მომწვანო შექილავდა იჭაურობას და ბოლოს, როდესაც გარნიზონის უფროსმა იმ ტანადობას მიაღწია, როგორც ბუნებრივად იყო, კოკარდიანი ქუდი აუჩქარებლად დაიხურა, საფეთქლებზე მორიგო და ძველებური ბუბუნა ხმით მისკენ თავმოქცეულ მიცვალბულებს კატაკომბის მთელ გაყოლებაზე გასძახა:

— თანამებრძოლნო! ჩვენთვის ყოველივე სამარადღამოდ დასრულდა და ახლა ერთსა გთხოვთ, სულ მცირედს... ცოტაოდენიც გაიჭირვეთ, მიიწ-მოიწით, შემკიდროვდით და ჩემი კუთვნილი ადგილი მარგუნეთ.

ამ მიმართვაზე მიცვალბულნი ცოცხლებივით შეჩოჩოლდნენ და ამოძრავდნენ.

რამდენიმე წამის შემდეგ გარნიზონის უფროსმა დინჯად ჩააბიჯა სამარეში, ორ ჯარისკაცს შორის მისთვის საგანგებოდ გათავისუფლებულ ხალვათ ადგილში ჩაწვა, გულბელი დაიკრიფა და თვალეზი დახუჭა.

მიწისქვეშეთი ერთხელაც შეზანზარდა, შეირყა, კვლავინდებურად ააბუქა მტკერი და სამო საფლავმაც, რომელშიც ოთხი ათას ოთხმოცდათვრამეტის ნაცვლად, ახლა უკვე ერთი ცხედარით მეტი განისვენებდა, უქანასკნელად და სამუდამოდ შეიკრა პირი.

●
— ნახე ხანინი? — ჰკითხა ლასლაკით მომავალ მანოხინს უფარაჯო ჯარისკაცმა.

მანოხინმა თანხმობის ნიშნად მხოლოდ თავი დახარა, სურდა განდობოდა, „თურმე ჩემს პატაკს ელოდო“, მაგრამ პასუხს შეგნებულად მოერიდა, „მინც არ დამიჯერებსო“, და აქოთებულ ლეიბზე მიესვენა.

— ცოტაც მაკადე, — წინდაწინვე დაასწრო იმის გულისნადებს, — სულს მოვიტყვამ და წავიდეთ.

უფარაჯომ ქვაბურის ყელს გახედა, იგი დაორთქლილი სარკესავით გაუმკვირვალედ მოჩანდა და „ვაითუ



მორღებულულიაო“, გულდაწყვეტით გაიფიქრა. საოცრად სურდა, ერთხელაც ეხილა მოწმენდილი ზეცა და სხივმფრქვევი მზე.

ჰის თავსადგამს კეფამიბჭენილი ფონ ბაბენბერგი კი მზერაგაციებული ასცქეროდა ჩაშავებულ ჭერს და კვლავინდებურად ერთსა და იმავეს ბუტბუტებდა: „შენ მაინც გამარკვევ დმერთო, რატომ არის მსოფლიოს ისტორია ერთიმეორეს გადაბმული ომების ამსახველი მატრიანე?!“

ყოველგვარი ამქვეყნიური საშინელების და თვით საკონცენტრაციო ბანაკების ჯოჯოხეთის მხილველი ესესელეებიც კი განცვიფრდნენ, როდესაც ახლად გათენებულზე აჯიმუშკაის ჯურღმულიდან სამი ერთიმეორეს ჩაბლაუჭებული ჩონჩხი მიწის ზედაპირზე ამობობდა.

ამდგავარად ჭუჭყისაგან გამელნისფერებული პირისახე, მკერდამდე ჩამოზრდილი აბურდული წვერი და ჩამობდღნილ-ჩამოძონძილი სამოსი, რამდენიმე თვის წინ ჭანჭუბოში ჩაფლულ და ახლახან ამოსვენებულ მიცვალებულსაც არ ექნებოდა.

ქვალორდიან ბილიკზე სამთავენი ბრმებივით ხელის ცეცებით მობონდრიჭობდნენ, რადგან დიდხანს უკუნში ყოფნას მათთვის თვალის ჩინი დაებნელებინა და დაექვეითებინა.

— რატომაა ყველაფერი ასეთი თეთრი, — შეკრთომით იკითხა შუაში მდგომმა, სხეებზე მეტად დაუძლურებულმა, — თოვლი ხომ არ მოსულა? ■

თანხლებთ არაფერი უბასუხეს, ფეხებმომჩვარული მარცხნივ გააჩოჩიალეს, ოციოდენ ნაბიჯის შემდეგ მაღალი ქარაფის ქვეშ, ჩამოცვენილ ლოდებს შორის მიასვენეს და თავდაც აქეთიქიდან კირისუფლებივით შემოაუსხდნენ.

ჯავშანტრანსპორტიორში მოკალათებული მოალყეთა მორიგე ოფიცერი დაუყოვნებლივ დაუჯავშირდა რაკითთ გენერალ-ლეიტენანტ შონჰარტს და ეს

ფრიად სასიხარულო ამბავი აცნობდა. ლო აღავლავებულ ესესელებს მწყემსივით დაუტატანა და ზემდგომის სახელით „ამ საზიზღარი მღრღნელების“ არა თუ დახვრეტა, მიახლოება და ხელყოფაც კი აუკრძალა.

თუ აქამდე ყოველ ტყვედ მოხელთებულს ადგილზევე ასიკვდილებდნენ, ახლა საგანგებოდ უფრთხილდებოდნენ, რათა საშობაოდ ჭერჩის ცეტრალურ მოედანზე შექუჩიებული მოსახლეობის წინ გაეტარებინათ და სახალხოდ ჩამოეხრჩოთ.

ესესელები ამას რაიხსფიურერ ჰიმლერის მითითებით სჩადიოდნენ, რომელსაც ორასი მილიონი სლავის ერთჯერად გათუჟვა, მიუხედავად დიდი სურვილისა, შეუძლებლად მიაჩნდა და „დაშინების მეთოდის“ მოშველიებით, მთელი ერის სულიერ დათრგუნვასა და მორალურ კასტრაციას ესწრაფვოდა.

მსჯავრდადებულთათვის კისერზე ჩამოსაკიდი შავი დაფებიც კი წინდაწინვე ჰქონდათ გამზადებული, წითელი საღებავით ზედ მიღობნილი ოთხი ცინიკური სიტყვით — „ყველა თხუნელა უკლებლივ დაგვიბრუნდა!“

საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალმა ენნეკემ ამ სასიამოვნო ფაქტის გამო დილის ყავაზეც კი უარი განაცხადა და კატაკომპებთან კატაფალკივით ფართო რუხი ლიმუზინით მიგრიალდა, უკვე იქ მომლოდინე შონჰარტს მიესალმა, და ორივე გენერალმა კისერგაშეშებულ შავფორმოსნებს ისე მედიდურად ჩაუარეს, თითქოს მოწინააღმდეგის არმიის უსიტყვო კაპიტულაციის მისაღებად იყვნენ მობრძანებულნი.

როდესაც იმ „ცოცხალ მძორებს“ მიუახლოვდნენ, რაიმე ინფექციური საშინელება რომ არ გადასდებოდათ, მოშორებით შედგნენ და სახეზე ზიზღნარევი სიძულვილის ნიღბები მოირგეს.

— ჰკითხე ერთი მაგ ზინტილიან ძალღ-ღორს, — ასაკით უფროსზე მიაწინა თარჯიმანს შონჰარტმა, — კიდევ რამდენი ვიგინდარაა დარჩენილი ლაბირინთში?!

ლოდზე ჩამოძვარდა საფრთხობე-
ლამ გულგრილად გადმოხედდათ და ფე-
ხზე წამოდგომაც არ იკადრა.

— მე ძალღ-ლორი კი არა, ოტო ფონ
ბაბენბერგი გახლავართ, — დაასწრო
თარჯიმანს.

გენერალ-პოლკოვნიკმა ენნეკემ ყი-
ვილისმაგვარი ხმა გამოსცა, არქეოლო-
გიის დოქტორის საქვეყნოდ ცნობილი
და ყბადაღებული თვალები რომ არა,
ვერაფრით ირწმუნებდა ამ დაუჭერე-
ბელ ამბავს. ეს წვეროსანი მაწანწალა
ისევე ჰგავდა მისთვის ოდესღაც ცნო-
ბილ ნაპატივებ არისტოკრატს, როგორც
ნაზამთრალი ყვავი თეთრ გელს.

— წარმოუდგენელია, — წამოიძახა
გენერალმა და თვითუნებლიეთ მარჯვე-
ნაგაწვდილმა ნაბიჯიც კი წარსდგა მის-
კენ, მაგრამ დროულად შეჩერდა, „ხე-
ლი რომ ჩამოვართვა, რას გაიფიქრებს
შონჰარტი? — უცებ იაზრა, — ეს ბრი-
ყვი ხომ ხუთ თვეზე მეტ ხანს იყო მა-
თთან!“

— ნუთუ ცოცხალი გადარჩით? —
დროის გაჭიანურების მიზნით დაეკითხა.
— ჩვენ კი რა ხანია დაღუპული გვეგო-
ნეთ... — აღნიშნა და ქვედა ბაგე ნაძა-
ლაღვეი ღიმილით გაწელა. — გახსოვთ,
ალბათ, — მიუბრუნდა გვერდით
მდგომს, — ჩამოსვლისთანავე მოგიყე-
ვით მისი გაუჩინარების შესახებ.

გენერალ-ლეიტენანტმა, რომელიც
ქვეყნად მხოლოდ ფიურერსა და საკუ-
თარ პიროვნებას ენდობოდა, თვალეზ-
მოკუტებით გადახედა მთავარსარდალს
და თავი ეჭვიანად გადააქანა.

— როდის დაგვეკარგათ ეს დიდგვარ-
ოვანი რობინზონი? — დაინტერესდა
დამცინავი იერით.

— თუ მეხსიერება არ მღალატობს,
გაზაფხულის მიწურულს, — გაიხსენა
ენნეკემ.

შონჰარტმა მარცხენა ხელის თითებმა
მონაცვლეობით ჩაიკეცა პეშვიში.

— სათვალავად კი ამერიი, — თვალ-
თმაქუტრად გაიოცა. — დადი დრო გა-
სულა, რამ გაძღვინა ამდენ ხანს ასეთ
ცხოველურ პირობებში? — სიტყვა გა-

აგრძელა და არქეოლოგიის დოქტორს
უნდობლად გადახედა, — მართლაც სა-
კვირველია... რატომ არ შესანსლეს?

— უდავოდ, საინტერესოა... — თვი-
ნიერად აუბა მხარი ენნეკემ, — განგვი-
მარტეთ, ერთი, ბაბენბერგე?!

თვალერილი არისტოკრატი მოკუ-
რუხებულ ცას მოჯადოებული ასკეტრო-
და და მთელი მკერდით ისე ხარბად
ისუნთქავდა სუსხდაკრულ ჰაერს, თი-
თქოს ქაფქაფა რძეს იგემოვნებდა.

— ფონ! — ღირსების შეგრძნებით
შეახსენა მთავარსარდალს და სხვადა-
სხვა ფერის თვალეზი რისხვით დააქ-
ვესა.

გენერალ-პოლკოვნიკმა მოჰარბე-
ული ყურადღებით აათვალ-ჩაათვალი-
ერა უქანასკნელი მათხოვარივით ჩა-
მოძინძილი დიდგვაროვანი და პირმო-
თნედ გაიღიმა.

— ფონ-ბაბენბერგე, — დიდსულოვ-
ნად გამოასწორა დაშვებული შეცდომა.
— გვიპასუხეთ, რა დამსახურების გამო
შეგინარჩუნეს ამ კაცობია კომუნისტე-
ბმა თქვენთვის ესოდენ ძვირფასი სი-
ოცხლე?

უფარაჯო ჯარისკაცმა ნაძალადევად
ჩააბველა.

— მხოლოდ იმიტომ, რომ კანიალი
არ აღმოჩნდა, — თითქოს თავისთვის
ჩაილაპარაკა.

— ოჰო, — გაიკვირვა ესესის გენე-
რალმა. — შემთხვევით თქვენც გერ-
მანელი ხომ არა ხართ?

— ჩემდა სამწუხაროდ, არა. — მშვი-
დად მიუგო იმანს.

ჯარისკაცის სასხვათაშორისოდ ნათ-
ქვამი, ენნეკემ იმწამსვე სათავისოდ
გამოიყენა.

— ხედავთ, — მიუბრუნდა ზურგს
უქან მდგომ ოფიცრებს, — მოსისხლე
მტერიც კი ჩვენს თანამემამულობას
ოცნებობს, — უთხრა მათ და ლოდზე
ჩამოძვარა უფარაჯოზე მიუთითა. —

— რატომ დაგებადათ ასეთი სურვი-
ლი?

— პრუსიული ქედმაღლობით დაეკი-
თხა.



უფარაჯო ჯარისკაცმა კეფა მოიქეჯა.
— ფონ ბაბენბერგი შემებრალა, —
განუშარტა. — ამდენ არამზადში ერ-
თადერთი პატიოსანი გერმანელი მეტი-
სმეტად მეცოტავა.

მთავარსარდალს დაწვები წამოუქა-
რხლდა, ცხვირი კი რატომღაც გაუთე-
თრდა, ყვრიმალეზიცი მოწამლულივით
აუფორაჯდა, მისმა თანმხლებმა ოფიც-
რებმა კი, ჩვევისამებრ, პისტოლეტის
ბუდეებზე გაიკრეს ხელი, მხოლოდ გე-
ნერალ-ლეიტენანტი შონჰარტი დარჩა
ნირშეუცვლელი.

— ჯერ ამ დიდგვაროვანი დეგენე-
რატის მდგომარეობა დავადგინოთ, —
დასამშვიდებლად მიმართა ენეკეს, —
ხოლო მოყიყინე გომბეშოს, როდესაც
მოგვეპოვიანება, მაშინ გავუქეპყავთ
თავს.

კოლეგის დიპლომატიამ შეურაცხ-
ყოფილი მთავარსარდალი ოდნავდაც
ვერ დააშოშმინა, პირიქით, ახლა უკვე
ერთიანად დაძაგრულიყო და მოკლე
ულვაშს ნერვიულად იწიწკნიდა.

— გაიგონეთ, — აღუფოთებით მიმა-
რთა თანმხლებლებს, — ამ ინფუზორი-
ამ არამზადები გვიწოდა!

— ბატონო გენერალო, ნება მიბო-
ძეთ... — თავი გამოიდო ცხენისკბილე-
ბა ოფიცერმა და ჯარისკაცისაკენ დიდ-
გულად დაიძრა, მაგრამ თვით ენეკეს
შეძახილმა შეაკავა.

— შეჩერდით! — ბრძანა მან. — მე-
ტისმეტად გულმოწყალე ნუ იქნებით,
ახლავე მოვიფიქრებ რაიმე ისეთ სას-
ჯელს, რაც მის ბინძურ ბუნებას შეე-
ფერება.

ქარაფის ქვეშ მსხდომი სამეულისა-
კენ ახლა შონჰარტი დაიძრა, პირისპირ
დაუდგა და ხელები დოინჯად შემოი-
დგა.

— რამდენი კაცია დარჩენილი კატა-
კომბებში? — ყველას ერთდროულად
დაეკითხა, თუმცა თვალში მინც ფონ
ბაბენბერგი ჰყავდა ამოღებული.

— თქვენ მეომარი გაინტერესებთ თუ
საერთო სულადობა? — დაყოლიებით
ჰკითხა იმან.

— მე მაინტერესებს რაოდენობა, —
მკაცრი ტონით დააზუსტა შონჰარტმა.
— ამასთანავე შეიარაღება, პროვიზია
და მოწინააღმდეგის ფიზიკური მდგო-
მარეობა.

არქეოლოგიის დოქტორი წამით ჩა-
ფიქრდა.

— არაზუსტი მონაცემებით, დიდ-პა-
ტარიანად, ხუთიათას ადამიანზე მეტი,
— მშვიდად მიუგო.

გენერალ-ლეიტენანტმა კბილები გაა-
ღრქიალა.

— ცრუობთ! — თავშეკავებულად იყ-
ვირა, — დეზინფორმაციას ეწვევით, დო-
ქტორო?!

იმის შეძახებაზე მთვლემარე მანოხი-
ნმა ქუთუთოები გაპირვებით აზიდა და
წინმდგომი ამრეზით შეათვალიერა.

— რატომ ააყეფეთ ეს შობელძალი?
— ბუზღუნით გაწყრა, — მშვენიერ სი-
ზმარს ვხედავდი.

— მაინც, რას? — დაინტერესდა ჯა-
რისკაცი და მაშინვე სათავისოდ გაიზ-
რა: „ნეტავი მეც დამესიზმროს რაიმე
კარგი... ვთქვათ, ჩემიანები... ანდა...“ —
უნდოდა დაემატებინა „ანისკაო“, მაგ-
რამ მისი სახელის გაფიქრებასაც კი
მოერიდა.

— გაკვეთილს ვატარებდი უფროს-
კლასელებთან, — ჩაიბუტბუტა მანო-
ხინმა. — თუმცა რას ვუხსნიდი, აღარ
პასხოვს.

— შენ რა, მასწავლებელი ხარ? —
გაკვირვა ჯარისკაცმა.

მხარზე თავგადადებულმა მანოხინმა
შეწყვეტილი ხილვის იმედით ისევ მი-
ბლიტა თვალები და სახეზეც რალაც
ღიმილისმაგვარი გაუკრთა.

— ვიყავი, — ამოილულულა ძილ-
ბურანში მყოფმა, — ჰო, ოდესღაც,
ძალიან დიდი ხნის წინ.

კომისართან საუბარში უფარაჯოს
ფონ ბაბენბერგისა და ესესის გენერ-
ლის მომდევნო სიტყვა-პასუხი უნებ-
ლიეთ გამოჩა, თუმცა მათი დიალოგი

თენგიზ ჩალაშარი

...და არ იყო ჩვენს შორის ბიძი.



აზრგამოუტანელად მაინც ესმოდა და ახლა კვლავინდებურად მიაყურადა.

— თავს ნუ იგდებთ, — ცხარობდა შონპარტი და თითის ქნევით იმუქრებოდა, — კარგად მოგეხსენებათ, დაღუპულებსა და ლიკვიდირებულებს ჩვენთვის მნიშვნელობა რომ აღარა აქვს, ამასთანავე ნუ გავიწყლებათ, ფიცის ერთგულების დამამტკიცებელი ალიბიო კი არ გაგაჩნიათ, ამიტომაც გირჩევთ სრულ გულახდილობას.

გერმანელმა არისტოკრატმა უფარაჯოს გადმოხედა და მზერით დაეკითხა. „როგორ მოვიქცეო“.

— ლაბირინთში ცოცხალი აღარავინაა დარჩენილი, — ინფორმატორობა იკასრა ჯარისკაცმა, — მოხუცები, ქალები და ბავშვებიც კი ერთიანად ამოწყვეტილნი არიან. გიხაროდეთ, ბრწყინვალე და სასახლო გამარჯვება მოიპოვეთ, ამასთან, ისეთი რაინდული იარაღით, როგორიც შხამიანი ვაზებია.

ამ სიტყვებმა ამაყად გაჯვიმული შონპარტი ფურთხზე მეტად შეურაცხყო, — „მართლაც მიჰქარეს, — თავისთვის აღნიშნა. — საქვეყნოდ გახმაურდება და თავი მოგვეჭრება“.

— გარნიზონის უფროსი სადღაა? — უშუალოდ ჯარისკაცს დაეკითხა, ფონ ბაბენბერგზე უკვე ხელი ჰქონდა ჩაქნეული.

— მარადიულ მონუმენტად იქცა, — სერიოზული სახით მიუგო იმან.

შონპარტმა ხელთათმანიანი ხელი ცხვირ-ტუჩზე ჩამოისვა და ღიმილი ისე დაფარა. — „ამანაც აურია“, — დასვა დიაგნოზი.

— ფუნის მონუმენტად? — მაინც ვერ შეიკავა თავი და საკუთარი იუმორით კმაყოფილმა, კიდევ ჩაიხიბოთხიათა.

— არა, — უემოციოდ უარყო ჯარისკაცმა. — ჯერ გაქვავდა, შემდეგ უფრო განმტკიცდა.

ესისის გენერალმა ხმამაღლა გადიხარხარა.

მანოხინმა კვლავ გაახილა თვალები.

— ანეგლოტებს უყვები? — დატუქსვით დაეკითხა უფარაჯოს.

— არ მიჯერებს, რომ ხანინი, — კენჭი კეზაბად იქცა, — შესჩივლა ჯარისკაცმა — იქნებ ჩვენც მოგვეჩვენა?!

კომისარი უცებ გამოფხიზლდა.

— ნუ სულელობ, — გაუწყრა, — თუ არ გიჯერებს, ურჩიე, ამ ბოლო დროს ჩვენგან ჩაძლიებული ფაშისტები გაკვეთოს და ნახავს, ყოველი მათგანი რომ წმინდა ფოლადის ტყვიითაა სულგაცხებულო, ამასთანავე, ისიც აუხსენი, რომ ხანინმა ის ტყვიები საკუთარი მარჯვენიდან ჩამოასხა.

უფარაჯო ჯარისკაცს იმწამსვე მკლავმოკვეთილი გარნიზონის უფროსი გაახსენდა, უნებლიეთ გააქრეოლა და სახეზე ნათლად აღებუქდა განცვიფრება.

— ეს ვინღაა? — მანოხინის პიროვნებით დაინტერესდა შონპარტი.

— ექიმი, — გამიზნულად იცრუა ფონ ბაბენბერგმა, იცოდა, რომ ფაშისტები ერთადერთ საჭირო სამოქალაქო ხელობად მკურნალის პროფესიის თვლიდნენ. — გარნიზონის უფროსი კი თვეზე მეტია, რაც ვარდაიცვალა.

ფეხებგაჩახულ შონპარტს გვერდში გენერალ-პოლკოვნიკი ენეეკე ამოუდგა. — მოვიფიქრე, — მოჩვენებითი მხიარულებით გაენდო და მხარზე ხელი ფამილარულად ჩამოადო, — უმაღლესი რასის შეურაცხყოფისათვის ამ ფსიქის ქიაცელას, — ჯარისკაცზე მიაჩნინა, — ჯერ ენას ამოგვლეჯთ, ხოლო შემდეგ იმ ლოდს, რომელზედაცაა ატოცებული, ხერხემალზე დაცემთ და იქამდე დაეტოვებთ, ვიდრე ცოცხლად არ დალბება.

— თანახმა ვარ, — ვითომც დიდ შეღავათზე მიდიოდა, ისე დაეთანხმა შონპარტი. — მხოლოდ აუცილებლად მიმარჩია, რომ ჯერ ბაბენბერგმა დაამტკიცოს ფიურერისადმი ერთგულება, — თქვა და ქამარზე მიმაგრებული იარაღის ბუდე მშვიდად გახსნა.

უფარაჯო ჯარისკაცმა გარკვევით გაიგონა საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლის განაჩენი, წარბები შეიკმუნხა და თვალის კაკლები აუტოკდა.

„ამდაგვარი წამების შესახებ თით-



ქოს საღლაც ამომეკითხოს, — ბუნდოვ-
ნად გაიხსენა, — ანდა იქნებ ფილმში
მაქვს ნანახი... თუმცა ახლა უკვე სულ
ერთია, „სიამოვნებას“ მაინც ვერ მივა-
ნიჭებ... უფლება არა მაქვს!“

პისტოლეტომარჩვებულმა ესესის
გენერალმა კი ამასობაში ორიოდ ნაბიჯი
წარსდგა, იარაღი გააჩხაკუნა, მერე სა-
ვაზუნე გამოაცალა და ფონ ბაბენბერგს
გაუწოდა.

— დაკითხვას მაინც ვერ გაუძლებს,
— შეპარვით შეაგონა და მზერით მძი-
ნარე მანოხინზე მიანიშნა. — მიეხმა-
რეთ, თქვენი მხრივ ეს ჰუმანური საქცი-
ელი იქნება, ამასთანავე, რაიხისადმი
ერთგულების თვალსაჩინო დადასტუ-
რებაც.

გერმანელი არისტოკრატი უცებ
ვერც გაერკვა, რას მოითხოვდნენ მის-
გან, შემდეგლა მოეგო გონს და პირისა-
ხე ერთიანად ჩამოუტვრამელდა.

— მე? — გარგნებულმა იკითხა, —
ფონ ბაბენბერგი და ჯალათი?!

თვალმოკუტებული შონჰარტი ოდნავ
წაიხარა და მოწყალედ გაუღიმა.

— დიახ, თქვენ! — ლომობიერად, თი-
თქმის მოფერებით დაუდასტურა, მერე
მარცხენით მარჯვენის მაჯაში წასწვდა,
ბორკილივით შემოაქდო თითები, ძა-
ლუმად გამოჰქაჩა და გაშლილ ხელის-
გულში პისტოლეტი ჩასჩარა.

მათხვარივით ხელგამოშვრილი
ფონ ბაბენბერგი შავად მოლაპლაპე
საგანს ისეთი ზიზღით დააცქერდა, თი-
თქოს ჰეშვზე დაგრაგნილი ასპიტო
დაესვათ.

— ესენი მართლა შეშლილან, — უხ-
მოდ, მხოლოდ ტუჩების მოძრაობით
ამოიკვნესა. თავი მძიმედ შემოაბრუნა
და უფარაჯო ჯარისკაცს გახედა.

ჯარისკაცმა მზერა აარიდა, პირდაპირ
შემართულ მოტიტვლებული მთის ფე-
რდობს ააყოლა, თხემს უწია, ტყვიის-
ფერ ღრუბლებზე შეაჩერა და სრულიად
მოულოდნელად ჩუმი ლილინი წამოიწყო.

გენერლები და მათი თანხლები ოფი-
ცრები დამცინავი სახეებით მიაჩერდ-
ნენ განწირულ კაცს, ხოლო ფონ ბაბენ-

ბერგმა ძილქუშად მიგდებულ მანუ-
ხინს რამდენჯერმე გამეტებით
მუნჯა, მაგრამ თვალის ვერ გაახელინა.

თვალერილი ჯარისკაცი კი რალაც
უძველეს მელოდას კვენსანარევი ხმით
ავგირისტებდა და წყაროსავით აღუ-
დუნებდა.

ეს ყველასათვის უცნობი ჰანგი ისეთა
ბუნებრივი ლივლივითა და სიმსუბუქით
მიედინებოდა, როგორც მძინარე ჩვი-
ლისათვის ნამღერი ნანინა.

— ო, ჰო... ჰო... ჰო... — მშვიდად და
ძალადაუტანებლად მალღდებოდა მი-
ნორული ჰარმონია, ეღერადობას იც-
ვლიდა და სითბოს ფრქვევით მაქორუ-
ლისაკენ მიისწრაფოდა, — ოი, ნანა...
ნა...ა...ნა... დელიაო... დელასაო... ნა::
ი... ნი...ნა...

ოტო ფონ ბაბენბერგს მკერდში თი-
თქოს დიდი ხნის წინ ჩადებული ყინუ-
ლის ნატეხი გაუღღვა, სევდად მოეძა-
ლა, და თვალთა უბებში ცრემლებად
ჩაუღღვა.

„სიცოცხლეს უმღერის, — გუნებაში
გაივლო, — თუმცა არა, — უარყო შე-
მდეგ — კი არ უმღერის, ემშვიდობე-
ბა... ჰო, ასეა... სიცოცხლეს, მზის ნა-
თელს და სიყვარულს ეთხოვება... ალ-
ბათ, იმდაგვარადვე, როგორც ჩვენი უძ-
ველესი წინაპარი ესალმებოდა წუთი-
სოფელს... არა შიშითა და ძრწოლვით,
არამედ გრძნობიერი სინანულით“.

მაქორული ტონი კი ნელ-ნელა ძლი-
ერდებოდა და მკვეთრდებოდა.

გენერალ-პოლკოვნიკმა ენეკემ თან-
მხლებლებს რალაც გადაულაპარაკა, გა-
მომეტყველებებზე შეეტყო, — ოხუნჯა
და იმათაც მლიქვნელური ხითხითი და
ხარხარი არ დაიშურეს, ნიაღვარივით
დაუოკებლად მიუშვეს და ჯარისკაცის
სიმღერა ერთიანად აამღვრიეს და წა-
ლიქეს.

ფონ ბაბენბერგის სმენას ეს მკახე
ხმები ისე მოხვდა, თითქოს გაშლილი
ხელისგული შემოჰკრესო ყურში.

— მოუსმინეთ! — თავშეუკავებლად
დაიხივლა და ახორბოცებულ შავფორ-



მოსნებს აღელვებული მასწავლებელი-
ოვით დაუქნია მომუჭული მარჯვენა.

ყველამ — გენერლებმაც და ოფიც-
რებმაც, უცებ გაიკმინდეს ხმა, შემც-
ბარნი მიაჩერდნენ მათკენ მიშვებრილ
იარაღის ლულას, შიგ რომ ერთადერთი
და ისიც სხვისთვის განკუთვნილი სიკ-
ვდილი იყო ჩაბუღებული.

კვლავინდებურად ცის ტატობსა და
მოქურუხებულ ღრუბლებს შემაცქე-
რალი ჯარისკაცი კი უკვე მკერდახს-
ნილი მღეროდა, თავისუფლად აღმაფ-
ლობდა, თითქოს რომელიღაც ჭერაც
დაუპყრობელ მწვერვალს ეჭიდებოდა,
ნებისყოფის სრული დაძაბვით გოჯი-
გოჯ უახლოვდებოდა და დაუძლივე-
ლის დაძლიევას ლამობდა.

— ო, ჰო... ჰო... დელიაო... დე...ე...
ლა... — შეუბოვარ მოძახილად მტკიც-
დებოდა ბგერა.

ეს კი უკვე რაღაც სხვაა.. განსაკუთ-
რებული და განუმეორებელი, — აზრი
შეუცვალა ფონ ბაბენბერგმა ადრე
ნაგულისხმევს. — აღარც საწუთროს
გამოთხოვებაა და აღარც მნათობისადმი
აღვლენილი ჰიმნი... მაგრამ, რა... რა?!
იქნებ თვით ბედისწერასთან შეტოქე-
ბის ეინი?!“

გენერალთა ზურგს ამოფარებულმა
ცხენისკბილება ოფიცერმა რამდენიმე
ნაბიჯი ქურღულად წარდგა, იარაღი
ბუღიდან ფარულად ამოაცოცა, გარინ-
დულ ფონ ბაბენბერგს მიუშვია და
მთავარსარდალს ყურში რაღაც საი-
დუმლოდ წასჩურჩულა.

შონჰარტს მისი მოქმედება შეუმჩ-
ნეველი არ დარჩენია, მაჯაზე თითები
ჩამოადო, შემართული იდაყვი დაახრ-
ევირა და აკრძალვის ნიშნად თავი გაა-
ქნია.

ბოლოს და ბოლოს, აღმა მიმავალმა
გამამ უმაღლეს ზღვარს მიაღწია და
ერთ ტონზე შეჩერებულმა ბგერამ რო-
გორც ირას მკეთებელი ფრინველის
ფრთებმა თრთოლვით იწყო რხევა.

და ამ გაბმულ, უწყვეტელ ხმოვანში
ყოველგვარი ამქვეყნიური, ადამიანური
განცდა ერთდროულად აქლერდა: და-

ბადება და პირველყოფილი ^{ფიქროვლი}
შეუცნობადის აღქმა და ^{სულმოციხის}
მიერ არსებობის მანძილზე შემცენებუ-
ლი ყოველი გრძობა — სიყვარული,
ტანჯვა, შვება, ბრძოლის ეინი თუ სასო-
წარკვეთა, და ეს ყოველივე ერთურთს
შეერწყვა, შედუღადა და მთლიანობად
იქცა.

უფარაჯო ჯარისკაცის შემაცქერალ
და მსმენელ მტერ-მოყვარეს სულის
სიღრმეში აქამდე მდუმარე რაღაც სიმი
კამერტონივით შეერხა და აუკენსდა,
თვით ცივისსხლიან ესესელებსაც კი ჰი-
ანჰველებმა ჩამოურბინეს დაძაბრულ
მკლავებზე და ბალანი წამოუშალეს.

უსასრულოდ გაწელილი ბგერა კი
ნელ-ნელა დასუსტდა, დაღმა დაეშვა.
მელოდიურობაც დაკარგა და უცნაუ-
რი, შიშის მომგვრელი სუსხი შეიძინა.

ჯარისკაცი დაიძაბა, შუბლი და სა-
ფეთქლები ოფლის მსხვილ-მსხვილი
წვეთებით დაეცვარა, ერთიანად გაფი-
თრდა და თვალის გუგებიც უსაშველოდ
გაუფართოვდა.

ფონ ბაბენბერგი შეშფოთებული წა-
მოდგა, ლოდზე მისვენებულ უფარა-
ჯოს თავზე წაადგა და ზეცისაკენ აღე-
რილ პირისახეში ჩააცქერდა.

ჯარისკაცის ყელიდან ამომავალ გა-
ბმულ ტონს უკვე დეტონირება შეჰპა-
რვოდა და გადახეხილი ლარივით ისე
ქრიალავდა, რომ სადაცაა უნდა გამ-
წყდარიყო.

— იგულებ! — არადადამიანური ხმით
იყვირა ფონ ბაბენბერგმა, — შავფორ-
მოსნებისაკენ შებრუნდა და აცახცახე-
ბული ხელები მიუშვია :— გესმით,
იხრჩობა-მეთქი... უშველეთ!

ამ ზარდამცემ შეძახილში გერმანელმა
არისტოკრატმა სასოწარკვეთილის ისე-
თი ძალისხმევა ჩააწნა, რომ გენერლე-
ბიც და ოფიცრებიც თვითუნებლივ
შეჩოჩქოლდნენ, რაღაცით შეშფოთდ-
ნენ და გაუბედავად დაიძრნენ მათკენ.

ზეცის სიღრმეში ატორტმანებულმა
ფრინველმა კი უქანასქნელი ირავი შე-
ჰკრა, ხმასუსტად დაიწვილა, ფრთები



შეიკეცა და ხოშკაკალივით შეკრული, მიწისაკენ დაეშვა.

ჯარისკაცს ჯერ კისერი გადაუფარდა, მერე მოჭრილი ხესავით მძიმედ გადაიქცა და ლოდზე განერთხო.

გენერალ-ლეიტენანტი შონპარტი სხეებზე უმალ მოეგო გონს, სწრაფად მიეჭრა ჯარისკაცს, ჯერ მაჯაში სწვდა, პულსი გაუსინჯა, შემდეგ ცერითა და შუათითით ქვედა ქუთუთოები ჩამოუწელა და სარკედ ქცეულ თვალებში ჩააქცერდა.

— მართლაც გასაოცარი, — განცვიფრებულმა ამოილულულა, — დაუჯერებელი და თითქმის ფანტასტიკური აღსასრულია.

ზურგს უკან მდგომმა ენეკემ მხარზე ხელის ჩავლებით შემოაბრუნა.

— როგორ, — ახლა იმან გაიკვირვა. — ნუთუ მოკვდა?

შონპარტმა ქვეშ-ქვეშ ახედა, თითქოს რაღაც უსაყვედურო, და თანხმობის ნიშნად თავი ოდნავ დახარა.

გახეხებული და სახტად დარჩენილი ფონ ბაბენბერგი გონებით უარყოფდა იმას, რასაც სამზერით ჰხედავდა, თუმცა საბოლოოდ, როდესაც ჯარისკაცს სახეზე მიწისფერი მოეძალა, მომხდარი მაინც ირწმუნა და ამის შეგნებამ ყელში ყულფწაჭერილივით აახრიალა.

— ის არ მომკვდარა! — შემაზრუნნად დაბღვალა, მუჭში ჩაჩრილი იარაღი ძირს დაანარცხა და საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალს საწვიმარის საყულოში სწვდა, — მან თავი გაიგუდა... გესმით... სულმოუთქმელობით დაიხრჩო... სიმღერით, სიმღერით მოისწრაფა სიცოცხლე... თქვენ კი, თქვენ... უღღერო მღილებო, ასეთი პიროვნების დამარცხება გინდოდათ... იმ ადამიანის დათრგუნვა და დამონება, ვისაც ფეხის კოჭამდისაც ვერ სწვდებით!

უსაზღვრო განრისხებამ ერთიანად გამოფიტულ გერმანელ არისტოკრატს თუმცა ხმა ჩაუწყვიტა, მაგრამ ისეთი არაბუნებრივი ფიზიკური ძალა შესძინა, რომ ორმა ჯანმავარმა ესესელმა ძლივ-ძლივობით გამოგლიჯეს ხელიდან გე-

ნერალ-პოლკოვნიკი, რომელსაც ამოსაქმობი ძრობი სარივით ანჯღრევდა და აყვებულა.

ცხენისკბილება ოფიცერმა გამეტებით ჩააჭრა კეფაში პისტოლეტის ტარი ფონ ბაბენბერგს და ხელის შეშველებაც დააპირა, რომ გულწასული მიწაზე დაესვენებინა, მაგრამ იმან მხოლოდ ცას ახედა და თავიც იმდაგვარად გარეტრეტა, თითქოს მოულოდნელი წვიმის წვეთი დაეცაო.

ქარაფის წვერზე რალაცამ დაიშრი-ალა, შლიგინით დაეშვა, ფერდზე აქაიქ წამოზრდილი ბუჩქები ლიწინ-ლიწინით ჩამოამტვრია... ცხენისკბილება ოფიცრის ფეხებთან ზათქით დაენარცხა და ნაწილ-ნაწილ დაქუცმაცდა უზარმაზარი, ქანადებული ქვა...

დამფრთხალმა გენერალ-ოფიცრებმა, თოფის დაქუხებით დაქიმითებული კურდღლებივით გაქცევით უშველეს თავს.

მთელი სხეულით აკანკალებულმა ოტო ფონ ბაბენბერგმა ცოტაოდენ ხანს თვალგაშტერებით უმზირა ლოდზე გადასვენებულ უფარაჯო ჯარისკაცს, მერე გაუბედავად მიეახლა. ჩაიჩოქა, ხელები წვივებზე შემოასალტა და პირისახით ჯერაც თბილ მუხლისთავებზე მიეყრდნო.

— Leden ohne Ehr ist Kein Leden mehr, — სიცოცხლე ღირსების გარეშე სიცოცხლე არ არის.

სიტყვების მარცვლით დაიჩურჩულა, მერე ისე რომ უფარაჯოს მუხლებისათვის პირისახე არც კი მოუცილებია, ბრმასავით მოაფათურა მიწაზე მარჯვენა ხელი, მტვერში ჩადგებული პისტოლეტი მოიძია, აუჩქარებლად მიიბჯინა საფეთქელზე და სასხლეტს გამოჰკრა.

მოშორებით მდგომი შავფორმიანები ჯერ იმან შეაკრთო, რომ ჩვეულებრივმა პისტოლეტმა მეხივით გამაყრუებლად, ექოს გამოცემით დაიგრგვინა, შემდეგ თანამემამულის ამ უაზრო და გაუმართლებელმა თვითმკვლელობამ გააოგნა, და ბოლოს იმან განაცვიფრა, რომ დაქუხებისთანავე კედელივით წინ



გამოშვებრილ ქარაფი ერთიანად შეზა-
ნზარდა. ბიჭგამოცლილი კედელივით
გადმოიქცა და ზვავევით მომსკდარი
ქვა-ლორლი მიწაზე უსულოდ გართხმუ-
ლი სამი ადამიანის ცხედარს მარადიულ
პირამიდასავით გადაეფარა.

როდესაც ქვათაცვენით წამოშლილი
კორიანტელი ჩაცხრა და დაიწმიდა,
ჩრდილოეთის მხრიდან სუსხიანი ქარ-
ბობოლა მოვარდა და თან ნემსებივით
მჩხვლეტავი ცივი წვიმის წვეთები
მოიყოლა.

— ყოველივე დასრულდა, — შვებით
აღნიშნა გონმოსულმა ენნიკემ. — ფა-
ნატიკოსი მოწინააღმდეგენი სამუდა-
მო დავიწყების ბურუსმა შთანთქა... თი-
თქოს იყვენ და არც იყვენ...

— ფანატიკოსი და ღირსეული მოწი-
ნააღმდეგენი, — დააზუსტა გენერალ-
ლეიტენანტმა შონპარტმა და მთავარსა-
რდალს ხელის მიშვერით დაუთმო გზა
მანქანისაკენ მიმავალ ბილიკზე.

ენნიკემ ერთხელაც გახედა მომცრო
ყორღანით წამოზიდულ გორაკს და
რალაცის უარყოფის თუ არდაჯერების
ნიშნად თავი გააქანია.

— მაინც ვერაფრით ვირწმუნებ, რომ
ამ ჯარისკაცმა სულმოუთქმელობით
გაიგუდა თავი, — ერთგვარი შურით წა-
რმოთქვა. — ასეთი ნებისყოფის ძალა
მხოლოდ მესამე რაიხის ერთგულ რა-
ინდს შეეძლო გამოეჩინა.

— ასეა, — გაურკვევლად დაეთანხმა
შონპარტი, — რაც უფრო ძლიერია
მტერი, მით უფრო სასახელოა მისი
დამარცხება.

საოკუპაციო ჯარების მთავარსარ-
დალმა მხოლოდ ახლა, ამ სიტყვების
მოსმენისას შეიგრძნო, რომ საბოლოოდ
დასრულდა მთელი ის დავიდარება, უს-
იამოვნება და ზემდგომთაგან მიყენებუ-
ლი შეურაცხყოფა, რაც მან აკიბუშ-
კელ პარტიზანთა გამო განიცადა, და-
სრულდა ამასთანავე, მისი სრული ტრი-
უმფით, რადგან გაღებულ მსხვერპლს
ის სათვალავშიც აღარ ავდებდა და იმ-
წამსვე განიზრახა ეს სასახელო გამარჯ-

ვება რაიმე გონივრული, ისტორიული
ფრაზით დაეგვირგვინებინა.

ამიტომაც სათქმელი ყოველმხრივ
აწონ-დაწონა, შემდეგ კი, უკვე მანქა-
ნასთან მდგომი, ამაყად შეტრიალდა
და საჩვენებელი თითი კატაკომპებისა-
კენ გაიშვირა.

— ამქვეყნად ვერავითარი ძალა ვერ
შეეტოქება ფიურერის ზეკაცურ რწმე-
ნას და არიელთა რკინისებურ მეომ-
რულ სულს! — ნერონისებური თეატ-
რალობით წარმოთქვა, მაგრამ ბოლო
სიტყვა არც ჰქონდა დასრულებული,
რომ პირი ისე დააბჩინა, თითქოს ღრმად
დამთქნარებას აპირებდა.

ლაბირინთის ჩაბნელებულ, ნახევარ-
მთვარესავით მორკალულ ყელში თეთ-
რი და უჩვეულოდ ქათქათა ტანსაცმ-
ლით შემოსილი ჩვილატატებული ქალი
იდგა.

მთავარსარდალს წინააღმდეგობა, გაშე-
შებული მარჯვენა ერთიანად დაეკრუ-
ნჩხა და დაეძაგრა.

— ერთხელ და სამუდამოდ, ამ დაწ-
ყველილ ჯურღმულში ხომ უნდა მოე-
ლოს ბოლო ყველას და ყველაფერს, —
აღშფოთებისაგან ჩაბრინწული ხმით
დაიღმუვლა, — ახლავე გააქრეთ ეს
მოჩვენება, მოსპეთ და ისე გააცამტვე-
რეთ, რომ მისი ნაკვალევიც აღარსად
დარჩეს! — აქოშინებულმა დაუერთო და
ჩვეულებისამებრ, მოკლე ულვაშის ნერ-
ვიულ წიწქნას მოჰყვა.

მუდამ თავგამოჩენის მოსურნე ცხე-
ნისკბილება ოფიცერმა ყველას დაასწ-
რო, ღორღიან ფერდზე, როგორც მოყი-
ნულ თოვლზე, ისე ჩაცურდა, დაბლა
მდგომ ესესელთა ოცეულიდან ორ რი-
გითს უბრძანა, ხლებოდნენ და იარაღის
ბუდეზე ხელმიდებული ლაბირინთისა-
კენ გაიქცა.

ამასობაში ჩვილატატებული ქალი ბი-
ლიკს ამოყვა, წელგამართული მოაბიჯე-
ბდა და თუმცა აღრენილი ქოფაკებივით
მისკენ მისწრაფებულ შავფორმოსნებს
გარკვევით ხედავდა, ნირსაც არ იცე-
ლიდა.

ხუთიოდე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა,



ბისტოლეტშემართული ცხენისკბილე-
ბა წინ გადაუდგა და ფეხებგაჩაჩხულმა
ბილიკი გადაღობა.

— სდექ! — დამახინჯებული რუსუ-
ლით შეუძახა. — არ გაინძრე, სდექ-მე-
თქი!

ქალმა გაფანტული, არაფრისმთქმე-
ლი მზერით ამოხედა, შეჩერება არც
უფიქრია, მხოლოდ მძინარე პირმშო
გულის მხარეს გადაისვენა, მარჯვენა გა-
ითავისუფლა და საჩვენებელი თითი
ტუჩებზე მიიდო.

— ჩუ, — ტუქსვით უთხრა. — რა გა-
ღრიალებს, ვერ ხედავ, იაშკას სძინავს!
ასეთ გაუფიქრარ სითაფხედეს და ისიც
უმწიფო ადამიანისაგან ცხენისკბილება
მართლაც არ ელოდა, ამიტომ შეცბა და
როდესაც ქალი გულმშვიდად მიუახლ-
ოვდა, გაავებული ორბივით რისხვით
ჩააცქერდა.

უღრტვინველად და უშიშრად მომა-
ვალი ბალატატებული დედა ოფიცერს
რალაცით ეცნაურა, მისი სახება სიყმაწ-
ვილისდროინდელი ზმანებასავეთ ბუნ-
დოვნად ამოუტივტივდა მეხსიერებაში
და ამ გაურკვეველობამ კიდევ მეტად
გააღიზიანა.

ბილიკზე გადალაჯულ შავფორმოსანს
ქალი წინ დაუდგა, მორიდება არც შეტ-
ყობია, პირიქით, იღუმალი ღიმისმაგ-
ვარიც კი გაუკრთა ბაგეზე, თითქოს ეცი-
თხებოდა, „ნუთუ ვერ მცნობო“.

ოფიცერი გამჟოლად და დაკვირვებით
ჩააცქერდა დიდრონ, თავლისფერ თვა-
ლებში, და ის იყო, შეურაცხყოფელი
სიტყვის სათქმელად გაემზადა, რომ
ფილტვებში ჩაგუბებული ჰაერი თით-
ქოს ჩაეკირა და გაუქვავდა.

მარაგლისმთქმელად მოდიმარ ქალს
არაბუნებრივად გაფართოებულ გუბე-
ბში ცხადად უკიაფებდა მზისფერი ალ-
ით მოციმციმე სანთლები, და ამასთანა-
ვე თითოეულში სამ-სამი.

ცხენიკბილებას დაზაფრულივით გა-
აჟროლა, შემცბარმა ნაბიჯიც კი გადა-
დგა უკან და მარჯვენა ხელის თითები
გაუაზრებლად, ინსტინქტურად შეკუმშა.

პირველსავე გასროლაზე ოფიცრის

აქეთ-იქით მდგომმა ესესელებმა, თი-
ქოს დათქმულ ნიშანს ელოდნენო, ავ-
ტომატთა გრძელი ჭერებით მიჯრით
დაცხრილეს თეთრად მოსილი დედა-
შვილი და წამში ბროწეულის ახლად
აყვავებულ ბუჩქს დაამგავსეს.

ქალს ტკივილი ან სასოწარკვეთა კი
არ გამოესახა სახეზე, არამედ რალაც
წყენანარევი სიბრალულის მაგვარი,
თითქოს გაეცხა: — თქვე უგუნურ-
ნო, ეს რა ჩაიდინეთო“, შემდეგ სიკვ-
დილის უცვლელი კანონის საწინააღმ-
დეგოდ, ზურგზე კი არ გადაიქცა, პირი-
ქით, წინ გადმოქანდა, მსუბუქად ჩაი-
მუხლა და მკვლელებს საყვედურიანი
მზერით ამოხედა.

— ბავშვები სიყვარულმა უნდა იხს-
ნას... — ხმაჩაგარდნილმა დაიჩურჩუ-
ლა. მკერდზე მიკრული პირმშო აცახ-
ცახებული ხელებით მუხლებზე ჩა-
მოიცურა, მიწაზე დასვა და სისხლით
ერთიანად გაქდენილი სახვევები მშო-
ბლიური სიფრთხილით შემოხსნა, შემ-
დეგ ჩერები გულისპირში ჩაიჩურთა,
თავად ქაროშლით გადამტვრეულ ძეწ-
ნასავით მოიდრიკა, შუბლით ბილიკს
დაეხინა და გაქვავდა.

ერთიანად ტიტლიკანა, მოთეთრო-
მოვარდისფერი ყრმა, როგორც არტა-
ხებიდან გათავისუფლებული ყოველი
ჩვილი, ჭერ შეიშმუშნა, ნებიერად გაი-
ზმორა, მერე მძიმედ, უხალისოდ აზიდა
ქუთუთოები და თითქოს სატირლად
ემზადებო, ისე შეიჭმუნა ქერა ღინ-
ლილი შეფერილი საწარბეები.

როგორი ძნელად დასაჯერებელიც
უნდა ყოფილიყო, მიანც ცხადზე უცხა-
დესი იყო, რომ ბალღს მთელ სხეულზე
ერთი ნატყვიარიც კი არსად ეტყობოდა.

ცხენისკბილებამ ბრმასავით, კისერ-
მოუქცევლად კიდევ რამდენიმე ნაბი-
ჯით დაიხია უკან, მიწაზე მკდომი ყრმა
სამიზნეს გაუსწორისწორა და იარაღში
დარჩენილი ვაზნები ერთიმეორის მი-
ყოლებით უცდომელად დაახალა.

ბავშვს თავდაპირველად მკერდქვეშ,
შემდეგ კი მაჯებსა და ტერფებზე ყაყა-
ჩოს ფოთლებივით წითელი ნაიარევი

დასხვა, მაგრამ არც ერთი კრილოზიდან სისხლის წვეთი არ გადმოსდენია, ხოლო როდესაც იმდენიც შეძლო, რომ მოუხერხებლად, მიწაზე ნებების დაბჯენით წამოიმართა და ბორძიკ-ბანცალით მათკენაც გამოეშურა, თვალგბათებრებულმა მკვლელებმა ჯერ გვერდულად, პირმოუქცევლად უგანეს, იარაღი მიყარ-მოყარეს და ცეცხლწაქედებულ პირუტყვებით აზმუვლებულებმა, აღმა მიმავალ ბილიკზე გაქუსლეს.

შემადლებულზე მდგომი გენერლება და ოფიცრები, რომელთაც ცხადლივ იხილეს ტაფობში ჩადენილი მკვლელობა, ერთიმეორეს კითხვით შეაქეპრდნენ: განა რა საშინელება უნდა მომხდარიყო იქ, ლაბირინთის სიახლოვეს, რომ ბრძოლებში მრავალნაციადი მეომრები ასეთი ცხოველური შიშით დაფეთებულები გამორჩაყდნენ.

ბექობს რომ გაუსწორდნენ, მაღლამყოფთა შეძახილებზე ხელების ქნევასა და უაზრო ბლავილს მოჰყვენენ, მაგრამ არც შეყოვნებულან, ისე უქციეს მხარი, ფერდი აირბინეს და აჯიმუშკაის ეკლესიისაკენ მიმავალ შარაზე გაცვივდნენ.

„აქ რაღაც საოცრებები ხდება, — ექვმა გაჰკრა გენერალ შონჰარტს, — ჯერ იმ ჯარისკაცის ძნელად დასაჯერებელი აღსასრული, მერე ქარაფის მოულოდნელი გადმოქცევა და ახლა კიდევ ეს პანია... ჩანს, ყოველივე გასარკვევია და მიზეზიც საბოლოოდ დასადგენი“. — გაიფიქრა და როგორც უშიშარ წინამძღოლს შეჰფეროდა, უყოყმანოდ დაეშვა თავქვე.

საოკუპაციო ჯარების მთავრსარდლისა და რამდენიმე ოფიცრის გარდა, ყველა უკან მიჰყვა, ყურადღებაგამახვილებულნი და ყოველ შემთხვევისათვის იარაღმომარჯვებულნი.

ბექობის ქვეშ განლაგებულ ესესელთა ოცეულს შონჰარტმა ფერდის გაყოლებზე გაშლა უბრძანა, თავდაცვნი გაუძღვა და კატაკომბებისაკენ აიღო გეზი.

ბილიკზე ტორტმანით ყრმას რომ შეეფეთა, შონჰარტმა იმ მონადირის მსგავსად, რომელიც შეუბუძბლაგი ბარტყების ხოცვას ვაზნების უაზრო ფლანგვად მიიჩნევს, ბალსს დაცივებით გადახედა და გვერდი აუარა, მაგრამ გასცდა თუ არა, გუმანით რაღაც იგრძნო, შედგა, შემობრუნდა და „ეს როგორღა გადარჩაო“, გაიოცა.

ყრმაც შორიხლო შეჩერებულიყო, პირისაზე მისკენ მოექცია და ჩვილისათვის უჩვეულო, გაცხადებული ყურადღებით შემოსცქეროდა.

გენერალმა საკუთარ თვალებსაც აღარ დაუჯერა, თოთო ბალის მხერაში აშკარა, დაუფარავი სიბრალული იგრძნობოდა და თითქოს რაღაც დაცივებისმაგვარიც გამოსცვიოდა.

გაოცებულსა და გახევებულ შავფორმოსანს ბავშვმა კიდევ ცოტა ხანს თვალის დაუხამხამებლად უქვირტა, თითქოს თავით-ფეხამდე სწავლობდა და ჰკვირობდა, „ეს რა არსებააო?“ მერე უეცრად ბაგე გახსნა, ორი პაწაწა ზედა კბილი გამოაჩინა და კეთილად შეჰლიმა.

გენერალს ტანში გასცრა, შეშინებულნი ზღარბივით აიბურძგლა, ბაღლი კი ფეხის ფეხზე მიდგმით მოუხერხებლად შეტრიალდა და ამრეც ფერდს ხვანხვალით და რწევით შეუყვა.

როგორც აღმოჩნდა, შონჰარტის მარჯვენა ფლანგზე მყოფმა რომელიღაც ესესელმაც შენიშნა ბილიკზე ბორძიკით მიმავალი ბავშვი და მთავრსარდლის ახლახან გაცემული ბრძანების ასასრულებლად გეზალებული მწვევარივით გადმოახტა გორახებს, აღმა მიმავალ ტიტლიკანა ჩვილს რამდენიმე ნახტომით წამოეწია, ავტომატის ლულა ბექვებზე მიახჩინა და სასხლეტიდან თითმოუშორებლად მთელი ჯერი ერთიანად მიუშვა.

ყრმა თავფეხიანად აცახცახდა, მერე წაიფორხილა, ფრენას მოწადინებულ ბარტყივით წაფარფატდა, მაგრამ სასწაულით არა თუ წაიქცა, პირიქით, კვლავინდებურად გაიმართა და ისე უდრტივინველად განაგრძო ზესვლა თით-



ქოს ყოველი ხორციელი არსების დამ-
თრგუნველი ტყვიები კი არა, ფეტვის
მარცვლები მოხვედროდა ზურგში.

შონჰარტმა ცხადლე იგძნო, რო-
გორ ვაუბლანტლა ძარღვებში სისხლი
და გულიც თავწაგლეჯილი ქაღალდით
აუფრთხილდა, მაგრამ გადმოცვენამდე
გადმოკარკული ფვალებით მაინც ნა-
თლად ხედავდა აღმა მიმავალ ბალსს,
რომელიც ისეთი ფრთხილი მოსინჯვით
ადგამდა შიშველ ტერფებს მიწას, რომ
უქვევლი იყო, ბილიკზე მიმობნეული
ქვა-ღორღი თოთო ფეხისგულებს ტკე-
ნდა.

გაბმულმა და ნაჩქარევი სროლის ხმამ
ფერდის გაყოლებაზე მიმოფანტული
შავფორმოსნები ლეშის სუნნაკრავი ფ-
თრებივით მოიზიდა და ერთ ჯგროდ
თავშეყრილებმა ისეთი მონდომებითა
და მიზანსწრაფვით მიადევნეს სიკვდი-
ლი ადამიანის უსუსურსა და უცოდველ
ნაშიერს, თითქოს მის ხორციელ მოს-
პობას მსოფლიოს ყველაზე აპოკალიფ-
სური ომის ბედი საბოლოოდ უნდა გა-
დაეწყვიტა.

... და იქნებ მართლაც ასე იყო.

უჩვეულო და დაუჩქარებელი ამბავი
კი კვლავინდებურად გრძელდებოდა.
ახლად ფეხადგმული ყრმა არც ტყვიას
ეუბებოდა, აღარც ფეხქვეშ ნაკვერჩ-
ხლად ქცეულ მიწას უმინდებოდა და პა-
ტარა, თეთრი ჯვარავით ხელეგაშლილი
ჯიუტად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევედა მოტიტ-
ვლებული მთის მწვეგრვალისაკენ.

სრულიად მოულოდნელად ოთხივე
მხრიდან სამუმივით ძლიერმა, ცხელმა
ხორშაქმა დაპბერა, ცის ტატნობს შე-
მოჯარული ღრუბლები წამში ააორთქ-
ლა, გააქრო და აღმოსავლეთი ცეცხლი-
სფრად ააელვარა.

წელიწადის კანონიერმა დრომ არა-
ბუნებრივი ნახტომი გააკეთა და დეკემ-
ბრის სუსხი ივლისის ხვატმა შეცვალა.

ტიტველი მთის თავზე უჩვეულოდ
დიდი, სისხლისფერი მზე ამოზობლდა
და შხამიანი სოკოსავით ყავისფერი ლა-
ქებით აფორაჯებულმა, მრისხანე ციკ-
ლოპის თვალვით ვადმოხედა ქვეყანას.
ამრეც ფერდზე აქა-იქ შემორჩენილი

ბალახ-ბუჩქნარი ჯერ დაიკრუნა, შემდეგ
წას განერთხო. შემდეგ ქვეწარმავალი-
ვით დაიკლანჯა ბოლი აიღინა და ტკა-
ცატკუტკუტ იაღდა.

ქველიან ქარივით მქლავრი და ორთ-
ქლავით მწველი ვრიაგალი შავფორმო-
სან მკვლევლებს ყოველი მხრიდან შე-
მოენთო, სული შეუხუთა, ხელპირი და-
უთუთქა და ფესვეგზამხმარ ფუტურო
ხეებივით ერთიმეორის მიყოლებით გა-
დააქცია.

აელვარებული მნათობი უსაშველოდ
გაფართოვდა, მკვდრის მზესავით ჩამუ-
ქდა, სიმბურვალე გაიათქცა და ზურ-
გზე ბუღადენილი ადამის უღირს ნაში-
ერთ, თხუნელებივით მიწის ამოთხრასა
და ქვესენელში ჩაძვრომას რომ ესწრა-
ფოდნენ, შანთაქცეული სხივებივით
სამყაროს ხილვის ნიჭი ამოართვა ში-
შით გადათეთრებული გუგებიდან და
თვალისჩინი დაუესო.

ახლა ყოველი განწირულისათვის ცხა-
დი შეიქნა, რომ უსაზღვროდ განრისხე-
ბული მნათობი ამოჩაღივით ცდილო-
ბლა მკვრდიდან იმ ძუძუს მოკვეთას
რომელსაც დედამიწა ერქვა და რომ-
ლის რძითაც ერთადერთი უგუნური პი-
რმშო — კაცობრიობა გამოზარდა.

უღავო იყო — ადამიანთა მუღმივი
სასუფეველის აღსასრული დგებოდა,
აწ ველარაფერი იხსნიდა მას, რადგან
დასაბამიდან სინათლისა და სიცოცხლის
მომნიჭებელი მზე-ღმერთი გაბოროტე-
ბულ ურჩხულად მოქციულიყო და თა-
ვადვე აპირებდა ციცილ-გეჭენით იმის
იავარქმნას, რაც მილიარდი წლების გან-
მავლობაში ესოდენი რუღუნებით შეე-
ქმნა.

და როდესაც დედამიწა და სრულიად
ქვეყნიერება რისხვადმოსული მნათობის
ზემბურვალეებას სამარადქამოდ უნდა
გადაეხუტა და გაეცამტვრებინა, ახ-
ლად ფეხადგმულმა ჩვილმა დიდი ვაჭი-
რვებით აათავა ფერდი, ტიტველი მთის
მწვეგრვალს უწია, თოთო ხელები შემა-
რთა, სუსტი მკლავები აელვარებულ
მზის დისკოს შემოხვია, მსუბუქად აზი-
და და ცის თაღზე ოდითგანვე მიჩენილ
წრესაბრუნზე მძლავრად გასტყორცნა.

ელა გორიაშვილი

ბატონო პეტრე

სხელი ჩემი —
 უხმაუროდ ჩახოცილი ინსტინქტების სასაფლაო.
 სული ჩემი —
 სიცოცხლის ხაფანგში
 ცალი ფეხით გაბმული ნიბლია.
 ახლობლები ჩემი:
 პანო ბუდენბროკი — თომას მანიდან,
 დოროთეა — ვეჟინოვიდან,
 ლისპეტი — კიპლინგიდან,
 დედა — ცხოვრებიდან,
 მამა — ხსოვნიდან,
 დები — ბაეშვობიდან,
 აღამიანები — სიზმრებიდან;
 მონატრება ჩემი —
 ზღვა... ნომებერი... წვიმა... მუსიკა...
 ვალი ჩემი — სამშობლო.
 სამაისო ტრაგედია ჩემი —
 იასამნების დაყვავილება.
 საზაფხულო სამოსი ჩემი —
 ველური მარწყვით მოჩითული ივნისი.
 ჩართული ვარ ურთულეს წრედში —
 გბრუნავ საკუთარი თავისა და სიყვარულის გარშემო.

დაუსრულებელ მართონში
 ვიძენ და ვირჩენ ახალ კრილობებს,
 ვიძენ და ვირჩენ...
 მე დროისა არ შეშინია.
 მოვიდეს და გადაშიაროს ბასრი ბრწყალებით
 და ჩამიტოვოს მუქი ღრუბელი
 გულში... თვალეში...
 ხომ უნდა ვიგარძნო სიცოცხლის ბოლოს,
 რომ ვიყავი, რომ განვიცდიდი;
 ბოლოს და ბოლოს,
 ჩრდილი აქვს იმას, რაც არსებობს,
 არარაობას არა აქვს ჩრდილი...
 დაუსრულებელ მართონში
 ვიძენ და ვირჩენ ახალ კრილობებს,
 ვიძენ და ვირჩენ...
 მე ტკივილის არ შეშინია.
 თუკი ამქვეყნად საჭიროა
 მხოლოდ სამი რამ იმისათვის,

რომ ჩვენს მოდგმას
გადაშენების საფრთხე არ ექნეს:
სამზარეულო,
ტულატი
და სარეცელი
განსხვავებული სქესის წყვილთათვის,
თუ სხვა დანარჩენს ჩვენვე ვიგონებთ
პირველკლასელის გულმოდგინებით,
რომ ცხოვრება გავილამაზოთ,
როგორღა მივხვდე,

რა ყოფილა საჭირო და
რა არ ყოფილა.

მე ცოდვების არ მეშინია.
დაუსრულებელ მართონში
ვიძენ და ვირჩენ ახალ კრილობებს,
ვიძენ და ვირჩენ.
არ მეშინია სიყვარულის.

სული ჩემი —

სიცოცხლის ხაფანგში

ცალი ფეხით გაბმული ნიბლია,

სხეული ჩემი —

უხმაუროდ ჩახოცილი ინსტინქტების სსსაფლო,

საზაფხულო სამოსი ჩემი —

ველური მარწყევით მოჩითული იენისი.

●
თოვს...

მეტისმეტად ხშირად გვახსენებს ხოლმე ცხოვრება,

რომ „ჩვენი მოდგმის მწარე ხვედრია,

ვერ გაგიგოს მოყვასმა შენმა“.

თოვს....

მყუდრო „შინიდან“.

სითბოსათვის სიცივეში გამოქცეული

ამაოდ ვეძებ ნაცნობ-უცნობთა სახეებზე

ცნობისა და სიახლოვის გაფოთლილ ღიმილს.

ჩვენ მეტისმეტად ხშირად გვარწმუნებს ხოლმე ცხოვრება,

რომ „ჩვენი მოდგმის მწარე ხვედრია,

ვერ გაგიგოს მოყვასმა შენმა“.

ცივია ქუჩა,

აკანკალებს იანვრის ღამეს

და გრაფიკული ზამთრის ფონზე

კენტად ანთია

ჩემი ლამაზი სიყვარული.

მარტოობა?

მარტოობა ასატანია.

მარტოობა სულის ხერხემალს

ჩაფრენილი ბრჭყალებია,

ფესვგადგმული, ტკბილი სიმსივნე.
მარტოობის მეტასტაზებით
მოფენილია ჩვენი სულები.
თოვს...

ზღვასთან

მახსოვს, როგორ მზარავდა,
როგორ მანადგურებდა,
რანაირად ეღერდა,
თოლიების ჭყვილი,
თოლიების ვაება,
თოლიების ელდა.
მახსოვს, მიწა ცოდვილი
ზღვასთან გულახდილობდა,
და ზღვა ატორტმანებდა
უშველებელ საფირს,
აცილებდნენ გემები
ვნების ნახანძრალეობით
აყვავებულ ნაპირს.

მახსოვს, ორლანს მერჩია,
ისე ახლოს მოვიდა,
ისე ჩემთვის ეღერდა,
თოლიების ორკესტრი,
თოლიების ვაება,
თოლიების ელდა.
მახსოვს, მენატრებოდი
და კვლავ ერთი ვიდექი
სიყვარულის კარად;
.....
ზღვასთან ყველა მარტოა,
თურმე ყველა მარტოა,
მარტო მე კი არა...

მარტის ჩვიდმეტი

მე მიყვარს მხოლოდ მარტის ჩვიდმეტი,
მარტის დანარჩენს ეთხოვ, მაპატიოს,
რომ მოფართხალე დღეების გუნდში
მხოლოდ ეს ერთი გამოვარჩიე.
ისე შორია გაზაფხულამდე,
ისე შორია, მიხვედრა მიჭირს,
რა ძალამ უნდა წამოაფრინოს
თებერვლის ფსკერზე მთვლემარე კვირტი.
ქვესკნელებიდან მოიწევს რალაც,
ნოიყოლიებს მწვანე იარებს
და გაზაფხულის დღენაკლულ სხეულს
ბუნება მარტში იმშობიარებს.
ბედნიერებმა და ძლიერებმა
იტვირთონ იგი, ჩემთვის რთულია.
უკვე მიყვარდა...
და ყველაფერი
ჩავლილია და დაკარგულია.
ბევრს ველარავის ვერ დავპირდები,
სულში ამდენი როგორ დავტოო.
...და მიყვარს მხოლოდ მარტის ჩვიდმეტი,
მარტის დანარჩენს ეთხოვ, მაპატიოს.

ცნობილ კომბს ვაჟა ყუბუსიძის შემსრულებად 50 წელი.
 შურნალ „ცისკარის“ რედაქცია მრავალათასიან მკითხვე-
 ლთან ერთად ულოცავს კომბს ამ ღირსშესანიშნავ თა-
 რილს.

ციკლიდან „ცეცხლმოღებული თოვლი“

კომბის სიკვდილი

ფიქრიდან ფიქრზე გადიოდა, როგორც ჯამბაზი,
 ხის ცხენის კუდზე გამოება ბედი წყვეული
 და გასუსული აღსასრულის შიშით დარბაზი
 სულს ძლივს ითქვამდა, ერთარსებად გადაქცეული.

ცრემლიდან ცრემლზე გადიოდა, ვით არლეკინი,
 ზურგზე ხარხარში აზელილი სევდა ეკიდა
 და სიცილ-სიცილ ჩამსხვრეული ყველა ნეკნიდან
 მღრმარე დარბაზს ანათებდა მზე არეკლილი.

ერთხელაც ჩაწყდა, ჩაწყდა ფიქრი, როგორც ბაგირი,
 ჩამუტდა სევდა, ლხენის ნიღაბს როცა გაშორდა...
 და სამუდამოდ გადმოვიდა, რბენით დაღლილი
 კაცი, ხის ცხენის უძვირფასეს სათამაშოდან.

მოწყლევ, მოწყალეზე მეტო,
 დღესაც შემაშველე ხელი,
 ვბერტყოთ, ძველებურად ვბერტყოთ,
 ხეების ფოთლები ხმელი;

დაგვესო შენცა და მეცა
 თვალები, ზეცისკენ ცქერით,
 სიყვითლე ამძიმებს ზეცას,
 ლურჯი დაუბრუნოთ ფერი.

გადავრჩეთ ეგება

„ყოველი ცოცხალი დაღუპვის ღირსია“
 ფილოსოფიური სენტენცია

როცა ვიმყოფინებთ — საჩვენო რაც არი,
 ჩაქრება ცეცხლი და იმრავლებს ნაცარი,
 უჟანგავს დაეჟანგავთ, უცვეთელს გავცვითავთ
 და ველარასოდეს აღვსდგებით ნაცრიდან;

როცა დავივიწყებთ — ჩვენამდე რაც იყო,
ყველა ქვას მდინარე ნაპირზე გარიყავს
და, შერტყენილები სიმწვანის წინაშე,
უკვალოდ გავქრებით მტვერში და სილაში.

როცა ვერ დავიცავთ — რაც შემდეგ იქნება,
დღეჩამოთვლილები და მოუცლევები, —
მზის მაცოცხლებელი სხივი ჩაგვიქრება,
და რიცხვს გავადიდებთ ყოფილი ერების...

მივხედოთ — რაც გვემონდა, რაც გვაქვს და გვექნება,
გადავრჩეთ ეგება, გადავრჩეთ ეგება.

იმაღ ვწუხვართ, რომ...

მუხრან მაქავარიანს

არა იმიტომ, რომ ნატყვიარი
ჩვენზე ადრე გრძნობს საადრო ნისლებს,
არა იმიტომ, რომ სატყვიარი
და საწუხარი ბევრი გვაქვს ისევ.

არა იმიტომ, დღემდე ვინც გვიმტრო,
ყველას თავისი რომ არ რგებია,
არა იმიტომ, რომ თავს არ ვიმტვრევთ
მასზე, რაც ვითომ გასაგებია;

არა იმიტომ, არა იმიტომ —
სიხარულის წილ დარდიც რომ გველის,
იმაღ ვწუხვართ, რომ ხვალაც ვინ გვიმტროს —
ვერ ამჩნევს, ანდა არ ამჩნევს ბევრი.

ციკლიდან „ლირიკული პარადოქსები“

წუხვით

სიბერეს რომ არ დაუგვიანდა —
არ განგიქარდეს ცხოვრების გეში,
ბედზე წუწუნი აუგია და
ცულის ქნევია გაჩეხილ ტყეში.

თმენით ჰირთა და თმენით ტკივილთა,
გემართებს იმედის ღივი ვახართ;
მზეც კაბუკია ყოველ დღით და
მოხუცებული — ყოველ საღამოს.

ვხუცდები

ნეტავ რა მოხდა ისეთი,
რა ავგაროზი გავწირე,
რომ ველარაფრით განათდა
ფიქრი, მძივივით ასხმული.

რომ ხვალინდელის იმედით
აღსაესე სულის ნაწილი
ამიპირთავდა თანდათან
მოგონებებით წარსულის.

ნაბიჯით ნაბიჯი

მიუღწევად მის მიღწევას სურვილს
არ დალატობდა და აღსასრული
რომ მიეახლა სატანის ეტლით —

არ დაეჩიდა, ყოველ ნაკენში
ამოხეთქვას რომ ლამობდა სისხლი,
ბევში ჩამდგარი ნისლივით მჭისე,

გადაუნერგეს კაცს სხვისი გული...
და მან იმ სხვისი გულის გულისთვის
მზისკენ გადადგა ნაბიჯით მეტი:

რადგან ის კაცი, როგორც სარკეში,
საკუთარ ცრემლს და საკუთარ
სიცილს,
სხვაში ხედავდა თავის თავს ისე.

ჩვენ და სხვა

სხვა, მხოლოდ სხვა ქმნის
ჩვენს დარდს და ვარამს...
ჩვენ თვითონ ვინ ვართ?
ჩვენ თვითონ რა ვართ?
რა ვართ და სხვა ვართ,
სხვა ვართ სხვისათვის,
ვართ მიმწუხრის და
მზის ათინათი

იმ სხვისი, ვინაც
გვეფარვის ფარად,
იმ სხვისი, ვისიც
გვზარავს ხიფათი;
თუ არა სხვა და
თუ არა სხვა რამ —
საკუთარ თავსაც
ვერ ვიზილაგდით.

შავი ღამურით, თეთრი მამალით

ცალ ხელზე მიზის შავი ღამურა,
მეორეზე კი — თეთრი მამალი,
ღამე არყოფნის ნისლით დამბურავს,
აღმადგენს მნათი, ამომავალი,
და ჭარასავით თუმცა მებრუნებს.

ჩემი კირით და ჩემი ამალით,
მინც არ ვამბობ ბედის სამღურავს,
დარდმრავალი და ხალისმრავალი:

შავი ღამურით, თეთრი მამალით
ვარ წარუვალი და წარმავალი.

ჭვა

ჭვა ტყვიასავით მიფრინავდა,
ჭვა პირველქმნილი,
მაშინ სად იყო თონე, ანდა
ცომი და ფქვილი?!
მაშინ სად იყო
უქონლობის მღვწველი კვები?!

ჭვა მიფრინავდა —
შიშისა და შიშმილის მკვლელი;
ჭვა მიფრინავდა —
ცაზე აზრის რჩებოდა კვალი,
მარადისობაც იყო მასში, —
ცეცხლიც და კვამლიც.

სოფლები... სახლები... მერცხლები...

ბუდეს არა და არ იკეთებენ
გამოკეტული სახლების ჰერქვეშ,
მათ მარტოობის ავი ღმერთების
ჯიბრზე, ახალი კანონი შექმნეს.

და თუმცა ჩვენთან ყოფნა ეწადათ,
ფრთხალესილებს მზით და ზეცათა, —
დაცლილ სოფლებში რიცხვი
მერცხალთა
აკვანთა რიცხვის მსგავსად შემცირდა.

მალალ ქიქებში
მზეს ასხამდა შავი არაბი
და მზე მოჰქონდა არაბს —
თოვლის ხელთათმანიანს...

მე მოვიხედე,
შენს ადგილზე იჯდა — არავინ
და მიფრინავდა მოლალური
გეთსიმანიას...

სადაცაა გამოჩნდება ქსანი.
გზასაც მალე მოეღება ბოლო.
სევდიანი მიმზერს შაოსანი.
უსტვენს ქარი
და ქარების ქორო...

მივდივარ ცისკენ.
ელაეს მთვარე, ვით ტახის ეშვი.
მაკოცე, დაო,
გაფრენისას მომეშველები...

აი, გაცურდნენ თევზებივით
შუალამეში
სახლები
სიბი ქვით ნაშენები...

იმდენი რამე არ შეიძლება,
რომ ვფიქრობ ხოლმე
ზედმეტად ჩქარა ხომ არ დაქრის
ქალაქში ჩიტი,

ხომ შეიძლება,
მოუვიდეს აზრად ვინმეს,
დასაჯოს იგი
და ქალაქში არ შემოუშვას...

მტერმა წაიღო,
რაც კი გამაჩნდა,
რაც არ გამაჩნდა,
ისიც წაიღო,

დაემხოს მტერი და
გაჩანადგდეს,
ცრემლმა იწვიმოს და
გადაიღოს...

მაშინებს კბილის ჩენა
კაცის
ბნელის და ფლიდის,
ჯერ თოფის ლულის მჯერა,
მერე ლულაზე ჩიტის...

იძირება ჩემი ხომალდი —
პატარა თევზის
ვეება ჩრდილი, —
სიბნელით აგსებს ჩემს კაიუტას,
ამოგმანული სარკმელიდან

ნაწილ-ნაწილ თუ გამიტანენ...
არავითარი საფრთხე არ მელის —
ვიძირები.
ეგ არის მხოლოდ...

აღბათ არმიებს მოწამლავდა
სალამურზე მომწყვდარი წვეთი,
ისე მწარეა მელიღია
პარტახ სოფელში...

საქორწილოდ რად მორთულხარ,
სუროს ყვავილო,
ამ ნანგრევებზე რა გაკისკისებს
ჯგარს მორიელზე ხომ არ დაიწერ?

აი, ხედავ,
სიმშვიდეა სრული,
ალარავინ აღარ გიძღვრებს დამეს...
ფოთოლოგიით დაცურდება სული,
უკანასკნელს წაიმღერებს რამეს...

ეკლესიაში გალობდა გუნდი,
დაგინახე და
ამოვიმღერე,

ოიოქო უეცრად
შემეხსნა ხუნდი
და ბედნიერი გიწვდიდი ხელებს...

მეხსიერება
მეძველმანე ებრაელივით
ინახავს ათას მოგონებას

ოიოქოს უვარგისს...
მოვა დრო, ვიცი,
ოქროს ფასად დამისვამს მერე...

მთელი ცხოვრება
სიყვარულის ბორკილს მადებდი,
ცალ ხელში მზე და
მიორეში ხმალი მეჭირა

დამარცხებულის შარავანდედით
შენს ღვთიურ მკლავზე
ჩამომეძინა...

შენი ბაგე მახსოვს ცივი,
ცრემლიც აღარ მერევა...
ქვაზე ვზივარ,
გველს ვუცინი,
სიყვარულზე ვმღერავარ...



გგელი

რომანი

ერთხელ გადავარდნილ ცხენსაც წააწყდა ლუკა. ცხენი უფსკრულში იყო ჩაჩეხილი, ზემოთ კი პატარა კვიცი დარბოდა და ხვიხვინით ჩასასვლელად ეტანებოდა პიტალო ფერდობებს.

ლუკას წინასწარ გული უწუხდა, რომ, ადრე თუ გვიან, ასევე უფსკრულში ჩაჩეხილს წააწყდებოდა ბოჩოლას და ამის წარმოდგენაზე ფიქრობდა. ხანდახან, ძილის დროს ესიზმრებოდა, რომ ბოჩოლა მასთან იყო, ხან სკოლაში მიდიოდნენ ერთად, ხან იალაღებზე. ბოჩოლა ჩვეულებრივად შუბლსა და ქოჩორს ულოკავდა, გამოეღვიძებოდა და ბოჩოლა აღარსად იყო. თუკი სადმე წითელ ხარს წააწყდებოდა, გულს ბაგაბუგი გაუდიოდა საგულეში. წითელი ხარი იმათ სოფელში დატოვა იმ ზაფხულს პატრონმა და ისიც ბღმუოდა, ბუბუნებდა.

ერთხელ, სიზმარში გაეჩვენა ლუკას, ვითომ ბოჩოლა მთაზე მიდიოდა, მაგრამ სიარული უჭირდა, უკანა ფეხს ველარ ადგამდა მიწაზე. დაედევნა, ხარმა კოჭლობით აუჩქარა სიარულს და წახინხილდა.

— ბოჩოლა! ბოჩოლა! — მისძახოდა ლუკა, და თავისივე ხმამ გამოადვიდა. ბოლოს გადიწურა პონის იმედი და რა ძნელი იყო მისთვის ამას შეპკუებოდა.

მთელი ზაფხული ისე მიილია, ხარის მნახველიც კი არავინ გამოჩნდა.

დადგა შემოდგომა და მერე ისიც მიილია.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 8, 9.

ცხვარ-მეცხვარე საზამთრო იალაღებისაკენ აიბერტყა.

აცივდა.
ტყეები გაყვითლდა.
ჩაჰკნა საძოვარი ბალახი მთებზე.
საქონელი ახლა სოფელსდა უტრიალებდა გარშემო და ღობის ძირებში ჩამჰკნარ ჭინჭარს კვენეტდა.

უფრო აცივდა.
ღამე ჭირხლს სდებდა და საქონელს ბოსლებში აბამდნენ.

ღამამობით ეჩვენებოდა ლუკას, რომ სადღაც მგლები ყმუოდნენ. ლოგინში კრთოდა, ბორგავდა ამ ხმაზე. ესიზმრებოდა, რომ მგლები მისდევდნენ მთაზე ბოჩოლას, ის გარბის, მაგრამ უკანა, მტკივან ფეხს ძლივს მიითრევს. სადაცაა, დაეწვივან.

— ჰეჰეეე! — ყვირის ლოგინიდან წამამხტარი, ნამძინარევი ლუკა.

სადღაც მართლა ყმუიან მგლები. ილევა შემოდგომა.

ტყეებში ცივი ქარი უბერავს და აშიშვლებს, ფოთლებს აცლის ზეებს.

ახლა დღისითაც ცივა.
მზეს ერთი მტკაველი სავალიდა აქვს ცაზე.

ამოვა და იმწუთას ჩადის.
დგება ზამთარი.

წითელი ხარი თავის სოფელში მიჰყავს პატრონს, გზადაგზა სათოვრად გამოზადებულ ცას შეპკურებს და თავისთვის იძახის:

— ეგრეც ვიცოდი!
რა იცოდა, არავინ ეკითხება, შეიძლება იმაზე ამბობს, დღეს რომ თოვლი უნდა წამოვიდეს.

თოვს.
 კალოებში ბელურები ეივებივებენ.
 ლამდება.
 სიბნელეში აღმაცერად მოფარფატე-
 ბენ თოვლის ფიფქები.
 ლამე გრძელია.
 ეტყობა, სულ ითოვებს ამაღამ.
 თენდება.
 მთლად თეთრია არემარე.
 სახლის წინ, თოვლში, თეთრი ხარი
 დგას.
 ჭერ ვერც კი იცნო ლუკამ. ხარი
 მთლად ჩონჩხად იყო ქცეული და თავ-
 ჩაღუნული იდგა. თვალეში სევდა
 ჰქონდა ჩაწოლილი და ამ თვალეებით
 იცნო.

— ბოჩოლაა! — იყვირა ლუკამ და
 ყელზე შემოეჭლო. კინაღამ წაიქცა, ისე
 იყო დასუსტებული ბოჩოლა.

— რა დაგემართა, ბოჩოლ, შენ გენა-
 ცვალე! რა დაგემართა? — ეკითხებო-
 და ლუკა, უკვირდა, ბოჩოლას შავი
 ბეწვის მაგიერ მთლად თეთრი ბალანი
 რომ ჰქონდა.

მოგროვდა სოფელი.
 ლუკა ხარს ეხვეოდა, მწვანე თივას
 აძალებდა და მერამდენედ ეკითხებოდა:

— რა დაგემართა, შენ გენაცვალე;
 ბოჩოლ!

— დარდს გაუჭადარავებია, შვილო,
 ეგრე იცის დარდმა, — უთბრა ლუკას
 მოხუცმა კაცმა, თვითონაც ახალმოსულ
 თოვლივით თეთრი თმა-წვერით შემო-
 სილმა.

— მართლა, ბოჩოლ? — თვალეში
 ჩაეკითხა ლუკა.

იმან კი ერთი თავისებურად აულო-
 კა შუბლი და თმა, მერე ჩაწვა, ჩაიმუხ-
 ლა, ერთი ღრმად ამოიხვეწა და უსუ-
 ლოდ ჩაესვენა თოვლში.

მარტო ორგერ გაიქნა ჰაერში უკანა
 ფეხი და ეს იყო ნიშანი იმისა, რომ გუ-
 ლმაც შეწყვიტა მოძრაობა.

— ხედავ დარდს რა შეუძლია, კაცო,
 ჰა? — იძახოდა ხალხი.

— საქონელს რას უჩადის, კაცს რა-
 ლას უზამს.

— კაცი მგელია, ყველაფერს გადარბობს
 ტანს, — თქვა მოხუცმა კაცმა.
 თოვდა.

თეთრად თოვდა, მაგრამ მერე თანდა-
 თან წითელი ფანტელები წამოუტრია.
 წამოვიდა წითელი თოვლი.

ლამის გაგიჟდა ხალხი, ასეთი რამ
 ჭერ არავის ენახა, სულ გადაწითლდა
 მთა-ბარი.

— უბედურების ნიშანია, უბედურე-
 ბა მოვა, — თქვა ვიღაცამ.

— ეტყობა, რომელიმე ვარაკვლავზე
 ომია და იქიდან მოდის სისხლიანი
 თოვლი, — ეჭვი გამოთქვა მეორემ.

— ასეთი რამე გაგიგონიათ, ხალ-
 ხო?! — იძახდნენ შემოფოთებული დე-
 დაკაცები.

— გამიგონია, ჩემს ბალობაში მო-
 ვიდა ერთხელ წითელი თოვლი. რო
 დავდიოდით, ნაფეხურებში სისხლივით
 დგებოდა თოვლის წყალი. გაზაფხულ-
 ზე, თოვლი რო გადნა, მდინარე სუ სი-
 სხლივით წითელი წავიდა, ქალაქიდან
 ხალხი გამოეგზავნათ სანახავად. რა
 ამბავია, რაშია საქმე, წადით გაიგეთ,
 ე სისხლის მდინარე საიდან მოდის,
 მთიულებს ერთუერთში ომი ხო არა აქ-
 ვთო, — თქვა იმ მოხუცმა, კაცი მგე-
 ლია, ყველაფერს გადაიტანსო, წელან
 რომ ამბობდა.

თოვდა.
 მთელი ხეობა წითლად გადაიბარდნა.

ცაც წითელი იყო თითქოს, იქიდან
 მორიალობდნენ წითელი ფანტელები
 და ეფინებოდნენ მთებს, ტყეებს, სა-
 ხლის სახურავებს. სოფლებში იდგნენ
 წითელი სახლები, გარსშემოვლებული
 წითელი ლობეებით. სოფლის მოედანზე
 ახლა წითელი მსხლები იდგა, ზედ
 წითელი ყვავები ისხდნენ და კალოები-
 დან კალოებშიც წითელ თოვლში ამო-
 განგლული ბელურები დაფრინავდნენ.
 სოფლის თავს იდგა ეკლესია წითელი
 გუმბათით, სამი წლის წინათ ამ გუმ-
 ბათთან ჰაერში იყო გაჩერებული დო-
 ნატა. რატომღაც, თითქოს ახლაც იქ
 გაჩერებული მოეჩვენა ლუკას იგი, ხე-
 ლი მოისვა შუბლზე, დონატა გაქრა.



მოდიოდა თოვლი და ახლა უსულო თეთრ ხარსაც წითლად ეფენებოდა, შავოსანი დედაკაეები კი წითელი თავ-შლებით მიმოდიოდნენ სოფელში და ვიშვიშებდნენ.

გუნდაობდნენ ბალები წითელი თოვლის გუნდებით.

უცებ გაღმა მთიდან გრგვინვა მოისმა. ყველამ იქით გაიხედა. დიდუბის მთიდან წამოვიდა უზარმაზარი ზვავი, წამოხვეტა ფერდობებიდან წითელი თოვლი და ჰაერში კორიანტელი დააყენა.

გუგუნით მოდიოდა ზვავი, გზადაგზა ძალას იკრებდა, რაც კი შეხვდებოდა, ყველაფერი თან მოჰქონდა, ყველაფერს თან მოიყოლებდა, შიგნით იხვევდა, დულდა, გადმოდიოდა, მოექანებოდა და უზარმაზარ წიფლის ხეებს გლეჯდა გზადაგზა.

აქამდისაც ყოველ ზამთარს ენახა ხალხს დიდუბის მთიდან გამოქანებული ზვავი, მაგრამ ეს სულ სხვა იყო, პირველად იხილეს წითელი ზვავი, რომელიც ისე ბობოქრობდა, თითქოს ქვეყანას დაქცევას უქადადა, თითქოს მთები-მთებზე უნდა შემოეხეთქებინა, მთა და ბარი გაესწორებინა და ყველაფერს წითელი კორმიჭებით გადაჰფენოდა თავზე. ზვავი ხან გაიშლებოდა, მოლიკლიკე ენებს გაუშვებდა წინ, მახლობელი ფერდობებიდანაც წამოაცურებდა თოვლს, მერე ისევ შეიკვრებოდა, სათქით ჩაეხლებოდა უფსკრულებს და ახველებდა. ზვავის წინ მოზუზუნებდა წითელი ქარი, წითელი თოვლის ჰაერში აგარდნილი ბუქი, რომელიც ცოცხალს არ ტოვებდა ჰაერში წამოფრენილ შეშინებულ ფრინველებს. რამდენიმე დამფრთხალი შველიც მოიყოლა თან.

გზადაგზა ძალას იკრებდა ზვავი, გუგუნებდა, ხრიალებდა. გარშემო ჩამოდგარი მთებიდანაც გამოქანდნენ პატარა პატარა თოვლის ზვავები და ისინიც იმ აბორგებულ, წითლად აბობოქრებულ თოვლის ზვავს შეუერთდნენ.

მანამდე მოექანებოდა ასე, მანამდე

გლეჯდა თავის გზაზე სუყველაფერს ხესა და ქვას, სანამ ერთ უდაბურ უფსკრულში არ ჩაეჩხება. კარგა ხანს წითელი თოვლის კორიანტელი ტრიალებდა უფსკრულის თავზე. მუცელამოყრილი უდაბური ხევი ქოშინებდა, ფორიჭობდა, დიდხანს ვერ ინელებდა ასეთ ლუქმას. მერე ჩაწყყარდა, მარტო ზვავის მცირე ნაწილი ვეღარ ჩაეტია იმის ხახაში, ის ნაწილი ქვემოთ გაცურდა, თავის გზაზე მდინარე გადაკეტა და ისიც გაჩერდა და სანამ გასასვლელს იპოვიდა, ზვავის უკან ერთ ადგილზე დატრიალდა.

— არიქა, მშრალზე თევზები დარჩებოდნენ! — დაიძახა ვილაყამ და მდინარისაკენ გაიქცა ხალხი.

ერთ ადგილას ტრიალებდა ზვავისაგან გზაშეკრული მდინარე. ტრიალებდა, წითლად ტრიალებდა, წითელი თევზები დაცურავდნენ იმის ტალღებზე, მეორე მხარეს, ქვებზე ფართხალვებდნენ უწყლოდ დარჩენილი კალმახები. ხალხი ჰკრფდა და ვინ ჯიბეებში იწყობდა, ვის ხალათის უბე ჰქონდა გამოვსებული, ზოგსაც თხილის ჯიბეები მოეტება და ზედ აცმევდნენ ჩურჩხელებივით.

ზვავის უკან დატრიალებულმა მდინარემ კი თანდათანობით გაქლინთა თოვლი, გაძვრა-გამოძვრა, და ისევ თავის სავალ გზას გაჰყვა.

თითქოს ზვავის გამოქანებას ელოდაო, ნელ-ნელა შეწყდა თოვაც. შეწყდა ცოტა ხნით, სანამ არ ჩამოეყარნენ ჰაერში მოფარფატე უკანასკნელი წითელი ფიჭვები, მერე კი ისევ თეთრი ფანტელები წამოუშინა და ახლა თანდათან გადათეთრდა დედამიწა, მარტო აქა-იქლა მოჩანდა ტყეებში წითელი ხეები, ცოტა ხანში ისინიც ისევ თეთრად შეიბურნენ ეკლესიის გუმბათი ისევ გადაათეთრდა, და მალე სულ გააქრო თოვლმა წითელი ფერი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ლუკა თავის ხარს დასჩერებოდა და ხმას ვერ იღებდა.

ხარს თვალები ღიად დარჩენოდა და ბიჭს მისჩერებოდნენ. ის ღლე და ბოჩ-

ოლას თვალები დღემდე თან სდევნენ ლუკას ბავშვობის დროინდელ მოგონებებს. ალბათ, არც არასოდეს დაავიწყდება ხარის თვალები. აი, ახლაც თვალწინ უდგას.

შეკრთა.

თევდორეს მონაყოლი გაახსენდა: მგლად ყოფნისას თავისი ხარი რომ იცნო თვალებით.

ყური მიუგდო.

შვიგნით ოთახიდან ჩამიჩუმე არ ისმოდა.

ნუთუ სძინავს, თუ ელოდება, როდის ჩაიძინებს ლუკა. არა, არ უნდა დაიძინოს, თორემ რას გაიგებ, რა უდევს თევდორეს გულში, მან ხომ საკუთარი ხარიც არ დაინდო. ეს მაშინ იყო, როცა თევდორე მგელი იყო, მაგრამ ახლა ხომ არ იცის ლუკამ, გაითავისუფლა დორაისხვევლებისაგან მთლიანად თავი, თუ შვიგნით ჩაუსახლეს წითელი მგელი და სოფელში გამოავაზენეს. იქნებ გაითავისუფლა, იქნებ დორაისხვევლებს ამაზე უფრო მოძულე მტერი არცა ჰყავთ, მაგრამ ეს რომ არ მოუყოლია, რომ აღარ უთქვამს, მერე რა მოხდა? ნეტავი, მართლა რა მოხდა? ბოლო წლამდე არც ერთხელ წინამძღოლობა არ მერგო შვიდი წლის განმავლობაშიო. ჩანს, წინამძღოლობისათვის მაინც მიუღწევია. ალბათ, როგორ ამყად ჩაუდგა ხროვას სათავეში და სამგლო საქმეებით დაგეშილნი დაეშვნენ სოფლისაგან. რაკი წინამძღოლობას მიაღწია, ეჭვი არ არის, უერთგულა კიდევ იმათ კანონებს, ხომ თვითონ ამბობდა. მგლისთვის ისეთი საამაყო წინამძღოლად ყოფნა, ხროვას რომ ჩაუდგები, კვალში რომ ჩააყენებ და მბრძანებლურად ტოტსაც აიქნევო. მამ გაუტყებოდა მბრძანებლის როლი და თუმცა მანამდე სიკეთე მაინც ედგა გულში, როცა დედაბერი გადაარჩინა ჯალაბას თავდასხმისაგან, როცა გულდაწყვეტით გაჰყურებდა მუხაზე გაკრულ შეყვარებული ბიჭის აჩრდილს, ანდა უდაბნოში რომ დაძუნძულებდა იმის გულისათვის, კანონის საწინააღმდეგო ზრახვა რომ გაივლო. წინამძღოლად ყოფნა სხვათა

შეცოდების ამ სიძს გაუწყვეტდა, თივე მგლად აქცევდა, მანამდე სხვა წინამძღოლები რომ იყვნენ. ვინ იცის, რამდენი ცოცხა ჩაიღინა, რამდენჯერ აიქნია ტოტი მბრძანებლურად. კანონის ერთგულება ხომ მაშინაც სისხლში ჰქონია გამჯდარი, როცა ხარავანს დაეცნენ, ხარი რკალში მოიჭიკეს და როცა თვალებით იცნო საკუთარი ხელით გაზრდილი ხარი, მაინც არ დაინდო, არ გაარღვია მგლების რკალი, როცა ხარმა მის მხარეს გადაწყვიტა წრის გარღვევა. იქნებ ხარმაც იცნო თვალებზე და იმიტომ გაექანა მის მხარეს, იფიქრა, დამინდობს და გამაბრუნებო. თუ ასეა, მაშინ, ალბათ, ათასჯერ უფრო ემწარებოდა მისი კბილები, ვიდრე სხვა მგლების.

ახლა რატომღაც თავისი თავი წარმოიდგინა ლუკამ იმ წრეში ჩამდგარი, ოღონდ შვიგნით მისი ბოჩოლა იდგა, აქეთ-იქით ტრიალებდა და გასასვლელს ეძებდა. შიშისაგან ყელის ძარღვები უფეთქავდა და საბერველივით ქშინავდა. წრე კი თანდათან ვიწროვდებოდა და უცებ, ბოჩოლამ, რატომღაც, ლუკას მხარეს გადაწყვიტა წრის გარღვევა. დაიქშინა და გამოექანა...

შეკრთა ლუკა.

საწოლზე წამოჯდა.

მისმა მოლანდებამ ვერ შეძლო ბოჩოლასათვის კბილი გაეკრა.

ისევ ის წითელი ზამთარი გაახსენდა: როცა გამოიღარა და ბანებიდან თოვლის გაღმობვეტა დაიწყეს, ნიჩბებით ჰკრიდნენ ოთხკუთხა ნაჭრებად და იმ ნაჭრებს საღდაც, შუა წელში ზოლად გასდევდა წითელი თოვლი.

იმ წითელ ზოლივით გაკრთა ჩამობნელებულ ოთახში ცეცხლის შუქი და ჩაქრა.

ჩამობნელდა.

ლუკამ სიბნელეს ყური მიუგდო.

შემზარავი იყო ეს სიბნელე და ავისმაუწყებელი. გარს ეხვეოდა ლოგინში წამოძქდარ ლუკას, თვალებზე უთითებო ხელებს აფარებდა და თითქოს ეჩურჩულებოდა: აბა გამოიცანი, რა მოხდებოდა.



ლუკა წამოხტა, მიეჭრა ლუმელს და შეაყარა შეშა. იმის გულს ბაგაბუგი გაუღიოდა, ლამის მკერდიდან ამოხტომოდა.

ჩანავლებულ ნაკვერჩხლებზე ატყრციალდა ხმელი შეშა, აბოლდა და თუნუქის ლუმელიც ნელ-ნელა აწყრი-ალდა. ლუკამ სიბნელეში წყალი მოძებნა. კუთხეში სპილენძის თუნგი იდგა, მოიყუდა და ხარბად დაეწაფა. არაკრ-აკდა თუნგი. ცივი წყალი მკერდზე ჩამოედვარა. ისევ ლოგინში ჩაწვა. წყალ-მა შიში გაუნელა. მაინც ფიქრობდა, ფიქრობდა მისთვის უცხო და ბურანით მოცულ სამყაროზე. არა, ხვალ აუცილ-ებლად მოაყოლებს თევდორეს დანარ-ჩენ ამბებს, მაგრამ დადგება კი ეს ხვა-ლე? რომ არც ადგილის დედას მიეზა-რა დაწოლისას!

— შემიჩაზე, ადგილის დედაც! — აჩ-ურჩულდა ლუკა და პირჯვრის წერას მოჰყვა. მერე, ისევ თვითონ შეშინდა ამაზე და ახალ საფიქრალს მიეცა: თუ თევდორე ისევ იმათი ტყვეა და იმათ ნება-სურვილს ასრულებს, მაშინ ამ სახლის დედაც ხომ იმათი იქნება. თევ-დორემ ხომ თქვა, არ ვიცოდი, თუ ეშ-მაკებსაც ჰქონდათ ადგილი საპატრო-ნოდ და ალაღად იმიტომ მივებარე იმ ღამესო. ამით ხომ არ მანიშნა ავს კი გიპირებ, მაგრამ ეს ჩემგან არ არის, და-ვალეებული მაქვს და შენ გაფრთხილდი დაძინებისას ადგილის დედას არ მიე-ბაროო...

უცებ, თითქოს თოფი გავარდაო, ის-ეთი ხმა გამოიღო ლუმელმა, ეტყობა, ჩანავლებულმა ნაკვერჩხლებმა ნელ-ნელა გაახურეს რცხილის შეშა და რო-ცა ალი ავარდა, თოფის ხმა გამოსცა ლუმელმა.

ოთახი მთლიანად გაანათა ცეცხლის ალმა.

— ფუჟ-ფუჟ-ფუჟ-ფუჟ-ფუჟ-ფუჟ! — ისე ხმაუწყობილად იძახდა ლუმელი, გეგონებოდათ, ოთახი კი არა, პატარა, ორვაგონიანი მატარებელი ყოფილიყოს, რომელიც შუალამისას ხეობაში თოვლს მიჰყვალავს და თან მგზავრები მიჰყავს:

ერთი, ერთ ვაგონში წევს, მეორე მეორეში. არის კიდევ მესამე მგზავრიც — ძაღლი, რომელიც დერეფანში აბია. შუალამე კარგახნის გადასულია. ერთ-ერთ ვაგონში ფხიზლობს მგზავრი, მეორე ვაგონში კი, კაცმა არ იცის, რა ხდება: სიძინავთ, ფანჯრიდან ღამეს გაჰ-ყურებენ, თუ დროებით გაიპარნენ კი-დეც ვაგონიდან, რომ შემდეგ ისევ მო-ბრუნდნენ და წინა ვაგონს თავს დაეს-ხნენ.

— ფუჟ-ფუჟ-ფუჟ-ფუჟ! — იძახის ლუმელი და წყვეტილ-წყვეტილად, თე-თრი მიწით შელესილ კედლებზე კრთის ცეცხლის შუქი. უცებ ლუკას მოეჩვენა, რომ ოთახი მოძრაობდა, მო-ძრაობდა რიტმულად, მართლა ისე, რო-გორც მატარებლის ვაგონი მოძრაობს ხოლმე. წამოიწია, კედელს ხელი მია-დო, თითქოს მართლა მოძრაობდა ოთა-ხი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, ოდნა-ვი ჩქამიც კი არ დარჩეულა შიგნითა ოთახიდან; არც მაშინ, ლუკა რომ სიბ-ნელით დამფრთხალი წამოხტა და ლუმელს შეშა შეაყარა, არც მაშინ, თო-ფივით რომ იგრიალა ცეცხლმა, არც მანამდე და არც მას შემდეგ. ნუთუ მარ-თლა სადღაც წავიდა თევდორე? ანდა რატომ აეკვიტა მასზე ასეთი ეჭვი და ძილს არ აძლევს, მოსვენებას უკარგავს ლუკას. ხომ შეიძლება, სხვანაირად ფი-ქრიც: ტყვეობიდან დაიხსნა თევდორემ თავი, დაბრუნდა სოფელში და ახლა ყოველლამე მამისეულ საწოლში იმი-ტომ წვება, რომ მაღლიანია ეს საწოლი, ავი და ბოროტი ვერ ეკარება მას. სხვაგან თევდორეს ცოდა აწვალებს, ძილშიც თავს ასვენებს ტყვეობაში ჩა-ნადინარი, ბორგავს, ვერ ისვენებს, მა-მის საწოლში კი მაღლი ტრიალებს, წმინდა კაცის მაღლი, რომელმაც მაში-ნაც კი ღმერთს შეუთხანა სული, როცა ყველას ეგონა, ეგ არის და, ღმერთს დაავიწყდაო. როცა დორაისხეველებს დარჩათ ასპარეზი და ცდილობდნენ თვითონ მიეზარებინათ ღმერთის მიერ დავიწყებული კაცის სული. მართო

ღრმა სიბერეში კი არა, მთელი ცხოვრებაც ღმერთთან შეყრის წუთს ელოდა ეს კაცი და აქეთ მიმავალ გზაზე მწერს არ აღდამოა ზემოდან ფეხს. მადლიანაა ასეთი კაცის სამარე და მადლიანაა მისი ნაწილი ლოკინიც. ალბათ, ამიტომაც იძინებს იქ თევდორე. იქნებ იმიტომაც არ ისმის შიგნიდან ჩამოჩემი, ასეთ ლოკინში წოლამ ღრმა ძილი იცის. ნეტავ რატომ ვერ დაიცვა მამის სულმა თავისი შვილი, რატომ მოხდა, რომ დორაისხეველებს ჩაუვლო ტყვედ, ისინი ხომ სიცოცხლეშივე ემუქრებოდნენ, რომ თუ მათ არ მიჰყიდოდა სულს, მაშინ შთამომავლობას აუწიოკებდნენ, ასეთმა კაცმა, ნუთუ მართო თავის თავზე იფიქრა და შვილზე კი არა? მაგრამ ხომ უთხრა თევდორეს, სულს მევეჭრებიან და ასე მემუქრებიანო, ამის მერე, ალბათ, თევდორეზე იყო დამოკიდებული ყველაფერი, ან მამის გზას უნდა გაჰყოლოდა, ან არადა, ყოველ წუთს შეიძლება გზიდან გადასცდარიყო. განა თვითონ არ ამბობდა, უზომოდ ბევრ ნადირს ვბოცავდიო?

ნეტავ თუ მოახერხა თევდორემ ტყვეობიდან საბოლოოდ გამოეხსნა თავი. იქნებ მამის მადლი დაეხმარა ამას. ახლა წევს მის საწოლში და მშვიდად სძინავს. იქნებ ტყუილად ეშინია ლუკას.

— ფუკ-ფუკ-ფუკ-ფუკ! — ისევ ხმა შეწყობილად ისმის ოთახში და ახლა უფრო ეჩვენება ლუკას, რომ სადღაც მიდის. მიმოიხედა, ოთახი მოათვალიერა. აქამდე თითქოს ვერც კი შენიშნა მარცხენა კედელზე ჩამოკიდებული რამდენიმე შემგვარტლული სურათი. ერთ-ერთ მათგანს კარგად ანათებს ცეცხლს შუქი. ხუთი თუ ექვსი კაცი, ცხენებზეა ამხედრებული. ცხენები დგანან თავაწეულნი. მხედრებს სამგზავრო იერი დაჰკრავთ სახეზე. იქვე დგას ბერიკაცი, თეთრი თმა-წვერით შემკობილი. ხელში ხარის პატარა ყანწი უჭირავს და მხედრებს ლოცავს. ბერიკაცის ფეხებთან დგას პატარა გოგო, რომე-

ლიც, როგორც ეტყობა, ყვავილეთა აწვდის მხედრებს, მაგრამ ისინი ვერც ამჩნევენ ამას, შეიძლება ამჩნევენ კიდევ, მაგრამ „ისეთ საქმეზე მიდიან“, განგებ არ აქცევენ ყურადღებას ყვავილებიან გოგონას. მარტო ერთ-ერთი მხედრის ცხენს გაუშვერია გოგონასაკენ თავი და ხარბად ყნოსავს მის ყვავილებს...

აი, ასეთ მდგომარეობაშია შეჩერებული სურათში წამი. შემდეგ, ალბათ. ბერიკაცი დაღვეს იმ პატარა სასამოსით არაყს, მხედრები ადგილს მოსწყდებიან, მათ ხომ ისეც ეჩქარებოდათ, რომ ცხენზეამხედრებულთ მოთმინეს მოხუცის დალოცვა, ალბათ, დაღვეს თუ არა სადღეგრძელოს, შებრუნდებიან და ერთ წამში თვალს მიეფარებიან. გოგონა დარჩება ყვავილებით ხელში და შეიძლება ღრყაზე ცრემლიც ჩამოუგორდეს, მას ხომ ყოველთვის ეძნელება მამიკოსთან განშორება. მამამ ვერ გაბედა შვილისათვის ყვავილები გამოერთმია, მარტო მისმა ცხენმა გაიყოლა თან მისი სურნელი...

... ნეტავი ვინ არიან, ან სად მიდიან. სად მიდიოდნენ მაშინ, ახლა უკვე წასულნი არიან. სად? იქნებ საერთოდ არიან წასულნი ამ ქვეყნიდან. იქნებ ის მოხუცი, რომ ილოცება, თევდორეს მამაა, ახლაგაზრდებს აცილებს ომში. გოგონა? გოგონა ვინდა? ან სად არის ახლა... ნეტავ, რა მოხდა?

სურათში კი ყველაფერი ძველებურად არის. რა საინტერესოა წამი... წუთი... ჩვენ ყველაფერს იქ ვტოვებთ: წამის იქით, წუთის იქით, იქ ყველაფერი ისევე რჩება, როგორც იყო, — ფიქრობს ლუკა. — ვტოვებთ ბავშვობას და სადღაც აქეთ გამოვრბივართ, წამის აქეთ, წუთის აქეთ, მერე?..

ისევ სურათისკენ გაქეცა თვალი. მოეჩვენა, რომ სურათებიც რიტყულად ირხეოდნენ, თითქოს მართლა სადღაც მიდიოდა სახლი... წამოიწია, უნდოდა გარეთ გაეხედა და მიმხვდარიყო, მართლა მიდიოდა სადმე თუ ეჩვენებოდა და იქვე იდგა.

ძალმა დაიყუდა.

აღარ ამდგარა ლუკა. ძალი აქამდის ჩუმად იყო, აღარც ახსოვდა მისი არსებობა. ნეტავი ძალსაც რაიმე საერთო ხომ არა აქვს თევდორესთან? იქნებ მიხვდა, რომ ლუკა გარეთ გახედვას აპირებდა და იმიტომ დაიყუდა, აგრძობინა, ადგომა და იმის ნახვა, მივლივართ სადმე თუ არა, არ გაბედოო. იქნებ თევდორე შემოიტყუებს ხოლმე მსხვერპლს აქ, თვითონ გაიპარება, მოიყვანს დარაისხველებს და, ვინ იცის, რას სჩადიან. ძალი კი ყარაულობს...

ლუკას მზერა ახლა ერთ სურათზე შეჩერდა: ახალგაზრდა ნაწნავებიან ქალს ხელში პატარა ბიჭი უჭირავს...

იქნებ ცოდვია თევდორეზე იმის გაფიქრებაც კი, რასაც ლუკა ფიქრობდა. თევდორეს რომ ახლა ასეთი რამ ედოს გულში, განა ედელზე ასეთი სურათი ეკიდებოდა? იქნებ თვითონ თევდორეს დედა ეს ახალგაზრდა ქალი, ხელში კი პატარა თევდორე უჭირავს, რანაირია ახლა თევდორე? შეეცადა წარმოდგენაში აღედგინა ლუკას: საშუალოზე ოდნავ მაღალი, გამხდარი, ხმელი სახე, ნატანჯი თვალები, რომლებიც ახლა არაფრით არ ჰგვანან მგლისას? მათში თითქოს რაღაც სევდაც კია ჩაწოლილი, თუმცა მგლის თვალებშიც კია სევდა ჩაწოლილი. არა, აქ სევდა არ არის განმასხვავებელი ნიშანი, ამ თვალებში ახლა რაღაც მადლცხებული ნაპერწკალი ბრწყინავს, ეს ნაპერწკალი საოცრად ჰგავს სურათში მყოფი მოხუცის თვალებიდან გამომკრთალ ბრწყინვას. დაკოვრილი ხელები აქვს თევდორეს, ეტყობა, ქარში და ყინვაში კლდე-ღრეებში წანწალისას ვაუმავარდა ასე. სახეზე ახლა იმ ქალის იერიც ვადაპკრავს, პატარა ბიჭი რომ უჭირავს სურათზე. ხელში. ნამდვილად თევდორეა ის პატარა ბიჭი; ახლა ხომ სულ სხენაირია, მგლის სახეც კი აქვს გამოვლილი, მაგრამ თვალები ისეთივე აქვს, მამის თვალები. ეტყობა, მისმა ხარმაც ამ თვალებით იცნო და იმიტომ მიინდომა მისკენ წრის გარღვევა. ამ

თვალებიდან ხომ რაღაცა მადლსავე გამოჰყვამდა, რაღაცით გაიმედებს, მათდამი მიმნდობი ხდები... მაგრამ მგელი?

ნუთუ ის ნაწნავებიანი ქალი როდისმე წარმოიდგენდა, რომ მისი პატარა ბიჭი, ასე რომ იხუტებს გულზე, როდესმე მგლად იწაწალებდა ქვეყანაზე, მოედებოდა მთასა და ბარს, ჩაუსაფრდებოდა მგზავრს, დროს უხელოებდა და დააცხრებოდა თავზე?..

არა, ასეთი რამის წარმოდგენა შესაძლებელიც რომ იყოს, ვერც ერთი დედა ვერ წარმოიდგენდა, ალბათ.

არა, უნდა მოაყოლოს თევდორეს ლუკამ, რაც მოხდა შემდეგ. უნდა მოაყოლოს, თუ მშვიდობით გათენდა, თუ მართლა სადმე არ მიდის ახლა ეს სახელი თავისი ორი ვაგონით...

არ უნდა დაიძინოს...

არ უნდა დაიძინოს...

არ უნდა დაიძინოს...

არ უნდა...

არ...

ჩასთვლიმა.

შეკრთა!

თითქოს რაღაცა ხმა მოესმა თევდორეს საძინებელი ოთახიდან.

მიაყურადა.

ისევ დუმილი.

ცეცხლის შუქზე ახლა უფრო გვიანგვიან ნათლება კედელზე გაკრული სურათები.

ახლა მოპირდაპირე მხარეს, ბოძზე ჩამოკიდებულ ძველისძველ ხანჯალსაც მოჰკრა ლუკამ თვალი.

მიაყურადა.

ხმა არსაიდან ისმოდა.

თუ გადაარჩენს, ის ხანჯალი გადაარჩენს.

ფრთხილად წამოვდა.

ბოძიდან ასევე ფრთხილად ჩამოხსნა ხანჯალი და ლოგინში ჩაწვა.

ვადა მოსწია.

ძვრა ვერ უყო.

მთელი ძალით დაეზიდა.

ამაო იყო ყოველი ცდა.

ცეცხლის შუქმა ისევ გაანათა სურათ-

თებიანი კედელი. ბავშვიანი ქალი გა-
მოკრთა.

შერცხვა ლუკას.
ხანჯალს ხომ იმის შვილისათვის...
ქალის თვალებს წააწყდა.
ისევ ფრთხილად წამოდგა ლოგინი-
დან.

ბოძზე ისევ ისე ჩამოკვიდა ხანჯალი.
ერთი წუთით დაფიქრა.
ისევ ჩამოიღო ხანჯალი, თუნგიდან
წყალი ჩაასხა ქარქაშში.

ამოსწია!
არა, ძვრა ვერ უყო.
ძალღმა ისევ დაიყუფა.

შეკრთა ლუკა.
ბოძზე ჩამოკვიდა ხანჯალი.
უხმოდ ჩაწვა ლოგინში და ეშვან
ფიქრებს მიეცა:

ნუთუ მართლა ამ ღამით უნდა დას-
რულდეს ყველაფერი.

ან იქნებ?...
შეაყრყოლა ლუკას...
ან იქნებ ისიც მგლად უნდა აქციონ!!
საშინელი ელდა, სახის გადაფითობა
და კინაღამ ყვირილიც კი.

ნუთუ მართლა ეს მოელის?
ნუთუ ამ ღამის მერე მგლად უნდა
იწაწალოს მანაც ქვეყანაზე, ჩაუსაფ-
რდეს მგზავრს, დაკარგოს ნიჭი აღამა-
ნური ცოდვა-მადლის შეგრძნებისა,
გახდეს უგრძნობი, არგადამხვეველი
მგლური კანონისა და ვერგამორჩველი
იმისა თუ... ნუთუ მასაც შეეძლება მე-
რე, რომ ცაში გაფრენაზე მეოცნებე
გოგონას დაესხას თავს... ნუთუ????

უნდა გავიპარო, გაუღელვა უცებ თავ-
ში, აქედან უნდა გავიპარო... მაგრამ
როგორ?

სულ რაღაც რამდენიმე საათის წინ
ჯერ უკან აღევნებულნი და მერე გარს-
შემოწყობილი მგლები გაახსენდა, ალ-
ბათ, ახლაც სადმე დაძრწიან ის მგლე-
ბი და საკბილოს ეძებენ. იქნებ უკვე
გაჰკრეს კიდევ ცილაკას კბილი. იქნებ
სახლის გარშემოც არიან შემოწყობილ-

ნი და ჯერ ვერ ბედავენ წრის შევრ-
როებას.

მგლების რკალის გახსენებაზე ტრუ-
ანტელმა დაუარა ლუკას. რატომღაც
მოეჩვენა, რომ მგლების რკალშია მთე-
ლი ცხოვრება და თანდათან ეიწროვ-
დება ეს წრე, საით გაიქცეს, რომელ
მხარეს შეიძლება ამ წრის გარღვევა?
ან შეიძლება კი?

კურდღელი გაახსენდა: როგორ იფა-
რებდა თვალებზე წინა თათებს და ყვი-
როდა. მერე წრიდან გავარდა და იქ
ისევ მეღია დაუხვდა.

ნეტავი რა იფიქრა ბოლო წამს?
რა კურდღელივით ფიქრები მომდის,
— გაიფიქრა ლუკამ და გულადმა გადა-
წვა ბალიშზე. შემჭვარტლულ ქერზე
მკრთალად ლაციებდა ცეცხლის შუ-
ქი.

რომელი სჯობია, რომ ვიყო:
კურდღელი?

თუ,
მგელი?
კურდღლები ისე კრთიან მთელი სი-
ცოცხლე, როგორც აი, ეს მკრთალი ცე-
ცხლის შუქი თრთის და კანკალებს შემ-
ჭვარტლულ ქერზე. ეს ჭერი კი შავია,
კურდღლის გზასავით შავად დახლარ-
თული.

მგელი?
მგლებმა არც კი იკადრეს კურდღლი-
სათვის მიექციათ ყურადღება, როცა
მან წრიდან გასვლა მოინდომა, მერე
იაცე შეიგნით შემოიშვევა მეღიისაგან
გულგახეთქილი.

მგლის გზა სხვა არის...
ნუთუ მართლა ამ გზაზე წაწვალი
მოელის ლუკას?

ნუთუ იმიტომაც თევდორე შეიგნით
ოთახში დაყურსული, რომ ემზადება,
ემზადება, რათა კიდევ ერთი სამგლო
საქმე აასრულოს — სამგლეთს შემატ-
ოს ერთი მგელიც.

მაგრამ?..
უკვე მერამდენედ ეკითხება საკუთარ
თავს ლუკა და პასუხს ვერ აძლევს.
პასუხი თევდორემ წაიყოლა თან.
ლუკას კი დაუტოვა ბნელი ოთახი, უძ-



ილო ღამე, წყლიანი თუნგი, ღუმელი, რომელიც ახლა ძლივს და ფუჭფუჭებს და ოთახიც მასთან ერთად ჩერდება შემშვარტლული ჭერი, ზედ მოლაციც კურდღელივით მფრთხალი ლანდებით, კედელზე ჩამოკიდებული რამდენიმე სურათი, ბოძზე ჩამოკიდებული, ჩაენ-გული ხანჯალი და კიდევ ათასი სხვა წერტილმანი, რომელიც ავსებენ ოთახს; დაუტოვა შიში, ყოვლისმომცველი და უსახური შიში. თითქოს ყველაფერ ამას ძალი ყარაულობს.

გაიპარებოდა ლუჯა აქედან მანამ დროა, მაგრამ მგლები? აქ მანაც რალაცის იმედი კი აქვს ჯერ კიდევ.

თუნდაც აი, იმ კედელზე ჩამოკიდებული სურათების.

თუნდაც თევდორეს თვალებს... მაგრამ მის ხარსაც ხომ ჰქონდა ამ თვალების იმედი?..

იქნებ სცადოს? როგორც იმ კურდღელმა ქნა, გაიქცეს ამ სახლიდან და თუ იქით ისევ დახვდება მგლები, უკან მობრუნდეს...

ეს ღამე კი არა — საუკუნეა.
 არ უნდა დაიძინოს...
 არ უნდა დაიძინოს...
 არ უნდა...
 როგორმე...
 როგორმე არ უნდა...
 დაიძინოს...
 წამიერი ჩათვლენა,
 და,

ისევ რალაცამ შეაკრთო: თითქოს ისევ ხმაური მოესმა შიგნი-თა ოთახიდან.

ყური მიუგდო: ისევ ღუმელი და ჭერზე მკრთალად აციმციმებული ცეცხლის შუქი.

ასე გულღმა ბალიშზე გადაწოლილი მისჩერებოდა ერთხანს ჭერს და რალაცას იხსენებდა. ახლა რატომღაც მთელი არსებით მოუნდა, ისევ გასჩვენებოდა თავისი ბავშვობის დროინდელი რომელიმე დღე, თუნდაც წითელ ზამთარი, მაგრამ ამჟამად გაზაფხუ-

ლის-მოკვირვებე ჩიტებით ავრდებულ ბული დღე ამოჰყვა მხსიერებას. სკოლის მერხზე იჯდა და ყურს უგდებდა ზოოლოგიის მასწავლებელს, რომელსაც დაფაზე პატარ-პატარა ნახატები გაეკრა და მოწაფეებს შინაური ცხოველების აგებულებას უხსნიდა. მასწავლებელი სამოც წელს გადაცილებული კაცი იყო, დაბალი, სწრაფად მოსიარულე. ყოველთვის ცდილობდა, თავი ღირსეულად დაეჭირა და სიმშვიდე შეენარჩუნებინა. მართო მისი ჭროლა თვალები ვერ მალავდნენ მოუსვენრობას.

გარეთ გაზაფხულის დამათრობელი დღე იდგა. კლასში მასწავლებელი ახალგაკვეთილს ხსნიდა და მოწაფეები სულგანაბლენი ყურს უგდებდნენ. ასეთ დროს მასწავლებელი ზედმეტად მომთხოვნი იყო, მერხსაც არ უნდა დაყრდნობოდი იდაყვებით, წელში გაჭიმული უნდა მკდარიყავი, ხელები ზურგს უკან გწყობოდა და თვალი მოუშორებლივ გედევნიდინა მასწავლებლის მოძრაობისათვის. ფანჯარაში გახედვა ხომ საერთოდ აკრძალული იყო გაკვეთილის ახსნისას, არადა, გარეთ გაზაფხულია, სკოლის ეზოში ყვავილები ამოსულან, ღობისპირზე ჩამწკრივებული ტყემლები გამოკვირტულა და ეს-ესაა გაიშლებიან. მთელი ხეობა გალობს, საზეიმო ელეთრი დაჰკრავს დედაბუნებას, მოფრენილან გულყვითელა ჩიტები, ბოლოცეცხლები, გუთნის ჩიტები და კიდევ სხვანი.

— მერცხალი მოფრინდა, მერცხალი! — ყვირის ვიღაც სკოლის ეზოში.

ბალებს ეს დაძახილი ფანჯრებისაკენ გააპარებინებს მზერას, მაგრამ ზოოლოგიის მასწავლებელი მკაცრია: კპ-კპ! — ახველებს ის და ეს არის გამაფრთხილებელი ნიშანი ყურადღებისა.

გარეთ მთელი თავისი დიდებულებით გალობს გაზაფხული. კლასში მასწავლებელი გაკვეთილს უხსნის მოწაფეებს. უცებ ხალხის ყაყანი გაისმის. ხალხის ხმა სკოლის ეზოს იქეთიდან მოდის. ბავშვებს უნდათ ფანჯრიდან გახედვა,



მაგრამ მასწავლებლის შიში აქვთ. ხალხის ყაყანი უფრო ძლიერდება, თითქოს ვიღაცას მოსდევენ დასაჭერად. მოწაფეები თვალს ვერ აშორებენ მასწავლებელს და უცებ თვითონ მასწავლებელს გაექცა მზერა სკოლის ეზოსაკენ. ბალებშიც იქით იხედებიან. ქვის ღობის იქიდან ეზოში გადმოხტება შველი. ქვის ყორეს მადეგარი ხალხი მოაწყდა იქეთიდან. მასწავლებელმა უცებ საჩვენებელ ჯოხს დასტაცა ხელი და კლასიდან გავარდა. იმის დანახვაზე, ეზოში ჩამომხტარი შველი დაფრთხა, ღობის მიყოლებით გაიქცა. მასწავლებელი ჯოხით გაეკიდა, თან ყვიროდა:

— იქით არ გაგექცეთ, იქით! — მისძახოდა ის ღობის გარეთ მორბენალ ხალხს. სხვა მასწავლებლებიც გამოცვივდნენ კლასებიდან და სამასწავლებლოდან. მსუქანი, ჩამრგვალებული სიმღერის მასწავლებელი ქალიც შველს გაეკიდა დასაჭერად, გეომეტრიის მასწავლებელიც მათ მიჰყვა, დანარჩენებმა თავი შეიკავეს. მასწავლებლებს რამდენიმე მოწაფე მისდევდა უკან შველის დასაჭერად. შველი დარბოდა ეზოს გარშემო და გასასვლელს ეძებდა. კედლის იქით ხალხი მორბოდა მისკენ და გასასვლელს არ აძლევდნენ, შიგნით მასწავლებლები და მოწაფეები მისდევდნენ ფეხდაფეხ. სკოლის ეზო კარგა მოზრდილი იყო და შველი ახერხებდა მდევრებისაგან თავის დაღწევას. ერთხელ სწორედ ასე დარბოდა ლუკა ამ ეზოში, უკან მისდევდნენ მოწაფეები და უყვიროდნენ:

— ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა! ლუკა გარბოდა რაც შეეძლო. მხარზე ძაფებით გადაბმული წითელი კვერცხები ეკიდა.

წინა დღეს აღდგომა იყო და ღირექტორმა მოწაფეები გააფრთხილა, სკოლა არავინ გააცდინოთ, თორემ დაგსჯითო. აღდგომა დღეს, მიცვალებულის სულებს კვერებს უდგამდნენ სამიზნეზე პატრონები. ამ ქადის კვერებს ხალხი მშვილდებითა და ბოძლებით ისრებს ესროდნენ მიზანში. ვინც მიზანში მოა-

რტყამდა, იმისი იყო მიცვალებულმა კვერი, რომელსაც თან კიდევ წითელი კვერცხები და სხვადასხვა საჩუქარი მოჰყვებოდა. მთელი ერთი კვირა დადიოდა გაკვეთილების მერე ლუკა ტყეში მშვილდის ხისათვის. ერთ წვრილიან ტყეში სწორ შვინდანწლას წააწყდა. ცულთი ძლივს მოჭრა, ისეთი მაგარი იყო სამშვილდე ხე. გაზაფხული იყო და ხეებს უკვე წყალი ჰქონდათ ჩამდგარი. ცულის დანარტყამში ხეს წითელი სისხლი გადმოედინა. ლუკას ჯერ შეეშინდა, ხელში ხომ არ მოვირტყიო, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ხეს სდიოდა სისხლი. ეს ამბავი არავისთვის გაუხმელია. წამოიღო ის მოჭრილი სამშვილდე და გამართა მშვილდისარი. ერთი თვე მიზანში სროლაში ვარჯიშობდა.

დადგა აღდგომის დღე. მოწაფეები სკოლაში წავიდნენ. მარტო ლუკას დასძლია მიზანში სროლის სურვილმა და მთელი დღე მიცვალებულთა სულის კვერებს ესროდა ისრებს.

მეორე დღეს მასწავლებელმა ეზოში გამოიყვანა. მოწაფეებს მოატანინა წითელი კვერცხები, იქით-აქეთ ჩამოჰკიდეს ლუკას, ზურგზე კი მიაკრეს მუყაოს ქალაღლი წარწერით:

— ქრისტე აღსდგა!
— ბევრებო, ხომ გაგაფრთხილეთ სკოლა არ გააცდინოთ-მეთქი, — ეკითხებოდა ღირექტორი ლუკას გარშემო შემოხვეულ მოწაფეებს.

— დიახ, მასწავლებლო! — პასუხობენ ისინი ხმაშეწყობილად.
— ხომ არ არსებობს აღდგომა.
— დიახ, მასწავლებლო!
— დიახ კი არა, არა-თქო!
— არა, მასწავლებლო!

— მაშ ეს ბიჭი ხომ იმსახურებს ამისათვის სასჯელს? — ლუკაზე მიუთითა ღირექტორმა.

— დიახ, მასწავლებლო!
— აბა, შემოარბენინეთ ასი წრე! — ბრძანა ღირექტორმა და ბალები კი-ჟინით გაეკიდნენ ლუკას.



— ერთი, ორი, სამი... — ითვლიდა ღირექტორი და შუა ეზოში ტრიალებდა ერთ ადგილას. ორმოცდამეთხუთმეტე წრეზე მთელი ეზო თვალეზში დაუტრიალდა ლუქას და გონი ახადა, მუხლები მოეკვეთა და წაიქცა. ღირექტორმა წამოაყენა და ჩაეკითხა:

— აბა, აღსდგა ქრისტე? — ქეშმა-რიტად, მასწავლებლო! — ამოილულულა ლუქამ.

— აბა, მიდი, მიდი შემოურბინე! — ბრძანა ღირექტორმა და ლუქაც წალასლასდა. გზადაგზა წითელი კვერცხები სცვიოდა და იმტვრეოდა. მაშინ ჯერ კიდევ პატარა იყო იმისი ბოჩოლა და სკოლაში არ დაჰყვებოდა.

მიზობდა ლუქა უკანასკნელი ძალით და უკან ჟრიაბული მიჰყვებოდა... ახლაც ასევე ყიფინითა და ჟრიაბულით მისდევდნენ დამფრთხალ შველს მასწავლებლები და მოწაფეები. მსუტანი, სიმღერის მასწავლებელი დაილალა, მდევარს გამოეთეშა, შუა ეზოში ღირექტორივით დგას და ყვირის:

— როგორმე უკანა ფეხში დასწვდი, უკანაში!

ხმა კი აქვს იმისთანა ნავარჯიშები, ზარივით ისმის და გამოირჩევა სკოლის ეზოს შიგნით და გარეთ მოყაყანე ხალხის ხმებში.

შველმა რამდენჯერმე წაიმუხლა და ამ დროს კინალამ თავს დაეცნენ, ძლივს მოასწრო, თითქმის ხელიდან გაუსხლტა ზოოლოგიის მასწავლებელს.

— იი, შე გლახა, შენა, — უყვირა სიმღერის მასწავლებელმა და ექსტაზში შესული ისევ ფაშფაშით გაეკიდა შველს. მოწაფეებს, ეტყობა, მასწავლებლის რიდი ჰქონდათ, წინ არ უსწრებდნენ.

უცებ შველმა დაბალი ღობე ნახა, შედგა, თავი ასწია, თვითონაც მთელი ტანით აიწია და გადახტა. გარეთ მყოფთ ვერ მოასწრეს მისი დაჭერა. ზოოლოგიის მასწავლებელი და რამდენიმე მოწაფე თან გადაჰყვნენ. გეომეტრიის მასწავლებელი იქვე ჩამოჯდა და ძლივს ითქავმდა სულს. სიმღერის

მასწავლებელი სამასწავლებლებთან ერთად მოდიოდა და გზადაგზა იძახდა:

— აახ, რა სამწვადე იქნებოდა! შველი გარბოდა, გარბოდა ახლა უკვე ტყისაკენ. გზადაგზა სულ ცოტანილა რჩებოდნენ მდევრები და როცა შველმა ტყეს შეაფარა თავი, ხუთი თუ ექვსი მდევარილა შეჰყვა თან.

რამდენიმე ხანს კიდევ მოისმოდა ტყიდან კვილი, სტვენა და მერე ისიც მიწყდა. კარგა ხანს არავინ გამოსულა ტყიდან, საღამო ხანზე გამოჩნდნენ, წინ ზოოლოგიის მასწავლებელი მოუძღვებოდათ, უკან დანარჩენები მოჰყვებოდნენ.

ნუთუ შეჭამეს მაშინ ის შველი? — ახლა გაიფიქრა ლუქამ. ნუთუ ზოოლოგიის მასწავლებელსაც მგელი ეჯდა სულში, გეომეტრიის მასწავლებელსაც და სიმღერის მასწავლებელსაც? ხმა დადიოდა, ღამღამობით, როცა სიმღერის მასწავლებელს ქმარი სახლში არა ჰყავს, მასთან ჩუმ-ჩუმად ზოოლოგიის მასწავლებელი დადისო.

— რა უნდა, რას დაძვრება? — ბრაზობდა ხალხი.

— სიმღერას ასწავლის, — იცინოდნენ ზოგიერთები.

— თავის ცოლ-შვილში იმღეროს ისა სჯობია, — ისევ ბრაზობდნენ პირველნი.

ნუთუ მართლა მგელი ეჯდა ორივეს არსებაში?

ნუთუ სიმღერის მასწავლებელი სუნით გრძნობდა ამას და ღამღამობით იმიტომ უგორდებოდა ქვეშ ბებერ მგელს, რომელიც ყველაზე პირველი შეჰყვა ტყეში შველს და იქიდანაც პირველი გამობრუნდა უკან?! ალბათ, პირველმაც იმან გაჰკრა ყელში კბილი. მერე კი, ვითომც არაფერი, ისევ ისე ხსნიდა გაკვეთილებს და ისევ უკრძალავდა ბავშვებს ფანჯრიდან ეზოში გახედვას.

ერთხელ კი შემოუფარდა კლასში გარსია და ზოოლოგიის მასწავლებელს ფერი აცვლევინა:

— შენა, თუ გულადი ხარ, გამომყე-



ვი ახლავე სკოლის ეზოში, მაგრამ ვიცი, რა ვაქაცია ხარ. ვაქაცობა განა ის არი, რო საწყალ შველს გამოუდგე, სხვა რამეა, სხვა რამე! ეხლავე გაჩვენებდი, შენცა და იმათაცა, შენთან რო იყვნენ ტყეში, შვლის მწვადებს რო სჯიჯენდით, მაგრამ აემ ბალღების ხათრს რა ვუყო, ამათ როგორ ვუცემო თოლწინ მასწავლებელი. ერთ კი გეტყვი, არც ღამღამობით წანწალია ვაქაცობა სხვის ცოლთან სიმღერის სასწავლებლად, დიმახსოვრე ჩემი ნათქომი, ვაქაცობა სხვა რამეა, სხვა! — ბოლოს ერთი დაჰკვილა გარსიამ ფერწასულ ზოოლოგიის მასწავლებელს, კლასის კარი გაიჯახუნა და წავიდა.

ეს გარსია სულ სავაქაცო საქმეებზე იყო გადამდგარი. დღეც იმაზე ფიქრობდა და ღამეც, თუ რა ევაქაცნა, რითი გამობრწყინებულიყო სოფლის თვალში. ერთი შავი ცხენი ჰყავდა, სულ მუდამ შეკაზმული და დარახტული. მოჰკრავდა რამეს ყურს, აქა და აქ ვილაცებს ჩხუბი გაზღომიანო, მოახტებოდა ცხენს და გააჰყენებდა ამბის დაწვრილებით გასაგებად. ვაი იმის ბრალი, თუ იმ ჩხუბში ვინმე ვაქაცურად არ მოიქცა. სულ ხანჯლებით დაჩეხილი თავი ჰქონდა, სხვისთვის მოქნეულ ხანჯალს თავს ის უშვერდა.

— შე შავ საათზე დაბადებულო, ერთხელაც იქნება, მოგკლავს ვინმე, რა სუყველგან შენ ეჩხირები! — ეჩხუბებოდა ცოლი და თან, ვინ იცის, მერამდენედ უხვევდა ნახანჯლარ თავს.

— აბა, მაშ სხვებივით ხო არ შავუშინდები და გამოვიქცევი, ეგ რალა ვაქაცობა იქნება, — ამბობდა გარსია.

— ჰოდა, იარე სუ ერთთავად შაპივით თავშახვეული, — ეუბნებოდა ცოლი.

— თორე შაპები კი ვერა ყოფილან ვაქაცები, აი! — ახლა შაპებს უქებს გარსია ვაქაცობას.

ერთი დათვი გადაეკიდა სოფლის ნახირს და მუსრს ავღებდა. რასაც კამდა — კამდა, რასაც არადა, ბეგავდა, მიწა-

ში მარხავდა და საზამთროდ თუ საშემოდგომოდ ინახავდა. ვერავინ ბედნიერად იმაზე ნადირობას, უშველებელი იყო, მთასავით დადიოდა. იმის დანაბიჯარში, წვიმის დროს იმდენი წყალი გუბდებოდა, სიცხეში ერთ მოწყურებულ ხარს აძლებდა. ხარი ჯერ, ეტყობა, ვერ გრძნობდა, საიდან სვამდა წყალს, სულს რომ მოითქვამდა და წყურვილს მოიკლავდა, ერთს დაყნოსავდა ნაფეხურს, შეჰბღავლებდა და გარბოდა შემინებულ.

შემოდგომაზე, როცა დათვი თხილიანში გაივლიდა, ისეთ კვალს ტოვებდა, ისე ლეწავდა თხილნარს, თითქოს ყანაში გაეეღო, რამდენჯერმე ჩაუსაფრდნენ კიდევ, მაგრამ ვერ შეჰბედეს სროლა.

— ტყვია მაგას ვერაფერს დააკლებსო, თავს იმართლებდნენ მონადირეები. იმას კი დღეში ერთი ხარი არა ჰკმაობდა საჰმელად. ვილაცამ უთხრა გარსიას:

— სუ რო „ვაქაცობა-ვაქაცობას“ გაიძახი, წადი და იმ დათვს ევაქაცე. გარსიას, ეტყობა, ჯერ აზრადაც არ გაეეღო იმ დათვთან ევაქაცნა და ახლა, თითქოს რალაც აღმოეჩინოს, წამოიძახა:

— ეეეე!
ხალხი გაისუსა, იფიქრეს, იმას ვინც დათვზე ეს უთხრა, ახლავე გაათავებსო.

— ეეეე! — იძახდა გარსია. — მერედა, სად ვნახო, გამიჩერდება?

— სადმე ჩაუსაფრდი და ესროლე!
— არააა, თოფით სროლა ხო ვაქაცობა აღარ იქნება.

— აბა, შენთან საჰიდაოდ იმას არა სცალია. თუ ისევე შენ შეხვალ იმის სოროში, თორემ სხვაგან სალაპარაკოდ ვერცა ნახავ.

— სადა აქვს სორო?
— შავ კლდეში რო გამოთხრილია, იქ ცხოვრობს.

წავიდა გარსია შავ კლდეებში. ერთი პატარა ხანჯალი წაიყოლა თან, ისაც სულ თავის მართლებით: იმას ჩემზე

დიდი კბილები და ბრწყალები აქვს, თორე ამასაც არ წაივლებდიო. ვაჰყუვა ხალხიც და გამოლმა მთიდან უყურებენ, რას იზამს გარსია.

მიადწია დათვის სოროსთან.

დაისვენა.

ქამარი მაგრად შემოიჭირა წელზე.

ჩაიკვა დაბამბული შარვალ-ხალათი, რომ ადვილად კბილი ვერ გაეკრა დათვის. დაიჭირა ხელში პატარა ხანჯალი და შესძახა:

— გამავრდი, მოვდივარ!

შეძვრა.

კარგა ხანს დათვის სოროდან ღრიალი ესმოდა გამოლმა მთიდან მოყურიადე ხალხს. რამდენიმე ხნის მერე სოროდან გამოძვრა თავპირდასისხლიანებული გარსია. გორი ჩამოიარა, ხალხთან გამოვიდა და იკითხა:

— ვარ თუ არა ვაჟკაცი?

— მოკალი?

— ვარ თუ არა ვაჟკაცი?

— ხარ, როგორ არა ხარ, — წამოიძახა ხალხმა.

— არა, ამან მითხრას, ვარ თუ არა ვაჟკაცი? — იმ კაცს მიუშვირა ხელი გარსიამ, გუშინ რო წააქეზა, თუ ვაჟკაცი ხარ, წადი და დათვის ეჭიდეო.

— მოკალი თუ? — ჰკითხა თავის მხრივ იმ კაცმა.

— შენ დავიბარა, ავადა ვარ, მოსაკითხი მომიტანოსო, შეხვალ? — ჰკითხა გარსიამ.

— მართლა მოკალი?! — ეკითხებოდა ხალხი.

— მე ისიც მეპატიოს, სახლში რო შევეუვარდი, დანარჩენი შედით და თქვენა ნახეთ, — თქვა გარსიამ და შინ წამოვიდა.

იმ დღის მერე დათვი აღარ გამოჩენილი. გარსია კი დადიოდა და ახალახალ სივაჟაკო საქმეებს ეძებდა.

ბოლო დროს ძალიან ჩიოდა: რა დრო დაგვიდგა, ვაჟკაცობას აღარავინ დაგიდევს, კურდღლებმა და მელიებმა ჩიგდეს ძალაუფლება ხელში და ლომებზე და ვეფხვებზე ისინი ბატონობენ.

მგლებზე აღარას ვამბობ, მგლები ქვეყანა ამოვადგესო.

იმაზე ხომ სულ გაგიყდა, შეველს რომ გამოეკიდა მთელი სოფელი.

შემოელია სივაჟაკო საქმეები და დარდისაგან კინალამ გადაირია. ერთხელ, სწორედ იმ ზაფხულს, შეველი რომ გადმოფრინდა სკოლის ეზოში, ხუთშაბათ დღეს, დიდი წვიმა მოვიდა. ჯერ ცა მოიღუშა, ავისმომასწავებლად ჩამოწვა შავი ღრუბლები. ათრთოლდა ბალახი და ხეები.

გაიელვა.

უცებ ატყდა საშინელი ქექა-ჭუხილი. თითქოს ცა იმსხვკეროდა და ნამსხვრევეები დედაშიწაზე ცვიოდა.

წამოვიდა მსხვილი წვიმა.

ხეებში გამოქანდნენ ნიაღვრები.

მოწაფეები კლასის ფანჯრებიდან გაჰყურებდნენ წვიმას, მაგრამ ისე კოკისპირულად წვიმდა, არაფერი ჩანდა.

ასე გადაუღებლად იწვიმა ერთი გაჯვეთილი.

მეორე.

მესამე გაკვეთილზე (თუმცა არც ერთი არ ჩაუტარებიათ წესის მიხედვით) გამოიდარა.

უცებ გამოაჰყიტა მზემ.

დაწყნარებული ბუნება მზის სხივებში აციმციმდა, აელვარდა თვალის მომჭრელად.

ფრინველები სამალავებიდან გამოფრინდნენ და მოჰყვნენ გალობას. აბლავლდა საქონელი.

ხეობაში მანამდეც დიდი მდინარე მოექანებოდა, მაგრამ უცებ წამოვიდა კუპრივით შავი წყალი. ხალხი მის სანახავად მიაწყდა ფერდობს. თითქოს ჯოჯოხეთის კარი გაეხსნათ და იქიდან მღუღარე კუპრი გადმოეშვათ, ისეთ ფერზე მოექანებოდა მდინარე. ზემოდან მოიყოლიებდა შავ ნისლს და გზადაგზა ყველაფერს ნთქავდა. ყველაფერი მიჰქონდა, თავის შავ ტალღებში ახვევდა. შავი წყალი მანამდეც ენახა ხალხს, მაგრამ ასეთი ჯერ არავის ახსოვს.

— რაღაც უბედურება მოვა, რაღაც უბედურებას მიაწევს! — ისევ თავისებურად ავიშვიშდნენ ქალები.

კაცები ჩუმად იდგნენ, ჩუმად გაჰყურებდნენ მდინარეს, რომელიც წალეკვით ემუქრებოდა ყოველივეს. კაცების მზერაში ჩაბუდებულიყო უცნაური სევდა. ხანდახან ჩაახველებდნენ და მხარზე ამოცურებულ მოსასხამს შეისწორებდნენ.

მზე ყვითლად კაშკაშებდა გადაწმენდილ, ლურჯ ცაზე. მთები ელავდნენ მზის სხივებში. ბუნება დაწყნარებულიყო. მარტო ხეობაში გამოქანებული შავი წყალი დგანდგარებდა, შხუოდა, ნისლს მოიყოლებდა და თან გრილი სიო მოჰქონდა.

— სულ დახოცს თევზებს, — თქვა ვილაყამ.

— თევზებს ვინ ჩივის, არავინ დაახრჩოს, — ხმა ამოიღო მეორე კაცმაც. დანარჩენები ჭერ ჩუმად იდგნენ.

იქვე იდგა გარსიაც, ცმუკავდა, ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, ეს-ეს იყო, საიდანაც მოაქვნიდა თავისი შავი ცხენი. გარსიას, ეტყობა, ჭეჭა-ქუხილმა და ადევნებულმა შავმა მდინარემ სავაეკაცო ნერვი აუფორიაქეს, მაგრამ ჭერ ვერაფერი მოეფიქრებინა, წყალში ტყუილად შევარდნას რომ სისულელედ ჩაუთვლიდნენ, ეს იცოდა.

უცებ საშინელმა ხმამ გააყრუა ხეობა. ხმა სადღაც, მდინარის სათავეებიდან მოდიოდა. რაღაცა წიოდა, ასეთი ხმა არასოდეს სმენოდა ჭერ ხალხს. ისეთი შემზარავი ხმა იყო, გარსიაც კი შეერთა ერთი წამით.

წივილის ხმაზე დაფრთხა საქონელი, მთის წვერებისაკენ გაიქცნენ აღმა. ფრინველებმა გალობა შეწყვიტეს და სადღაც გადაიკარგნენ. ძაღლებმა ატეხეს გაბმული ყმუილი. ცხენები ფრუტუნებდნენ, ყალყზე დგებოდნენ.

— რაღა ვქნათ, რა ამბავია, შენ გენაცვალე?! — ჩიოდნენ ქალები. კაცებს უფრო მოსძალეობდათ სევდა თვალბში და იმ მხარეს გაჰყურებდნენ მდინარეს,

საიდანაც ეს შემზარავი ყვირილი ისმოდა.

თითქოს ხის ფოთლებიც კი თრთოდნენ ამ ხმისაგან. იფიქრებდით, მზის სხივებმაც კი ფერი დაკარგაო.

ხმა თანდათან ახლოვდებოდა და უცებ ხალხმა შეამჩნია მდინარის ტალღებს აუოლილი წითელი გველეშაპი, რომელსაც მთელი მდინარის სიგანეზე ჰქონდა გაშლილი ფაფარი. თავი, გულსპირი და მთელი ტანი წითელი ჰქონდა. კუდს სადღაც, შორს მოალიკლიკებდა, თავს მალლა ჰაერში სწევდა და წიოდა.

ამის დანახვაზე ისეთმა ქრუანტელმა დაუარა ხალხს, ადგილიდან ვეღარ დაიძრნენ, ხმა ჩაუწყდათ და მიწას ჩაეკრნენ. მარტო რამდენიმემ შეძლო გაქცევა. გარბოდნენ უკან მოუხედავად, ყურებში თითებდაცობილნი, რომ ეს საშინელი წივილი არ გაეგონათ.

გველეშაპი თანდათან ახლოვდებოდა. კუბრივით შავ მდინარეზე ლივლივებდა მისი ფაფარი, ახლა თითქოს მისი სუნიც კი მისწვდა ხალხს და უფრო აკანკალდნენ. მზის სხივებზე ბრწყინავდა გველეშაპის მოელვარე კანი. თითქოს მისი თვალბებიც კი წააწყდა ხალხის მზერას და უფრო საშინლად დაიწვილა.

ხალხი მიწას ეკვროდა, ეშინოდათ ამ ხმას ფერდობიდან არ გადაეყარა აბობოქრებულ შავ მდინარეში.

კანკალებდნენ.

მიწას ფხოჭნიდნენ.

— უცებ გარსიამ დაარღვია სიჩუმე.

— რა გაშინებთ, ხალხო, მაგნაირებზე ვმჯდარე ვარ! — ამაყად თქვა. ხალხს ხუმრობის თავი აღარ ჰქონდა, მწყურალად შეხედეს.

— ჰო-ჰო, ეგრე ნუ მიყურებთ თქვენა, მაგნაირებზე ვმჯდარე ვარ და, თუ არა გჯერათ, გაჩვენებთ! — დაიქანდა, ცხენს მოახტა და მდინარისაკენ გააქანა.

— ეეეე! — აღმოხდა შეშინებულ ხალხს.

გველეშაპი საზარლად წიოდა.



გარსია თანდათან წამოვიწია.

მდინარის პირას გაუსწორდა მის კუდს.

უფრო წინ გააქენა ცხენი, გველეშაპის თავისკენ გააქენა და რო გაუსწორდა, შეაგლო ცხენი ადევებულ წყალში.

ერთ წუთს ცხენიც და კაციც წყალში დაფარა, მერე შავ ტალღებზე დაფენილი გველეშაპის ფაფარი იქი-აქა გადაიწია და ამოჰყო გარსიამ თავი, როგორც ცხენს, ისე მოახტა გველეშაპს ზურგზე, ხელებით ფაფარში ჩააფრინდა, ფეხებით მუცელზე შემოეჭდო და დაჰკივლა:

— ჰეჰეჰეე!

ამაზე მთლად გადაირია გველეშაპი. აბორგდა, მოჰყვა მდინარეზე კუდის ცემას, მაგრამ შენც არ მომიკვდე, გარსია აღარ აპირებდა ჩამოხდომას.

ეს რომ დაინახეს გარსიას პატარა ბაღლებმა, ტირილით გაიქცნენ მდინარისაკენ:

— ჩამოხე, მამიოი! — უკიოდნენ გარსიას.

— გაბრუნდით, შვილო, ამას მოვარჯულებ და მოვალ, ისეთ კანფეტებს მოგიტანთ, როთ! — გამოჰკიოდა გარსია.

— ჭირმა მოგარჯულოს და ეშმაკმა, აი! — სწყველიდა ცოლი.

— ერთი კარგი ჰურ-მარილი თქვენზე! — ხალხს გამოჰკივლა გარსიამ, მაგრამ უკვე ძლივს ისმოდა იმისი ხმა, უკვე შორს იყვნენ, თანაც გველეშაპი წიოდა საშინლად.

გარსიას ცხენმა, როგორც იქნა, გამოცურა წყლიდან, პატრონს გახედა, გველეშაპზე ამხედრებული რომ დაინახა, დაიჭივინა და უკან გაედევნა მდინარის სანაპიროზე. კარგა ხანს სდია ასე და პატრონმა რომ ყური არ უგდო, შედგა.

გველეშაპი და იმისი მხედარი თვალს მიეფარნენ. ნელ-ნელა გამოერყვა ხალხი.

— რა ქნა, კაცოო?! — თქვა ვიღაცამ.

— მამაა! — ისევ გულსაკლავად მისტიროდნენ მდინარეს ბაღლები.

— წამო, შვილო, წამო, გამოიბრუნე დია, მოუსაველეთში წავიდა მამათქვენი, — უკან მოაბრუნა გარსიას ცოლმა ბაღლები.

— წავიდეთ, კაცო, მივხედოთ, თავს არა აუტეხიას რა, — გარსიას მისამართით თქვა ერთმა.

— მაგან მეტი რაღა უნდა აუტეხოს, რა ქნა, თქვენი ჭირიმეე! — მუხლებზე ხელეებს ირტყამდნენ გაკვირვების ნიშნად დედაკაცები.

— აიმაზე არ შეგჯდებოდით, რომ მილიონი რასმე მოეცა.

— რომ ვერც ჩამოაგდო!

— რას უშვებოდა ი კუდს, იმით უნდადა მოშორება.

— შენ ეგა თქვი და, გარსიასაც რომ გაუტეკა იმაზე ჯდომა, ის ვერ დაინახეთ, ცხენმა როგორ იეჭვიანა, ის კიდევ ყელშიაღერაჰტული იჯდა.

— წავიდეთ, გაეცოლა მაინც, რა ქნა, თუ ვერას ვუშველით, ამბავს მაინც მოვუტანთ იმის ცოლ-შვილს, — ისევ თქვა იმ კაცმა, წელან რომ იძახდა, თავს არა აუტეხოს რაღა.

რამდენიმე კაცმა ცხენები შეკაზმა და მდინარის ნაპირს აედევნენ.

მათს წვერებიდან ნელ-ნელა ქვემოთ ჩამოეფინა დამფრთხალი საქონელი. საშალავეებში შეჰყუჟული ფრინველებიც გამოჩნდნენ და მოჰყვნენ ყიფივს. ძაღლებმაც შეწყვიტეს გაბმული ყმულილი და ახლა პატრონებს შეჰყურებდნენ შეძრწუნებული თვალებით: რა იყო, რა მოხდაო. გარსიას საშველად წასული მხედრების ცხენები ფრთხოდნენ მდინარის სიახლოვეს ყოფნით, ეტყობა, კიდევ გრძობდნენ გველეშაპის სუქს.

წვიმა აღარ იყო, მაგრამ მთელი დღე აღელვებული მოდიოდა მდინარე. მოდიოდა ქვების ხათქახთუქით, ტალღების ტულაშუნით და მოიყოლებდა მოშავფერო ნისლს. იმის სათავეებიდან რამდენიმე მეცხვარე ჩამოვიდა სოფელში. გაკვირვებული და შეშინებული მეცხვარეები ჰყვებოდნენ, როგორ ამოხეთქა გველეშაპმა მდინარის სათავეში მიწა

და აწივლდა. ჭერ თურმე მიწაზე ეხეთ-
ქებოდა, წიოდა, იკლანებოდა, მერე
ადევებულ მდინარეს წამოუღია თა-
ვქვე. ჭერ წყალი ამოდირდაო შადრე-
ვანივით იმ ადგილზე, სადაც გველეშაპ-
მა ამოხეთქა, მერე წყალი შემწყდარა
და, როცა გაბედეს ახლოს მისვლა მწყე-
მსებმა, ახლა უფრო გაცივებულან. სა-
ზარელი ყოფილა გველეშაპის ტანით
ამოლესილი, ვინ იცის, ქვესკნელამდე
ჩახვრეტილი მიწის გული.

— შიგნით რომ ჩასძახო, სადაც სი-
ღრმეში იკარგება ხმა და უკან აღარ
ბრუნდება, — თქვა ერთმა მწყემსმა.

— ისეთი საშინელი ჩასახედია, კაცს
რკინის გული გინდა, რო იქ ჩახედო,
ნაპირებთან იმისი წითელი ბალანი
ყრია, — ამბობდა ნანახით გაცივებული
მწყემსი.

სალამო ხანს გარსიას საშველად წას-
ული მხედრებიც მობრუნდნენ სოფე-
ლში და თქვეს:

— წასულა, გაუვლია.

— უნახავს ვინმეს?

— კი, მთელი ხეობა ისე გველეშაპ-
ზე ყელმოღერებულს გაუვლია, გადარე-
ულია ხალხი.

— ჭერ გამოცხადება ჰგონებიათ, რას
მოიფიქრებდნენ, რო გარსია იქნებოდა,
მერე თვითონვე დაუძახნია: ნუ გეშო-
ნიათ, ხალხო, ამას ჩქარა მოვარჯულებ,
ერთი პურ-მარილი თქვენზეაო, გველე-
შაპი თურმე წიოდა, ჩამოგდება უნდო-
და ზურგიდან გარსიასი, მაგრამ ვერ
გადმოუვლია. მეორე მდინარეს რო უე-
რთდება იქამდე ვლიეთ, იქაც გაცი-
ვებული ხალხი დაგვხვდა, იმათაც ეგრე
გვითხრეს, იმათთვისაც ეგრე დაუძახ-
ნია, ამას მოვარჯულებ, მოვბრუნდები
და ერთი კი პურ-მარილი თქვენზეაო.
წასულა, გაჰყოლია წყალს ყელმოღე-
რებული.

მთელ ღამეს კიდევ დგანდგარებდა
მდინარე, ლოდების რახარუხი აყრუებ-
და ხეობას და არ აძინებდა ხალხს, თუმ-
ცა ან ვინ დაიძინებდა, ისე იყენენ აფო-

რიაქებულნი იმდღევანდელი სანახევრული
ბით.

გორისთავ გაცხილი მთვარე გადმო-
დგარიყო და ანათებდა მთელ ხეობას.
იმის სხივებში შავად ლაპლაპებდა აბო-
რკებელი წყალი.

მეორე დღეს თანდათან იკლო მდინა-
რემ და ფერიც შეეცვალა. ახლა აღარც
ლოდების ხმა ისმოდა ისე ძლიერად.
იმ დღესაც ისევ გუშინ ნანახი ეკერა
ყველას პირზე, ზოოლოგიის მასწავლე-
ბელსაც კი არ აუხსნია ახალი გაკვეთი-
ლი, ისიც გარსიას საგმირო საქმეზე ლა-
პარაკობდა, ცმუტავდა, ერთ ადგილას
ვერ ჩერდებოდა.

გარსიასი აღარაფერი იცოდნენ. მთე-
ლი ერთი კვირა გავიდა იმ დღის მერე,
გარსია კი არ ჩანდა. ხანდახან თუ ვინმე
მოიტანდა ამბავს, აქა და აქ უნახავთ,
ისევ ყელმოღერებული იჭდა და მდი-
ნარეს მიჰყვებოდაო.

დაიკარგა და დაიკარგა, აღარ გამოჩ-
ნდა კაცი.

დალონდა სოფელი.

გარსიას ბალებს ცოდვით აღარ შე-
ეხედებოდა.

ცოლიც კი, აქამდის რომ თავს იმაგ-
რებდა და ხალხის მოსაჩვენებლად გარ-
სიას სწყევლიდა: ჭირმა შეჭამოს იმისი
თავი და იმ გველეშაპმა გამოუხრას ძო-
ლმანით, ახლა მოტეხილი და დადარ-
დიანებული გაჰყურებდა სოფლისაკენ
მომავალ გზას.

არ ჩანდა გარსია.

ვილაცას გიორგი გაახსენდა:

ნათელმხილველი გიორგი.

გიორგი ოთხმოც წელს მიტანებული
ქალარა ბერიკაცი იყო. აქედან მესამე
სოფელში ცხოვრობდა. ღამით რომ სა-
დმე წივილდა, რალაცა ნათელი სვეტი
ჩამოადგებოდა ციდან და გზას უნათე-
ბდა, გიორგი ხევისბერი იყო და წმინ-
დად ცხოვრობდა. სანთელს რომ აანთე-
ბდა, გახედავდა და შიგ დაინახავდა მო-
მხდარ-მოსახლენს.

გოდამაძი ჩოხელი
მხატვარი



ახლა გაახსენდათ გიორგი და გარსი-
ას გზა-კვალის გასაგებად მიადგნენ
ქარს.

დამბადებელი ახსენა გიორგიმ.

ქული მოიხადა,
პირჯვარი გამოისახა.

და
აანთო სანთელი:

— ადა-და-და-დაა, ხალხნო, აბა გა-
ხედეთ! — თქვა გაკვირებულმა გიო-
რგიმ და სანთელში გაახედა ხალხი.

ყველამ ცხადად დაინახა, როგორ იჭ-
და გველეშაპზე ყელმოდერებული გარ-
სია და ხან ერთ მდინარეში შეაჭყენებდა
და ხან მეორეში. გველეშაპი, ეტყობა,
ისევ ცდილობდა იმის ჩამოგდებას,
კუდს იქნედა, იკლაკნებოდა. იმათ სა-
ნახავად გამორბოდა სოფლებიდან და
ქალაქებიდან ხალხი. გარსია რალაცას
გაჰკიოდა იმათ, ეტყობა:

— ნუ გეშინიათ, ხალხო, ამას ჩქარა
მოვარჯულებ და მერე ერთი კი პურ-
მარილი თქვენზეაო! — ხმა არ ისმოდა,
მარტო ცხადად ჩანდა სანთლის ალში
ყოველივე.

ერთი კვირა ასე უყურებდნენ სანთ-
ლის ალში გველეშაპზე ყელმოდერე-
ბულ გარსიას და უკვირდათ:

— აბა-ბა, რა გამძლეობა აქვს, არ
გიკვირთ, აბა, წყალს თუ მდინარისას
სვამს, შიმშილმა მაინც არ შეაწუხა?

— შეიძლება თევზებსა ჭამს გზადა-
გზა.

— არა, რა თევზებს, ვერ უყურებთ.
სუ ერთთავად ყელმოდერებული რო
ზის?

— ეგ უხსენებელიც რო მაგის საუ-
ბედურად გამოტყვრა!

— თანაც რო ვერ ვადმოვადლო ამდენ
ხანს?

— რას ვადმოვადლებს, ჯერ არ მახ-
სოვს, ცხენს ჩამოვადლოს გარსია.

— აჰა! — თქვა გიორგიმ.

ხალხი სანთელს ჩააკვირდა.

გველეშაპი აბობოქრებულ ზღვაში
შეიჭრა. ზღვის ტალღებში აბიზინდა იმ-
ისი ფაფარი. გარსიამ უფრო შემოაქლო

ფეხები იმის ტანს და ხელებით მარჯვ-
ჩაებლაუქა ფაფარში.

გველეშაპმა ერთხანს ზღვის ტალ-
ღებზე გაიქროლ-გამოიქროლა, თითქოს
რალაცას ეძებდა. მერე, ეტყობა, იპოვა
ის რალაც, ხმა არ ისმოდა მაგრამ, რო-
გორც ჩანს, ისე დაიწვილა, გარსია კი-
ნალამ გადმოვარდა, ჰაერში აიჭნია კუ-
ლი და ჩაინთქა ზღვის სიღრმეში, თან
ჩაიყოლა ტანზე შემოკდობილი გარსია.

— მორჩა! — თქვა გიორგიმ და პირ-
ჯვარი გადაიწერა.

— რაა? — უცებ ვერ გაერკვა ხალ-
ხი.

— დაინთქა, ქვესკნელში დაინთქა
გველეშაპი.

— გარსია?

— თან ჩაიყოლა.

— კი მაგრამ...

— როგორ?..

ვაოგნებული იყო ხალხი. ვერ დაეჭე-
რებინათ, რომ გარსია ასე დაასრულე-
ბდა თავის ვაჟკაცურ სიცოცხლეს.

— აანთე, გიორგი, აანთე, იქნებ კი-
დევ რამ გამოჩნდეს, — ეხვეწებოდნენ
გიორგის.

გიორგი ანთებდა სანთელს, მაგრამ
იმ დღის მერე აღარ გამოჩნდა არც
გველეშაპი და აღარც გარსია.

მარტო ზღვა ჩანდა, სანთლის ალში
ლურჯად მოლივლივე და ეს იყო ნიშანი
იმისა, რომ სადღაც, ამ ზღვის სიღრ-
მეში იპოვა ქვესკნელში ჩასაძრომი გვე-
ლეშაპმა. თუმცა ხალხმა თავისი თვა-
ლით ნახა ეს, მაგრამ ზოგიერთნი ვერ
იჭერებდნენ, რომ ზღვამ დაახრჩო გარ-
სია და გულისგულში იმედი ჰქონდათ,
რომ ქვესკნელამდე ცოცხლად ჩააღწე-
ვდა გველეშაპზე ამხედრებული. ის ისე-
თი უტყბი იყო, რომ ზღვაც კი ვერ და-
ახრჩობდა. ზოგიერთს იმის იმედიც კი
ჰქონდა, რომ სწორედ იმ გზით დაბრუ-
ნდებოდა სამზეოზე გარსია ქვესკნელი-
დან, გველეშაპმა რომ გამოანგრია მდი-
ნარის სათავეში. ხშირად ყარაულობდ-
ნენ ამ ხერხს, საიდანაც მუდმისად
ამოქროდა ცივი ქარი, რომელსაც თან



მოჰქონდა უცხო რამ სურნელი. ზოგიერთები ირწმუნებოდნენ, რომ ეს იყო ქვესკნელის ჰაერი, ამომდინარე ამ ხვრელით და როცა ხეობაში ვინმე მოკვდებოდა, ქვესკნელის ჰაერს აბრალვდნენ ამას. ვილაცამ თქვა, იმ ჰაერს ავადმყოფობა ამოაქვს მაღლა და სათათბიროდ შეიკრიბა ხალხი. ერთნი გადაჭრით მოითხოვდნენ, გადაეხურათ ის ხვრელი და გადაეხეტონებინათ, რომ იქიდან ვეღარ ამოსულიყო ქვესკნელის ჰაერი. სხვანი, ვისაც ჯერ კიდევ იმედოჰქონდა, რომ გარსია ცოცხალი იყო და, ადრე თუ გვიან, ქვესკნელიდან იმ ხვრელით დაბრუნდებოდა სამზეოზე, ფეხს ითრევდნენ და არ ჩქარობდნენ ხვრელის გადახურვას, ამით ხომ ერთადერთ უკან დასაბრუნებელ გზას მოუჭრიდნენ გარსიას. ამ დღის მერე სულ ჩხუბი და აყალმაყალი ჰქონდა ერთმანეთში გამართული ამ ორ ბანაკს. დროდადრო თითქოს მიავიწყდებოდათ ხვრელის არსებობა, მაგრამ მოკვდებოდა ვინმე თუ არა ხეობაში, ისევ გაახსენდებოდათ და ისე აღარავინ კვდებოდა, რომ იმის სიკვდილი ქვესკნელიდან ამომდინარე ჰაერს არ დაბრალვდებოდა. თავიდან იწყებოდა ჩხუბი, აყალმაყალი და იმ შავი დღის გახსენება, როცა გველშაპმა ამოანგრია დედაიწიწა. ერთ დღეს კი იოსებიანთ ანუელმა დაუსვა ბეჭედი ამ გაუთავებელ ჩხუბსაც და ხვრელიდან ამომავალ ჰაერსაც.

ანუელი მაშინ ისე მოხუცებული იყო, ზუსტად აღარავინ იცოდა მისი წლოვანება. ასზე კი ბევრით მეტისა არისო, ამბობდნენ სოფელში და ეს „ბევრით მეტი“ რამდენი იყო, აღარავინ იცოდა.

ლუკას არ ახსოვს, როდის მოკვდა პირველად იოსებიანთ ანუელი, ხალხი ამბობდა, მაშინ სამოცდაათი წლისა იქნებოდაო.

მთელი ერთი დღე და ღამე ყოფილა სულს გაყრილი.

რამდენჯერმე ჩაიწვა იმის თავ-ფეხთით სანთლები, მოდიოდნენ მეზობელი, სოფლებიდან მოკეთეები და ხმით

მოტირალნი. სოფელი ეზადებოდა ანუელის იმ ქვეყნად გასასტუმრებლად. კიდევ ერთხელაც რომ აუნთეს სანთლები, მაშინ წამოიწია თურმე და ისე წამოდგა, თითქოს ამდენი ხნის მანძილზე უსულო კი არ იყო, ეძინა და ეს-ესაა გაიღვიძა.

ხალხი შიშის კანკალმა აიტანა. მათ ჯერ არავინ ენახათ უკან მობრუნებული.

შემდეგში ხშირად ჰყვებოდა იოსებიანთ ანუელი იმ ნათელი ქვეყნის ამბებს. ჯვფუ-ჯვფუდად ესხდნენ თურმე გაშლილ ტაბლებს იმისი ახლობლები:

— ანუელი მოდის, ანუელი! — დაიძახა ვილაცამ.

წამოიშალნენ. მოეგებნენ.

— ქალო, ჯერ აქ შენ რა გინდა! — გაიკვირვა ანუელის დედიძამ. — წამო, წამო, გზა გაგასწავლო, ჯერ შენი აქ მოსვლის დრო არ არის, — წამოიყვანა ბიძამ და მოიყვანა სამძღვარამდე:

— წადი ახლა, აი ეს სამი სიტყვა დამახსოვრე რასაც ახლა გეტყვი და მანამ სიკვდილი არ მოგენატრება, მანამდე არა თქვა, არ გააწამო, თორემ იმწუთში მოკვდები, რაწამსაც იტყვი, — ის სამი სიტყვაც უთხრა იმ კაცმა და გამოგზავნა უკან.

იმ დღიდან მოყოლებული იყო, ხან ვინ ეკითხებოდა ანუელს, ხან ვინ:

— გვითხარი, რა სამი სიტყო გითხრეს ეგეთი.

— არა, ჩემო თავისანო, ისე გამაფრთხილეს, როგორც კი იტყვი, იმწუთს მოჰკვდებიო, იმას რა მათქმევინებს! — უარობდა იოსებიანთ ანუელი.

— ერთი სიტყო მაინც თქვი იმ სამიდან.

— არა, არა! — უარობდა ანუელი და ხელებს ასავსავეებდა.

ხალხს ცნობისწადილის ჭია ღრღნიდა და, დღე არ გავიდოდა, იოსებიანთ ანუელისთვის ვინმეს არ ეკითხა, გვითხარ, რა სამი სიტყო იცი, ვნახოთ, იქნება არ მოჰკვდევო.

— რო მოგკვდე? — თავის მხრივ ეკითხებოდა ანუელი.

— იქნებ არ მოგკვდე.

— არა, არა! — ისევ ხელებს ასავსავებდა ანუელი უარის ნიშნად.

ცნობისწადილმა და ანუელის სიჯიუტემ გადარია ხალხი და ახლა უკვე აღარც ელაპარაკებოდა ზოგიერთი. რამდენჯერმე შვილებმაც მოინდომეს ანუელისათვის დაეცდინათ ის სამი სიტყვა და რო არც იმათ უთხრა, ზურგი აქციეს ანუელს.

დრო გადიოდა.

ბერდებოდა ანუელი.

ახლა თითქმის ყველასაგან ზურგშექცეული ძლივსა დადიოდა, ხანდახან თუ ვინმე ჰკითხავდა:

— ეხლა მაინც თქვი, ანუელო, ეხლა ხო დროა.

ანუელი მარტო ჩამომკნარ ხელებს ასავსავებდა და ხმას არ იღებდა.

— არ იტყვი და, ლივე კირილდე! — ეუბნებოდნენ რძლები.

ყველამ ზურგი შეაქცია.

გაუჭირდა ასეთი ყოფა იოსებიანთ ანუელს.

იფიქრა, რაც იქნება, იქნება, ვიტყვიო და:

ველარ გაიხსენა...

ბებრი ეწვალა...

შუბლზე მაგრად შემოიჭირა ცივი ტილო.

სულ ტყუილად,

ველარ გაიხსენა ის სამი სიტყვა.

შეკრთა იოსებიანთ ანუელი.

შეეშინდა.

აუცხროვდა ბებერი მუხლები.

აუკანკალდა ჩამომკნარი ხელები.

ვერაფრით ველარ გაიხსენა ის სამი სიტყვა.

ვათუ, ესე ზეზეურ გახმეს ამ ქვეყანაზე.

ყველასაგან მოძულეებული.

ზურგშექცეული.

ვათუ, ველარ ეღირსოს სიკვდილი.

ერთხელ, როცა ქვას ველარ გადააბი-

ჯა ზემოდან, ფეხი წამოჰკრა დამზნსკა წაიმთხვრია, თავს წამოადგა ანხლი რძალი და დაჰკივლა:

— თქვი, შე ჯანმკვდარო, თუ რამ იცი, რაღას გვაწვალე, ან ჩვენ, ან შენ თავს!

ანუელი წამოჯდა, დარცხვინილმა შეხედა რძალს და წაილულულა:

— დამავიწყდა, ქალო!

— ისრე შენი ქალობის ჩამოშლამა, როგორც შენ რამ დაგავიწყდა! — არ დაუჭერა რძალმა.

არც სხვები იჭერებდნენ.

— სიცოცხლით გაუმძღარია და მეტი არაფერი, — იძახდა გამწყრალი ხალხი.

— განა რა არის ეგე ამ წუთისოფლის გამოფსკენევა, ეგ რო იქცევა, — ამბობდნენ დედაკაცები.

— რა ლხინის ცხოვრება მაგასა აქვს, მაგრამ რო გახარბდება სიცოცხლისათვის კაცი!

— რა არის და რა, დედამტერთასა, ისე გაიხდის საქმეს, რო აღარავინ დამარხავს ბოლოს, — ემდურებოდნენ იოსებიანთ ანუელს და აყვედრიდნენ გამწარებულ სიცოცხლეს.

ანუელი დიდხანს იხსენებდა იმ სამ სიტყვას და ამოდ ეძებდა სიკვდილს.

მერე, ეტყობა, იმედი რო გადაუწყდა, არაგვის სათავეში წავიდა და იმ გველეშაპისაგან ამონგრეულ ხვრელში გადაეშვა იმ იმედით, რომ მარტო ამ გზით-ღა მოხვდებოდა საიჭიოში.

მწყემსებს დაუნახავთ როგორ იდგა კარგა ხანს ხვრელის პირას, ეტყობა, ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, და იმ სამ სიტყვას იხსენებდა.

ამის მერე კი გადაწყვიტეს იმ ხვრელის გადახურვა.

შეიკრიბა ხალხი.

ცემენტის პარკები აჰკიდეს ცხენებს და გველეშაპის ხვრელისაკენ წავიდნენ.

ისე გადალესეს ის ხვრელი, რომ პაერს ველარ შეძლებოდა იქიდან ამოსვლა. ბეტონზე ზემოდან მიწა მიაყარეს,

რომ გადაბელტებულიყო და შემდეგში აღარავის სკოდნოდა იმ ხვრელის არსებობა.

ასე დაუსვა იოსებიანთ ანუელმა გველშაპის ხვრელს ბეჭედი და ამით საბოლოოდ გაუქრა ხალხს იმედი გარსიას ქვესენელიდან დაბრუნებისა. მაგრამ ხალხში ჯერ კიდევ იყვნენ ზოგიერთები, რომელთაც სწამდათ, რომ ადრე თუ გვიან მობრუნდებოდა გარსია. ისინი ხანდახან გიორგისთანაც კი მიდიოდნენ და სანთელს ანთებინებდნენ.

სანთელში კი არავითარი ნიშანი აღარ ჩანდა.

აღარც ზღვა ჩანდა.

სანთლის გახსენებაზე უცებ გაახსენდა ლუკას, სადაც იყო და გველნაქბენივით წამოვარდა ბალიშზე გულადმაგადაწოლილი, ღუმელში ისევ ჩანავლებულიყო ცეცხლი და ნელ-ნელა იესებოდა ოთახი ბლანტი სიბნელით, რომელიც ჰერიდან აწვეებოდა ოთახს და გაუღნთილი იყო შიშისმომგვრელი ჟრუანტელით. ახლა აღარც კედელზე გაკრული სურათები მოჩანდა და აღარც ის ჩაქანებული ხანჯალი, რომელიც, ღმერთმა იცის, როდისა. ჰკიდია ასე, რამდენი ხანია, რაც ვადიდან აღარ ამოუწვია კაცის მარჯვენას. ნუთუ ერთხელ არ დასჭირვებია თევდორეს? აკი თვითონვე უთხრა, რომ მგლებისაგან ბევრი მგზავრი ჰყავს გადარჩენილ, მას მერე, რაც დორაისხველებს თავი დააღწია და აქ დასახლდა. მას ხომ თოფიც კი არ ჰქონდა, წრეში რომ შემოვარდა და მგლები დააფრთხო. თოფი კი არა; და-ნაც არ დაუნახავს ლუკას მის ხელში, არც რაიმე სხვა იარაღი, რის შიშითაც შეიძლებოდა ისე ამოეძუებინა მგლები-სთვის კულები. არა, აქ ნამდვილად რაღაცაში იყო საქმე და ლუკა ვერ მიმხვდარიყო ამას; ან მართლა დააღწია თევდორემ ტყვეობას თავი და ახლა რაღაც შელოცვა ან რაიმე სხვა ნიშანი იცის, რითიც უნდა დააფრთხო მგლები, ან მამამისის ლოგინში წოლით გადმოდის მასზე ზეგარდმო მადლი, ანდა ტყუი-

ლად არ ეშინია ლუკას, თევდორემ ვერ დააღწია სამუდამო ტყვეობას თავი, მის სულში ისევ დატოვეს ჩასაფრებული და ლუკასნაირ ადამიანებზე მოთვალთვალე მგელი დორაისხველებმა. თუ ასეა, ან ეს ღამე იქნება ლუკასთვის ბოლო ღამე, ანდა როგორმე უნდა შეძლოს აქედან გაპარვა. მართალია, შემოდგომობით გრძელი ღამეები იცის, მაგრამ კარგა დრო უნდა იყოს გასული და სადაცაა თენებაც დაიწყება. ლუკას გაახსენდა, რომ დღეს ორშაბათი იყო და შეიძლება დორაისხვეში შეკრებაზე იყო თევდორე მიწვეული. იქ, ალბათ, მოახსენებს ჩემს აქ ყოფნას და გადაწყვეტენ, როგორ მომაქციონ მგლად, თუ ისევ მეზობელ ოთახშია და, როგორც თვითონა თქვა, მამისეულ საწოლში მშვიდად სძინავს, ხომ კარგი, როცა გაიღვიძებს და ლუკა იქ აღარ დახვდება, იფიქრებს, ალბათ, ძალიან ეჩქარებოდა, ჩემი გაღვიძება მოერიდა და დაუმშვიდობებლად იმიტომ წავიდაო, ხოლო თუ დორაისხვეშია სამსჯავრო კრებაზე, მით უფრო უნდა იჩქაროს და გაასწროს აქედან.

ლუკა ლოგინიდან ფრთხილად წამოდგა და ხელის ცეცებით ფანჯარასთან მივიდა. ფანჯრიდან მკრთალად გამოჩნდა თოვლიანი მწვერვალები. ეტყობა, თენდებოდა და თოვას გადაეღო. მერე მწვერვალებზე ჩამოყრდნობილი ცა გაარჩია ლუკამ და თითქოს საიდანღაც მამლის ყვილიც მისწვდა მის ყურს.

სიბნელეში ჩუმად ჩაიკვა. თან ერთ-თვალ უკან იხედებოდა, ფიქრობდა, ალბათ, რომელიმე ბნელი კუნჭულიდან მითვალთვალეებს თევდორე როგორ მივიპარები აქედანო.

ხელით თუნგი მოძებნა, მოიყუდა. ესამოვნა ცივი წყალი, თითქოს შიშიც გაუქარწყლდა. ფანჯარა გამოაღო და სახლიდან ისე გავიდა, რომ დერეფანში დაბმულ ძაღლს არ გაეგო მისი გაპარვა. ფანჯრიდან რომ გადადიოდა, უცებ შედგა, რატომღაც მოეჩვენა, რომ

შიგნითა ოთახში შესასვლელ კართან თევდორე იდგა და უხმოდ უყურებდა. ლუკამ უკან მოიხედა.

მოეჩვენა.

არავინ ჩანდა.

თოვლში ჩახტა და გარედან, როგორც შეძლო, ისე გაიხურა ღია ფანჯარა.

კარგა ხანს უკან მოუხედავად გარბოდა თავქვე. მისი სოფლისაკენ მიმავალი გზა ქვემოთ ეგულებოდა. თევდორეს რომ სახლში მიჰყავდა, მაშინ კარგა ხანს იარეს აღმართზე.

ღამით დიდი თოვლი მოსულიყო და წელამდე ეფლობოდა. ახლა ზვავისაც ეშინოდა. გაუქვალავ თოვლში სიარული უჭირდა და თავის სოფლამდე თუ არა, რომელიმე სოფლამდე მაინც უნდა მიედღწია. ჭერ კი არც ერთი სოფელი არ ჩანდა, წინ თოვლის უდაბნო იყო და ტყეებიც კი აღარ ჩანდნენ შავად.

თენდებოდა.

თუმცა ამ ყოვლისმომცველ სითეთრეში ძნელი იყო იმის გარკვევა, მართლა თენდებოდა, თუ არა, მაგრამ ზეცის ფერზე მიხვდა ლუკა, რომ რიყრახი იწყებოდა.

ქვემოთ, ჰალაზე, თოვლს დაეფარა მდინარის ტალღები და ალაგ-ალაგდა მოჩანდა წყლის ვიწრო ზოლი.

ხეობაში ჩამოწოლილი თეთრი მღუმარება ზვავის გრიალმა გააყრუა. ამ ხმამ პირელად სიმხნევე შემატა ლუკას, მის ირგვლივ მყოფი გარემოს რეალური ყოფნა აგრძობინა, მანამდის კი, თითქოს თავის ბრჭყალებში მოექცია ირგვლივგამეფებულ ავისმომასწავებელ დუმლს და სადღაც მიითრევედა. ზვავის ხმამ კი გონს მოიყვანა, უფრო მყარად დააბიჯა გზაზე, რომელიც ის-ის იყო, იპოვა და ერთი ეგ არის, გზა ერქვა, თორემ არც მას ეტყობოდა რაიმე ნიშანწყალი სადმე ადამიანის არსებობისა. ერთი ნაკვალევიც კი არსად ჩანდა, გზაც ისევე იყო თოვლით გადალესილი, როგორც მთელი ხეობა. ერთადერთი უპირატესობა ამ გზაზე სიარულისა ის იყო, რომ ადრე თუ გვიან, რომელიმე

სოფელს მიადგებოდა, ან მგზავნი მოეყრებოდა, მაგრამ თითქოს მის ჯინაზე დაცარიელებულიყო და უკაცრიელი გამხდარიყო მთელი ხეობა. მგზავრის ჰაქანება არსად ჩანდა, ირგვლივ თოვლის სითეთრე და მღუმარება მეფობდა, რომელიც ასე ავისმომასწავებლად ეჩვენებოდა ლუკას. ზვავის ხმამ იმის იმედიც კი მისცა, რომ სადღაც ეს ხმა კიდევ სხვა ადამიანებმაც გაიგონეს. იქნებ თევდორეც გამოაღვიძა ამ ხმამ?

ჰა?

თევდორე?

ლოგინში წამოჭდა, მიმოიხედა და ჩაიცივა.

ლუკა რომ იქ აღარ დახვდა, რა იფიქრა, ნეტავ?

აღბათ, ისიც შეამჩნია, რომ ფანჯრიდან გაიპარა მისი სტუმარი. შეიძლება ახლა სახლს ათვალიერებს და ფიქრობს, ხომ არაფერი მომპარაო, სხვა, აბა, მარა უნდა იფიქროს, როცა მოყვრულად კარიდან შეყვანილი სტუმარი ფანჯრიდან გაეპარა.

ვაი სირცხვილო! ეს რა დაემართა ლუკას, როგორ აცდუნა შიშმა. იქნებ თევდორეს როგორ ენატრება ადამიანური მოქცევა და ახლა როგორ დასწყდება გული მის საქციელზე.

თანდათან ინათა.

დილის ნათელი დაეუფლა ხეობას.

კიდევ გაისმა ზვავის ხმა.

ახლა უფრო შემზარავი მოეჩვენა ეს ხმა ლუკას, თითქოს მთელი ხეობა ირყეოდა, ზანზარებდა და მიწაც იძვროდა თოვლს ქვემოთ. ახლა ყოველ ნაბიჯზე ზვავი იყო მოსალოდნელი. ზვავები ხომ ყოველ წელიწადს აქ იმდენ მგზავრს ზოცავდა, ბოლო დროს ხალხმა შესწყვიტა კიდევ ახალმოსულ თოვლში სიარული. დღეს, აღბათ, არ გამოჩნდებოდა არც ერთი მგზავრი. მარტოკამ უნდა გაკვალოს ლუკამ წელამდე თოვლი და, ვინ იცის, რამდენ ხანს ეყოფა ამისთვის ძალი. თუ მოიღრუბლა და ისევ თოვლი წამოუშინა, მერე შეიძლება გზაც დაე-



ნეს. ასეთ თოვლში ვერც მისკენ გამოქანებულ ზევს გაქცევა სადმე.

როგორ გამოიქცა, როგორ უსირცხვილოდ მიატოვა თევდორე. ისიც კი არ ჰკითხა, რა მოხდა მერე; როგორ დააღწია კაცმა იმდენ წამებას თავი.

„დააღწია კი?“ — ისევ სადღაც გაპქენწლა ეჭვმა, მაგრამ ახლა დღის სინათლე იყო და შიში ვეღარ ერეოდა ლუკას გონებას, ახლა უფრო საღად შეეძლო განსჯა:

თევდორე ცოდვებს ინანიებს. თუმცა მას არ შეეძლო ცოდვები თავიდან აეცილებინა, მაგრამ მაინც ახსოვს, რაც ჩაიდინა თევდორეში ჩასახლებულმა მგელმა და ახლა ინანიებს.

„იქნებ შეეძლო მგლობა აეცილებინა თავიდან?“, ისევ გაპქენწლა ეჭვმა ლუკას. მამამისმა ხომ უთხრა, იშოვე ყვავილით, იმან კი ყვავილის ძებნაში იმდენი ნადირი ხოცა, თავის თავი მგლად მოაქცია, თუმცა, ალბათ, ასეც ეწერა, მაგრამ თვითონ შეუწყო ხელი წერამწერალს.

ნეტავი ლუკას თუ უწერია მგლობა. თუ უწერია, როგორ ასდგეს, საით გაექცეს წერა-მწერალს. იქნებ არ უნდა გამოქცეულიყო თევდორედან?

თევდორე ცოდვებს ინანიებს. მისთვის ახლა ძვირფასია ადამიანური წმინდა გრძობები. ხალხთან რომ არ ცხოვრობს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იტანჯება, ხალხში მოწანწალე მგლებს ხედავს იმისი სული, თანაც ალღოთი სიკვდილის მოახლოებას გრძობს, თორემ სხვა მხრივ ცოდვას თევდორეზე იმისი ფიქრი, რასაც წუხელ ლუკა ფიქრობდა. ახლა დღეა და სხვანაირად ფიქრობს. ახლა ერთი სული აქვს, უკან მიბრუნდეს და თევდორეს დარჩენილი ამბავი მოაყოლოს. ლუკა ხომ ვეღარასოდეს გაიგებს, რა მოხდა მერე, როგორ დააღწია თევდორემ ტყვეობას თავი. იქნებ ლუკას გარდა, არც არავისთვის უთქვამს ეს ამბავი თევდორეს. თუ ახლა ზევაებს გადაურჩა, მერე ხომ მთელი ცხოვრება საწამებლად გაპყვება იმის

გაფიქრებაც კი, რომ კაცი, რომელმაც მგლის ხროვას გადაარჩინა, გაქცულ და ისე მიატოვა.

„გაქურდა?“

ახა სხვა რა ჰქვია მის მოქმედებას, კარიდან სტუმრად შევიდა და ფანჯრიდან კი გამოიბარა ქურდულად. თევდორემ თავისი გასაქირი მოუყვა, ამან კი ბოლომდე არ მოუსმინა, ცილიც კი დასწამა გუნებაში.

„ეძინა კია მეორე ოთახში თევდორეს?“

აჰა, ეხლა ხომ დღეა, ახლა რატომღა უნდა იფიქროს ასე, ახლა ხომ შეუძლია, მიბრუნდეს უკან და თუ ვაუკაცია, პირდაპირ უთხრას თევდორეს, შენზე ასეთი და ასეთი ეჭვი გამიჩნდა და იმიტომ გავიბარე, თუ მართალი ვარ, მითხარი, რას მიბირებ, თუ ცილს გწამებ, მაშატიე, ისე მომიტყევე, როგორც ამას მამაშენი მიუტყევებდა სხვას და მერე რა მოხდა, ან ტყვეობას როგორ დააღწიე თავი, ის მომიყვიეთ.

„ეტყვის კი სიმართლეს?“

ეტყვის. აუცილებლად ეტყვის.

უკან გაბრუნება დააპირა ლუკამ, მაგრამ ერთ წუთს ღია ფანჯარასთან მდგარი თევდორე წარმოიდგინა, შემერთალი, გაოცებული თვალებით რომ იხედება იქი-აქა, განა ისეთი რა მქონდა, ნეტავი, რა მოიბარა სტუმარმა რომ ფანჯრიდან გაპარულაო, და შერცხვა ლუკას, ისევ წინ გააგრძელა გზა.

ხეობის ბოლოს ისევ ჩამოწვა სათოვარი ნისლი.

არ ესიამოვნა ნისლის დანახვა.

უცებ წინ წამოშვერილი გორი დაინახა და გაეხარდა.

ამ გორს რომ გადაივლიდა, იქ ერთი სოფელი ეგულებოდა. გახარებულმა ნაბიჯს აუჩქარა, მაგრამ ელდანაკრავივით შედგა:

გორის ფხაზე მგლები ისხდნენ ჩამწკრივებულნი.

შედგა,

ირგვლივ ავისმაუწყებელი მღუმარება მეფობდა. ზევის ხმაც კი აღარსა-

იდან ისმოდა. მგლებიც ჩუმად ისხდნენ.

ერთხანს ადგილზე იდგა და ფიქრობდა:

იქნებ მგლები არ არიან და გორის იქით რომ სოფელია, იმ სოფლის ძაღლებიაო.

დაუსტვინა.

იმის სტვენას ერთ-ერთი მგელი წყნარი ყმულით გამოეხასხება. ამ ხმამ გუშინდელი ღამე გაახსენა ლუკას და თოვლში ჩაჯდა ძალაგამოცლილი.

კარგა ხანს იჯდა ასე და აღარ იცოდა, საით წასულიყო. ეჩვენებოდა, რომ საითაც უნდა გადაედგა ნაბიჯი, ყველგან მგლები ისხდნენ და ელოდებოდნენ.

„ნუთუ მართლა მგლებით არის სავსე ქვეყანა?“ — გაუელვა თავში ლუკას და თევდორეს ნათქვამი გაახსენდა, დაძუნძულებენ მგლები ქვეყანაზე და სამლო საქმეებს ამრავლებენო.

საით წავიდეს?

აქ ხომ არ იჯდება დაღამებამდე, ან რა აზრი აქვს აქ ჯდომას და ლოდინს. ნეტავი რატომ არ მოდიან მგლები მისკენ.

ელოდებიან.

მაგრამ რატომ ელოდებიან იქ და აქ არ ესხმიან თავს? იქნებ თევდორესი ეშინიათ. აქედან უფრო ახლოსაა თევდორეს სახლი, ვიდრე იმ გორიდან, მაგრამ იმ გორის იქითაც ხომ სოფელია. ნუთუ მიხვდნენ მგლები, რომ ლუკას სხვა გზა არა აქვს და ის გორა იმიტომ აირჩიეს?

აშკარა იყო, ჯერ ვერ ბედავდნენ მგლები თავდასხმას და რკალის შეკვრას და იმიტომ ელოდებოდნენ იმ გორაზე.

სხვა გზა არ იყო, ისევ თევდორესთან უნდა მიბრუნებულყო.

„თევდორემ ხომ არ დაახვედრა ეს მგლები და ამით ერთადერთი გზა ჩაუკეტა?“

არა, ახლა სწორედ ასეთი ფიქრია მისთვის დამლუბველი. აღარ უნდა დაკარგოს დრო, არ უნდა დაიღამოს და

დღის სინათლით მიბრუნდეს არესთან, თორემ ღამით ვეღარაფერი დაუდგებათ მგლებს წინ.

ანაზღად თევდორეს სახლისკენ გაიხედა. მის ზემოთ, ასიოდე მეტრზე ძალი იყო ბექობზე გადმომდგარი. შეშინებულ ლუკას უცებ მგელი ეგონა, მაგრამ ძაღლმა დაიყეფა და კუდის ქნევით წამოვიდა მისკენ. ეს იმის ნიშანი იყო, რომ არ ერჩოდა, სამტროდ კი არა სასიკეთოდ მოჰყვებოდა მის კვალს.

ძაღლი ახლოს მოვიდა, წინ ჩამოუსკუბდა და ალერსიანი თვალებით მიაჩერდა ლუკას.

ახალა იცნო თევდორეს ძაღლი.

გაეხარდა.

აი, თურმე რატომ ეშინოდათ მგლებს.

ძაღლი რამდენიმე ნაბიჯით წაიწია წინ და რამდენიმეჯერ შეუყეფა გორის ფხაზე ჩამწკრივებულ მგლებს, მერე შემობრუნდა, ლუკას თევდორეს სახლისაკენ გაუძღვა და ისევ ალერსიან წმუტუნს მოჰყვა. კუდის ქნევით ანიშნებდა, უკან გამოყევით.

ლუკა ძაღლის კვალს აედევნა თევდორესაკენ. უშველებელი ძაღლი მკერდით ისე მიაპობდა თოვლს, ლუკას უადვილდებოდა ნაკვალევში სიარული. დროდადრო ძაღლი შედგებოდა, უკან გაბრუნდებოდა და თავისი ბოხი ხმით შეუყეფდა მგლებს, ამით თითქოს ანიშნებდა, არაფერი გაბედოთ, უკან არ აგვედვენოთო. მერე ისევ კუდის ქნევით მიუძღვებოდა ლუკას და შრიალით მიჰკვალავდა თოვლს.

ლუკას ძაღლის ერთგულება სითამამეს მატებდა და ახლა აღარც კი ფიქრობდა გორზე ჩამომსხდარ მგლებზე. ახლა მას თევდორესთან ხელახლა შეყრაც უხაროდა.

„იქნებ ძაღლიც იმიტომ გამოაგზავნა, რომ...? სადღაც გონების სიღრმეში გაუელვა ფიქრმა, მაგრამ ძაღლი ისეთი ალერსით ეპყრობოდა, ისე მუქარით უყეფდა მგლებს, რომ მართლა ცოდვა იყო მასზე და მის პატრონზე ასეთი ფიქრი.

ერთი რამ აკვირვებდა მხოლოდ: ნუ-
თუ ასეთი ჰკვიანი ძალღი, ოდნავადაც
ვერ კრძნობდა, რომ როდისმე მისი პა-
ტრონიც ისეთივე მგელი იყო, როგო-
რიც ახლა ის გორის ფხაზე ჩამწკრივე-
ბული მგლები არიან და ისევე ელო-
დებოდა გვიან მგზავრს, ანდა ღამღამო-
ბით სოფლიდან კუდის ქნევით მისნაირ
ძაღლს გაიტყუებდა, მერე კი ხევში ჩა-
საფრებული დანარჩენი მგლები დაესე-
ოდნენ და იწყებოდა ერთი ხრიალი და
ხროტინი.

ნუთუ მართლა აღარაფერი შემორჩა
მგლებიდან თევდორეს, რომ ძაღლმა
იგრძნოს? ანდა რატომ ეჯავრებათ ძაღ-
ლებს მგლები და უფრო ერთგულნი არ-
იან ადამიანის, ვიდრე ადამიანები ერ-
თმანეთის მიმართ? ადამიანები ხომ
უფრო მიელტვიან მგლად ყოფნას და
თანდათან მგლების ხროვას ემსგავსება
კაცთა მოდგმა.

ამ ძაღლის ერთგულებაში კი ეპკვი
აღარ ეპარება ლუკას და გულადად მი-
ჰყვება იმის ნაკვალევს თევდორესაკენ.
ძაღლის ერთგულება ისევე ამოუტიტტი-
ვებს მეხსიერებიდან შორეულ ამბავს...

შემოდგომა იყო.

ცხვარ-მეცხვარე საზამთროდ იწე-
წებოდა.

საზამთრო საძოვრებისაკენ მიმავალი
გზა ამ ხეობით გადადიოდა გადასასე-
ლელზე და განუწყვეტლივ მოედინე-
ბოდა ცხვრის ფარები.

სწორედ იმ შემოდგომაზე წვიმიანი
ღღეები გადაემა ერთმანეთს და მწყემ-
სებს გაუჭირდათ მგზავრობა. ბარგა-
კიდებული ცხენები ძლივს იმაგრებდ-
ნენ თავს, რომ ბილიკიდან უფსკრულში
არ გადაჩეხილიყვნენ. ძაღლები დაგრე-
ხილი კუდებით უხმოდ მიჰყვებოდნენ
ფარას და ღამღამობით ნადირს აფრთ-
ხოზდნენ.

ახლა ველარ იხსენებს ლუკა, ზუსტად
როგორ მოხდა ეს, მაგრამ ის ცხადად
ახსოვს, როგორ მოხსნეს იმათი სოფ-
ლის იქით ხრამში გადაჩეხილ ცხენს
მწყემსებმა ბარგი, სხვა ცხენებს აჰკი-

დეს და ადგილზე დატოვეს ფეხმოტი-
ხილი ცხენი, რომელიც შეშინებული
თრთოდა, კანკალებდა და დახვიზვიე-
ბის თავიც აღარ ჰქონდა, მაშინაც კი
ვერ ამოიღო ხმა, როცა იმისი პატრო-
ნი და მთელი იმათი ცხვრის ფარა
თვალს მიეფარნენ. ცხენმა იგრძნო, რომ
გასწირეს, თავი წინ გაიშვირა და უნ-
დოდა დაეჭიზინა, მაგრამ ვერ მოახე-
რხა. კარგა ხანს ასე თავგაშვერილი იდ-
გა და როცა სულ ველარაფერი დაინა-
ხა, რაც პატრონთან დააკავშირებდა,
კრემლები გადმოსცივდა. ლუკა და
დანარჩენი იმის ტოლი ბაღლები ზემო-
დან გადაჰყურებდნენ ცხენს და ჩხუ-
ბიც კი წამოიწყეს:

— ჩემია! — თქვა დიდმა ბიჭმა.

— შენი კი არა, ჩემია, პირველად მე
დავინახე, — შეეპასუხა მეორე.

— შენ რა დაინახე, მე არ ვითხარით,
ცხენი გადაუვარდა მწყემსებს-მეთქი?
— წამოხტა მესამე ბიჭიც.

— ეეე, ძაღლი! — დაიძახა ვილაცამ.
ბაღლებმა დაინახეს, როგორ მოირ-
ბინა ცხენთან ჰრეღმა ძაღლმა, გარს შე-
მოუარა კუდის ქნევით, თითქოს ანიშ-
ნებდა, წამოდი, იარეო.

ცხენი წახინხილდა, მაგრამ სიარუ-
ლი ვერ შეძლო.

მაშინ ძაღლი შორიახლო ჩამოუსკუ-
პდა და მოიწყინა; ეტყობა, არც ცხენის
დატოვება უნდოდა, თან პატრონისაკენ
და ცხვრის ფარისაკენაც ეწეოდა გული.
წვიმდა.

მწყემსები ჩქარობდნენ გადასასვლე-
ლზე გადასვლას და ძაღლისთვის აღა-
რავინ მობრუნებულა.

ის ღღე ისე დაღამდა.

ძაღლი ცხენს არ მოშორებია.

რამდენჯერმე კი დააპირა წასვლა, მა-
გრამ ისევე მობრუნდა და ცხენის შო-
რიახლოს წამოწვა.

ბაღლები, რა თქმა უნდა, ძაღლის ში-
შით ველარ მიეკარნენ ფეხმოტიხილ
ცხენს.

ცხვრის ფარები მოედინებოდა და
მოედინებოდა.

ძალი არ შორდებოდა ცხენს, რომელიც ახლომანლო კალებში წიწკნიდა ცხერის ფეხისაგან ვაგლილ ბალახს.

რამდენიმე უცხო მწყემსმა სცადა ძალღის საკმლით გადაბირება და თან წაყვანა, მაგრამ ძალი არავის გაპყლია, ერთთავად ცხენს ყარაულობდა და ღამით ყეფით უფრთხოზდა ნადირს. ბლოს მიწყნარდა ხეობა.

გადაიარეს ცხერის ფარებმა.

ჩამოდგა სიმშვიდე და წვიმებმაც გადაიღო.

ახლა ეტყობა, უფრო ეტანებოდა ღამ-ღამობით ცხენს ნადირი, ძალღის ყეფა ისმოდა მთელი ღამეები.

ცხენი თანდათან გაიმართა ფეხში.

ახლა ფრთხილად ადგამდა კიდევ მოტეხილ ფეხს.

ბოლო დროს მაღიმალ აუვლ-ჩაუვლიდა ხოლმე შორიანლოს ლადუაი ცხენს და ჰკვლევდა. ძალი, ეტყობა, რალაცას გრძნობდა, უყეფდა, ახლოს არ აკარებდა.

ერთხელ ლადუამ თოფი გამოიტანა სახლიდან და ძალღს აუტეხა სროლა.

— რას შვეები, კაცო, რას ვიშავებს, — ვილაცა გამოეჭომაგა ძალღს სოფელში.

— იმას მიშავებს, რომ ღამღამობით კვერცხებს იპარავს ქათმის საბუდრიდან. — იცრუა ლადუამ.

— როდისდა იპარავს, მთელი ღამე ცხენის გარშემო ჰყეფს.

— არ ვიცი, კვერცხები კი იკარგება და, — თქვა ლადუამ და ისევ დაუმიზნა თოფი.

დაიგრილა თოფმა.

ვაფროხა ცხენი.

ერთი კი ღაინჭკმუტუნა ძალღმა და დაეცა.

წამოდგა.

კიდევ დაეცა.

ცხენისაკენ წალასდა.

თან სისხლის კვალს სტოვებდა.

დაეცა.

წამოდგომა უნდოდა,

ველარ წამოდგა.

ახლა კი გამოიტანა ლადუამ სახლიდან საბელი და ცხენს გაედევნა დასაჭერად.

— ხედავ რა სდებია გულში? — თქვა ჯღუნამ.

ლადუაი ცხენს დასდევდა.

ცხენი გარბოდა.

მოტეხილ ფეხს დროდადრო ანაბრებდა და ფრთხეობდა.

ძალღმა რამდენჯერმე კიდევ წამოსწია თავი და დაუყეფა ლადუას.

ვერაფრით ვერ დაიჭირა ლადუამ იმ დღეს ცხენი.

ჩამობნელდა.

თავი გაანება ცხენის დევნას.

ღამით კიდევ ისმოდა ძალღის ყეფა. დილით კი —

მგლებისაგან ყელგამოლადრული ცხენი ეგდო შეთრთვილულ ბალახზე.

შემცბარი გამობრუნდა ლადუაი სახლისაკენ და ღობეზე დაუდევრად მიავლო ცხენის დასაჭერად გამზადებული საბელი.

ზურაბ კუხიანიძე

უბელო ცხენი მინდორზე გარბის
და მხედარივით აქეზებს ქარი,
ამითამაშდა მარცხენა წარბი, —
ამბობენ წყენის ნიშანი არის.
გარბის და თელავს ბალახს და
ყვავილს —
ღვთისგან ბოძებულ მინდვრების
გვირგვინს
ვით ნაპერწყმები ამსხლტარი ნალით
იფანტებიან პეპლები ირგვლივ.
ნეტავი გული რად მიძგერს მძაფრად,
ხმამაღლა სათქმელს რატომღა ვმალავ.

კოშკს ავუგებ ყამარს ბროლის,
წავალ ჯიხვზე სანადიროდ.
დავიკიდებ ყამას, ბოლი
ღვეს რომ ზურგზე ავადინო.
კაკლის ჩრდილში სიმღერისთვის
თავს მოგუყური ძველ „ქნიაზებს“
და დედაჩემს ცისფერი ქვის
ძეგლს დავუდგამ ძელქვიანზე.
მინდა — წელს და გაისადაც
ბევრის გული გაეამრთელო;
ხელისგულზე დაგისვა და

ჩემო ლამაზო, კრელო პეპლებო —
გამოყოლილი სიზმრის კუდებო,
ჩემი ბავშვობის მომფერებელო;
მდინარევე, მკერდში ჩასახუტებო;
ციხე-კოშკებო — მიწის მშვენიებავე,
თქვენც — ჩემო გრემო, ჩემო
გელათო;
თქვენც, ყვავილებო,
ობლის ცრემლებად
მიმობნეულო მინდორ-ველადო.
თქვენც, თქვენც, ჩიტებო,
ჩემთვის გასაგებ

მზისგან მოსირმულ ჩალისფერ ფაფარს
მიარხვეს, როგორც გაწეწილ ალამს.
არ ჰგავს დამშეულ მგლისაგან
ღვენილს,
მათრთოლებს მისი ჭენება ლალი.
თითქოს ქარივით მჭროლავი ცხენი
გამოქცევია მათრახს და აღვირს.
მინდვრად გავლებულ ბილიკთა ხაზებს
გავყურებ,
ველი სანატრელ ციმციმს.
ჭიაშია დამაჯდა მხარზე —
გამიხარდება რალაცა, ვიცი.

მოგატარო საქართველო-
ისე ვიფრენ, ვით პეპელო —
მოვაწონო შროშანს თავი...
ისეთ რამეს ვიტყვი, — ყველამ
აიტაცოს დროშასავით.
ხიდს გადავივლი ცისარტყელის
და მის ფერებს შევისუნთქავ...
მომენატრა ის ნატვრები,
რომლებიც არ შემისრულდა.

ზმატკბილ ენაზე მოედურტულენო
და ჩანჩქერებად თავს რომ ასაღებო,
დიდი წვიმის დროს, ღელე-ღულენო.
ჩემი ოცნების ერთო ნაფლეთო —
თეთრო ღრუბელო, ქართო ღვენილო,
მოწამეთიდან გადასახედო,
მაყვლის ბუჩქებო, კორღს შეფენილო,
როს დამეყრება წლების ნაცარი —
გულდაწყვიტილი სიმწრით შევკვივლებ:
— როგორ მიყვარდი, თქვენ
გენაცვალეთ,
და ეს ვერაფრით გაგაგებინეთ!

ჩემს პატივზვილებს

რას დაგიტოვებთ ქვეყნად ანდერძით,
გზებზე ჩიტივით გასაქროლებლად?
ცაში თეთრ ღრუბლებს ქარით

გაძენძილს, —

ვერგასაფლანგავ ციურ ქონებას.

რას დაგიტოვებთ? —

სავსე ხელადას,

ალბათ, ჩემს ხსოვნად რომ დაიღვრება;
ორას ძირ ვენახს წყალწითელასთან
და სამიოდე ლამაზ სიმღერას.

ამა ანდერძის მთქმელი, მართვენო,
არც მომხვეჭელი და არც ჩარჩია...

რას დაგიტოვებთ? —

ჩემს საქართველოს,

სხვა დიდი განძი რა გამაჩნია!

გაზაფხულო...

ვარდასხმულო გაზაფხულო, საქებარო,
შენი ცვარი

ვთვალე, ვერ დავთვალე...

გვეშინია,

შინიდან არ გაგვეპარო,

არ გაშორებთ მოდარაჯე თვალებს.

მზე გიფერავს ცისარტყელებს —

გრძელ ნაწნავებს,

ჩითის კაბას გიფრიალებს ქარი...

გასათხოვარ გოგოს ჰგავხარ,

გენაცვალე,

სად გიპოვოთ შესაფერი ქმარი.

მწამს, რომ ყოველი ადამიანი

არის ვარსკვლავი ცას მოწყვეტილი —

ზოგი ჭკვიანი,

ზოგი ფხიანი,

ზოგი ბოროტი,

ზოგი კეთილი.

და ვისაც გვინდა —

ცაში დავბრუნდეთ

და კვლავ ვარსკვლავად ისევ

ვიალოთ —

სანამ ამ ქვეყნად ვცოცხლობთ,

გზა — მრუდეს

ნუ დავადგებით სახეტილოდ.

სასაფლაოზე ხომ ხდება ასე:

მწარე ფიქრებით შემოგარსულმა

თარიღს დავხედე საფლავის ქვაზე —

შევყვირე:

„ათი წელი გასულა!“

ათი წელიო?..

გამხელა მიჭირს...

ჭირი მოგჭამა კუბოს ფიცარმაც...

მე კი მეგონა, ეს კარგი ბიჭი,

აგერ, გუშინწინ ვარდაიცვალა.

ღრო გავა... ქვაზე სასტიკი ქარი

წაშლის თარიღებს, წაშლის მის

სახელს...

ასი წელიო?.. —

ამ ბორცვთან მდგარი

ალბათ არავენ წამოიძახებს.

იქნება ქარი,

ნისლი და წვიმა,

მწუხარე ბორცვებს როგორც

შეჭფერის...

ახლა კი ხმელი ფოთოლი ცვივა

ყრუ საფლავების დამტირებელი.

მკვდარი უკავილები

მკვდარ პეპლებივით,
შესევთან მტვრიან ქალაქებს
და გროშის ფასად
ნადავლივით მიაქვთ მსურველებს:
ვაკრახმალეზულ
ხმელ ღეროებს, ბროლის ლარნაკებს
ღია უბეში
უსირცხვილოდ უფათურებენ.
არ შესწრებიან
მზიან ამინდს და არც — ქარიანს,
არცა სმენიათ
შორი მთიდან ირმის ბლავილი,
არ დაცემიათ
დაწინწკლული ჭიამაია
ციდან მოწყვეტილ
მოციმციმე მზის კურცხალივით.
არ მოუკრიფავთ
ლაშაზ ხელებს დილით მდელიოზე,
არ შესწრებიან
არასოდეს ნამს უკვდავების;
ვით მარგილებზე —
მავთულის ან წნელის ღეროზე
გაშეშებიათ
ხელოვნური მკვდარი თავები.
ადამიანებს,
შექმნის გზებით მალლა გვივლია,
კოსმოსში დავქრით,
რალა დროის ხარ-ურემია;
მაგრამ ყვავილი,
აბა, ქვეყნად რა ყვავილია,
მის გაჩენაში
თუ ღვთის ხელი არ ურევია.
ქერქვეშ არიან,
კმაყოფილნი, ბედნიერები, —
ქვეყნად ასეა
გამოფიტულ კაცთა ბუნებაც;
ბუუტავენ გამშრალ,
უხალისო, ჩამქრალ ფერებით,
მშიერი თვალის
შესაქცევად, მოსატყუებლად.
თავს არ ეხვევათ

ნაზ პეპლების ჭრელი კრებული,
შეყრიათ სნება
სიმქლევის და ურუოლვა-ციების.
აუნთებელი
სანთლებივით გაფთრებული,
თვალს არ ახარებს
ვარდები და იაიები-
დილით არ თრთიან
ბუღბუღების სტვენა-ყეფითა,
ლამით აცვივათ,
ვით ნაღველი,
ვით სიმძიმილი
დიდი ხნის წინათ
გაფრენილთა სურათებიდან
მტვრად გადმოყრილი
გაცრეცილი მწარე ღიმილი.
რა დამაძინებს,
როგორ გაეძლებ ცოცხალ თავითა,
გათენებამდე,
ძილად ვეგდო თვალმოხუჭული,
რა დამაძინებს,
იმ ოთახში,
სად მკვდარ ყვავილთა
მიცვალებულთა
სულელებით ისმის ჩურჩული.
ჭკნობის უნარიც
არ აქვთ,
მხოლოდ ფერი ეცლებათ,
როგორც ლაწვებზე მიგლესილი
ფერ-უმარილი.
დრო გადის,
ისევ
ანათებენ ყალბ ნაკვერცხლებად,
და აბეზრებენ,
თავს მასპინძელს ძველ სტუმარივით.
აუკვნესდებათ
მერე რალაც მკერდში თარივით,
ათვალწუნებით
მოავლებენ მზერას ზიზლიანს
და მკვდარ ყვავილებს
ვით ლალატზე ეჭვმიტანალი
ქალივით მტვრიან
შარაგზაზე გადაისერიან.

ჯაბა ასათიანი

ქარს რაღა ვუთხრათ?

ერთი — ცხოვრებას სიცრუით იწყებს,
მეორე — ღალატს ღალატით ჰკურნავს,
მესამე — კუდის ქიცინით მთვრალი,
მიჰყუდებია დუმილის კედელს...
სხვას რომ შევეშვათ, ქარს რაღა ვუთხრათ,
სწორუბოვარი ქარიშხლის მორბედს?..
ვთქვათ, წიგნს ის გვერდი ამოაცალოს,
ჩვენ რომ შევავსეთ გაკრული ხელით.

ნუ გამეცლები!

ნუ გამეცლები, მოლოდინო,
ნუ გამეცლები!
შენ მაინც იცი, როგორ მჭეროდა...
და თუ ხანდახან მეც ვეცემოდი —
თავს მადგა მუდამ ჩემივე ლანდი.
ნუ გამეცლები, მოლოდინო,

ნუ გამეცლები!
რადგანაც ახლა არც ის ტალღა ჩანს,
შენს ნაპირებთან რომ გამომრჩია.
ისე უჩემრად,
ისე ფრთხილად მივლია დღემდე,
ერთი ბილიკიც ვერ ავამღერე.

მიენდი!

6. ებრაელიძეს

ისევ სიცოცხლე, გრძელდება ისევ,
ახლაც მოგძახის: — ნუ განმიდგები,
სიზმრის ცალია შავი მდინარე!

მიენდე, თითქოს ხმაა წინაპრის...
მარტყოფის ველზე ჩამომდგარ ნისლში,
ცხენს დააგელვებს მამულზე ფიჭვი.

ზამბახი

ლარნაკში მდგარი ზამბახის ლანდი
ისე ეფინა ოთახის კედელს,
თითქოს ვიღაცას ამოექარგა
ცისფერ ტილოზე.

კვდებოდა ღამე,
თმას ივარცხნიდა სარკმელში შუქი...
კვდებოდა ლანდიც — ზამბახის ლანდი,
ცისფერ ტილოსგან განასკვეულ ყულღში.

ბასეირნება

იციან ბევრი, ისაუბრე, მეც გამაცინე,
ერთხელაც მოვლეთ სიკაბუჯის ძველი ქალაქი,
თუმცაღა სევდა — ქარავნების ჩუმი სიმღერა,
ქუჩებში შლიდა აბრეშუმის ყვითელ მაქმანებს...
ღამემ კი ზანტად, უგუნებოდ იცვალა მხარი
და ჩრდილდაფენილ, გადათრთვილულ თავსასთუმალთან
დაჰკიდა ცისკრის აღისფერი სამშვენისები.

პერიპატი

ფეხქვეშ ჩაუტყდა უცებ კრამიტი
და ნაღვლიანი ჩამოჰყვა კიბეხ.
ჩამოჯდა ქვაზე, ფიქრმა წაიღო,
ცაზე ელავდა მწუხრის ვარსკვლავი.
იქ კი,
გრილსა და ბინდჩამდგარ სხვენზე

მალვით, უჩუმრად აძვრა სიკვდილი
და აბლაბუდად ჩამოიქნა...
ეს დაინახა მხოლოდ ვარსკვლავმა,
რომელიც სწორედ იმ ღირთან ენთო,
სად ბერიკაცის სახლის სახურავს,
ერთი გამტყდარი კრამიტი აკლდა.

პიზინთა

გ. ბალათურაას

როცა მბეზრდება
წიგნიც,
კალამიც
და ნაღვლიანი
თვალების ჩრდილი
ყელში ამოსდის

თბილისის ქუჩებს,
მე ვიღებ ბილეთს...
და გადარჩენის
დღე ჰგავს სიცოცხლეს,
სხვა დანარჩენი —
სიზმრის ძაფს ართავს.

ღამაყრის ფოთლებს

არც არასოდეს გელოდი იქნებ,
თვითონვე შევთხზე ეს მოლოდინი
და აცხადებას ისე ვნატრობდი,
როგორც სნეული ელის გაზაფხულს.

ეს დღეც — მომავლის ფუჭი საცთური,
ისე მწყურალად და კუშტად მიყურებს,
თითქოს საცაა ხმასაც მომტაცებს
და გაყვითლებულ ფოთლებს ღამაყრის.

როცა ვიფიქრე

როცა ვიფიქრე: აჰა, გასრულდა...
დავკიდე ჭალი, სარკმელზე — ფარდა.
და სწორედ მაშინ დაირღვა ჭერი,

ჭერის კვალდაკვალ — ოთხივ კედელი.
...თურმე ყინულზე დამიდგამს სახლი,
სახლი, რომელიც არცა მქონია.

გამოძახილი

ისე უჩუმრად,
ისე ცხადად დღე-დღე ვიცვლებით,
თითქოს ვიღაცის გაწაფული, გაწვრთნილი ხელი.
გრიმს გვიკეთებდეს აჩქარებით დიდი სარკის წინ...
და წინაპართა ნახელავი მუქ-მწვანე კარი,
ვიცი, იმ გზაზეც უსათუოდ მალე გამიყვანს,
სად ძებნორციელს არ აქვს ნება უკან მოხედვის...
და ბადრი მთვარე მკლავებს გაშლის,
ჩაგვიკრავს მკერდში,
დაშრეტილ გზაზე გამოჩნდება ღრუბელთ ტაძარი
და თუ გაბედე, მიხვედი და ზარი ჩამოჰკარ —
გამოძახილი ელვასავით დახანჯლავს სივრცეს...
ისე შეგაკრთობს, დაგატყვევებს და გაგიტაცებს.
როგორც სიცოცხლე —
პირველად რომ თვალში ჩახედე.

ალექსანდრე დიდებაში

ციკლიდან „მანა“

ცხოვრება მიდის ზევის ზრიალით,
მიზნის იმედით ბეჭუტავს სანთელი.
გზას ვიკვლევ დროის ორომტრიალში.
აკვალთული მაქვს ჩოხის კალთები.
და ვიდრე ვცოცხლობ, მანამ ანთია,
შენი ხატებაც და შენი სიტყვაც.
სულის სიწმინდედ რაც მახადია,
თუ ვინმე მიყვარს, თუ რამე მიყვარს,
შენგან ეს მადლი, კვალო ნათელი,

ფესვებს რომ მითბობ მხურვალე
ძვლებით...
ჯიშად შევრთვივართ მზის
საქართველოს
და ჩვენს სხეულზე მიჰქრიან წლები.
და ვიდრე ჩონჩხის მზაკვარ სიმძიმეს
გადავიდებდე თრთოლვით ყვარჯენს,
სიკეთის მარცვალს ავაციმციმებ...
სხვა გული იტყვის მერე დანარჩენს.

გძულდა ავი, შფოთი სიტყვა,
ვინ გნახავდა მრისხანეს,
გულდღეაღი როდი იყავ,
ვერ გაკრთობდა მტრის ხმალი.
სიალალით ღმერთი გენდო
და სიკეთეს უარე,
ჭირში მყოფის ღველფი გედო
მკერდში გასალუარი.

მთის სიყვარულს უერთგულე,
მთის ტყვილის მკურნალო,
ეგრე დღენი დაასრულე,
უხინჯოდ და უვალოდ...
ხსოვნით საეალს გვიადვილებ,
ხელწერა გვაქვს ნაცნობი, —
საზეპიროდ დაგვრჩა შვილებს
გაკვეთილი კაცობის.

სამეგობრო კაცის ცნობა
არ გიჭირდა...
მე — მიჭირს.
იქნებ სიტყვის აზრით მკობა,
იქნებ ჭკუა ვერ მიჭრის?
საგანგაშოდ აღარ თვლიან
სიმარტოვეს ბერბიჭის...
სახელს ნაჭურდალზე ცვლიან,
მტრის გულისაც ბევრი გვჭირს...
საზრუნავი, საფიქრალი,
ვისთვის მხოლოდ ნივთია, —

არად უღირს მომავალი,
მისთვის ია ფითრია.
ეწირება თბილი გული
სალაფავის სიხარბეს.
ღრენაც მესმის ზოგჯერ მტრული.
სიკეთეს რომ ქირდავენ.
სულის სიღბო, მზიანობა
ნუ მოაკლდეს თვალისჩინს...
ერისკაცის გამოცნობა
არ გიჭირდა...
მე — მიჭირს!

ისე ვცხოვრობ,
კაცობაში
არაფერი შემეშალოს,
წუთისოფლის წამთა თვლაში

ყოფნა ყოფნად ჩამეთვალოს...
გული სცემდეს საგულესა,
ამოშანთოს ბოროტეთი.
არად მიღირს კაცი ქლესა,

„თაყვანსა ვცემ მხოლოდ კეთილს.
ისე ვცხოვრობ.“

არ მრცხვენია
გავუსწორო სინდისს თვალი.
ჯიშით,
მოდგმით არ მჩვევია,
გზაზე ვთესო ნარეკალი.
არამ ლუკმას არ მივკერძავ

არცა ცოლს და არცა შვილებს,
ვიდრე აფრას ავიკეცავ.
ვიდრე ქვეყნად ვიცოდვილებ...
შენი მხარის ტვირთი დამაქვს,
შენეული განსჯა-ფიქრი...
ნეტარება არის, მამა,
საფლავზე რომ მუხლს მოგიყრი.

ბევრი ვიარე, სად არ ვიარე,
შეეხვდი უთვალავ ადამიანებს.
მუხთალი — მრავლად.
კარგი — რა ცოტა,
შემრჩა მეგობრად,
ზოგი — ნაცნობად.
შევეზიარე ღვთიურს,
მიწიერს,
გაუტანლობაც ხშირად ვიწვნიე...
წრფელი მეგონა,

ენახე — ავი ჰყო,
რომ არ ველოდი,
მახე დამიგო,
მაგრამ კეთილიც
იქვე მდგარიყო, —
აემა ალალი რომ ვერ გარიყოს...
და არა მტოვებ, რწმენავ კაცურო,
მოყვასს გავუგო და ვემსახურო...
ჩემი გვარ-ტომის უშრეტო მცნება
იყო და არის პატიოსნება!

მზის ახლ

— ხვალ მზის ახლში წაგიყვან,
ცელი ვამღეროთ ბალახში, —
მითხრა მამამ და დასძინა, —
გარჯა გველისო მამა-შვილს.
კლდე გადავლახეთ ფრიალო,
ტყეს შევეერიეთ შებურვილს.
ლურჯ ბინდში იწვა იალნო,
დილის ძილს მინებებული.
ბრლიკზე წამოგვეწია
მთის სერს ნასხლეთი ნათელი.
სადღაც გალობდა მზეწვია,
ფოთლებში ღამენათევი.
ბიბინა ველზე გავდიოთ...
— აი, მზის ახლც ეგ არის!

სახტად შევალეთ კარები
წალოტის, ნაოცნებარის.
— აქ არ ვყოფილვარ ჩემს დღეში,
მამა, არ მახსოვს ეს ახლ...
შეგრძნება კი მაქვს-ეგეთი,
თითქოს როდესღაც მენახოს!..
მამას თვალეზში ქათქათა
აუკიაფდა ფანტელი:
— შენ არა, შვილო, თავად ვარ
ამ ხიბლის ბევრჯერ განმცდელი...
ჰოდა, სისხლს ძალუძს დატევა
ფერის — დაშრობის კარამდის,
მშობელი მიწის ხატება
გულიდან გულში გადადის.

ხსოვნის დაფიქან

ეს შენეული კაფია
ნარღვევი სულის ძაფია,
სიმხნევის კაბადონიდან
სხივები შემომაფრქვია:
— სიცოცხლე დამიხარჯია
გამეტებულად სხვისთვისა,

სუსტი არ დამიჯაბნია,
არ მოვეუკლივარ სირცხვილსა,
სხვისი პერანგი არ მცმია,
ლუკმას ვუყოფდი სხვის შვილსა.
სამზეოს ყავლიც გამსვლია...
ჰოდა, ვბარდები სიკვდილსა.

სურგი ქილაია

უპირებელი გამა პრისა

დიდი ილია და საქართველო განუყოფელია. ილია ჭავჭავაძე საქართველომ წარმოშვა, ხოლო ილიამ საქვეუნოდ გამოაბრწყინა ჩვენი ერის წარსული და აწმყო, ტკუა და გონება. „ილიამ ეროვნული საკითხი მკვიდრ ნიადაგზე დააუენა. იგი წარმომადგენელია მთელი საქართველოს ერისა, იმისი იდეოლოგია... ილია სამარემდის მთლიანი ადამიანად დარჩა, როგორც ზოდი ოკროსი“ (ვაჟა-ფშაველა).

დიდი მწერლის, დიდი წინაპრის ეს განსაზღვრება სავსებით ესადაგება და ზუსტად განსაზღვრავს ილია ჭავჭავაძის როლსა და ადგილს ქართველი ერის ისტორიაში. ილიამ თავის მხრებით აწვია ცარიზმის მიერ ორ გუბერნიად დაყოფილი საქართველოს ეროვნული და სოციალური ტვირთი. სათავეში ჩაუდგა ერს, უმეტაობა, უწინამძღვრა, გაამხნევა და აღზარდა მაღალი, პროგრესული, ეროვნული და სოციალური იდეალებით. იგი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლი მოძღვარი, რომელმაც დაიცვა შინაურ და გარეშე მტერთან შეუპოვარ ბრძოლაში საქართველოს ისტორიული ერთიანობის ღირსება და სახელი. ილია ერთიანი, განუყოფელი შრომის სუფთვის საქართველოს იდეოლოგია.

ილია ჭავჭავაძე სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა თუ არა, ხმამაღლა განაცხადა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გაუმჯობესება ჩვენი პირველი და უანასკნელი სურვილი“. დიახ, ერთიანი შრომელი საქართველო, ქართველი ხალხი მაგრამ იქვე მწარედ შენიშნავდა ილია: „სად არის ქართველი და ქართველობა?.. აბა, დიამხე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასიის ზღვამდე მარტო ღიბგდმოგდებულის ქართველის მეტმა (ე. ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრჩოოს, სხვანი კი უურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ის-

ინი კი ქართველები არ არიან... იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი — ეს ცალ-ცალკედ მითვისებული, კერძობითაც მიღებული, განმყოფელი სახელები, ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი მაგალითებია... ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც უოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი რომელიც უკვლას გვერქვა, დაირღვა, ჩვენი გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრება საქუთარი კერძობითი სახელი-და გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში, თუ ლხინში ერთად ძმურად უწევინია...“

ასეთი საოცარი ეროვნული ტკივილებით შემოაღო ილია ჭავჭავაძემ ქართული მწერლობის კარები. ერისკაცად მოწოდებულს გულს უკლავდა ერთიანი, მაღალი ეროვნული ინტერესებისაგან დაცილილი საქართველო. მოიშალა ის მაღალი სული, რომელიც აკავშირებდა და აღუღაბებდა საქართველოს ერთიან მეობად. არა, ისევ ილიას მივმართოთ, რადგან არც ერთ ჩვენთაგანს არ ძალუძს ისე მწყობრად ჩამოაყალიბოს ერთიანი საქართველოს იდეალი და სამოციანელთა მოქმედების პროგრამა, როგორც ილიას: „ებ რაღა გუთხრა, მკითხველს შენც კარგად იცი, რომ ქართველი ჩვენი ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლებისათვის და არც უცხოეთის. იმერელი — იმერელია, გურული — გურულია, მეგრელი — მეგრელია, ქართლელი — ქართლელია, და სულ უკვლანი კი ერთად ქართველები არ არიან.“

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვი სისხლი გაშრა, საცა უველაში თითო არ არის და თითოში — უკვლა, საცა თვითველი უკვლასათვის არ ჰქვარობს და უკვლა —

თვითმუშაობისთვის, ხაცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“
— იშვიათი“

აბა, დააკვირდით ამ ტრაგიკული ეროვნული
ბედით დამუხტულ სიტყვებს, რა თანადროუ-
ლად უღრმეს ისინი? ილია ჩვენს დაუბრე-
ბელი თანამედროვეა, მაგრამ დასკვნის გამო-
ტანაში ნუ ავჭარბებთ, ისევ ილიას მივცეთ
სიტყვა: „ამ-რიგად სიტყვას: ქართველს, რომ-
ელსაც საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, კერ-
ძობობით მნიშვნელობა მიეცა. სიტყვას მამულ-
საც — ეგ საქმე დიდმართა. მამულსი.. ამ სიტ-
ყვის-ყოვლად მსურსებელი მნიშვნელობა ვრცე-
ლია და ფართო... მთელის ხალხის ერთიანი
მაჯის ერთიანი ძარღვის... ეხლა ეგ დიდებული
სიტყვა თვითმუშის ჩვენთვის გათავისებულს
უძრავს ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხა-
ლხის საშობლოს“.. ამ ეროვნულმა ტყვიელმა
დააწერა ილიას ლექსი „გაზაფხული“, რომე-
ლიც პეტერბურგიდან გამოგზავნილი 1861
წელს შურნალ „ციკარნი“ დაიბეჭდა: „ტყემ
მოსხა ფოთოლი, აგერ მერცხალიც ჭყვიის,
ბაღში ვაჭი ობოლი მეტის ლხენითა სტორის.
აყვავებულა მდილო, აყვავებულან მთები;
მამულთა საყვარელო, შენ როსდა აყვავებები?“

მართლაც და რა მიძიმე სულიერი დაქვიითე-
ბა იყო ქვეყნად ფეხმორთხმული, როდესაც ამ
ლექსს, თვით „მწერლობაში“ ფეხმოდგმული
არქაისტები და კულინარისტები“ ასე პრიმიტი-
ულად რომ გამოეხსაურენ: — „გაზაფხული“
პოეტი სულით ნატრობს საყვარელ მამულის
აყვავებას. ნეტავი დაანახვა ეხლა საქართველო,
როგორ მწვანე ხავერდითი ბიბინებს!!!“

ილიამ ისტორიულ სტატიაში „პასუხი“, მას-
ხრად აიგდო ამ სტრიქონების ავტორი: „მარ-
თლა-და უფ. გ. ბარათოვის ლაო ფანტაზია
და ნიჭიერება უნდა ჰქონდეს, რომ ეგრეთ გა-
ეგოს, უბრალო აზრი, უბრალოდ გამოთქმული.
აქი მოგახსენეთ, რომ მწვანე ბალახის ნატვრა
დაუნახავს-მეთქი, მაგრამ მეღასა რაც აგონ-
დებოდა, ის ეწმანებოდაო“. სიტყვა მამული
თუ მამინდელ არქაისტ მწერლებს გ. ბარათ-
ოვს და ბარბარე ჭორჭაძეს მისი პატრიოტული
მნიშვნელობით ვერ გაეგოთ, მამინდელ რიგი-
თ მკითხველში რა მდგომარეობა იქნებოდა
ადვილად გასაგებია. გონებრივად, წინობრივად,
მორალურად და სულიერად დაქვიითებულ სა-
ქართველოს მხსნელად მოეკვლინა ილია. ქარ-
თულ აზროვნებაში შავბედითად ჩამოწოდილი
ეს გაუგონარი რუტინა ქართული აზროვნები-
სა გაარღვია ილიამ და მისმა თაობამ. მათ
გულს უქლავდა „ქართველების ძილში კვენსა“
და ამოცანად დაიხატეს ჩვენის დაცემულის
ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება“ სწორედ
მათ გამოადგინეს, გამოაფხიზლეს და აღზარდ-
ეს ქართველი ერი მამულის, ერთიანი საქარ-
თელოს მაღალი ეროვნული შეგნებით.

„თვალ-ნათლად დასახიზა — წერდა დიდი
ილია, — რომ სამოციან წლებში ახალი ხანა

დაწყებულ იქნა... სამოციან წლებში უკვე
უწინარეს გამოხრწინდა დავიწყებული სიტყ-
ვა „მამული“ მთელის თავის გულთ-მიმწიდი-
ველ და დიდებულ მნიშვნელობითა. ვისაც-კი
რაიმე ნიშანწყული ჰქონდა ღმრთის მიერ მინი-
ჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეყურა,
თითქმის უკვლანი იმ ჭვან დაადგენ, რომ
ქართველს გულში ჩაუსახავ მამული, რომელ-
იც უამთა ვითარებამ უძრავს ქონების სახელამ-
დღ-და დააქვიითა და დაამაბლა, აგრე გაუპა-
ტიურებულმა სიტყვამ სამოციან წლების მოდ-
ავწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დიჭუ-
რა ჩვენში კუთხვილი ადგილი, ვითარცა მწემ
და თავის სხვიოსანი შუქი მოჰფინა მთელს
სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას... არ დარჩა არ-
ცერთი მცირეოდენი კუნძული ეგრეთ-წოდებ-
ულ მოსაქმე ცხოვრებისა, რომ ან ერთს, ან
მეორე მწერალს, ძველსა თუ ახალს, თვისი
კალმის წერი არ მიეფინა და დიდი ხნიდამ
დღემდებულ ჩვილი დაჩაგრულ ადამიანო-
ბისა, მთა-ბარობა უსწორ-მასწორო ცხოვრებ-
ისა — არ გაეხანდა თვისს დაკვირვების და
გულისხმების საგანდა და უკუვივივ ეს თავის
კალმის წერიწად არ აეგო...“ ვინ ვართ და
რანი ვართ? — ამ წვადერ ფართო საკითხს
შემოეჭრა გარს ჩვენი მწერლობა... ამ ეგრე-
თოდებულ „რეალურმა მიმართულებამ“ ჩვე-
ნის აზრიანობისამ ჩვენი გონება დააკვირვა
ჩვენს მიწიერ აკვარგიახობას და სამოციან
წლებიდან დღევანდლამდე, ამ ოცდაათის
წლის მანძილზე, ბევრი საყურადღებო ღვაწ-
ლი დასლო, ბევრი ნაყოფიერი თსლი დაჰუ-
სა სამერმისოლ“. ამ სტრიქონებს წერდა ილია
ქუაყვამე 1892 წელს; შეადარეთ იგი 1861
წელს ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ შურნალ
„ციკარნი“ მწერლების „მამულის“ გაგებას და
ერთბაშიად ნათელი გახდება, რა საორიელ შე-
იცვალა ვითარება საქართველოში თერგდალე-
ულთა წაულობით.

თერგდალეულთა, სამოციანელების ამ დას-
ის მეთაური და ერთიანი საქართველოს იდეო-
ლოგი ილია იყო. 1892 წელს „ლომისში“ ქ-
გამსახურება წერდა „ნო წელი დიქტატორობ-
და ილია ქუაყვამე საქართველოს აზროვნება-
ში, ლიტერატურაში, ბაქში, საზოგადოებრივ
ცხოვრებაში, როგორც ერის ბელადი“. სამწე-
რლო ასპარეზზე გამოსვლიდან, ვიდრე წინა-
მურის ტრაგედიაში იგი ქმნიდა, ზრდიდა და
აყალიბებდა ერთიან მშრომელ საქართველოს,
როგორც მისი სულიერი მამა. ამ მიზნით აარ-
სებდა შურნალ-გაზეთებს, ამავე მიზნით შექმნა
ეგრეთ წოდებული ბაქი, რომლის მეოხებით
სუსხილებდა ალყვდა ქართულ თეატრებს, ქარ-
თველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებ-
ელ საზოგადოებას, რომლის მეოხებით ხსნიდა
ქართულ დაწყებით სკოლებს საქართველოს
ყოველ კუთხეში, თვით სოხუმსა და ბათუმში.
ილიას ინიციატივით დაიწყო შერგობება ძველი

ხელნაწერებისა და უნიკალური წიგნსაცავებისა. ამ მიზნით თავად იმოგზაურა სამეგრელოში, განსაკუთრებით მოეფერა ამ კუთხეს, სწორედ აქ განაცხადა, სამეგრელოში მომაველი და საქართველო ვიხილო. ეს ისე, საგანგებოდ ნათქვამი სიტყვებია, როგორც ბარათაშვილისა კახეთის მიმართ: „მძანო კახელთა ნამდვილ ქართველთა“. სამეგრელოში მოგზაურობისას (1888 წ. 29. III-მ. IV) თან ახლდნენ: იონა მუუნარგია, დავით ერისთავი, ვასო მაჩაბელი, გვიგოლ ყიფშიძე... დადიანების უმდიდრესი ძეგლი ხელნაწერები და წიგნები — მთელი ბიბლიოთეკა, რომელიც დავით დადიანმა და ეკატერინე ჭავჭავაძის უფროსმა ვაჟიშვილმა, ნიკო დადიანმა უფასოდ შესწირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას (ამ ხელნაწერებისა და წიგნსაცავის კატალოგი აჟაკი წერეთელს შეუდგენია) — კომისიამ ილია ჭავჭავაძესთან ერთად გორდიან თბილისში ჩამოიტანა. ილია შეუდგა არა მარტო შეგროვებას ძველი ხელნაწერებისა, არამედ ამ ხელნაწერების მასობრივი გამოცემა დაიწყო, რათა ზიარებოდა ჩვენი ერის სულიერ საუბნებს. ამისათვის საჭირო ნიადაგი უკვე მომზადებული იყო.

ილიამ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე შეუთქა უფროსად „ციცქარასა“ და მისი ავტორების არქაისტულ, ხელოვნურ სამიშტილის თეორიას, ფართო მასებისათვის გაუგებარ ანტონ კათალიკოსის არქაულ ენას. სწორედ თავის პირველსავე წერილში 1881 წელს ილიამ განაცხადა: „არცერთი ქიზიყელი გლეხი ისე არ ლაპარაკობს, როგორც „ციცქარის“ მწერლები წერენო“. ილიამ მწერლების ენა ხალხის სამეტყველო ენას დაუახლოვა. ქართულ ენას გლობალური სოციალური ფუნქცია დააკისრა. ასე გახდა მწერლობა სახალხო საქმედ. ეს საქმედ, „საქართველოს ხალხის ცხოვრებას და მის გაუმჯობესებას“ ემსახურებოდა ისე, როგორც ი. გოგებაშვილის „დედა ენა“.

ილია არა მარტო ერის ლიდერი იყო, არამედ ლიტერატურის თეორეტიკოსი, რეალისტური ესთეტიკის ფუძემდებელი საქართველოში. მან შეიმუშავა, ჩამოაყალიბა და დაამკვიდრა რეალისტური მწერლობის მწყობრი სისტემა: მწერლობა არა მარტო სინამდვილის ასახვა, არამედ თვით სინამდვილის გარდაქმნის, აღამიანების იდეურ-ესთეტიკური, მორალურ-ზნეობრივი აღზრდის მშლავი იარაღია. მართალია, ლიტერატურას, ხალხის ცხოვრება მთქმს აწოვებს, მაგრამ ის ცხოვრების უბრალო, კონკრეტული ასლი როდია, არამედ განზოგადებული ცხოვრება, თვითმოყოფადი ხელოვნებაა: „ოთარანთ ქვრივი“, „განდგლი“. „საცია-ადამიანი?“, „აჩრდილი“... ეს დიდი ლიტერატურული ქმნილებანი მწერლის მიერ შექმნილი ეპოქის ძეგლებია, სიმართლის მლად-

დებელი გლობალური ძეგლები: „საქართველო“ და „საქართველო“ — მეცნიერება და ხელოვნება — ისმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მომსწვევენ სათესლოდ ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკანმავად... რომ იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; რომ იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყვება ცხოვრება... მეცნიერების და ხელოვნების ამოცანაა გზა გაუნათოს ადამიანის აბომაქრებულ ცხოვრებას... რა თანადროულად უდერს ბრქემა ილიას ეს ესთეტიკური კონცეფცია დიდმა ილიამ საშარტილიანდ შენიშნა, რომ მწერლობა აქტიური, ესთეტიკური ფუნქცია, რომელიც ცხოვრებას ეფუძნება, მაგრამ მისი უბრალო ფიქსაცია კი არ არის, არამედ ცხოვრებისეული ლიტერატურული კატეგორია, რომელიც ცხოვრების განვითარებაზე თვით ახდენს გავლენას. ამ აზრით შეუთქა ილიამ „ციცქარელ სანტიმენტალიზტებს“: „დროს ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა... შვიგარის ზვეწნასა, რომ ჩემ საუვარელს უთხარიო: ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტი, რომელსაც შენგამო „შვიგარის კვამლი“ თვალენსა სწვავს და ცრემლს ადენსო. დროს ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭანსა და თვალენის სრესასა, ეგებ ცრემლი მაშვიდდესო... დროს ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შვიგმდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის“. ცხოვრებიდან განდგომის მტერია ილია. „მომძაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემა“. რა ბრწყინვალედ აბათილებს ილიას ეს სიტყვები ვეღვა იმათ, ვინც წერილმანი გრძნობების ჩიქნას ანაცვალდებს ჩვენს ბომაქარ ცხოვრების ცენტრში უოფნას... ცხოვრებაში აქტიური შეჭრა და მის განვითარება-გარდაქმნაზე ზრუნვა მწერლობის პირველ მოვალეობად მიაჩნდა ილიას.

ილია — პოეტი, ილია — პროზაიკოსი, ილია — ახალი სალიტერატურო ენის შემქმნელი და ფუძემდებელი, უბოლიციანი და პოლემისტი, ისტორიკოსი და ეკონომისტი, კრიტიკოსი და მოაზროვნე, უფროსად „წიგნების რედაქტორი და ბანკის მმართველი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელის ჩამდგმელი და წარმმართველი, ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავდა ქართველი ხალხის პოლიტიკურ, სოციალურ და ეროვნულ სულიისკვეთებას. უფრო მეტი, არა მარტო გამოხატავდა, არამედ ჩაგონებდა, ზრდიდა, წამარმართავდა, წინ მიუძღოდა საქართველოს, როგორც ერის სულიერი მამა. ილია დაუცხრომლად ეძებდა ისეთ მოდელს, რომელიც სოციალურ და ეროვნულ ბანაკებად დაუყოფელ საქართველოს ერთ ჰერქვეს, ერთიანი ეროვნული და შრომის პრინციპით გაერთიანებდა უყუ-

ლაფერი იღონა იმისათვის, რომ უველია წოდებანი შრომის პრინციპზე დაფუძნებული ერთიანი საქართველო შეექმნა. ილია იყო საქართველოს პარტიულად აზრთა მპყრობელი და მეუფე. იგი ოპტიმისტურად უყურებდა საქართველოს გამოავლს მას წაჰმდო „აწმყო თუ არა გეწყალობს, მომავალი ჩვენია“. ამ ოპტიმიზმის უპირველესი საფუძველი იყო: ბატონუმობის გაუქმება და საქართველოს რუსეთთან შეერთების იდეა. ილიას კირის დღესასწაულს სძულდა ცარიზმი, მაგრამ გულით უყვარდა და სულიერად ეზიარა ახალი რუსეთის — ჩერნიშევსკის, ბელინსკისა და მის თანამომბეთა დემოკრატიულ იდეალებს. ამ ნიადაგზე ცარიზმის დამპყრობელ პოლიტიკას ქართული კულტურისა და ენის შექმნისათვის ბრძოლა დაუპირისპირა. ცარიზმის პირობებში — თითქმის შეუძლებელი შესაძლებლად გახდა — რეალობად აქცია კუთხებზე დაუფიცილი საქართველოს სულიერი კონსოლიდაცია.

თათქარიძეებით დასახლებული საქართველო, არა მარტო სოციალური, არამედ ეროვნული ბორბების ბუდეა ილია. საქართველო „სულიერად და ბორცულად უნდა განწმინდოს“, ნიადაგი უნდა გამოეცალოს ღუარსახობას. მებატონი უველაზე დიდ და მიმეტვირთად მაინც მშრომელ კაცს, ერის ამ მარჩენად ძალას აწვევა კისრად. თათქარიძეობა ღუარსახობისა და ამის კვალბაზე თვით თავადიშვილობასაც, კთხვის ქვეშ აუნებს ერის მომავალს. ილია სამართლიანად შენიშნავდა „კაცობა-დამინაშე“, რომ მას კერძო პირთან ღუარსახობა თათქარიძესთან კი არ ჰქონდა საქმე, არამედ ღუარსახობასთან, რომლის ნიადაგი ბატონუმობა იყო. უველაზე კარგად ილიამ იცოდა „გლესკაცისა და უმის ღიბტონი ბედი. ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში“ და რომ „ბატონუმობის შუა საყვარულის ხიდი არ გაიღება“. ღუარსახობა დამღუპველი იყო მთელი ერისთვის. უფრო მეტი, ღუარსახობი ნაციონალური კლასიკური ფერებით დახატული, „ის ქართული ღუარსახობა“ ზოგადი ტიპიკაა. ადამიანობის, კაცურ-კაცობის გაღაშების ზოგადი სიმბოლური სახე. და, აი, ილიას დასვეს გამოავს. ბატონუმობის მოსპობის საბოლოოდ საფუძველი უნდა გამოეცალა „ღუარსახობისათვის“. გზა უნდა გახსნოდა ნაშუსთან, პატივის შრომაზე დამყარებულ საზოგადოებას, რომელსაც შეეძლო საბოლოოდ მოედო ბოლო უმრობლად მცხოვრები საზოგადოების ბორცებზე კეთილი სოციალური ბორბებისათვის — ღუარსახობისათვის. „შეუპოვარი, დაუმინავე შრომა, მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“, ამიტომაც კატეგორიულად განაცხადა დიდმა ილიამ „შრომისა ახსნა ეს არის ტვირთი ძველმოსილი ამ საუფუნის“.

ილიამ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე 30 შენიშნა, ისე როგორც საქართველოს ონუნული მთლიანობის მოშლამ „გაწყვიტა ჩვენში ერთიანი ეროვნული ძარღვი“, ასევე სოციალურად „დიდ-პატარაობით დანაწევრებული საქართველო — საქართველოს მტრია“. 1889 წელს აღწყოთებით კითხვობდა: „ვინა შრომობსა და ვინა ჰძღვება, ღმერთო სად არის აქ სამართალი?“

„ამ მეცხრამეტე საუკუნემ — წერდა ილია 1889 წლის 31 დეკემბერს — სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა, გაუქმება კონინისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ეოველის კლასობტების ბატონობისა და შეძლებისამებრ, ეოველის კლასობტების სხვადასხვაობისა, უფლებწამოყენება და ხელშეწყობა გამჩქელ და მშრომელ კლასების წარსამაბებლად“. დიახ, ილია მშრომელი საქართველოს იდეოლოგი იყო, თავიდან ბოლომდის: — „პატარა დაღაგებით რომ დაუფიქრდენ იმ ზავსოკიდებულ გუბებს, რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამსახაროდ ცხოვრებას ვეძახით, რომელშიაც ჩვენ, რაღაც დაუდეგარის კმაყოფილებით ვეუფლებალაობთ, და რომელდამაც ათასი სხვადასხვა — ფერი ნაკადული იწრიტება ცალ-ცალკე და სხვადასხვა გზით მიდის, რაოდენადც ერთმანეთზედ შორსა ვაღს, ეგოდენ დაუძღვრდების“, — ამ გუბებს რომ თვალთა და აუჩქარებლივ დააკვირდენ, მაშინ შენც ჩემთან ამოიკენესებ და იტყვი: „ვართ-ღოს...“ ქართველიც არ არიან, მაშ რა არიან? არიან თავადნი, აწნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანი და უჩინიანი — უველანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აწნაური სძულს, აწნაურსა — თავადი, გლეხსა — ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დღის საქართველოს ოჯახის შეიღწეწე... ეს თავადი რომ აწნაურს ზურგს უქცევს, აწნაური — თავადსა, — ორივენი გლეხსა; ეს ვაჭარი რომ სამივეს ერთნაირის სიხარბთა სწავს, ნუთუ ესენი თვითველად ცალკე და კოვტონივ ერთად ქართველი მგონია ვისმე! ქართველი საუკველთაო სახელია, ამათში რა არის საუკველთაო... თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითეულის გზები ერთად იურება საუკველთაო საქართველოს სიეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. ის საერთო ნიშანი მიჩვენეთ. საითენაც თვითეულის ჩვენგანის ქვეა, გონება, ფიქრი, გრძობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწვედეს საუკველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის. მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი“.

„საუკველთაო საქართველო“, რომელიც გზას გაუნათებდა „მომბას, ერთობას, თავისუფლებას, იყო ილიას ეროვნული და სულიერი იდეალი, დიახ. — ერთიანი საუკველთაო საქა-

რთველო, შრომის პრინციპით გაერთიანებული უძველესი წოდების საქართველო. ამ მიზნისათვის იღვწოდა იგი. ამავე მიზნით ებრძოდა ზოგიერთი „მესამე დასელითა“ ეროვნულ ნიპილიზმს. ამიტომ გაუშვებარია ზოგიერთი ისტორიკოსის ცდა შეიღამაზოს „ეს ისტორია“.

ილიას განუწმინდალ უყვარდა საქართველო, მაგრამ არა განურჩევლად. ილია იბრძოდა ახალი საქართველოსათვის.

„მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი, ჩვენ უნდა ვსდითო ეხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავლი ხალხს“.

— „საქართველოში თუ ხანდემლ ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უყავს კნელი არა ვართ, ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე. სიყუდე კი უძველესი საზოგადოება, ქართველი იქნება მისი მექონი თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვეთვის, ორივე წყალში გადასაყარნი იქნებიან. ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმით მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულისა გამო. ის კი არ იციან, რომ დიდი ხანა არის ჩვენში გლეხური ანდაზა: მოუვარეს პირში უძრებენ, მტერს პირს უყანათ“. ილიას მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა იყო ბრძოლა ერის წულულის განკურნებისათვის, ქართველი ხალხის ეროვნული ძალების განახლებისათვის. ილიას შემოქმედების უძლიერესი მხარე იყო მისი განუყოფელი კავშირი ხალხთან, საქართველოს კონკრეტულ პრობლემებთან. მის სოციალურ და ეროვნულ ტკივილებთან. მაშინაც, როცა ილია ვატაცებულ იყო გარიბოლდის მეთაურობით იტალიაში გაჩაღებული ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობით და მას მხურვალე ლექსით მიხსალმა, პოეტს თავისი ქვეყნის მომავალი ედგა თვალწინ. დაუცბრობლად იღვწოდა თავის მამულშიაც გაეგონა „ხალხთ ბოროტების ხმა მტვრევისა“ და მაშინაც, როცა პოეტს კომუნარების თავდადებულ ბრძოლას შეშხაროდა, მათი საქმე მიართნდა მთელი მსოფლიოს „ტვირთ მიმეთა და მავრალით“ მხსენლად. ხალხების მომავალს და მათ შორის საქართველოს მომავალსაც კომუნარების დიად იდეებს უკავშირებდა. თავისუფლების დიდმა მომდერლმა ილიამ კომუნარების საქმის დამარცხება მკმუნვარე სტრატეგიებით აღბეჭდა: „ტვირთმიმით და მავრალით მხსენელი დიდი დროა დაიშალა... კვლავ ქვეყნისა მჩაგარვ ძალამ იგი დროა დასცა დაბლა, კვლავ შეფერხდა ისტორია, განახლების შესდგენ ძალნი და კვლავ დღესასწაულობენ გამარჯვებულნი მტარვალნი“.

პეტერბურგის უნივერსიტეტში აღზრდილი, დიდ რუს სამოციანელებს — დემოკრატიულ იდელებს ზიარებულნი, მსოფლიო პროგრესულ კულტურასა და მეცნიერებაში, მოწინავე ხალ-

ხთა რევოლუციურ-საგანმათავისუფლებლო მოძრაობაში კარგად ჩახედულნი ილია ჰავეკავაქ არასოდეს უოფილა ვიწრო ნაციონალურ, ეთნოგრაფიულ ზღუდეებში ჩაკეტილი. ილიამ იცის „რომ ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომლებიც უძველესი ერთიანობის მოქმედებენ“. იგი გლობალურად განიხილავდა ჩვენი ერის სოციალურ-ეროვნულ სატკივარს. მაგრამ ის არც არავის ბაძავდა და არც არავისგან იღებდა მზამზარეულ „დემოკრატიულ თიორიებს“, ილიამ თავისთავად, საკუთარი ორიგინალური პროგრესული სოციალური და ეროვნული მოდელი შექმნა, როგორც ერის სულიერმა მამამ და მოძღვარმა. ერთ-ერთი მოდელი „ოთარაანთ ქვეყნისა“. — „ოთარაანთ ქვეყნი“ — აქ არის დიდი პანორამები იმ საქართველოში, რომელიც არც გუშინ უოფილა, არც დღეს არის, რომელიც უნდა იქნება თუ არსებობა: გვიწერია, საქართველო აქტიური და დინამური ენერჯის, საქართველო შრომისა და შემოქმედების“ (ე. გამსახურდია) ოლონდ აქ ილია წინ იხედებოდა და სჭეროდა — „დასაწყისი განთიადისა“. ილიამ თვალწინ დავაგანახა, რომ ბატონყმურ საქართველოში „გულშეკა და რეგენი“ ბატონები და ყმები ერთ ცის ქვეშ შეთანხმებით ვერ იცხოვრებენ. („საქო უყალი“). „განახის ნაამბობი“, მაგრამ ეგებ მოხერხდეს განათლებული და გონიერი ბატონიშვილებისა და გამრჩე და პატროსან მშრომელთა, შრომის პრინციპზე დამყარებული შეთანხმებული ცხოვრება. საქართველო ერთიანი და მთლიანი უნდა იყოს ეროვნული გულით. „ნახევარი გულით ცხოვრება სიკვდილია, კვდომაა („ოთ. ქვრ.“) ამიტომ ილიას აზრით „დიდად ცოდავენ ქვეყანასა და ხალხსაც; ნამეტნავად ჩვენში, ვისაც გულში ჩაუდგია, გინდა თუ არ გინდა განხეთქილება უნდა იყოს წოდებათა შორის, რადგან ერთობაში ეს განხეთქილება სუფევს“. აქ ილია გაემიჯნა შესამე დასილებს. ისტორიას არ უყვარს არც შეღამაზება და არც დამახინკება. ილია ერთიანი საქართველოს იდეოლოგია. არც მეტი და არც ნაკლები.

ილია ჰავეკავაქემ, პატარა ერის შვილმა შენანიშნავად იცოდა ფასი და მნიშვნელობა ხალხთა მეგობრობისა: „— ღონეშიხდილმა და დაქაცულმა საქართველომ, — წერდა ილია — აილო თავი და შეფარა დიდ რუსეთის იმპერიას. ამ ღირსახსოვარ დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთ-მორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა და დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწმუნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაცხრა ომისა და ბრძოლისაგან“. ილიამ, საქართველოს ეს მშვიდობიანი ცხოვრების წლები მიზნობრივად გამოიყენა სამშობლოს აღორძინებისათვის, მისი ეროვნული და სოციალური თვითშეგნების აღზრდ-

ასათვის. ცარქმის წინააღმდეგ ბრძოლით, ახალ რუსეთთან კავშირში საქართველოს სოციალურად და ეროვნულად გათავისუფლებასთვის. — კავშირში მშობის არ გვადრულდებოთ. აგრესი ვნატრობთ გვინათანაო. ხალხურ რუსეთთან კავშირში პერტუდა რუსეთის წინააღმდეგ. იერკელი მეფის ნაბიჯი ისტორიულად უადრესად კანონიერი და პროგრესულია — წერს კ. კასანელი — რუსეთი იყო მხოლოდ გზა და საშუალება ქართული სულის ევროპაში გასვლისა — ქართული კულტურის ევროპიზაციისა, ქართული ცხოვრების სპარსულ-არაბულ სტილის გამოცვლისა“ (იხ. „ქართული სული ესთეტიურ სახეებში“, გვ. 29, 1926 წ.).

ილია რუსული ლიტერატურის და კულტურის მისამართით აცხადებდა: „თვითღვთი ზემოგანს მის გამოჩარკვევზე აუღია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა. საზოგადო საქმიანობის ამ გამოჩარკვევის მიხედვით გამოურჩევი და მხოლოდ იმან მიადგინა ამის მიხედვით შედეგს, რომელიც „ბრმაღ არ იწაშა; ბრმაღ არ მიჩინა“ და შემკვიდრებობასთან კრიტიკულად დამოკიდებულების წიაღაგზე შეიშუშავა თავისი სამოღვაწეო პროგრამა“, მიზნაქედლობა არც ლიტერატურაში და არც საზოგადოებრივ მოღვაწეობაში დიდ ნაყოფს არ გამოიღებდა. ილია ჭავჭავაძემ თავისი საკუთარი მოდელი შეიშუშავა, საქართველოს ეროვნული და სოციალური კონსოლიდაციისათვის და სიცოცხლის უკანასკნელ დღემის იცავდა ამ მოდელს. ილია ხედავდა რა კლასობრივ შუღლი და შეურთებლობა სუფევდა საქართველოში ისე როგორც მთელ მსოფლიოში. და მიანც დავიწინებთ იტებდა გზებს ეროვნული და სოციალური ერთობლივი საქართველოს უმადლეს იდეალს. და ყველაფერს, მათ შორის თავის ცხოვრებას და მოღვაწეობას, ამ იდეალის განხორციელებას სწირავდა.

1888 წელს ილიას თაოსნობით ბარათაშვილის ნიშნით განჯიდან თბილისში გადმოსვენდნენ, ხოლო 1888 წელს ილიასა და აკაკის მეთაურობით რადიკალ ერისთავის იუბილე გადაიხადდნენ. პირველიცა და მეორეც საქართველოს საყოველთაო-სახალხო ეროვნული გამოღვივების პრეშარტ დემონსტრაციად იქცა. საქართველოს ყოველ კუთხიდან ჩამოვიდნენ დღეი-გაქიები ამ ორ დიდ ეროვნულ აქტში მონაწილეობის მისაღებად: იმერეთიდან, სამეგრელოდან, გურჯიიდან, სომხეთიდან, ბაოშიიდან, კახეთიდან, ქართლიდან. ფშავ-ხევსურეთიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან, საინგილოდან. არა, ეს არნახული დემონსტრაცია იყო საქართველოს ეროვნობის, განუყოფელი მობიხა. მანამდე არასოიანობის, განუყოფელი მობიხა. მანამდე არასოდეს გვიჩანავს ახე სულიერად გაერთიანებულ საქართველო. ეს იყო ამავე დროს ილიასა და მის თანამებრძოლთა მიერ გამოღვაწარის

დემონსტრაციაც. ამ ერთიანი საქართველოს დემონსტრაციის ილია იყო. სწორედ ამიტომ უბოძეს ილიას სიცოცხლეშივე საქართველოს უზვირგინო მეფის ტიტული. მართლაც და სპარტრებაა საქართველოში სახელმწიფო გაუქმებულყო, იგი ცარიზმის რიგ გუბერნიისა. სახელმწიფო ენად რუსული ენაა გამოცხადებულა. დაქუთუბულებში, სკოლებში, სასამართლოებში ქართული ენა აკრძალულად ითვლებოდა. ამ დროს კი ილია ქართულ სკოლებს ხსნიდა საქართველოს რაიონებსა და შორეულ კუთხეებში. შურნალ-გაზეთებსა და თეატრებს აარსებდა. ღონიერდებოდა და ძლიერდებოდა ქართული ენა და ქართული კულტურა შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე.

ჩემი მამული, საქართველო, დღეს
 მიცოცხლებდა!
 ხალხი აზვითა, ხალხი აღსდგა, ხალხი
 მოქმედობს.
 კასპის ზღვიდან შავ ზღვიდანა ერთს
 ფიქრსა შევიქროს, —
 და ეს ფიქრა მთელ კავკასის თიფიფულმანს.
 დილია ხალხი, როს ებ გრანობა წინ
 წარუძღვება.

საქართველოს ეროვნული ერთიანობის მტრებს სახეივად უსწორდებოდა ილია. ამ მხრივ ილიას საყოველთაოდ განმარებულ წერილებზე რუსიფიკატორ-რეპრესიონერების კატკოვის, იანოვსკის და მათი დამკვეთების წინააღმდეგ — რომ არაფერი ვთქვათ, საქმარისი გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილი წერილი მოვიგონოთ.

— „რა საქართველო, რისი ერთიანი საქართველო. ახა დააკვირდით ფშავებს, ხევსურებს, სვანებს, კახელებს, იმერლებს, მეგრელებს, გურულებს... ყველას სწვადანხვა სამოცილი აცვია“. — წერდა „კავკაზში“ ფურცლებზე ერთი უბედოლისტი. ილიამ საქვეწოთ გამოაქნა ჩაცმულობის მიხედვით ერის დიხასიათების „სულღლური თეორია“. „როგორ მოგწონთ ეს კოსტუმების თეორია? თუ კოსტუმების თეორიას გავყვებით, არა გვგონია თეორია „კავკაზის“ ბედლიური უბედოლისტი გამოდგეს იმ თესლისა, რა თესლსაც უთითონ ცქუთუნის...“ ასე იგერიებდა ილია ერთიანი საქართველოს მტრებს. სამაგრილოდ შემოიხტიცა მტიციმ შეგობობიხა და ქმობის ფიცით ყველა და მათ შორის უბედოლებიც.

1888 წელს გადაწვდა. „ვეფხისტყაოსნის“ ახალი მდიდრული ბეჭდური გამოცემა შედგადილი სარედაქციო კომისია. კომისიის მდივნობა და გამოცემის ორგანიზაცია იონა პეუნარგას დაავალა ილია ჭავჭავაძემ და იგი ამ მიზნით პეტერბურგს მიავლინა ცნობილი უნგრელი მხატვრის ზიჩისთან მოსალაპარაკებულა. საქმე იმას შეიხებოდა, რომ ზიჩი პეტერბურგში მოეწვიათ მხატვრად დემონსტრაციის წაწარმოების ილუსტრაციისათვის. უცხოელ

მხატვარი კავასიელ ტიპებს ეცნობოდა, ლერმონტოვის თხზულებათა ილუსტრაციისათვის უმოსაყენებლად, ამ ვითარებაში მოიწვიეს ეგი საქართველოში. ზინიშ ქართული არ იცოდა. „ვეფხისტყაოსანს“ რომ გაცნობოდა, საჭირო იყო მისი თარგმანა ფრანგულ ენაზე. ეს საქმე ილიამ ფრანგულის კარგად მცოდნე იოსა მეურავის მიაწოდო. ამ თარგმანის მიხედვით გაეცნო უნგრელი მხატვარი „ვეფხისტყაოსანს“ და ყოველივე ამას მოყვა ქართველიშვილისეული ცნობილი ზინიშ ილუსტრაციებით დაშვებებული პირველი მდიდრული გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“. შემდეგ ამ ნახატების მიხედვით თბილისში, ქუთაისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში რამდენჯერმე წარმოადგინეს ქართველთა შონაწილებით „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დაღება „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათები XIX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განთავისუფლებელი მოძრაობის მეთაურებმა (ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, რაფიელ ერისთავმა...) მოზერებულად გამოიყენეს ეროვნული ვრძობების გამოსაფრინებლად და აღსაწარმოებლად. თბილისსა და ქუთაისის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათები ხარკოვსა და ოვით პეტერბურგში წარმოადგინეს. იოსა მეურავიასეულ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ თარგმანს მკატბრინე ჭავჭავაძის სტუმრები ავსტრიელი ცოლ-ქმარი სუტნერები გაეცინენ და ხელი მოჰკიდეს მის თარგმანს ვერმანულ ენაზე. ხოლო საქართველოში ილიას მიერ სტუმრად მოწვეული ინგლისელი უორდროსები „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე თარგმნის ორგანიზაციას შეუდგნენ.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე არა მარტო ქართველებს შორის განამტკიცებდა ისტორიული საქართველოს ერთიანობის სულისა და იმედს, არამედ ქართველთა დიდ სულიერ საგანძურს და მის საოცარ ტრაგედულ და ამავე დროს უმარულ ისტორიას, უცხოელებიც აწაიარა. ასე გაეყვანა ქართული ენა და ქართული კულტურა საერთაშორისო არენაზე დიდმა ილიამ. ამიტომ უწოდებენ ილიას ქართველი ერის სულიერ მამას.

ეს წელი ილია ჭავჭავაძის საიუბილეო წელია. საქართველოს უგვირგვინო მეფეს სიცოცხლეში ერთხელაც არ დაუდგამს საიუბილეო საგარდობა, რომ მის სათაყვანებელ საქართველოს საქაროდ გაშუქებდებინა ერის მოძღვრისთვის პატივისცემა და სიყვარული. პირიქით, ერთიანი საქართველოს სულიერ მამას, კარიერის მიძიებელმა ურთა ჟურნალისტებმა სიბერე „მოგზაურში“ დაბეჭდილი ცილისწამებით გაუწმარეს. ეს გაუგონარო კამპანია წინაპრის ტრაგედიით დასრულდა. საქართველოს მტრებმა, ტუვიით განგმირეს ერის მამა. დაადუმეს ერის მოძღვარი, წარტაცეს საქართველოს წინამძღოლი. მაგრამ მტრ-

ბი ანგარიში მოტყუდნენ: ილიას ტრაგედულმა სიკვდილმა უზნულ დაუყენა მთელი ერი. ზალისის გულის ზარის რეველ გაისმა: „მარადეა უნდებავს საქართველო მე ვარ შენთანა მე ვარა შენი თანამდგურ, შეცადავა სული“. და კვლავ იფარავდა ილიას სული ერთიანი საქართველოს იდავს. ამით გაღიზიანებული ურთა ჟურნალისტები ისევ უნამუსოდ თავს ენხობდნენ დიდ ილიას, მაშინ, (1907-1909 წ.) კი აკაკი და ვაჟა აღშფოთდნენ ამ თავდასხმებისა და ცილისწამების წინააღმდეგ: მოვიგონოთ აკაკის ლექსი „ილიას მოკვლის გამო“ (1907 წ.), ვაჟას წერილი „უვაჯ-ყორნები ილიას არჩილის ვარსებში“ (1908-1909 წ.), ილია ჭავჭავაძის მკვლელობის წინააღმდეგ ყველაზე მეტად, ქართული რევოლუციური პოეზიის ფუძემდებელმა იროდიონ ევლოშვილმა გაილაშქრა. ვინ, ვინა და ირ. ევლოშვილმა ყველაზე კარგად იცოდა ილიას ფსიხ და მნიშვნელობა რევოლუციური საქართველოსათვის. ილია ხოციალური რევოლუციის პირველი მებრძოლა საქართველოში. „შრომა აწ ქვეყნად ტუვედ დაპრობილი“ უნდა გათავისუფლდეს. ეს განახლება ქვეყნისა „გროგლის ქროლას“ უნდა მოჰყვეს: „შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი ძღვეამოსილის ამ საუკუნის, კაცთა დღევისა დიდი ზვირთი მაგ ახსნისათვის შედგარა იბრძვის, ვეღარ განუძლებს ქვეყნა ძველი განახლებისა გრიგალის ქროლას, ვეღარ განუძლებს ქვეყნის მმარცველი ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, და დამხსნერევა იგი ბოკალი შემუდრებელი კაცთა ცხოვრების, და ახალს ნერგულად ახლად შობილი ესე ქვეყნის კვლავ ადევადების“. ეს შრომის რევოლუციური გზით გათავისუფლების მანიფესტი იყო. იგი ილიამ 1848 წელს იქადაგა როცა „არჩილში“, მაგრამ ილიას ეს მანიფესტი, — რევოლუციური განახლება ქვეყნისა, გულისხმობდა სწორედ ერთიანი საქართველოს, შრომის სუფუცავად დაფუძნებულ საქართველოს. „მაშინ მაშვარალო შენც განკაცდები, წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ, სხვას ძირს არ დასკობ, თვით ამაღლებდი. არც ვის ემონი და არც იმონი“. რევოლუცია ერის ძალების რეორგანიზაციის საშუალებაა ილიას აზრით. ეს მოხდება მაშინ როცა ბატონიშვილი და შრომელნი ერთიანი მაღალი ეროვნული შეგნებით განმსჭვალვება. საქართველოს ისტორიული ერთიანობის სულით ცხოვრობდა, იბრძოდა, იღვწოდა დიდი ილია. იგი კარგად ხედავდა არჩილის — თავადიშვილის საქართველოს და გიორგის — შრომელის საქართველოს გათიშულობას და ამიტომ, როგორც რეალისტმა ერთიანი საქართველოს მოდელში — „ოთარანთ ქერიში“ იგრძნო და ჩვენც დაგვანახა, რომ არ მოხდა „ჩატხილი ზიდის“ გამოქვება, განაოღებამ და ნამუსის ქულმა ჭერ კიდევ ვერ უშველა ამ საქმეს. კისო გულცივი აღმოჩნდა, ვერ შეამჩ-



ნია გლეხის მხურვალე შეუვარებელი გული და არჩილმა როცა ამხილა, თითქოს ინანიებს ამას ცრემლებით. ამ ცრემლებში ილია ჭკრტეს, ხედავს იმედს მომავლისას: მას სწამს და სჩერა: მართალია დღეს არ მოხდა („ოთხრანთი ჭკრივი“), მაგრამ ხვალ, ზებ უნდა მოხდეს გაერთიანება მთელი მშრომელი საქართველოს — განათლებული თავადიშვილის არჩილისა და ნამუსიანი მშრომელი გიორგის ნაფუძვარზე წარმოშობილი. ახალ ნერვზე აღმოცენებული ახალი საქართველოს იმედი, ეს ლამაზი ოცნება თან ჩაიტანა ილიამ საფლავში, ზნეობრივად განწყობილი და სოციალურად თანასწორი ერთიანი საქართველოს იდეოლოგია მიიღეს, წინ წასწიეს და განავითარეს რევოლუციური საქართველოს პოეტებმა: ირ. ევლოშვილმა, ჭოლა ლომთაიძემ, ნოე ჩხეიძემ,

აჲ, ამაშელმა, გიორგი ჭუჩიშვილმა და სხვებმა. ასევე კარგად შენიშნეს ილიას პროგრესული მნიშვნელობა რევოლუციური საქართველოსათვის იოსებ სტალინმა, ლადო კეცხოვილმა, ადექსანდრე წულუკიძემ... მესამე დანის უმრავლესობამ კი (ტორღანია-მახარაძის ჯგუფმა) ილია ჭავჭავაძე „ხალხის მჩაგრელ მებატონად“, რევოლუციურ ბტრად“ გამოაცხადეს; ქართველი ფორმალისტები ილიასა და აკაკის ლექსს უწუნებდნენ: „მთ მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ზალად და პოეზია გაზეთად... იმათ თავიანთი გადავილებული ორიოგრაფიით დამარხეს ქართული ლექსი“. აქ დავა უფრო პოეტის — ლიტერატურულ მიმართებასა სფეროს შეეხებოდა, ისე კი ქართველი მოდერნიზატები ილიას ბუმბერაზ პიროვნებად, ერის მეთაურად აცხადებდნენ, წინამურის ტრაგედიას — ერის სირცხვილად. ტიციან ტაბიძეს უნდა დაეთანხმოთ: „გადაურეტიბლად შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნე საქართველოში ილიამ კიდევ მოიგონა, კიდევ შექმნა და კიდევ თავის სისხლით დაჭყბოა... ამ დიდი ეპოპეის მთავარი ბრძანებელი იყო მხოლოდ ილია ჭავჭავაძე“. გალაკტიონის მიხედვით:

„წინამურში, რომ მოჰტლეს ილია, მამის ეპოქა გათავდა დიდი... რა მძლავრად ჭუხდა მათი სახელი, რა დიდი იყო მათი დიდება“.

ილიამ ჩამოაყალიბა და შექმნა კიდევ მშრომელი საქართველოს ერთიანობის იდეა. ამიტომ არ გამოდგება ამ სახელს მივუსადაგოთ: „გლეხობის იდეოლოგია“, „ბურჟუაზიის“, ან „მესა-

მე წოდების“ იდეოლოგია. მე მგონია არც „განმანათლებლობა“ გამოდგება ამ იდეოლოგიის სუბსტანციის და როგორც უცვლელად უვარკისი.

ილია უფროდ უდიდესი როლი შეასრულა XIX ს. საქართველოს მწერლობის, მეცნიერების კულტურის გავრცელება-განვითარების საქმეში. მაგრამ ეს მაინც არ გამოხატავს ილიას დეპოზიტს და ადგილს ერის ისტორიაში. იგი იყო მეთაური, ორგანიზატორი, ბელადი ერთიანი მშრომელი საქართველოსი, საქართველოს ერთიანი და სოციალური განთავისუფლებისათვის დაუტყრომელი (ვითარცა თერგი) მებრძოლი.

1922 წელს კონსტანტინე გამსახურდიას ინიციატივით ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული დაღუპვის 15 წლისთავის აღსანიშნავი პანაშვილი მოეწყო მთაწმინდაზე. აქ სიტყვებით გამოვიდნენ ვასილ პარნოვი, ლეო ქიჩელი, კონსტანტინე გამსახურდია... მათ განაცხადეს: ვინც ილიასა და აკაკის ებრძვის ის ქართველი ხალხის მტერია... ამ სიტყვის ავტორები მამიკვე ნაციონალისტებად გამოაცხადეს. ილიას მოწინააღმდეგენი კვლავ აგრძელებდნენ უპატიოსნო შეტევას ამ დემოკრატიის წინააღმდეგ. რომლის ზენიტს წარმოადგენდა 1931 წელს ილიას წინააღმდეგ დაბეჭდილი წერილების უბადრუკი კრებული. საბედნიეროდ ეს უპატიოსნო ბრძოლა ილიას წინააღმდეგ აღიკვეთა 1934 წლიდან. 1926 წელს საქართველოს საბკომსაბჭომ შექმნა ილია ჭავჭავაძის დაბადების მე-100 და გარდაცვალების 80-ე წლის თავის აღსანიშნავი საიუბილეო კომიტეტი. საიუბილეო დღეებში გაზეთმა „პრაფდამ“ კი სარედაქციო წერილში ილია ჭავჭავაძე „საქართველოში“ ეროვნულ-საგანმანათლებლებო მოძრაობის მეთაურად“ გამოაცხადა. ამის გამო ივანე ჯავახიშვილი წერდა: „საბედნიეროდ უმაგალითო უმადურობას უკვე საბოლოოდ ბოლო მოვლ და უტყველია მთელი საქართველო გულწრფელ მადლობას უძღვნის იმას, ვისი წეალობითაც ეს საშინელი უსამართლობა მოსპობილა და ილია ჭავჭავაძის დიდი დეპოზიტს საქართველოს წინაშე ღირსეულად შეფასებულა“ (გაზ. „კომუნისტი“ 1938 წ., ივლისი). 1927 წლის 29 მაისს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა საიუბილეო საღამო. ამით დაიწყო ილიას იუბილე და იგი თითქმის მთელი თვე გაგრძელდა. ის გადაიტყდა დიდ ეროვნულ დღესასწაულად. ეს იყო ილია ჭავჭავაძის პირველი იუბილე.



ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია

წყაროთმცოდნეობითი საბითუმები

ილია ჭავჭავაძის საისტორიო შეხედულებებში განსაკუთრებით სრულად გამოსკვივის მისი ფართო ცოდნა საქართველოს ისტორიისა იმთავითვე ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ უნარადღებას აქცევდა ხალხის იტორიის ისეთ მომენტებს, რომლებშიც ჩანს მისი პატრიოტული შეგრძობა, ბრძოლა ერისა და ქვეყნის ფიზიკური ხსენისა და მისი კულტურული პროგრესისათვის.

მშობლიური ქვეყნის ისტორიის ღრმა გააზრებაში ილიას ხელს უწყობდა მისი ეპოქის ისტორიოგრაფიისა და, რა თქმა უნდა, წყაროების საფუძვლიანი ცოდნა.

ამ მხრივ მას განსაკუთრებით ჰქონდა შესწავლილი საქართველოს ისტორიის ეროვნული წყაროები.

ილიას აზრით, ამა თუ იმ ხალხის ისტორიის შესასწავლად ერთერთი წყაროა ზეპირგადმოცემები. „ეს ზღაპარ-ნარევი ამბები, თქმულებები, რა თქმა უნდა, მოწმად და საბუთად მოსატანნი არ არიან რომელისაზე უფილი საქმისა, ამ მხრივ იგინი ძალიან ცოტად დასაჭერნი და სანდონი არიან, მაგრამ ზნირად ამისთანა ამბებში უპოულობო ბევრს მართალს აღწერას ზნე-ჩვეულებიასა“ (ი. შავჭავჭავაძე, აი ისტორია თხზ. ტ. 4, გვ. 28.)

წყაროების ცალკე ჩვრუხ, ილიას მიხედვით, კმნიან არქეოლოგიური ძეგლები-აკლდამები, კუბოები და სხვ. ასევე ცალკე უნდა იქნას გამოყოფილი ენა, სიტუვიერება, ეს ხელთუქმნილი ისტორია ერისა, და, აგრეთვე, ეთნოლოგია (იქვე), რაც დღევანდელი ტერმინოლოგიით ეთნოგრაფიაა.

ილიას წარმოდგენით ხალხის ისტორიის რეკონსტრუქცია წყაროების ამგვარ ფართო ბაზას უნდა ეფუძნებოდეს.

განსაკუთრებული ღიხსება, ილიას აზრით, მაინც სიტუვიერებას და ენობრივ მასალას აქვს. იგი ცივილიზაციის ისტორიის ყველაზე სანდო მოწმეა, რადგანაც „უფროს-ერთს შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას“.

აქვე ილია განმარტავდა ფილოლოგიის შემეცნებით მნიშვნელობას და აღნიშნავდა,

რომ ეს დარტი და ისტორია მხარდამხარ დადიან და ერთმანეთს ეზმარებთან, ვინაიდან „ცხოვრება ერისა გადაშლილია, გამოშფურებულია მის ენაში, რომელიც უტუპარად სარკვე უფილის მისი თავგადასავალისა და უფიციზიკრების ცვალებადობისა“ (აი ისტორია, გვ. 80).

საისტორიო წყაროების კლასიფიკაცია ილია ჭავჭავაძეს დაფუძნებული ჰქონდა XIX ს. პოზიტივისტი ისტორიკოსების, უმთავრესად რედ. ფრიმენის ცნობილ ნაშრომზე (Фримен Е.Д. «Методы изучения истории», М., 1886).

ნათქვამი უკვე კარგად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ილიას მეცნიერულად გააზრებული წარმოდგენა ჰქონდა ზოგადი წყაროთმცოდნეობის თეორიულ ასპექტებზე.

ამ საკითხებით დაინტერესება და მათდამი სათანადო უნარადღების გამაზვილება საქართველოს სინამდვილეში XIX ს. 90-იან წწ. დამდეგს, თავისებური სიახლე იყო, ვინაიდან მაშინ ამ პრობლემებზე ჩვენში თეორიულად თითქმის არავის ემსჯელა.

ილია ჭავჭავაძე დაიწინებით მოუწოდებდა თავის თანამედროვეებს, სათანადოდ ეზრუნათ ძველი ქართული წერილობითი ძეგლების შეტრუვისა და დაცვა-შესწავლისათვის. 1886 წ. იგი საგანგებოდ წერდა: „ჩვენს მონასტრებსა და ძეგლის-ძეგლს ეკლესიებში მრავალი საისტორიო განძი მოინახება, რომ გული გულბადეს. ჩვენი ისტორია, ქერ კრიტიკის ცეცხლში არ-გატარებული და არ-გადახალისებულა ბევრს საბუთს და მოწმობას მოიპოვებდა, მრავალს ბნელის ადგილების შუქმოსაფენად, რომ ცნობილი და გამოქვეყნებული იყოს უფილი იგი ნაშთი ჩვენის ვანელი ცხოვრებისა, რომელიც დღეს კიდევ ზედ ამჩნევია ჩვენთა მამა-პაპათა ხელთნაქმართა და ქუთით ნაშოქმედართა. ეხლა უფილივე ეს თვალთავან მიფარებულია და დამარხულია მონასტრთა და ეკლესიების ეკლესია შორის და ანუ მონასტრისა და ეკლესიების საღაროში. სხვა რომ არა ვსთქვათ რა, უფილი ეჭვ-გარეზე უნდა იყოს, რომ მონასტრთა და ეკლესიების საღაროში მრავალი წიგნი კიდევ მოიპოვება“ (ი. შავჭავჭავაძე, საქარ-



თველოს ძველი ისტორიისა და მწერლობის განი. ძველ-ქართულ ხელნაწერთა და სიგელ-გუჰართა აღწერის საქიროებზე. თბს, ტ. 4 გვ. 189).

ამასთან დაკავშირებით, ილია ჭავჭავაძე საქიროდ მიიჩნევდა გაფანტული ძველი ქართული ხელნაწერების აღწესსება-შეკრებას და მათ სამეცნიერო კატალოგიზირებას" (იქვე).

საინტერესოა, აგრეთვე, ილიას აზრი ძველი ხელნაწერების კატალოგიზირებაზეც. იგი საქიროდ მიიჩნევდა, რომ ამ მასალებს კატალოგი ჰქონდა. ილიას სიტყვით, საქიროა თვითველად აღწესებული იქნას, „რა წიგნია, ვისგან არის შედგენილი, რა დროს ეკუთვნოდეს, რა ზედწერწერაში აქვს და მებრუნე სხვა“ (იქვე). ამასთანვე, აუცილებელი იყო არა მარტო კატალოგის შედგენა, არამედ მისი გამოქვეყნებაც, რომელსავე გაზეთში მიიღო. ეს, ილიას აზრით, დიდი მნიშვნელობის საქმე იქნებოდა, ერთნაირად მოიგებდნენ ერისც და მეცნიერებაც (იქვე).

ილიას პოზიცია სამეცნიერო კატალოგის აუცილებლობისა და მისი შედგენის ძირითადი პრინციპების შესახებ საპროგრამო სიხუსტით განსაზღვრავდა მისი დროის ქართველოლოგიის და, ეგრძელ, ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მდგომარეობას. ქართული ისტორიოგრაფიაში ილიას ამ დებულებებსა და მოწოდებებს განსაკუთრებული უღერადობა ჰქონდა იმ ვითარებაში, როცა ძველი ქართული წერილობითი ძეგლების კატალოგიზირების პრინციპები თავის დროს ჩვენში საქმალად გახმარებული ბექდურთა დიკუსიის საგანიც კი გახდა (ე. თაყაიშვილი, თ. უორდანი...).

ილია ყოველმხრივ ამხნევებდა თავის თანამედროვეებს, ვინც საქართველოს სიძველეების შესწავლის რთულ და კეთილშობილურ საქმეს ჰქონებდა ხელს.

ახე მოჰქცა იგი, მაგალითად, თბილისის საეკლესიო მუზეუმის მისვეურების მიმართ. თბილისის საეკლესიო მუზეუმი დაარსდა 1888 წ. გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ბაქრაძის ინიციატივითა და აღვაწლით. მუზეუმის შენობა აიგო თბილისის სიონის ტაძრის ეზოში, ჩრდილოეთ მხარეს.

სათანადო წესდებით, საეკლესიო მუზეუმში უნდა შეგროვდებოდა საეგზარქოსოს ფარგლებში გაფანტული საეკლესიო სიძველეები: ძველი ხელნაწერები, ნაბეჭდი წიგნები, საეკლესიო ინვენტარი და სხვ. მიწანწერილი იყო მუზეუმში შეეკრიბათ არა მარტო საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორისა და საეგზარქოსოში დატული გუჰრები, არამედ ისინიც, რომლებიც უკვე დადგენილი იყო მის მიერ თბილისის და ქუთაისის გუბერნიების სახელმწიფო გამგეობაში.

საეკლესიო მუზეუმის სიძველეების და შენობის მეთვალყურეობა ევალებოდა „ყოველად

წმინდა ღვთის-მშობლის ძმობის საბჭოს“ განსაკუთრებულ განყოფილებას, რომლის წევრებიც და თავმჯდომარეს ირჩევდა ეგზარქოსი. განყოფილებას ევალებოდა სიძველეთა მოძიება და მუზეუმში დაბინავება, მათი სისტემაში მოყვანა და კატალოგიზირება. წესდების ერთერთ პუნქტით, სამუზეუმო სიძველეებზე მეცნიერული მუშაობის უფლება ჰქონიათ გარეშე პირებსაც.

საეკლესიო მუზეუმის თავაყებმა — ჭერ დ. ბაქრაძემ, შემდეგ კი თ. უორდანიამ, მ. ჯანაშვილმა, კ. ცინცაძემ და სხვ. ენერგიული მუშაობა გასწიეს ძველი ქართული მწერლობისა და სხვა სიძველეების აღწერისა, სისტემატიზაცია და სამეცნიერო შესწავლისათვის.

ილია ჭავჭავაძე უდიდეს ეროვნულ სამეცნიერო-საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“, რომლის ერთერთი დამაარსებელი და დიდხანს მეთაურიც იყო (ბ. ზუნდუძემ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ილია ჭავჭავაძე. მნათობი. 1959, №18, გვ.184-184). ილია განსაკუთრებით ცდილობდა საზოგადოებას უმთავრესი ყურადღება დაეთმო სიძველეების, კერძოდ, საქართველოს ისტორიის წყაროების გამოკვლევა-შეკრებას და მათი სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანისათვის. მაგალითად, ილიამ ცხოველი მონაწილეობა მიიღო ნიკოლოზ დადიანის (მინერელისკის) მიმდარი წიგნსაცავის „ქ.შ.წ.კ. საზოგადოებისათვის“ შექმნისა და დაცვის საქმეში. ნ. დადიანის ანდერძის შესაბამისად, მისი ბიბლიოთეკის თბილისში გადმოსატანად, ილია ჭავჭავაძე თვითონ გაემგზავრა სამაგრელოში, სოფ. გორდში, სადაც დადიანების საზოგადოებრივი რეზიდენცია იყო, ვას. მაჩაბლის, იონა მეთუნარეჯის და გრ. უიფშიძის თანხლებით. წამოდებული იქნა 1890 ხელნაწერები და 10 ნაბეჭდი წიგნი (ბ. ზუნდუძემ, გვ. 140-141).

ნ. დადიანის მსგავსად საზოგადოებას სხვა არაერთმა ქართველმა მამულიშვილმა შესწირა თავისი წიგნები და სხვა სიძველეები, რის შედეგადაც შეიქმნა ერთერთი უმდიდრესი ხელნაწერული ფონდი, რომლის მასალებმაც თვალსაჩინო როლი შეასრულეს ჩვენი წარსულის და საერთოდ, კულტურის შესწავლაში.

ილია ჭავჭავაძის ამგვარ საქმიანობაზე ყურადღების შეჩერება იმიტოა გაპრობებული, რომ მის დროს საქართველოს ისტორიის წყაროთმკვლევება ერთნაირი ყურადღებით ეკიდებოდა არა მარტო საქართველოს ისტორიის წყაროების სამეცნიერო კვლევას, არამედ მათ შეგროვება-გამომწერებასაც. რადგანაც მაშინ ამ სიძველეების უმრავლესობა ჭერ კიდებ დაფანტული იყო და მოვლა-პატრონობას საჭიროებდა, ამიტომაც, ქართველი ისტორიკოსები მაშინ თავისი და საერთოდ ქართველი მეცნიერების

უშთავრეს ამოცანად მიიჩნევდნენ საქართველოს სიძველეთა გადარჩენა-დაბინავებას.

ილია ჭავჭავაძის საგანგებო ნაშრომები არ დაუწერია საქარველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობით პრობლემებზე, მაგრამ იგი დიდი ინტოუნაზმით იცავდა უკველივე იმას, რაც ამ დარგში შექმნა მისი დროის ეროვნულ მეცნიერებას. რითაც სამართლიანად ამაჟებდა ჩვენი ხალხი. ილია ნათლად გამოხატავდა იმ აზრს, რომ ეროვნული ისტორიის და მისი წყაროების შეფასების პრობლემა განყენებული სამეცნიერო საკითხი არაა და იგი უკავშირდება ერის თავმოყვარეობას და კულტურულ ტრადიციებს, ამ ერის დღევანდელი არსებობის ფაქტს ამიტომაც; ილიას აზრით, იმის გათვალისწინებით, თუ რა ღირებულების საისტორიო წყაროები შექმნა ერმა წარსულში, შესაძლებელია მსჯელობა თვით ამ ერის კულტურულ ტრადიციებზე. ილიას მტკიცებით: ერი, რომელსაც საკუთარი ისტორია არ გააჩნია, არაარსებას წარმოადგენს. მაქანაწალას მგავს და საერთადაც კულტურულ ერთა ოჯახში არ იხსენიება.

ი. ჭავჭავაძის შესანიშნავად ესმოდა, რომ, ყველა ხალხი თავისი ეროვნული ღირსების დასაცავად, ვითარცა კულტურულ საუნჯეს, იცავს არა მარტო საკუთარ ენას, მწერლობას და სხვა, არამედ ეროვნული საისტორიო წყაროების ღირსებასაც. ეს საკითხი განსაკუთრებით სათუთი იყო ილიას დროინდელი ქართველობისათვის, რომელიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არქონის პირობებში ენერგიულად იბრძოდა ფიზიკური გადარჩენისა და თავისუფლებისათვის.

ცხადია, ამგვარ ვითარებაში უკველგვარი არამეცნიერული, ტენდენციური დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის წყაროებისადმი, მათ მიმართ ავადებული შეხედულების გამოჩენა, აატრიოტული განწყობილი ქართული საზოგადოების მიერ აღიქმოდა როგორც მისი ეროვნული ღირსების შელახვა, შეტევა მის აწმყუტო, უფლებებზე ეცხოვრა და ეარსება კულტურულ ერთა ოჯახში.

ამ თვალსაზრისით, ჩვენი საზოგადოებისათვის განსაკუთრებით აქტუალური იყო ფოქდალური ხანის ქართული საისტორიო აზროვნების უშთავრესი ძეგლის „ქართლის ცხოვრების“ პრობლემა, ძეგლისა, რომელშიც შუა საუკუნეების მეცნიერული კლდის შესაბამისად იყო გაშუქებული ჩვენი ხალხის წარსული.

XIX ს. მთელ სიგრძეზე ქართველოლოგიური აზრი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა „ქართლის ცხოვრებისადმი“, მისი შედგენის დროისა და პირობების, როგორც საისტორიო წყაროს, ღირებულების საკითხისადმი.

დღესდღეობით ჩვენ შედარებით მწყობრი წარმოდგენა გვაქვს იმაზე, რომ „ქართლის ცხოვრება“ ესაა კრებული შუა საუკუნეებში

სხვადასხვა დროს შედგენილი საისტორიო ინსტრუმენტებისა, რომლებშიც ქრონოლოგიური თანამიმდევრობითაა ასახული ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი თავდადასავალი უძველესი დროიდან XVII ს. ჩათვლით.

XIX ს-ში ამ შეხედულების შემუშავება მხოლოდ იწყებოდა და, ბუნებრივია, ბევრი რამ ჭერ დასაზუსტებელი და მცდარადაც იყო წარმოდგენილი. ერთერთი მთავარი შეცდომა „ქართლის ცხოვრების“ შესწავლისას იმხანებში მაინც ის იყო, რომ დიდხანს ვერ ახერხებდნენ თვით ამ ძეგლის შედგენის დროის უზუსტად განსაზღვრას და ასეთ დროდ ვახტანგ VI-ის (XVII-XVIII სს. მიჯნა) ხანას მიიჩნევდნენ. თუმცა მომდევნო პერიოდში ჯერ მ. ბროსეს, განსკუთრებით კი დ. ბაქრაძის შრომებში საქმოდ ნათლად გამოიკვეთა თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ „ქართლის ცხოვრება“ ძველი დროის ძეგლია, რომ ის არსებობდა უკვე XII ს. მაინც, ამ აზრმა საბოლოოდ გაიდგა ფეხი მას შემდეგ, რაც 1884 წ. დ. ბაქრაძემ შეაკვლია და სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა „ქართლის ცხოვრების“ მართამ დედოფლისეული ნუსხა, გადაწერილი, როგორც დ. ბაქრაძე თვლიდა, ქართლის მმართველის რუსთომის (1682-1686) ცოლის დედოფალ მარიამის შეკვეთით 1886-1885 წწ. მაშინ, როდესაც ვახტანგ მეფე ჭერ დაბადებულიც არ იყო (დ. ბაქრაძემ, პროფესორი ატაკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები. ტფ. 1884, გვ.11).

იმთავითვე ცხოველი დისკუსია გამოიწვია ისეთმა პრობლემამაც, როგორცაა „ქართლის ცხოვრების“ ინფორმაციის ღირებულების საკითხი.

ქართველი მეცნიერების მიერ, როგორც წესი, „ქართლის ცხოვრება“ კემშარტი ცნობების შემცველ ძეგლად იყო მიჩნეული. XIX ს. ქართველებში ამ თვალსაზრისით წარმოადგენდნენ თავის ძველ ისტორიას.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობებისადმი ამგვარი პოზიტიური თვალსაზრისის განმტკიცებაში თავის დროს დიდი როლი შეასრულეს ფრანგი მეცნიერების ვ. სენ-მარტენის, ვ. ლანგლუას და სხვათა შეხედულებებზე, რომლებიც ხსენებულ ძეგლს შესანიშნავ საისტორიო წყაროდ მიიჩნევდნენ და აღიარებდნენ, რომ მის ძველ ნაკვეთებში მტკად მნიშვნელოვანი ინფორმაცია შემონახული არა მარტო ძველი ქართველების, არამედ სხვა ხალხთა ისტორიაზეც.

ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო გააღრმავდა. ბაქრაძემ. იგი თვლიდა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაწილის კემშარტიცაა, მოთხრობილი ამბების სიამაღველედ ძირითადად დასტურდება მრავალრიცხოვანი სხვა ნარატიული და დოკუმენტური წყაროებიდანაც. დ. ბაქრაძე ყურადღებას მიაქცევდა იმ ფაქტს, რომ „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ნაკვეთში



წინაქრისტიანული ეპოქის ქართლის მმართველები ძირითადად რეალურად არსებული პირები ჩანან, რადგანაც, უცხოენოვანი საკონტროლო ცნობების მიხედვითაც, ამ მმართველების არსებობა უმთავრესად დასტურდება (დ. ბბძ-რბძმ. დასახ. ნაშრ. გვ. 25-80).

ზემოხსენებული თვალსაზრისიდან უკველგვარი გადახვევა, მიუთმეტის, თუ იგი წყაროების მონაცემებისა და ქართული კულტურის ისტორიის ფაქტების ტენდენციურ შეფასებას ეფუძნება, ქართული ინტელიგენციის მწვავე კრიტიკას აწუღებდა. უძველესია, რომ წმინდა აკადემიურ მომენტთან ერთად ეროვნულ-პოლიტიკური მომენტიც იჩენდა აქ თავს.

ახე იყო, როცა 1888 წ., განათლების სამინისტროს ეურნალში გამოქვეყნდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ქეროზე პატკანოვის სტატია, სადაც განხილული იყო „ქართლის ცხოვრების“ შედგენის დრო და მისი როგორც წყაროს ღირებულების პრობლემა. აქტორი დღევანდით ავითარებდა იმ აზრს, რომ „ქართლის ცხოვრებას“ შეიქმნა ვახტანგ VI-ის დროს ძველი წყაროების საფუძველზე. ამ ძველი წყაროს თავდაპირველი, ლიტონად აღწერილი ბირთვი შედგენილი იყო თითქოს, სადღაც XII ს-ში სომეხი ავტორის მიერ. პატკანოვის მტკიცებით, მხოლოდ ამ დროს დაინტერესებულან ქართველები საქუთარო ისტორიით, რომლის მიმართაც ადრე ერთგვარად ინტერესები იყვნენ და სხვ...

ქ. პატკანოვის თვალსაზრისს მკაცრი კრიტიკით უნახუა დ. ბაქრაძემ, რომლის გამოსვლამაც მთელი ეტაპი შექმნა ქართულ ისტორიოგრაფიაში. დ. ბაქრაძემ მრავალრიცხოვანი საუბოებით უჩვენა პატკანოვის თვალსაზრისის სიმცდარე, ის, რომ „ქართლის ცხოვრებას“ ვახტანგ VI-ზე ადრინდელ ეპოქაში იყო შექმნილი და სხვ.

დ. ბაქრაძის შემდეგ „ქართლის ცხოვრების“ პრობლემაზე კამათში აქტიურად ჩაება ი. ჭავჭავაძე. ერთი შეხედვით იგი თითქოს მიზნად არ ისახავდა მეცნიერული საკითხების კვლევას. საამისოდ იგი, როგორც თვითონვე მიუთითებდა, ეფუძნებოდა ქართველ ისტორიკოსთა, კერძოდ, დ. ბაქრაძის ნაშრომებს, სადაც ახსნილი იყო „ქართლის ცხოვრების“ შედგენის დროისა და პირობების, თვით ამ ძველის, როგორც საისტორიო წყაროს, ღირსების საკითხი. მაგრამ ილიამ არაერთი კონკრეტული დაკვირვებაც გამოთქვა ამ თემაზე, რომელსაც საქართველოს ძველი ისტორიის წყაროების შესწავლა-ინტერპრეტაციის საქმეში დამოუკიდებელი ღირებულება აქონდა.

თავისი ეპოქის მეცნიერულ წარმოდგენათა შუქზე ილია მთლიანობაში სწნდო წყაროდ მიიჩნევდა „ქართლის ცხოვრების“ ძველ ნაწილს. ამასთანავე იგი თვლიდა, რომ მისი თითოე-

ული დეტალის მკაცრი წყაროთმცოდნეობრივი კრიტიკული შესწავლა აუცილებელია.

საკითხის ამგვარი დასმა ქართული საისტორიო აზრისათვის იმ ხანებში მეოლოლოგიური თვალსაზრისით აშკარა სიახლე იყო და მას თეორიულად, თუ ნაწილობრივ პრაქტიკულადაც, მერტი უპირატესობა აქონდა „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაკვეთების მიმართ XX ს. დამდგვიდან. ფეხმოკიდებულ და დაკონონებულ მიპერკრიტიკულ კონცეფციასთან შედარებით, იგი უფრო მოქნილად ახამებდა ერთმანეთთან შეხედულებებს ძველი ქართული საისტორიო წყაროების ეროვნული და სამეცნიერო ღირებულების შესახებ. განა ბოლოს და ბოლოს, როცა ფაქტიურმა მასალამ ამისი საშუალება შექმნა, საქართველოს უძველესი ისტორიის რეკონსტრუქცია ქართული ისტორიოგრაფიის მიერ ბაქრაძე-ჭავჭავაძის მიერ გაკავალული გზით არ დაიწყო?

აქვე აღსანიშნავია, რომ ილიასეული შეხედულება „ქართლის ცხოვრებაზე“ ეფუძნებოდა არა მარტო მის დიდ ბუნებრივ ნიჭს, არამედ იმას, რომ მას თავის დროს ღრმად აქონდა შესწავლილი და გააზრებული თვისი ეპოქის მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა.

ილია ჭავჭავაძემ მთლიანად იზიარებდა ქართველ ისტორიკოსთა მიერ შემუშავებულ იმ უძველეს აზრს, რომ „ქართლის ცხოვრებას“ ვახტანგ VI-ზე ადრე, ძველადვე შედგენილი იყო. ამ თვალსაზრისზე დაფუძნებით იგი მკაცრად აკრიტიკებდა პატკანოვს, რომელიც მეცნიერების მიღწევების გაუთვალისწინებლობის გამო „ქართლის ცხოვრებას“ ვახტანგ VI-ის შემოქმედებითი მოღვაწეობის ნაყოფად თვლიდა. ასევე უარყოფდა ილია პატკანოვის აზრს, რომ საქართველოს ძველი ისტორიის შესასწავლი ერთადერთი გამოსადეგი წყარო იყო „სომხური ქრონიკა“, ანუ, რაც იგივეა მისი მტკიცებით, „ქართლის ცხოვრების“ XII ს-ში შედგენილი სომხური თარგმანი. პატკანოვს მცდარად წარმოედგინა სომხური თარგმანის პრობლემა და მიიჩნდა, რომ თუმცა ეს ძველი ქართულიდანა თარგმნილი, მაგრამ თვით იმ ძველი არქიტექციის შედგენილი სომეხი მწიგნობარი უნდა ყოფილიყო.

პატკანოვის კრიტიკისას ი. ჭავჭავაძემ მთლიანად ეფუძნებოდა „ქართლის ცხოვრების“ შექმნის იმ თვალსაზრისს, რომელსაც მისი დროის ქართული ისტორიოგრაფია ცნობდა. ამასთანავე ილიასათვის მეთად მნიშვნელოვანი იყო საკითხის არა მხოლოდ აკადემიური მხარე; არამედ მისი ეროვნული ედერადობაც. ილია სინაშულით შენიშნავდა, რომ პატკანოვის აზრები „ქართლის ცხოვრებაზე“ არა მხოლოდ არამეცნიერული, არამედ ქართველებისათვის შეურაცხყოფილიცაა, რადგანაც საქმეში ჩაუხედავ მკითხველს ჩაუნერგავს აზრს ქართველების კუ-



ლტურული ისტორიის სიღარიბის შესახებ. „გამოდის, რომ მეთორმეტე საუკუნემდე ქართველები ისეთი ბრძოლები უყოფილან, რომ არამც თუ ისტორია არა ჰქონიათ, არამედ ისტორიის საკირობაც ვერ უგრძვნიათ. ასე გვაშკობს, მიწასთან გავსწორებს ქართველებს და მერე რა ხანის ქართველებს? მეთორმეტე საუკუნისგან, მერე ვინ? პროფესორი და მეცნიერ-მწიგნობარი“ (ი. შამჭაბაძე, ქვათა ღალადი, თბზ. 8, გვ. 110).

ი. ჭავჭავაძემ მთლიანად გაიწიარა. აგრეთვე, მისი დროის ქართული ისტორიოგრაფიის აზრი „ქართლის ცხოვრების“, კერძოდ, მისი ძველ ნაწილის ინფორმაციის საწარმოების შესახებ. მას არასწორად მიაჩნდა ამ ძველის მიმართ ცალმხრივი მიპერკრიტიკული აზრი. იგი, ტრადიციისამებრ, იფუძნებოდა ევროპელი მეცნიერების — ფან სენ-მარტენის, დიუბუა დე მონაერეს აზრებს, რომლებიც „ცხადად და გარყვევით ამბობენ, რომ ისტორიულნი მოთხრობანი ღირს-შესანიშნავნი წყარონი არიან არა მარტო კავკასიისა, არამედ აზიის ისტორიისათვისც. ამასთან დიუბუა დე-მონაერე იხსენიებს ქართველებს, ვითარცა ძველის-ძველს ერს, რომელიც უხსოვარ დროთაგანვე ამიერ-კავკასიის დაბაჲდ სდგომია და ყველა სხვა ცნობილთა ერთი თანა ურთიერთობა ჰქონია“ (ი. შამჭაბაძე, ქვათა ღალადი, თბზ., ტ. 8, 111-112. იქვე, გვ. 11).

ილია ჭავჭავაძემ პუბლიცისტური დამაჩერებლობით განმარტა, აგრეთვე, პატკანოვის მიერ საქართველოს ისტორიულ წყაროებზე გამოთქმულ ზოგი სხვა მისაზრების მცდარობაც. დამაჩერების მიხედვით, ილიამ კრიტიკულად გაარჩია XIII ს. სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის ცნობა, რომელსაც პატკანოვი ტყედენციურად იყენებდა იმის საჩვენებლად, თითქმის, სტეფანოსის მიხედვით ძველი ქართული საისტორიო ლიტერატურა, საერთოდ, ღარიბი, მეტად მწირი იყო. ილიამ მკაცრად დაგმო პატკანოვის „მეთოდი“. მისი თქმით, — აშკარაა, სტეფანოსი აქ მთელი ქართული წყაროების სიღარიბეს კი არ სჩივის, არამედ მას, რომ ორბელიანთ გვარის შესახებ სრული ცნობები არ არის ქართულ მატარებელში. სტეფანოსი ორბელიანთ გვარის ბიოგრაფი არის და საკვირველი არ არის, რომ უჩივის ამ მხრივ ჩვენს წყაროებს. პირიქით, სტეფანოსი ხშირად იხსენიებს „ისტორიულ დავთრებს“ და სამეფო არქივებს საქართველოსას. ამ სახით სომეხთა მეცნიერმა კერძო საქმის შესახებ სიტყვა სტეფანოსისა განაწოგადა, გადააყთა თავისებურად და ნაკლი, ერთი ცალკე ამბის შესახებ, მოგვს ჩვენს ისტორიულ წყაროებს ზედ-დააყიდა“. (ქვათა ღალადი, გვ. 112-113).

ზემოთრ ამონაწერიდან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე თავისი დროის ქართული ისტორიოგრა-

ფიის უთანაცნელ მიღწევათა დონეზეა ჩრქოვნილი დაგენდა „ქართლის ცხოვრების“ სწავლობას.

აქვე აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა ტექსტობების თემა ილიას ისე არ ესმოდა, თითქოს საკიროა ამ ძველის მთელი ინფორმაციისადმი ბელადებთან დღობა. ამ საკითხზე შეჩერება ახლა თუნდაც იმიტომ-მა საკირო, რომ არ დავგრჩეს მცდარი წარმოდგენა, თითქოს XX ს. დამდეგამდე ქართველ ისტორიკოსებს „ქართლის ცხოვრებაში“ ყველაფერი ერთი ხელის მოსმით, უტყვევლ ტექსტობიტებად მიაჩნდათ. პროფესიონალ მეცნიერთა ერთი ნაწილი და თვით ილია ჭავჭავაძე ზემოხსენებული ცნობებისადმი ფხიზელ კრიტიკულ მიდგომას იჩინდნენ.

ილია შორს იდგა იმ აზრისაგან, თითქოს მის დროს საქართველოს ისტორიის ყველა ფაქტი უკვე სათანადო სისრულით იყო შესწავლილი. იგი არაერთგზის მოითხოვდა, რომ საქართველოს ისტორია კრიტიკულად უოფილიყო გააზრებული. მაგრამ იმასაც თხოულობდა, რომ ამ ისტორიის კრიტიკული შესწავლით გატაცებისას ძველ ეროვნულ წყაროებში მოხსენებული ყველა ფაქტი ზღაპრად არ უოფილიყო მიჩნეული. საკირო იყო, მაშასადამე, წყაროების მოწინავეების ობიექტური, ყოველმხრივი შესწავლა და ამ გზით დამაზოთებული წარმოდგენების შემუშავება. ილია ჭავჭავაძის ეს პოზიცია კარგად ჩანს მის მიერ „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაწილის ზოგიერთი ადგილის კომენტარებისას.

ი. ჭავჭავაძე მოითხოვდა თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში „ქართლის ცხოვრების“ ცნობებში სხვა წყაროების მოწმობითაც გაკონტროლებულიყო და მხოლოდ ამის შემდეგ ემსჯელათ მათ სიავარტეზე, ასე შემოეტანათ იგი სამეცნიერო ბრუნვაში. „ქართლის ცხოვრების“ ცნობებისადმი ამგვარი მიდგომა მეტად პროდუქტიულია და მეცნიერულად გამართლებული იყო. ამ გზით ქართული საისტორიო აზრი ცდილობდა ერთმანეთთან შეეთანხმებინა „ქართლის ცხოვრების“ ცნობებისადმი ნდობის გრძნობა და მისადმი კრიტიკულ დამოკიდებულება. ეს პოზიცია, რომელმაც ახალ დონეზე თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაშიაც მოიკიდა ფეხი, საქმოდ განსხვავდებოდა მიპერკრიტიკული თვალსაზრისისაგან, რომელიც ილიას შემდგომ ეპოქაში დიდი ხნის მანძილზე გაბატონდა.

ილია ჭავჭავაძე ფხიზელ, რეალისტურ დამოკიდებულებას „ქართლის ცხოვრების“ სხვა სიუჟეტური ადგილების მიმართაც აჩენდა. იგი, მაგალითად, რეალისტურად მიიჩნევდა ფარნავაზის ცხოვრების ციკლს და მკაცრად აფანებდა ივ. ჭაბადარის აზრს, თითქოს ფარნავაზის ისტორია სანდო არაა, რადგანაც სხვა წყაროებში არ დასტურდებოდა. (ამ ისტორია, გვ. 83).

სრულიყოფილად ესმოდა ი. ჭავჭავაძეს, აგრე-



თვე, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობათა ღირებულების საკითხიც. ახლებური იყო მისი ის თვალსაზრისი, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება დამოუკიდებელი ნაწარმოებია. ილია სწორად აფასებდა დავითის ისტორიკოსის ინფორმაციის ღირებულებასაც. იხსენებდა რა ამ ისტორიკოსის ცნობების აღმაშენებლის ფართო მწიგნობრული განათლების შესახებ, ილია ამ მოწმობის ღირებულებას იმაში ხედავდა, რომ ის თანამედროვესა და თვითმხილველის აღწერილია. ილიას აზრით, „ყოფიყვება ამის ზომე მისი მნახველი, მასთან უსოფლიო მოგვითხრობს“ (აი ისტორია, გვ. 83). დავით აღმაშენებლის ისტორიის ცნობათა ამგვარი შეფასება, რომ მათ ღირებულებას ზრდის ავტორის მიერ აღწერილ ამბავთა თანამედროვეობა და თვითმხილველობა, ქართველ მეცნიერებანში, თუ არ ვცდებით, სავსებით ახალი სიტუაცია იყო. ეს თვალსაზრისი ქართულმა პროფესიულმა ისტორიოგრაფიამ ოდნავ მოგვიანებით დაასრულა და განამტკიცა. ასე, მაგალითად, მხოლოდ 1898 წ. ი. ჭავჭავაძის „ი ისტორიის“ გამოქვეყნებისთანავე ოთხი წლის შემდეგ ამ საკითხს ანალიტიკური კუთხით იხილავდა თ. უორდანი, რომელიც წერდა: „მატიანეში (ე. ი. დავითის ისტორიკოსის თხზულებაში — შ.ბ.) იპოვება მრავალი ცხადი ნიშნები იმისა, რომ მემატიანე თვითმხილველია მისგან აღწერილ ამბავისა“. „შეთელი უკანასკნელი ნაწილი მატიანის ისეთის გრძნობით და კილოთი არის აღწერილი, ისეთის მწუხარებით არის აღბეჭდილი, თითქოს მწერალი ახალს მკვდარს დასტორის და მოსთქვამს“. მოგვიანებით დავითის ისტორიკოსის ცნობათა მაგალითი ღირსება ამ ავტორის მიერ აღწერილი ამბავის თვითმხილველობა — თანამედროვეობაზე მითითებით, ვრცლად დაახასიათა ივ. ჭავჭავაძის მიერ.

თავის ნაწერებში ი. ჭავჭავაძემ, აგრეთვე, იყენებდა „ახალი ქართლის ცხოვრების“ მონაცემებსაც. ამ მახალით გადმოსცემდა იგი, მაგალითად, გიორგი სააკაძის და ლუარსაბ II-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების პერიოდებს. ი. ჭავჭავაძემ მიუთითებდა კიდევაც ამ საკითხზე მის მიერ გამოყენებულ წყაროს.

ი. ჭავჭავაძემ სხვა არაერთი ნიმუშიც მოგვცა იმისა, თუ როგორი ფრთხილი ისტორიულ-ფილოლოგიური მიდგომა იყო საჭირო, ქართლის ცხოვრების,“ იხე როგორც საერთოდ, ძველი ქართული წერილობითი წყაროების შესწავლის და ახსნა-განმარტებისათვის. ასე, მაგალითად, „ქართლის ცხოვრებაში“ იკითხება, რომ თამარ მეფის ძის გიორგი ლაშას დაბადების დროისათვის ქართველებმა „პირველად შემყრელთა ბედს და სუტსა ლაშასა... მიმპართეს ბარდავად“. ამ ადგილის განმარტებისას ი. ჭავჭავაძემ აღნიშნავდა, რომ ტექსტის მი-

ხედვით, გიორგის დაბადების დღიდან ეს პირველი გალაშქრება იყო და სიტყვები „შემყრელთა“ და სხვა ზედა ლაშასა“ უფრო სიტყვის გასაღამაზებლად არის მთხორობილისაგან. ვიდრე რაიმე აზრის დასაბუთებისა და დასკვნისათვის. ი. ჭავჭავაძე დასძენდა, რომ ეხლაც კი ამბობენ ხოლმე, „ამის ბედზე წავედით“. განა აქ „ბედი“ წახვლის მიზეზად იგულისხმება და არა სიტყვის მახალად? (აი ისტორია, გვ. 88).

„ქართლის ცხოვრების“ მიმართ უურაღებია ი. ჭავჭავაძის განსაკუთრებით მოცალა 80-იანი წლებიდან, როცა უკვე სისტემატურად მუშაობდა საქართველოს ისტორიის საკითხებზე. სწორედ ამ დროიდან იჩენდა ილია კრიტიკულ მეცნიერულ დამოკიდებულებას ძველი ქართული საისტორიო ტრადიციისადმი.

ადრინდელ პერიოდში კი ილია მეტი უშუალოებით, ძირითადად, მხატვრის თვალთ აფასებდა ძველ ქართულ საისტორიო ტრადიციას და საკუთარ მწერლურ შემოქმედებაში ქარბად იყენებდა მას. ამის საუკეთესო მაგალითია ილიას „აჩრდილი“, სადაც ფილოსოფიურ-პატრიოტული კონცეფციის ჭრილში მოქმედებენ სახეები ფარნავაზისა და ალექსანდრე მკველიანელისა, რომელმაც, ძველი ლტენილის თანახმად, ქართლიც კი დაიპყრო (ი. შავჭავაძე, „აჩრდილი“ თხ. ტ. 1, გვ. 145-146).

„ქართლის ცხოვრების“ სიუჟეტების საფუძველზე შექმნა ი. ჭავჭავაძემ აგრეთვე თავისი ბრწყინვალე საისტორიო პოემა „დამიბტრი თავდადებული“, რომლის ქარბაც აღებულია მონღოლთა ეპოქის საქართველოს თავდასავლის აღმწერი ქართული ავტორის, ე. წ. შემთავადმწერლის თხზულებიდან.

საქართველოს ისტორიული წარსულის აღსაღენად „ქართლის ცხოვრების“ ვარდა ი. ჭავჭავაძე იყენებდა სხვა ქართულ წერილობით საისტორიო წყაროებსაც. ამ შემთხვევაშიც, იგი თავისი დროის მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების დონეზე იდგა.

ი. ჭავჭავაძემ საფუძვლიანად იცნობდა ძველი ქართული საისტორიო მწერლობის შესანიშნავ ნიმუშს „მოქცევაჲ ქართლისაჲს მათიანეს“, რომელიც მეცნიერებისათვის გასული საუკუნის მიწურულს ვახვა ცნობილი. იმთავითვე ამ ძველის დათარიღებაზე თავი იჩინა აზრთა სხვაობამ. საბოლოოდ მის თარიღად IX ს. აღიარეს. ამგვარი დათარიღება ძალზე ადრე გვხვდება ი. ჭავჭავაძესთან, რომელიც აღნიშნავდა: „ყოვლად უცილობელი თარიღი IX საუკუნეა“ (აი ისტორია, გვ. 95).

საქართველოს ისტორიის წყაროებზე ი. ჭავჭავაძის ცოდნის ერთერთი საინტერესო მოწმობაა მისი წერილი მარჯორი უორდროპისადმი, სადაც ილია ინგლისელ მკვლევარს, ქართული სიძველეების დიდ მცოდნეს, განუმარ-



ტავდა „წმ. ნინოს ცხოვრების“ ზოგიერთ ადგილებს.

მარჯორი უორდროპის შეკითხვები ენება „წმ. ნინოს ცხოვრების“ ე. წ. ახალი, ანუ, რაც იგივეა, შატბერდული ვერსიის და მ. საბინისიხეული გამოცემის ადგილებს, სადაც ნათქვამია:

1. „მათ ფაშითაგან მეთესა წელსა წარვიდა იმენი იერუსალიმად ძიებად პატოხნისა ჭურისა და მეთათხმეტესა წელსა ივტოლა დედაკაცი ვინმე მეფეთა ევადაგი, სახელით რიფსიმე“.

11. „...და მოიწივნეს ლტოლვილნი არითა და სანაქებთა სომხითისათა, ადგილსა მას რომელსა ბრქვიან ახალქალაქი, უორდრ შენებულსა, რომელ არს ღვინი“.

ი. ჭავჭავაძემ სათანადო განმარტება აახლა მარჯორი უორდროპის მისთვის საინტერესო ისტორიულ-ფილოლოგიურ საკითხებზე,

აი ეს განმარტებაც, რომელიც მოგვყავს გ. შარაძის მიხედვით:

„ვადაგი — წერს ილია — იხმარება „ნინოს ცხოვრებაში“ (ახალი ვარიანტი, გვ. 18), ხოლო „ქართლის მოქცევაში“ (იხილეთ სამი ხრონიკა, გვ. 18-14). ამ სიტყვის მაკიერ ნახმარია „ევადაგი“, მნიშვნელობა ამ სიტყვებისა ძნელი სასხნელია. შინაარსის მიხედვით უნდა გადაითარგმნოს იეს, როგორც სხვა ვარიანტებშია, ესე იგი „ნათებავი“ ანუ „ტომი“ მეფეთა. შეიძლება ორივე ადგილას ხელნაწერში შეცდომა იყოს და ორივე შემთხვევაში ეგ სიტყვა ნახმარი იყოს „დარგი“-ს მაკიერ.

„ქინძარი“ და „ღარტი“ ადგილის სახელეზბოა მცხეთის მახლობლათ. კვართი უფლისა ჩაფლულია სვეტი ცხოვლის ქვეშ სიღონისათვ ერთად. იმ ადგილზე, სადაც კვართი იყო ჩაფლული სასწაულით აღიმართა სვეტიცხოველი. შაპ-აბაზი ჩემოხდა, რომ კვართი უფლისა მექამოვიღეთ და 1625 წელს ვითომ ეს კვართი ეადრე გაეგზავნა რუსეთში მიხაილ თევდორეს ძეს და რუსები ამზობდენ შრავალი სასწაული და კურნება მოახდინა კვართმა მოსკოვშიო, მაგრამ როდესაც რუსის მართებულობამ შეკითხვა მეფე ალექსანდრეს 1628 წელს, მართალია თუ არა, რომ შაპ-აბაზმა წაიღო კვართი, ალექსანდრემ უპასუხა, რომ კვართი არავის არ წაუღია და აქამომედ ძეგს მცხეთის საუდარშიო. ესევე მოახსენა რუსებს ნიკიფორე მიტროპოლიტმა 1641 წელს (ყველა ამაზეზე იხილეთ Белокуров, Дело о присылке Шахом Аббасом ризы Господней царю Михаилу Федоровичу в 1625 г. Москва, 1891 г.)».

საქართველოს ისტორიის წყაროებიდან ი. ჭავჭავაძე იცნობდა აგრეთვე, ანტიკური და ბიზანტიური ავტორების ცნობებს ქართველებსა და საქართველოზე. იგი არაერთხელ აცტირებდა

ბდა მეროდოტეს, სტრაბონს, კლავდიუს ტოლემეოსს და სხვ, რომელთა ცნობების მიხედვითაც ცდლობდა ძველი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პრობლემების გარკვევას. ილიამ, მაგალითად, პტოლემეოსის ცნობა გამოიყენა „კასპიის კარის“ ლოკალიზაციისათვის. მისი აზრით, ევ. ჭაბადარი შემდგარი იყო, როცა იგი „კასპიის კარად“ დარუბანდს მიიჩნევდა, ვინაიდან „პტოლემეოსის“ გეოგრაფიკთ „კასპიის კარი“, ანუ „ქართლის ცხოვრების“ „ზღვის კარი“ დარუბანდის დასავლეთით არის თურმე.

ისტორიული სამხრეთ საქართველოს ეთნიკური თავგადასავლის საჩვენებლად ი. ჭავჭავაძეს მარჯვედ შემოაქონდა X ს. ბიზანტიელი ავტორის კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებიც, რომელთა საფუძველზეც ილია უარყოფდა ზოგიერთ ნაშრომში გატარებულ მკვდარ შეხედულებას თითქოს ზემოხსენებული მხარე სომხური იყო. ი. ჭავჭავაძის მითითებით, „უსუნოვო ერის მემკვიდრენი, მადალითაც კონსტანტინე პორფიროგენი (911-959 წწ) იმოწმებდა, რომ მეთე საუკუნეზე წინათ ქართველთა ბაგრატიონთა ეტირათ კოროხის ნეომა და აქედან დიპაყრეს თეთი არწრუმის და სხვა ნაწილები სომხეთისათა. თუნდ ესეც არ თქვით, მთელი კოროხის ხეობა, როგორც უკვე ვთქვით, საცხეა ქართულის ეკლესიებითა და მონასტრებითა ქართული-სავე ზედ-წარწერებითა და ზოგნი ამათგანი ცაუთვისს მერვე-მეცხრე საუკუნეს“.

ი. ჭავჭავაძის სამეცნიერო-პუბლიცისტურ ნაშრომებში არაერთხელ ვხვდებით საქართველოს ისტორიის საკითხების გაშუქებისას სომხური წყაროების გამოყენების ფაქტებსაც.

ერთგან ი. ჭავჭავაძე აცტირებდა მოვსეს კალანკატულის ტექსტს, რომელსაც იგი იცნობდა ქ. პატკანოვის რუსული თარგმანის მეშვეობით. ციტატა ენება ღვინის საეკლესიო კრებას, რომლის მონაწილეებს სომეხთა კათალიკოსმა აბრამმა ქართველობა შეუჩვენა და აუკრძალა სომხებს ვაჭრობის გარდა რაიმე ურთიერთობა შეენარჩუნებინათ ქართველებთან. (ჭვათა ღაღადი, გვ. 114-115).

ი. ჭავჭავაძეს თავისი დროის არმენისტის სამეცნიერო მიღწევათა დონეზე ესმოდა ფეოდალური სომხური ისტორიოგრაფიის ერთერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის მოვსეს ხორენაცის თხზულების დიარბეულების საკითხიც. ცნობილია, რომ XIX ს. ბოლო მეცამედიდან, განსაკუთრებით 80-იანი წწ-დან, მოვსეს ხორენაცის მოღვაწეობის დროისა და მისი თხზულების სამეცნიერო ღირებულების საკითხზე გავრცელება ჰქონდა უარყოფითმა, ნეგატიურმა თვალსაზრისმა. ამ თვალსაზრისის ი. ჭავჭავაძე იყენებდა ქ. პატკანოვთან კამათისას (ჭვათა ღაღადი, გვ. 117).

სომეხი ისტორიკოსებიდან ი. ჭავჭავაძე



იქნებოდა, აგრეთვე, სტეფანოს ტარონელის (ასლიკის) არისტოკრატულ-ლახტიკერტულის, შაო-საკუთრებულ ურადღეობას მიჰქცევდა იგი ზემო-სხენებელი ისტორიკოსების ცნობებს ქართულ-სომხური ურთიერთობის, ქართველი მეფეების სომხი ხალხისადმი კეთილდამოკიდებულების შესახებ. (ქვათა ლაღად, გვ. 140 მისი 30 „ღვთო აღმაშენებელი“ (თხზ. ტ. 1, გვ. 181-182).

ი. ჭავჭავაძე ვრცელად განიხილავდა ვახტანგ VI-ისა და პეტრე I-ის ურთიერთობის ამსახველ სომხურ წყაროებსაც: პატრიარქი ახაია, ვარდაპეტი მინასი, მინას პრეზვიტერის მიმწერა ვრცელის მთავრობისადმი (ქვათა ლაღად გვ. 148-148).

ი. ჭავჭავაძეს გათვალისწინებული ჰქონდა, აგრეთვე, საქართველოს ისტორიის არაბულ წყაროებში, დავით აღმაშენებლის შესახებ პოლიტიკური, კონფესიური ურთის დასახსიათებლად შას მოქაყდა აღაინის ტექსტი, სადაც არაბი ავტორი ვრცელად მოგვითხრობს დავით აღმაშენებლისა და დიმიტრი I-ის კეთილდამოკიდებულებასზე თბილისელი მამადიანებისადმი.

საფუძვლიანად იცნობდა ი. ჭავჭავაძე, აგრეთვე, საქართველოს ისტორიის დასავლეთ-ევროპულ და რუსულ წყაროებსაც: შარდები (ქვათა ლაღად, გვ. 142) იაზიკოვის და ლკოვის წერილები (იქვე, გვ. 151) და სხვ.

ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებული ენთუზიაზმით იცნობდა საქართველოს უძველესი ისტორიის ძველადმოსავლურ მასალებს.

XIX ს. შუა ხანებიდან ორიენტალისტური მეცნიერების სწრაფმა დაწინაურებამ და ძველი აღმოსავლეთის — ასურული, ურარტული წყაროების წყაიბვამ და სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანამ ახლებურად დააქნა ძველი აღმოსავლეთის მთელი რიგი ხალხის, მათ შორის ურარტულეთა ეთნიკური ვინაობისა და კავსის დაწარჩევა მოსახლეობასთან მისი მიწათმფლობელების საქაიბი.

თავისი მშობლიური წარსულის მეცნიერული ამტკუველებით დაინტერესებული ქართული ისტორიოგრაფია იმთავითვე დიდი გტაცებით შეუღდა ევროპული ორიენტალისტის ზემო-სხენებელი მიღწევების გაცნობა გამოუქნებას, ამ ზნით სცადა გაედრმავებინა საქართველოს უძველესი ისტორიის ეთნოგენეტური პრობლემების კვლევა, რათა იგი პოზიტურ მონაცემებზე შეეყენებინა და გადაეკლამა წინა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის აშკარა ჩამორჩენილობა, რაც გამოიხატებოდა ქართველთა უძველესი ისტორიის უმთავრესად „ქართლის ცხოვრების“ სქემითა და ანტიკურ ავტორთა ცნობების შეზღუდული რაოდენობის გამოყენებაში, ახალი ეტაპი ქართულ ისტორიოგრაფიაში საინტერესო იყო იმიტომაც, რომ ქართველ-

თა ეთნოგენეტურ საკაიბებს იგი უძველესი და წინა აზიისა და ამიერკავსიის მეზობლობების უძველეს მოსახლეობასთან ნათესაობის მტკიცებას.

ამ თვალსაზრისის შექმნას და გავრცელებას იმთავითვე ხელი შეუწყო თვით დასავლურ მეცნიერებაში გაშლილმა კვლევა-ძიებამ, რომლის თვალსაზრისი წარმომადგენლებიც თავის დროს წინა აზიის და სამხრეთი კავსიის უძველესი მოსახლეობის ეთნიკურ დიფინიციას უუოქმანოდ ახდენდნენ მათი ქართულ ეთნიკურ სამუაროსთან გაიგივების ზნით.

ასე, მაგალითად, ასურული წერილობითი ძეგლების გამოკვლევისა და შესწავლის შედეგად „ზიხლიაში“ მოხსენებული თუხალი და მე-შეხი, რომელთა არსებობაც ადრე იქნებავინმეს არარალურადაც მარნდა, ახალი კვლევა-ძიებით 11-1 ათასწლეულებში ნაზღვილად არსებულ ტომთა კავშირებად თუ სამეფოებად იქნენ მიჩნეულნი... იმთავითვე შეიქმნა, აგრეთვე, აზრი მათი ქართველობის შესახებაც. ქართველებად თვლიდნენ მათ, მაგალითად, თავისი დროის დიდი ორიენტალისტები — მასპერო და ლენორმანი.

არაბულნი დიდი ენთუზიაზმით ცდილობდა ზოგიერთი მეცნიერი ურარტული სამუაროს ეთნიკური იერის განსაზღვრასაც, რასაც იხინი, აგრეთვე, მათ ქართულ ეთნოსთან გაიგივების ზნით ახდენდნენ.

თანამედროვე მეცნიერებაში ხშირად დაობენ მუშქებისა და თუხალების ქართულ ეთნოსთან გაიგივების შესაძლებლობაზე, თუმცა ამ თვალსაზრისს მომხრეებიც გააჩნია. ამასთანავე ქართველთა ეთნოგენეტური პრობლემების კვლევისას ახლა მთავარი უურადღეობა ექცევა საკაიბის იმ კუთხით გააზრებას, რომ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა-ქ მოსახლე ტომთა უწყვეტ ბინადრობას. მოიხსნა, აგრეთვე, ქართულ სამუაროსთან ურარტულის პირდაპირი იდენტიფიციციების შესაძლებლობაც.

მიუხედავად ამისა, თავის დროს XIX ს. მეორე - XX ს. პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფია მინც ვატაცებული იყო წინა აზიის და სამხრეთ ამიერკავსიის უძველეს მოსახლეობასთან ძველი ქართული ტომების ნათესაობის თვალსაზრისით, რამაც თავისებურად დადებითი როლი შეასრულა, ხელი შეუწყო საქართველოზე ძველადმოსავლური წერილობითი მასალების სისტემატიზირებას, ახალი ფაქტების გამოკვლენას ძველი საქართველოს ენისა და სულიერი კულტურის სფეროში, რაც თითქმის ქართველთა ეთნოსის ძველ აღმასა-

შობა ბაღჩიძემ ილიის ჭავჭავაძემ და საპარტიპელოს ისტორიი



ვლურ ხალხებთან ხანგრძლივი კონტაქტების გზით შეიძლება იყოს შეძენილი.

ზემოაღნიშნულმა კონცეფციამ დიდი როლი შეასრულა, აგრეთვე, ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეოლოგიაშიც, რადგანაც ქართულის ძველ აღმოსავლურ ცივილიზაციასთან იდენტიფიკაციის გზით ჩვენი ერის იდეოლოგიური მესაქეები საკმაო ეფექტიანობით ახდენდნენ ქართველი ერის კულტურის უძველესი ძირების დემონსტრირებას, ამ გზით თვით ქართველთა უძველესი ცივილიზაციის შემქმნელ ხალხად მიჩნევას, იმ დროს, როცა ცარიზმის რეაქციული რეჟიმი გამაფრებით ცდილობდა ქართველი ერის ეთნიკური ინივიდუალობის მოშლას, რისთვისაც ხშირად მას ღარიბი კულტურის მქონედ, ან ჩამორჩენილ ხალხადაც კი მიიჩნევდა ხოლმე. ისტორიული მასალის ამგვარი პუბლიცისტური წარმოჩენა, სრულიად ბუნებრივია. ილიასა და მისი თანამედროვეობის მიერ მათი თანამედროული მეცნიერების მიღწევათა დონეზე სწარმოება.*

ასე უნდა წარმოვიდგინოთ ი. ჭავჭავაძის ცდა გაეაზრებინა ქართველთა და კავკასიის უძველეს მკვიდრთა (ურარტუელთა) ეთნიკური იფივობის აზრი. თუმცა იგივე ი. ჭავჭავაძე ასევე კარგად იცნობდა სხვა მეცნიერთა აზრსაც, რომლებიც ურარტული ენის საბოლოო განსაზღვრის საკითხს ჯერ კიდევ გადაუჭრელად მიიჩნევდნენ და თვლიდნენ, რომ ამ რთული პრობლემის საბოლოო გადაჭრა ჯერ ისევ სამომავლო საქმა და მასში ქართული ენის მცოდნეთა მონაწილეობა უთუოდ შედეგიანი იქნებოდა.

საქართველოს ისტორიის წუართა შორის ი. ჭავჭავაძის მნიშვნელოვან მასალად ესახებოდა არქეოლოგიური მასალაც, რაც მის დროს

არქეოლოგიის როგორც დარგის თითქმის არარსებობის ვითარებაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი მოსაუენებელი იყო. ამიტომაცაა, რომ ილიას დროს ადგილი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული განათხარის მასალების არასწორ ინტერპრეტაციას და მის საისტორიო მიმოქცევაში შემოკანას. ასე მოიქცა ბაიერნი, რომელმაც სამთავროს ტერიტორიაზე მონაპოვარი სამარხების ძვლები ძველი ქართველების განხალისების ნაშთად მიიჩნია. საქმე კი სულ უბრალოდ იყო ასახსნელი, რადგანაც სამარხებში ძვლები არეული იყო იმიტომ, რომ ამ ადგილებს ძვირფასეულობის მძებნელთა ხელი მოსვედრდა. არასწორად წარმოვიდგინა ბაიერნს სამარხეულთა დათარიღებაც. ისინი გვიანდელ ხანას ეკუთვნოდნენ.

ი. ჭავჭავაძემ მკაცრად გააკრიტიკა ბაიერნი და უწედა, ვინც მის დაუსაბუთებელ აზრს გაიზიარებდა.

უდიდეს ადგილ უთმობდა ი. ჭავჭავაძე თავის მხატვრულ თუ პუბლიცისტურ შემოქმედებაში ქართულ ეთნოგრაფიულ მასალას და ძველი ქართული მწერლობის მონაცემებსაც, რომელთა გათვალისწინებითაც ცდილობდა იგი ქართველი ხალხის წარსულის მთელი რიგი მომენტების წარმოადგინას.

ყოველივე ზემონათქვამი გვიჩვენებს, რომ ი. ჭავჭავაძეს ფართოდ ჰქონდა შესწავლილი და გააზრებული თავისი დროის ქართული ისტორიოგრაფიის წუართმცოდნეობითი ბაზაცხადია, ეს გარემოება მის დიდ წოგად ისტორიულ-ფილოსოფიურ მომზადებასთან ერთად გახდა მისი პირობა, რამაც ი. ჭავჭავაძეს საშუალება მისცა თვალსაჩინო კვალი დაეჩინა საქართველოს ისტორიის მეცნიერულ განვითარებაზე.

* ი. შანშუბაძემ, ჭვათა დაღადი, გვ. 175. გ. მელიქიშვილის სამართლიანი შენიშვნით, ,,ი. ჭავჭავაძის გამოსვლამ XIX ს. 80-90-იან წლებში დიდი როლი შესრულა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების, მათი თავისთავადობისა და ახიმილატორთა შემოტყევისხანგად დაცვაში. ილიამ თავისი დროის გამოჩენილი

ნილი ევროპელი მკვლევარების ნააზრვის საფუძველზე იწყო მგზნებარე პუბლიცისტური მტკიცება იმისა, რომ თვით ლურსმული ნაწერი ჭვანიც კი დაღადებენ იმათ წინააღმდეგ, ვისაც სურს ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიული წარსული უარყოს“.



ზოგირითი ხელნაწერი ნუარო ილიას შესახებ

ილია ქვეყანადის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ კვლევა-ძიებას მომავალში ბევრი საინტერესო მონაცემი შეავსებს.

მკითხველს გვინდა გავაცნოთ ზოგიერთი მასალა, რომელიც გამოხატავს ილიას ღვაწლს და გვიჩვენებს თანამედროვეთა დამოკიდებულებას ამ დიდი ერისკაცის მიმართ.

1873 წელს, მისში ქართველი ინტელიგენციის მიერ გამართულ გამოსაშვებელ ნადიმზე დღეშეშე, რუსულ ენაზე, სიტყვა წარმოსთქვა იმ დროს წარჩინებულმა მოღვაწემ, ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა, (პროფ. ს. ხუციშვილის მიერ თარგმნილი ტექსტი მოგვაქვს მთლიანად.)

ს ი ტ ვ ა

წარმოთქმული დღეშეშის განყოფილების ყოფილი მოსამართლის თავად ილია გრიგოლის ძე ქვეყანადის მიმართ

თქვენი ჩვენს შორის სამსახურებრივი საქმიანობის დღეთა დასასრულს ჩემგან და აქ შეკრებილი თქვენი თანამშრომლებს, საზოგადოების სახელით თავს ნებას მივცემ რამდენიმე სიტყვა გითხრათ.

სამსახურებრივ ასპარეზზე მ წლის განმავლობაში ყოფნისას მომრიგებელ შუამავლად და მომრიგებელ მოსამართლეობის, თქვენ ორი როლი ითამაშეთ, როლი სამსახურებრივ, სამსახურის პირობათა და მოვალეობათა მიხედვით, ანუ, სხვა სიტუციებით, სამსახურებრივი მოვალეობისა და როლი კერძო ადამიანისა, საზოგადოების წევრისა. ვფიქრობ, სამსახურებრივი როლი იოლია, ადვილად შესასრულებელია, რადგან იგი ჩასმულია კანონთაგან ნაბრძანები ფორმის ჩარჩოში. სცენა მისი ბიუროკრატიულია, გონებისა და თვალისათვის მისაწვდომი. ეს როლი თქვენ ითამაშეთ პატიოსნად და ღირსეულად. მაგრამ, მეორე როლი კი, კერძო ადამიანისა, ძნელია. იგი მოითხოვს მახვილ გონიერებას, დროთა იდეებისა და კერძო ადამიანის ირგვლივ შემოკრებილი ხალხის ზნეობასა, ჩვეულებებსა, წინაზრახვასა და მრავალმხრივად გამომჟღავნებულ უნიანობასთან შეგუებას.

თქვენ ბრძნულად, ფრიალ ბრძნულად ითამაშეთ ეს როლიც.

კერძო ადამიანობაში თქვენ ყველას თანაზიარი იყავით. თანაზიარობა ესე, როგორც განსაკუთრებული ღვთაებრივი ღირსება, როგორც ნაყოფი საუკეთესო აღზრდისა, როგორც მაღალგვაროვანთა მემკვიდრეობა, თქვენ პატეტურ სიმალღებებში აღიხანეთ. მათთან ერთად მოზიემ თქვენი სული თქვენს ირგვლივ შემოკრებილთა გონებასა და გულს ჩასწვდა. თქვენმა, კითარა ჩანვის სიმების უღერისაგან აღძრულმა გონებამ და გულმა შექმნეს და შეადგინეს თქვენს მიმართ ის სიმპატია, რომელიც თვისი ბუნებით ხელოვნურად არ იწოდება, არამედ, ნება მომცემი ვიხმარო გამოთქმა, გულთა შემეცნების გაგების ბუნებრივი ინსტიქტი.

ჩვენ დიდხანს ვტკებოდით ამგვარი სიმპატიით, (მისი არამიწერი და ხულით უკვდავი სიამოვნებით იმ დროისა) თქვენ დაგვგალობდით ამ შთამაგონებელ სიამოვნებას. ისინი თქვენი წყალობით არიან დაწყებულნი.

ამ ქვეყანაზე არაფერია დაუსრულებელი. მუჯა დღემდება მაშინ, როცა შესაკრავე არ არის.

დიდხანს გაგრძელებდა ჩვენი ასეთი გულისხმობა თქვენს შემდეგაც. ამ კითხვაზე პასუხს დრო გასცემს. შემთხვევანი ყოველთვის და მუდმივად დროსთან არიან დაკავშირებულნი. დროთა ღვთაებამ თვით ინება მომავლის ცნობა, მაცხოვრის სიტუციებითაც, თავის მოწაფებს რომ უთხრა, ცათა გონების გმირთ ქვეყანაზე: „არა თქვენი არს ცნობა უამთა და წელთა, რომელი იგი მამამან დასხნა თვისითა კლემწიფებითა“ (საქმეთა წმიდათა მოციქულთა, 1, 7).

ადამიანის ცხოვრებაში არის დრო, როცა კმაყოფილებანი არ ეთანხმებიან წელთა, ან წლები არ უთანაგრძობენ კმაყოფილებათა. ამისთანა დროს, მე წინასწარმეტყველი არა ვარ, მაგრამ ჩემში წინასწარმეტყველებს გონება, იგი წინასწარმეტყვეტს ანუ წინასწარმეტყვეტს, ამიტომაც წარმოვთქვამ სახედისწერო აზრს: „არა, აღარ იქნება ის, რაც იუო თქვენსობას“.

ვფიქრობ, ამიერიდან ჩემი სიტუცავ უღონო იქნება, იგი ვეღარ მონახავს იმ ნიდაგას, რომელიც მიიღებს მასზე მონუნულ აზრთა თესლს, გამოთქმა და ბგერაც კი ამ სიტუციას იქნებიან, ან შეიძლება იყვნენ ზედმეტნი, არა დროულნი.

ისინი იქნებიან ადგილობრივი მანქანებისა, აღ-
მაშფოთებულნი ჯანებისა, სმენის სხვაგვარი
განწყობილებისა.

თანაგრძნობა თქვენს შიშარბა იყო მგზნებარე,
თქვენ ყველას უყვარდით, რადგან თქვენ აღ-
მოაცენით ყველას საყვარელი თქვენს შიშარბა.
სიყვარული აღმოცენდება გულიდან, თუ არ
იქნება იგი შეძრული გარეშე ძალადა. ისევე,
როგორც არ შეიძლება იყოს ხმა, თუ ლილიონი
არ გამოისცემს დარტყმით და არ შეარხებს
პაერს.

თქვენი მიღიხარო ჩვენგან, თქვენი მუშა, ვი-
თარცა გენია სოკრატესი, არ მიგატოვებთ
თქვენ, მოინახება კი სხვა მუშა, შთამაგონებელი
სიამოვნებათა, რომ თქვენს მუშაზე აღარ ვი-
ნაღვლოთ? ხომ არ იქნება იგი ის მუშა, რომ
მელხაც მომღერალი სიყვარულისა ტიბული
სიმწარით, ნაღვლიანად, მკმუნვარედ იცილებ-
და თავიდან, როგორც უნაყოფოს შეყვარე-
ბულთათვის:

„შორს ჩემგან მუშებო, თუ შეყვარებულთ
არ დაეხმარებთ!“

თქვენთან, თქვენს მუშასთან ვამოახოვებისას,
ჩვენ გავსურს (დვი, ეს სურვილი თქვენი გუ-
ლის სურვილიც იყოს), რომ კვალი თქვენი,
კვალი თქვენი მუშისა, დამჩნეული ცხოვრების
პორტრეტზე და ნიადაგზე, მიმინუნებელი
ყოფილიყოს მომავალი თაობის ურთიერთობათა
ნათელ, ნაყოფიერ საქმეშია... კერძო მნიშვნე-
ლობისა და საზოგადოების წევრის სარბილზე
ვრცელი, ფართო, როგორადაც ვრცელია გული
ადამიანისა მისი შეგრძნებებით და რომელიც
არ არის შეზღუდული სხვა ფორმებით, გარდა
ზრდილობიანობისა და თავაზიანობისა.

წარმოსთქვამ თქვენს სადღეგრძელოს!

ა. აისხელიანი

24 მაისი, 1878 წ.
ქალაქი დუშეთი.

ცოტა უფრო გვიან შექმნილია კიდევ მეორე
დოკუმენტი, რომელიც არქივში შემოგვინახა,
ეს არის ანიკო ლომოურის მიერ წარმოთ-
ქმული სიტყვა — სადღეგრძელო ილია ჭავჭავაძის
პატივსაცემად ქართლის ინტელიგენციის
მიერ გამართულ ზეიმზე 1894 წელს.

ხელნაწერ ფონდში დაცული ავტოგრაფი,
„ნ“ „ლ“ ხელმოწერით, იწყება ისე, როგორც
21 წლის წინათ წარმოთქმული ზემო განხილუ-
ლი სიტყვა პლატონ იოსელიანისა.

„სიტყვა თქმული ბ. ილია ჭავჭავაძის პატივ-
საცემად გამართულ სადილზე,

— შეიც მინდა ადვილი სადღეგრძელო ჩვენი
ძვირისა პატივცემული სტუმრისა — თქვა ნ.
ლომოსკამბ — მაგრამ ჭერ პარფლიდ მე
მსურს მივაქციო თქვენი ყურადღება ერთ ნაკ-
ლულთან, რომელიც ეხმარებდა ქართველს,
სამწუხაროდ, ღრმად გახადომა ბუნებაში და

მეტის-მეტად ამაღლებს. ამხიჩქებს მგზნებარე
თს. ექვი არ უნდა ყოველ თქვენგანს. ბატონე-
ბო, ჩემზედ უკეთესად მოგხსენება, რომ ადამი-
ანის საუკეთესო მხარეს შეადგენს მისი ხულიერი
არსება. ის რასაც ჩვენ ვეძებთ ადამიანის ხულსა
და ვულსა, მის ხინდისა, აქ ამ ხინდისი სამფ-
ლობილოში არის დაცული, დამარბული ის მად-
ლი, რომლითაც მომავლადვი, სუსტი არსება ემს-
გავსება უკვდავ, ყოვლად ძლიერებას და რომე-
ლიც შემეპოვებელი ხიდად არის გადებული
ციხსა და ქვეყნის შუა. ამკაცთა ბუნების დამამშ-
ვიერებელ ჯვირჯვის ყოველი ჩვენთაგანი ვალდ-
ბულია კრძალვითა და მოწინებით ექცეოდეს, პა-
ტივცემითა მორიდებით უახლოვდებოდეს —
კრძალვისა და მორიდებით უნდა ვეპარობოდეთ
ჩვენი მოყვანის ხინდისს, როგორც ეკიდ-
ბოდნენ ძველი ებრაელი თავიანთ „წმინდა-
წმიდათას“... მე ვუცქერი მხოლოდ თქვენს
ბატონო ილია, მოქმედებას და გულწრფელად
დავძახი მის კეთილ და სასარგებლო ნაყოფსა:
იარეთ, იარეთ ჩვენო ძვირფასო, საერთო მას-
წავლებლო, იარეთ თქვენი სამშობლოს სხვა-
დასხვა კუთხეებში რადა თქმა უნდა, სინამ
საქართველოს სახელი იქნება დედამიწის ზურ-
გზე, თქვენი ზეგარდმო მადლით ცხებული
თხზულებანიც იქნებიან მშვენიება ჩვენი მწერ-
ლობისა, მაგრამ იხიე კი ცხადია, რომ ვერც
ერთი თხზულება ვერ მოახდენს თავის მკითხ-
ველზედ ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას, რო-
გორსაც ახდენს ხოლმე ცხოველი, პირდაპირ
სიტყვა მხმენილებზედ.

იარეთ ბატონო ილია, აქეთ-იქით და თქვენი
ბრძნული სიტყვებით, თქვენი მეტრეპოციველი
ენით, თქვენი შორსგამჭვრეტეი კეთა-გონებით
გააცოცხლეთ, ფეხზე წამოაყენეთ, მხნეობის
სული შთაბერეთ თქვენს დევანდელ დაცემულ
და დავრდომილ თანამოქმეთა!

ესვამ თქვენს სადღეგრძელოს და სულით და
გულით ვინატრი, რომ სიცოცხლე თქვენი გარ-
ძილებულიყვეს იქამომდე, ვიდრე თქვენგან და-
წყობილ დიდებულ მოღვაწეობას ღირსეული
მემკვიდრე გამოუჩნდებოდეს“.

1894 წლის 1 აპრილის თარიღით მოწერილ
წერილში პეტრე უმიკაშვილი ილიას წერდა:—
„...ორი დღე ვიყავი ქალაქში, დრო ვერ ჩავიგდებ
მინახე. გავხე ქართლელებისაგან გავიგონე.
კარგი ქა ილიამ, მოვიადგი. მართალი სიტყვა
შეგვაცუბოხინაო.

ვითხარი, რომ, დრომ და გარემოებამ მოი-
ტანა, ყოველიფერით საქვეწმო სასარგებლო
იქნება მოგაზურობა ყველა მოღვაწისა...“

და კიდევ ამდენი გულწრფელი სიტყვა წარ-
მოთქმულია იმ ერის თავკაცის სადღეგრძელოდ.
მაგრამ დაუწერელი კარგ სურვილებს მოკე-
თე თაგან ჩვენამდე ვერ მოუღწევია. წარ-
მოთქმული და დაუწერელი სიყვარულის და

მოკრძალების აღმნიშვნელი სურვილები გამ-
ქრალან, დაწერილი კი ბუკრია, რომელიც ელო-
დება მკითხველთან შეხვედრას.

1907 წლის წიწამურის-ტრაგედიის ამსახველი
ათასობით უცნობი მასალა ინახება საცავებში.
სიტყვები, დებუებები, წერილები, საიდანაც უკი-
დგანო რისხვა ისმის მიუტყევებელი ბოროტე-
ბის ჩამდენთა მისამართით. მაგრამ ერისკაცთა,
ილიას მოყვითა ზრუნვა ღრმავდებოდა ილიას
უკვდავსყოფად. ჩგენი ძიების შედეგად მივა-
გენით უამრავ წერილობით მასალას. ამ მრავალ-
თა შორის ჩვენ ამერად მოგვიხდება მსჯელობა
ერთზედ „პროტოკოლი“, — რომელშიაც ვან-
ხილულია ილია ჭავჭავაძის ფონდის გაზრდისა
და ძეგლის აგების საკითხი“.

ეს „პროტოკოლი“ ოქმი ინახება საქ. ცენტრ.
არქივის წ. კ. გ-ს-ის ფონდში 481, № 28 და
მრავალმხრივ საინტერესო ძეგლს წარმოადგენს;
ჩვენ ვუშვებთ იმასაც, რომ შესაძლოა ეს
ოქმი თავის დროზე დაიბეჭდა კიდევ; თუმცა
ამის შესახებ ჩერ ფაქტს ვერ მივაგვლიეთ, მაგ-
რამ ამ მასალას დღისათვისაც მნიშვნელობა
აქვს, ეს მივიწყებული დოკუმენტი ჩგენი ინტე-
ლგენციის სადღეისო საზრუნავს ეხმარება.

პ რ ო ტ ო კ ო ლ ი

31 აგვისტოს შეკრებულ სხვა და სხვა
დაწესებულებათა წარმომადგენლებისა
და ქართველთა შორის წერა-კითხვის
გამავრცელებელი საზოგადოების გამ-
გეობის კრებისა

შ ე ს ა ნ ე მ ბ

ილია ჭავჭავაძის ფონდისა და ძეგლისა

კრება გაიხსნა ხალაშის 7 ს. წ/კ საზოგადოე-
ბის გამგეობის თავმჯდომარის ა. ლუდაძის
თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრნენ გამგეო-
ბის წევრნი: ა. მდივანი, ბ. სურგულაძე, ვ. ლა-
ხიშვილი, გ. ყუფშიძე, დ. ბოცვაძე, ს. ფირცხა-
ლავა, ვ. რცხილაძე, წარმომადგენელნი: ქალთა
(ნ. ყოფიანი, ექ. ვახაშვილი და ხზე). ხაისტო-
რიო და ხეთნაგრაფიო საზოგადოებისა
(ექ. თაყაიშვილი და ალ. სარაჩიშვილი) ღრმა-
ტიული საზოგადოებისა (ალ. ვახაძეა და
პ. გოთოვა) შავის ქვის მწარმოებელთა საბჭოსი
(ქ. ვახაშვიძე) კუთხურის დრამატული საზოგა-
დოებისა (ტარუაშვილი) ტფილ. თ. — აწნაურ-
თა დეპუტატთა საკრებულოსი (ილ. ზუნა-
შვილი), ტფ. სამეურნეო ბანკისა (ვ. ყოფიანი).
ამხანაგობის „საეროსი“ (მ. ლხუთანიძე), წარ-
მომადგენელნი ქართული პარტიისა და ოპოზი-
ციამდე გარეშე პირთა ქალი და კაცი.

თავმჯდომარე ვახანის კრებას და აუწყებს
დამსწრეთ კრების საგანს: ილია ჭავჭავაძის
ფონდის მდგომარეობას და მის საფლავზე ძეგ-

ლის დადგენას მდივანი ს. ფირცხალავა წაიკითხა
საქს წ. კ. საზოგადოების გამგეობის მოხსენი-
ებას ფონდის დარსებისა და დღევანდელი
მდგომარეობის შესახებ. გამგეობა წინადადებას
აძლიერს კრებას მოხსენების ბოლოში, ილიას
ფონდი, რომელიც ამჟამად უდრის 10818 მ.
75 კაპ. დარჩეს ხელუხლებლად. ხოლო მისი
სარგებლო მოხმარდეს ილია ჭავჭავაძის სახე-
ლომანზე სკოლის დარსებას და მის პაუზლი-
ციტისტურ, კრიტიკულ და ისტორიულ ნა-
შრომების გამოცემას. მდივანივე წაიკითხავს
მეორე მოხსენებას გამგეობისა. შესახებ იმისა,
თუ რა მდგომარეობაშია დღეს ილიას საფლავ-
ვის ძეგლის საკითხი: 1) ივნისის კრების შემდეგ
გამგეობა შეერთდა სხვადასხვა დაწესებულე-
ბათ და ერთად პირებს, თუ ვინ ჩამდენს გა-
მოადგებს ილიას ძეგლისათვის. აგვისტოს დამ-
ღვინამდე გამგეობამ მიიღო პასუხა თერთმეტი
დაწესებულებისაგან, რომელთაგან მხოლოდ
ხუთა ვგანადგება განსაზღვრულს ფულს. დამი-
რბეულის ფულის რაოდენობა შეადგენს 8200
მან. — გამგეობა მფიქრობს, რომ დღევანდელ-
მა კრებამ უნდა აირჩიოს განსაკუთრებული კა-
ცი და მას მიანდოს ძეგლის საქმე.

ამას შემდეგ წაიკითხა მოხსენება, ქალთა
წრის თავმჯდომარემ ქ. ნ. ყოფიანმა, წრის მუ-
შაინის შესახებ. წრემ თითქმის ყველა კუბოე-
ში დაარსა განყოფილებანი და ყველგან მხნედ
მუშაობენ ილიას ფონდის გაძლიერებისათვის.
ამხანაგობის „საეროს“ წარმომადგენელი აც-
ხილეს, რომ „საეროს“ აუცილებლად გამოადგებს
თავის წვლილს ძეგლისათვის, ხოლო ფულის
რაოდენობას, საუღვრავს ამხანაგობის წევრობა
კრება, რომელიც შეიკრებება ამ დღეებში.

გაზეთ „საკავაშიეს“ წარმომადგენელი აცხა-
დებს, რომ იმერეთის ეპისკოპოსი დემესით
იტყვანება, რომ ას მანეთს სწირავს ილიას
ფონდისათვის.

ტავაშვილმარამ: ბ. ბ. გაიყანით მდგომარეო-
ბა, როგორც ფონდისა, ისე ძეგლისა, პირველად
გილაპარაკოთ ფონდის შესახებ. გოხოვთ გა-
მოსაქვით თქვენი აზრი, თუ რა დანიშნულება
უნდა მიეცეს ფონდს?

პ. ბაბუშიძე: ილია ჭავჭავაძის ფონდს დიდი
ეროვნული მნიშვნელობა აქვს. უნდა გამოვარ-
კვიოთ, როგორ იკრიბებოდა დღემდის ფონ-
დის ფული და მივიღოთ ზომები მის გასაძლიე-
რებლად. ფონდის სარგებელი ყველაზე უწი-
ანარეს უნდა მოხმარდეს ილიას ნაწარმების ბა-
მომცემს.

ბ. ბოტოშა: გამგეობის მოხსენებაში არ არის
გარკვეული, გამგეობა სკოლას აძლიერს უპირა-
ტესობას თუ ნაწარმოებების გამოცემას.

ს. ფირცხალავა: გამგეობას იმედი აქვს,
რომ ილიას სახელობის სკოლისათვის სხვა
მხრიდანაც იშვინის ფულს. მაშინ ფონდის



სარგებელს მილიანად ილიას კუმბლიცისტურ-პარტიკულ ნაწარმოების გამოცემაზე და-სარჯავს. ამ ნაწერების გამოცემა აუცილებ-ლივ საჭიროა, რომ ნათლად აღვადგინოთ ილიას პიროვნება, რომლის პუბლიცისტურ მოღვა-წეობის შესახებ ყოვლად უსაფუძვლო აზრე-ბია გავრცელებული.

ბ. გომთაზ: დიდს მნიშვნელობას ვაძლევ მის ნაწერების გამოცემას.

თაბაშკაძე: ნაწერების გამოცემის მომ-ზადებას რამდენიმე თვე უნდა, აგრეთვე სკო-ლის განხილვას, რომელს უნდა მივცეთ უპირა-ტულია, ეს ძნელი გამოსახილვია.

ბ. დინსაშვილი: უმჯობესია სკოლა დავაარ-სოთ იმ ადგილას, სადაც ცხოვრობდა მგოსანი, ჯაგურამოში. მის ნაწერების გამოცემას მოვესწ-რებით.

ლ. მებრძული: ილია ჭავჭავაძე მოკლა უმცირესად, უველაზე უწინარეს ამ უმცირესებს უნდა ვებრძოდეთ და დავაარსოთ სკოლა.

მბ. იოსელიანი: ილიას სკოლა უნდა იყოს საშაველით სკოლა, რომელსაც დასჭირდება არა ნაკლებ 800 მანეთისა წელიწადში. ამის ან-გარიში უნდა შეედგინა გამგეობას. გამგეობას არა აქვს არც იმის ხარჯთაღრიცხვა, თუ რა დაქდება ილიას ნაწერების გამოცემა.

თაბაშკაძე: სკოლა იქნება ჩვეულებრი-ვი პირველ დაწესებულებით სკოლა და იმ ფულის სარგებელი, რომელიც ხელთა ვაჭავს, სრულიად საქმარისი იქნება მის შესახებად.

ს. ბარაშვილი: უპირველესად საჭიროა სკოლა, რომ ხალხმა ისწავლოს ანბანი და შეძ-ლოს ილიას ნაწერების წაკითხვა. სკოლა უნდა გაიხსნას იმ ადგილას, სადაც იმსხვერპლეს პოე-ტი.

ბ. გომთაზ: თუ გამგეობას იმედი აქვს სხვა წყაროს შოვნის, მაშინ სადავო აღარაფერია. სკოლასაც გამართავს და ნაწერებსაც გამოს-ცემს.

ბ. ჯორჯაძე: ახლა უნდა დავიწყეთ ფონ-დის სარგებლით რაიმე საქმე, რომ მტეი ნლო-ბა მოვითხოვოთ ფულის შესაქრებად, თორემ ბევრი აზრობენ, ფულსა ჰკრებთ და საქმე, ეს არა გაკეთდება რა.

ბრ. რომაძე: (ივერიელი): მე წინააღმდე-გი ვარ ილიას სახელობაზე სკოლის დაარსებისა. ასეთი სკოლა ძლიერ მცირე რაზმა ილიას სა-ხელისათვის. ჩვენ უნდა დავაარსოთ ისეთი და-წესებულება, რომელიც მთელს ქართველს ხალხს ემსახურება. ასეთი იქნება, მაგალითად, ლიტერატურული წრე, რომელიც უნდა ემსა-ხუროს ქართველი ერის სულიერი კულტურის განვითარებას, გამოსცეს, როგორც ილიას ნა-წერები, ისე სხვების და სხვა.

მებრძული: ნაწერებს ვინ წაკითხავს, თუ ხალხს წერა-კითხვა არ ეცოდინება?

ბ. აბაშიძე: ხელახლა მივაქცივ კრებულს რადღებას იმ გარემოებაზე, რომ განსწავლულ საშუალება ფონდის გასაძლიერებლად და შეე-ქმნათ დიდი რაზმ, დღეს კი ფონდის სარგებ-ლით ილიას ნაწერები გამოვცეთ.

ბ. ნაბაშიძე: დღეს სკოლა მთავრობის ია-რადია, სკოლა შეზღუდულია. მწერლობა აზ-როვნების წყაროა, მწერლობის გავრცელება ადვილია, დაბრკოლება ან გვექნება მთავრო-ბის მხრივ, გამოვცეთ სახალხო წიგნები, და-ვთავროთ ამისათვის ლიტერატურული წრე.

თაბაშკაძე: საგანი საქმად გამოჩ-ვეულია და შეიძლება რაიმე გადაწყვეტილე-ბას დავადგეთ. სამი აზრია გამოთქმული იმის შესახებ, თუ რას უნდა მოხმარდეს ილიას ფონ-დის სარგებელი. ერთი ეთანხმებთან გამგეობის აზრს მცირეოდენის ცვლილებით, მეორესს მოითხოვენ, რომ უპირველესად გამოიცეს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილები და მეორენი, რომ დაარსდეს ლიტე-რატურული წრე ილიას სახელობაზე, რომლის მიზანი იქნება ხალხში მწერლობის გავრცელება. თავმჯდომარე კენჭს უყრის სამივე აზრს და კრება მცირე კამათის შემდეგ ადგენს: გამ-გეობა ქროსა და იმავე დროს შეუდგეს სკოლის დაარსებას ილია ჭავჭავაძის სახელობაზე და მისი ნაწერების გამოცემას ილიას ფონდის სარ-გებლით.

თაბაშკაძე: აბაშიძემ წამოაყენა სა-კოიხი ფონდის გაძლიერების შესახებ. სასურ-ველია, კრებამ თავისი აზრი გამოხატოს ამ სა-განზე.

ბ. აბაშიძე: კარგი იქნებოდა გაგვაგებინებ-დეთ, რომელი და რომელი დაწესებულება იხ-დის ფულს ფონდისათვის.

ნ. უიფიანი და ს. ფირცხალაძე: ასახე-ლებენ იმ დაწესებულებათ, რომლებიც მონა-წილეობას იღებენ ფონდის შეგროვებაში.

ბ. აბაშიძე: საკვირველია, რომ არაფერს იხდის ფონდისთვის ის ბანკი, რომელიც დაარ-სებულია ილია ჭავჭავაძის შემწეობით. კრებამ საუვედომარი უნდა გამოუცხადოს ამ ბანკს.

თაბაშკაძე: დავადგინოთ, განმეორებით მისწეროს გამგეობამ უველა დაწესებულებათ, რომ გამოიღონ ფული ილიას ფონდისათვის. კრება ეთანხმება თავმჯდომარეს.

ამის შემდეგ კრება შეუდგა ძეგლის საკით-ბის განხილვას. თავმჯდომარე მოკლედ მოაგო-ნებს დამსწრეთ საქმის ვითარებას და გამგეო-ბის აზრს ძეგლის განხორციელების შესახებ.

ილ. ჯორაბიშვილი: შეიძლება დღეს თუ არა გაიმართოს კამათი იმის შესახებ, სად დაი-დგას ძეგლი — მოაწმინდაზე თუ ერევნის მოე-დანზე? ჩემის აზრით, საფლავზე ძეგლის დად-გმა უნაყოფოა; ძეგლი მოედანზე უნდა გა-კეთდეს. საფლავზე კი სულ მცირე რაზმ დავ-

დგათ. ძველი ისეთ ალბანს უნდა იყოს, რომ უკლებს შეიძლოს მისი ნახვა.

ნ. ცხვიმდამი: ილიას ისეთი ძველი უნდა დავუდგათ, რომ ნამდვილი სკოლა იყოს, ხალხის აღმზრდელი, ახლა დროა ამგვარი ძველი-სათვის.

ს. ფირცხალაშვილი: მოედანზე ძველის დადგმას დიდი ფული უნდა. ამის დრო არა გვაქვს ჩვენ ახლა. ჭერ გავაკეთოთ საფლავზე შესაფერი ძველი. ორს კურდღელს ნუ გამოვიკვიდებით.

ი. ნაბაშვილი: ილია იმხვერბლა კაცის მძულვარებაში; ამას უნდა დავუპირისპიროთ კაცთ-მოყვარება, ცოდნა, განათლება, ძველი შორეული საქმეა. ძველი უნდა დაიდგას მაშინ, როცა ხალხი შეიძლება ძველის დაფასებას. ამჟამად დავკმაყოფილდეთ უბრალო ძველის დადგმით საფლავზე.

მ. ციციშვილი: მოედანზე ძველის დადგმა ნაადრევია. ხალხი არ იცნობს ჭერ ილიას. შევიტანოთ ხალხში განათლება, შეგნება, რომ თვითონ ხალხმა დააფასოს ილია და თვითონ დაუდგას, ასეთს ძველს ექნება ფასი.

პ. გრიშაძე: საფლავზე დავუდგათ უბრალო ბიუსტი. ერევნის მოედანზე გავაკეთოთ დიდი საეროვნო ძველი. თვითონ მოედანსაც უნდა დაერქვას ილია ჭავჭავაძის სახელი. საფლავზე ბიუსტის გასაკეთებლად ფული უკვე მოპოვება წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას. ერევნის მოედნის ძველისთვის კი შესდგეს საგანგებო კომიტეტი და გაიმართოს საუკეთესო ხელის მოწერა.

ფ. გომიტიშვილი: ყველაზედ უფინარეს ჩვენ უნდა დავდგათ ილიას საფლავზედ ძველი. ამ საგნის შესახებ კრება უნდა დაეთანხმოს გამგეობის აზრს. რაც შეეხება ერევნის მოედანზე ძველის დადგმას — ეს დიდი საქმეა, ბევრი დროც მოუწდება, ამის ფულს მალე ვერ შევაგროვებთ. ახლაც ავიღოთ ნებართვა შთავრობისაგან და დავიწყოთ ფულის შეგროვება. საფლავის ძველის გაკეთება და დიდი ძველის ნებართვის აღება და ხელის მოწერის გამართვა შეიძლება ერთხანს და იმავე კომიტეტს მივანდლოთ. ან შეიძლება უკანასკნელს ნებართვა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას დავავალოთ.

ი. ზურაბიშვილი: საფლავის ძველზე უნდა დაიხარჯოს, გამგეობის აზრით, ათასი თუმანი. ეს შეადგენს მთელს მეთოდს იმ ფულისას, რომელიც დაიხარჯება დიდი ძველისთვის. ამ გვარი ორნამირი ხარჯის გაწევა უკვ-

ლად უსაფუძვლოა. საფლავის ძველის ნახვა ძნელია იქ ყველა ვერ ავა. საფლავზე დავდგათ უბრალო ქვა და ეხლავე შევუდგეთ მორდნაძე ძველის გაკეთებას.

ს. ფირცხალაშვილი: დიდებული ძველის დადგმა თავისთავად მშვენიერი საქმეა. მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ ჩვენი ცხოვრების სხვა და სხვა პირობებს. დღეს არ შეგვიძლია ხელი მოვიკიდოთ ძვირფასი ძველის აგებას, როცა მრავალი უსაქიროები ჩვენი კულტურული მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელია. მაგალითად: დღემდის ვერ ავიწვინებია სულ უბრალო ხანძარი წერა-კითხვის საზოგადოებისთვის და უძვირფასესს ხელნაწერებს ყოველ დღე განსაუდელი მოვლის. მერე, უნდა მიიღოთ სახეში ჩვენი საზოგადოება, 40—50 ათასს მანეთს ძველისთვის დღეს ჩვენ ვერ შევკრებთ.

მ. ს. რატიშვილი: ჭერ ხალხი უნდა მომზადდეს ძველის დასაფასებლად და მერე ძველი გაკეთდეს. რაც შეიძლება ნაკლები ფული უნდა დაიხარჯოს საფლავზე და მეტი დაიხარჯოს ხალხის განათლებისათვის.

მ. გუნიანი: მივაქცევ კრების უზრუნველს იმ ადგილს, სადაც ვერაგულად მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე. ამ ადგილზე უნდა გაკეთდეს ნიში, ან სხვა რამე. ამ ადგილთან ახლო წყაროა, შეიძლება ეს წყარო გამოვიყენოთ და მოვაწყულოთ.

თამაზაშვილი: საგანი გარკვეულად მიმაჩნია. ამიტომ შეიძლება ეცნოთ ვუპაროთ სხვადასხვა აზრს. გადასაწყვეტია ორი საკითხი: 1) დაიდგას თუ არა ძველი ილიას საფლავზე? 2) თუ დაიდგას რა ფასის უნდა იყოს ეს ძველი? 3) ვის მიენდოს ამ ძველის განხორციელების საქმე. 4) ვის დავვალოთ ერევნის მოედანზე ძველის გამართვის ნებართვის აღება მთავრობისაგან?

პირველი საკითხის შესახებ კრება ერთხმად ადგენს, რომ უნდა დაიდგას ძველი საფლავზე. მეორე საკითხის შესახებ გაიმართა ცხარე კამათი...

კრების ბოლოს ვ. გუნიანი და კიდევ რამდენიმე პირმა განაცხადეს, რომ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ აუცილებელი იწარუნოს რაიმე ნიშნის დადგმისათვის იმ ადგილზე, სადაც მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე.

თამაზაშვილი ი. დულაძე
ა. უიფშიძე
მდივანი: ს. ფირცხალაშვილი
საქ. ც. არქ. ფონდი 481, №25. 76 გვ. 76 გვ.

ილია ჭავჭავაძე და ინგლისური კულტურული სამყარო

60-70-იან წლებში, რომლებიც ითვლება XIX საუკუნის ლიტერატურულ-კულტურული მოძრაობის უმნიშვნელოვანეს პერიოდად საქართველოში, სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ პროგრესულ-დემოკრატიული იდეებით გამსჭვალული ახალი თაობის წარმომადგენლები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივ. მაჩაბელი, გიორგი წერეთელი და სხვანი, რომლებიც, იჩენდნენ რა დიდ ინტერესს სხვა ქვეყნების კულტურისადმი, თავის მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართული კულტურის მიღწევების საზღვარგარეთ გატანას.

ინგლისელი სლავისტი უილიამ მორფილი, მარჯონი და ოლივერ უორდროპები, მარი ბროსე, არტურ ლაისტი, ლემან შაუპტი, პუგაო შუბარტი, ეაკ ბერტილინი, ბარონ დე ბაი, გილიელმო პასილი ილიასათვის ის ადამიანები იყვნენ, რომლებთანაც მჭიდრო მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა.

ინგლისელ მეცნიერთა ქართველოლოგიაში მოღვაწეობას ილია ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ყოველმხრივ უწყობდა ხელს მათ კეთილშობილურ საქმიანობაში, რათა ქართული ეროვნული კულტურის დონე უფრო ამაღლებულიყო.

ილია კარგად იცნობდა ინგლისელი (წარმოშობით შვეიცარიელი) მეცნიერ-პოლიგლოტის სოლომონ სიზარ მალანის (1812-1894) მოღვაწეობას ქართველთმცოდნეობაში. ს.ს. მალანის შესახებ ილიას „ივერია“ (1888, 20 ნომბერი, № 245) მკითხველს აცნობდა: „ინგლისში, ქალაქს ოქსფორდში, ბ-ნს მალანს შეუდგენია ქართული ბიბლიოთეკა, სადაც თითქმის ყველა ქართული წიგნი მოაპოვებია. ამ ბიბლიოთეკაში წოგიერთი იშვიათად საშოვნე წიგნიც არის თურმე“, ხოლო 1894 წლის 11 დეკემბრის „ივერია“ (№ 282) მკითხველს აუწყებდა სოლომონ სიზარ მალანის გარდაცვალების ამბავს და იქვე სთავაზობდა ინგლისურ გაზეთ „თაიმს“-ში გამოქვეყნებული ნეკროლოგის ქართულ თარგმანს „სოლომონ კეისარი მალანი“.

ნეკროლოგს ილია ჭავჭავაძის დამატებითი ცნობები აქვს დართული ს.ს. მალანის ქართველ-

ლოლოგიური ნაღვაწის შესახებ. ასევე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ილიას „ივერია“ ინგლისელ მეცნიერ ფრედერიკ კონსუალ კონიბირზე (1856-1924), რომელმაც ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლით საქმიანობა დიდი წვლილი შეიტანა დასავლეთში ძველი ქართული სასულიერო მწერლობის კვლევა-ძიების განვითარების საქმეში. 1896 წლის 6 მარტს „ივერია“ (№6) ფართოდ აშუქებდა ეურანლ „ექედემი“-ში გამოქვეყნებულ ფრედერიკ კონიბირის ქართველოლოგიურ ნაშრომებს.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ილია ჭავჭავაძემ ოქსფორდის უნივერსიტეტის სლავისტიკის კათედრის პროფესორ უილიამ რიჩარდ მორფილზე (1834-1904), რომელიც 1888 წელს საქართველოში ყოფნის დროს ილიას სტუმარი იყო. ილიას განუმეორებელი სტუმართმოყვარეობითა და ქართველი საზოგადო მოღვაწეების ყურადღებით აღსავსე ინგლისელი მეცნიერი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხების შესწავლას შეუდგა.

1888 წლის 10 ივლისს უილიამ მორფილი ინგლისიდან აცნობებს ილია ჭავჭავაძეს, რომ იგი კითხულობს ქართულ წიგნებს და ამზადებს სტატიას ქართული ლიტერატურის, ისტორიისა და ენის შესახებ. (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის ფონდი, ხ. №551, წერილი დაწერილია რუსულ ენაზე). ინგლისელმა მეცნიერმა იმავე წელს ეურანლში „ექედემი“ გამოაქვეყნა მეტად მნიშვნელოვანი სტატია სათაურით „ქართული ენა და ლიტერატურა“, რომელშიც წარმოდგენილია ქართული ენის, ლიტერატურული ძეგლების და ქართველი მწერლების შემოქმედების ზოგადი მიმოხილვა. მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ უ. მორფილი ინგლისელ მკითხველს აცნობს XIX ს-ნის ქართველ პოეტებს, მწერლებს და განსაკუთრებული პატივით იხსენიებს ახასიათებს ილია ჭავჭავაძეს: „თავადი ილია ჭავჭავაძე, იშვიათად განათლებული, სახელგანთქმული პოეტი, დღეს დიდად გამოჩენილი ლიტერატორია თბილისში. იგი უოველ-დღიური გაზეთ „ივერის“- რედაქტორია. მის სტუმართმოყვარე სახლში შესაძლებლობა მო-

შეცა გამეცნო ქალაქის რამოდენიმე საინტერესო პიროვნება... (1888, №846, ივლისი 21, გვ. 89-40).

ილიასა და დამა უორდროპების მეგობრობა, უდავოდ, კიდევ უფრო ღრმა და მნიშვნელოვანია.

1898 წელს ლონდონში მარჯორი უორდროპმა გამოაქვეყნა ილიას „განმარტობა“ (ვრცელი წინასიტყვაობით, ილიას პორტრეტით), რომელშიც ინგლისური და ქართული პრესის დიდა უურადლება დამსახურა. როგორც 1898 წლის 20 იტომბრის „ცნობის ფურცელი“ იუწყებოდა: „სკოტსმან“ (თებერლის 23, 1898 წ.) ამბობს: „ეს პოემა თარგმანია ქართულ ენიდან, დიდად საუურადლება, ვითარცა ნიმუში უცხო ქვეყნის მწერლისა, თავ. ქავეკავამე, შემიჯნა, უნდა იყოს საუეთესო პოეტი თავის ქვეყანაში. ამ პოემის დამწერს აშკარად ეტყუბა დიდაი ნიჭი და აღმაფრენელი ძლიერება პოეტურის ფანტაზიისა... ცნობილს უურნალს „ემეიდემი“ (პარილის 4, 1898 წ.) ჩვეულებრივად მოჰყავს შინაარსი პოემისა და აღტაცებაში მოდის ამ უბრალო, მაგრამ ღრმად შემუშავებულის და სამაფრეთოდ დასურათებულის აზრით. უურნალი არჩევს აგრეთვე თარგმანის ენას, მისწონს იგი და მეტადერ დიდად აქებს წინასიტყვაობას ქბნ უორდროპისას, „რომელიც სრულს საშუალებას გვაძლევს ქართველი ნიჭიერი პოეტი, როგორიც არის თავ. ქავეკავამე, სახეებით გავითვალისწინოთ და პატივი ვსცეთ მის ღირშესანიშნავ მოღვაწეობას“.

1899 წელს მარჯორი უორდროპი ოლივიერთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა. თბილისში ყოფნის დროს დამა უორდროპები ილიას სტუმრები იყვნენ. ილიამ მოუთხორო საქართველოს მრავალსაუქუნოვანი წარსულის შესახებ და გააცნო დიდებული ქართული კულტურა. მარჯორიმ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაწერა ნაშრომი „შენიშვნები 1894-95 წლებში საქართველოში მოგზაურობის შესახებ“, რომელიც, როგორც ლ. თაქთაქიშვილი-ურუშამე აღნიშნავს, ხელნაწერის სახით ოქსფორდის ბიბლიოთეკაში ინახება.

დიდის მოწინებით და გამოკეთილად იძლევა მარჯორი უორდროპი ა. წერეთლის, ივ. მაჩაბლის დახასიათებას და განსაკუთრებულ სითბოთი და პატივისცემით ახასიათებს ილია ქავეკავამეს, მოგვითხრობს ილიას მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ: „უამრავ ქართველ მწერალთა შორის თავად ილია ქავეკავამეს უპირველესი ადგილი უჭირავს. იგი არა მარტო პოეტი, არამედ ნოველისტიც, სათავადანაწარმო ხანჯის დირექტორი, ყოველდღიური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთ „იერიის“ რედაქტორი. მისი ლექსები ღირსშესანიშნავია აზრის დიდებულებითა და ენის სიღარბისხილთ, მისი ნაწარმოებები ღრმა პატრიოტიზმით სუნ-

თქვენ, ბუნების მგზნებარე მოსიყვარულე... ამ ბუნების მიერვე შთაგონებული. იგი ნების თავისი ქვეყნის წარსულ დასახარებას და 30-რცხლისფერი არაგვის სიამაღეს დასტორის წარსულს, იგონებს იმ დღეებს, როცა იქ ვრგვისავ-... ძროის წანააღმდეგ ამბედრებულ ქართველთა ხმა: „...როცა გაზაფხული მიწას ახალი ცხოვრებისათვის აღვიძებს. პოეტი ნატრობს იმ დღეს, როცა მისი „საყვარელი მამულიც აკვაედება“ (ლ. თაქთაქიშვილი-ურუშამე, მარჯორი უორდროპი, თბ. 1985, გვ. 35-49).

ილია და ოლდა ქავეკავამეზისა და უორდროპების ურთიერთობა, აღმოცენებული ურთიერთპატივისცემის ნიღაფზე, ქვეშარტ მეგობრობაში გადაიზარდა.

როგორც წერილებიდან ირკვევა, ოლივერ უორდროპი განსაკუთრებული პატივისცემითა და მოკრძალებით იყო განწყობილი ილიასადმი. ილიას შემოქმედებას ინგლისელი ორიენტალისტი ადვრთოვანებაში მოჰყავდა. 1888 წელს ო. უორდროპმა ლონდონში გამოაქვეყნა სქელტანისა წიგნი „საქართველოს სამეფო“, რომელშიც მან წარმოაჩინა ქართველი ხალხის წარმომადგენელთა მთელი გაღერა, გააცნო ინგლისურენოვან სამყაროს საქართველოს ისტორია. ავტორის აღუწერია ქართველები, მათი ჩაცმულობა, ხასიათი, ადათ-ჩვევები, მუსიკალური კულტურა. სწორედ ამ წიგნში ოლივერ უორდროპმა ილია ქავეკავამე მიაკუთვნა იმ დიდ მწერალთა რიცხვს, რომლებიც ქართული ეროვნული კულტურის სიამაყეს წარმოადგენენ.

გვინდა, აღვნიშნოთ, რომ ოლივერ უორდროპმა ინგლისურად თარგმნა და პირველად 1888 წელს ლონდონში გამოაქვეყნა ილიას ლექსი „ქართლის დედას“ წიგნში „საქართველოს სამეფო“. (ამ წიგნში უორდროპმა, ასევე, თარგმნა და გამოაქვეყნა ერეკლე II-დმი მიძღვნილი სტროფები გრიგოლ ორბელიანის პოეშიდან „სადღვრებელი“). ილიას ლექსის შინაარსის გაცნობის შემდეგ უორდროპი მკითხველს აწვდის მის ინგლისურ თარგმანს დედნის შემდეგი სტრიქონიდან: „მას ნულარ ვსტირობ, რაც დამარბულა...“

დედნის შედარებამ ინგლისურ თარგმანთან დაგვანახა, რომ მასში იგრძნობა ოლივერ უორდროპის მიერ ორიგინალის ხასიათში ჩაწვდომის უნარი, რის გამოც მისი პოეტური ჩანაფიჭრა ინგლისელები მკითხველისათვის გასაგებია და მისწავდომი ხდება. ილია ქავეკავამის ლექსი „ქართველის დედას“ ჩვენ შევუდარეთ ვ. ზვიაგინცივის „ქართველის დედას“ რუსულ თარგმანსაც და პირველი, რაც თვალში მოგვხვდა და გაცტებაც (რუსულსა და ინგლისურში) გამოთქმა „ქრისტესა მცენებას“ მთარგმნელებს ამოუღიბო.

შეუძლებელია, გავერკვეთ, თუ რატომ აქვთ მთარგმნელებს იგნორირებული აღნიშნული გა-

უოქმა, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქვს როგორც ლექსის იდეურობისათვის, ასევე ლექსის დრამატულულობისათვის.

ამ ლექსის ინგლისურ-თარგმანთან დაკავშირებით კი ხაჭირია აღნიშნავს, რ.მ. შიუხედავად, თარგმანის პოეტური ტექნიკის სისუსტისა (ი. უორდროპის თარგმანში არ არის დაცული რომა მესამე ტომის I და III სტრიქონებში). იგი მაინც კარგ მხატვრულ დონეზეა შესრულებული და საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მთარგმნელის შესაძლებლობებზე, ვაღიაროთ ოლივერ უორდროპის ტექნიკური პოეტური ნიჭი.

ილია ჭავჭავაძის უცხოურ ენებზე თარგმანის ისტორიისათვის კი ინტერესმოკლებული არ არის ის ფაქტი, რომ ილიას ლექსის „ქართლის დედას“ ოლ. უორდროპისეული ინგლისური თარგმანი პირველად გამოქვეყნდა 1888 წელს ოლ. უორდროპის წიგნში „საქართველოს სამეფო“ და არა 1919 წელს, როგორც ეს აღნიშნულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. განმეორებით კი ეს ლექსი დაბეჭდა 1919 წელს ილ. ორბელიანის რედაქტორობით გამოცემულ ინგლისურ გაზეთში „საქართველოს მოამბე“, ამ გაზეთის შესახებ საინტერესო გამოკვლევა აქვს მიძღვნილი მედეა სურგულაძეს (ეურნალი „ციცქარა“, 1977, №7).

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ თარგმნის პროცესში დამა უორდროპების წინაშე ვარკვეული სიმძიმეები წამოიჭრა ორიგინალის ტექსტთან დაკავშირებით, მარჯობი დაუპოვნებელი მიმართა ოლდა ჭავჭავაძეს, დახმარებოდა და აეხსნა მათთვის გაუგებარი სიტყვები. ოლდა და ილიამ გულთან ახლოს მიიტანეს მარჯობის სურვილი და უკვლა თხოვნა შეუსრულეს.

უორდროპები სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მუშაობდნენ ქართველთმცოდნეობაში და ილიასა და ოლდა ჭავჭავაძეებთან მეგობრული ურთიერთობა არ შეუწყვეტიათ. მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციის გულისხმიერებითა და ხელშეწყობით ქართული კლასიკური ლიტერატურის მდიდარი საგანძურადან მარჯობი თარგმნა და გამოსცა „ქართული ხალხური ზღაპრები“, ილია ჭავჭავაძის „განდეგლი“, „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (ოლივერთან ერთად), ხოლო, როგორც ქართველ მეცნიერი გურამ შარაძე აღნიშნავს, ზელნაერის სახით ოქსფორდში იხატება „კაცია-დამიანის?!“, „გლახის ნაამბობის“ (არასრული), „მეზავრის წერილების“ მარჯობი უორდროპისეული ინგლისური თარგმანები.

უმცროსი დის წამოწყებული საქმე ილია ჭავჭავაძის, ივანე შაჩაბელის, ალექსანდრე ხახანაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, თედო სახოკიას და სხვათა მეგობრული დახმარებით კიდევ უფრო გააღრმავა და მყარ ნიადაგზე დააყენა

ოლივერ უორდროპმა და კლასიკური ლიტერატურის პული კულტურის, ლიტერატურის ბრწყინვალე მკვლევარ ქართველი ხალხის უნიკალური ძეგლები: სულხან-შაბა ორბელიანის „საბრძენი სიცრუისა“, „ეპიგრამანი“, „ქველმადება საქართველოს მეფე გიორგი V ბრწყინვალის“, ილია ჭავჭავაძის „ქართლის დედას“, „წმინდა იაკობის უამისწორვა“-ანალოგიურ ენაზე ამბეჭდვება, ამასთანავე, შეადგინა და გამოაქვეყნა „ინგლისურ-საქართველო ლექსიკონი“, ხოლო მოგვიანებით ბოსტონში გამოაქვეყნა ალ. ცაგარელის „იერუსალიმის ჭრის მონასტერში დაცული ქართული ზელნაერების აღწერილობის“ თარგმანი, 1911 წ. კი კემბრიჯში გამოსცა კვლავ ალ. ცაგარელის მიერ შედგენილი „ათონის მთის ივერთა მონასტრის ქართული ზელნაერების აღწერილობა“.

საერთოდ, უოველი საუკუნე წარმოაჩენს ხოლმე თავის სათაყვანო პოეტებს, რომელთაც თავისებურად აღიქვამს მკითხველი. ბაირონის თავის სიცოცხლეშივე სწორედ ასეთ ეკრანად იქცა ევროპის რიგ ქვეყნებში. მათ შორის შორეულ რუსეთშიც. იგი ქართულად ამბეჭდვებულ ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გრ. ორბელიანმა, ი. ბაქრაძემ, მ. უიფიანმა და სხვ.

განუმეორებელი ილიასეული დახასიათება ბაირონის შმაგი გმირებისა: „...ბაირონის გმირები... არ კნავიან და ჩივიან, რათა წუგეში სცეს ვინმეს; ისინი ისეთი აგებულებისანი არიან, რომ თავის ტანჯვების წვაში, ექვთის დრღანაში, თავის სულის წყურვილში მხედრებულ უკვდავების ღირსს ცხოვრებას... ბაირონი... ცრემლის მაგიერ მდულარე ტყვია სცვივა თვალთაგან და კაშკაშე მაგიერ ხელს ეყურა მება“ (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 8 თბ. 1954, გვ. 10).

ამიტომ იყო, რომ ილიას არჩევანიც ბაირონის „კენესა“ და „მანფრედზე“ შეეჩერდა. ბაირონის, თომას მურის, ვალტერ სკოტის პოეზიიდან კი ილიას ნათარგმნი აქვს მისთვის თმბატურად ახლო, მაღალმხატვრული საიდუმლოებით აღსავსე ლირიკული განწყობილების ლექსები.

ცნობილია, რომ ილია გატაცებული იყო შოპენოსის პოემებით, ვერვალდისით და, როგორც არტურ ლანტი იგონებს, რომბერტ შერნისისა და ვალტერ სკოტის ნაწარმოებებით. ილიას „უკვარლის მთებში“ და ბერნისის ლექსში „გული მთებისკენ მიიწევს“ პოეტთა სულიერი ნათესაობა იგრძნობა. ხოლო ბუნებისადმი სიყვარული მათ შემოქმედებაში დაკავშირებულია მშობლიური ქვეყნის ტრიალითა.

ინგლისელი პოეტების გარდა ილია დიდ ენთუზიაზმით თარგმნიდა გოეთეს, შილერის, ჰაინეს შედევრებს, ილიას „ივერთა“ კი ახალგაზრდებს მოუწოდებდა, ხელი მოეკიდათ მხატვრული თარგმანისათვის.



„ივერია“ ხშირად აქვეყნებდა ბაირონისა და ბერნის ლექსებს, შილერისა და თომას მურის პოეზიის ნიმუშებს.

საქმარისია, გადახედოთ იმდროინდელი ქართული პრესის ფურცლებს, რომ თვალნათლივ დაინახავთ თარგმნილ ძველთა სიუჟეტს. „დროება“, „კვალი“, „მომავალი“, „თეატრი“, „ციხკარი“ წარმოუდგენელი სიუჟეტით აქვეყნებს ფრანგი და, განსაკუთრებით, ინგლისელი მწერლებისა და პოეტების თხზულებებს.

რა დიდი სიხარული იგრძნობა ილიას ოღღა ქვეყანაშიადაში გამოგზავნილ წერილში, რომლითაც ბატონიბნებს, რომ ის და ივანე მაჩაბელი შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმნას იწყებენ. (ი. ქვეყავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, თბ., 1958, საქ. სახ. გამომცემლობა, გვ. 11), 1878 წელს, მართლაც, ივანე მაჩაბელი და ილია ქვეყავაძე, ილიას ინიციატივით, შექსპირის „მეფე ლირის“ ორიგინალიდან თარგმნას შეუდგნენ. ვამბოთ ორიგინალიდან, ვინაიდან მაჩაბე დ. ყიფიანი, დ. არდაზიანი, ა. ფურცელაძე და სხვები ფრანგული ენიდან თარგმნიდნენ შექსპირის პიესებს.

1874 წელს კი, როგორც ცნობილია, ილიამ და ივანე მაჩაბელმა „მეფე ლირის“ თარგმნა დაამთავრეს. რასაკვირველია, ეს დიდი მოვლენა იყო ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში. ამ თარგმანმა დასახამი მისცა შექსპირის პიესების ივანე მაჩაბლისეულ განუმეორებელ თარგმანებს. ილია ქვეყავაძე, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მხატვრულ თარგმანს მშობლიური ლიტერატურის განვითარების საქმეში, ყოველმხრივ ხელს უწყობდა მაჩაბელს, რომ შექსპირის თარგმნა გაეგრძელებინა. 1886 წელს ივანე მაჩაბელმა „ამლეტის“ თარგმანი გამოაქვეყნა, მას მოჰყვა „ოტელოს“ თარგმანი. შემდეგ მაჩაბელი თარგმნის „მაკბეტს“, „რიჩარდ მესიმს“, „იულიუს კეისარს“, „ანტონიუს და კლეოპატრას“, რომლებმაც კიდევ უფრო აამაღლეს ქართული კულტურის დონე.

ჩინიანი წლებიდან მოყოლებული ილია ქვეყავაძე დაკავებულია პუბლიცისტური მოღვაწეობითაც. ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესოა ილია ქვეყავაძის ნარკვევების თუ წერილების სერია, რომლებშიც განხილულია ევროპის ქვეყნების, ამერიკის, უმეტესად ინგლისისა და ირლანდიის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების აქტუალური პრობლემები.

ფრიალ საყურადღებოა ნარკვევი „ევროპა 1888 წელს“, „საპოლიტიკო მიმოხილვა“ (1888 წ. იანვარი) და ვრცელი გამოკვლევა „ირლან-

დია და ინგლისი“ საისტორიო-საეკონომიკო ნარკვევი“ (1888 წ.), რომელშიც სავსებით სრულად ფასდება ინგლის-ირლანდიის ეკონომიკური და პოლიტიკური საქითბები.

ახვევ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 1897 წელს პ. ნექტემბერს ინგლის-რუსეთის სალიტერატურო საზოგადოების პრეზიდენტმა ე. კაზალეტმა ილია ქვეყავაძეს გამოუგზავნა მეტად მოკრძალებული წერილი, რომელშიც იგი ნებართვას ეთხოვს, რათა ილია და რაფიელ ერისთავი აირჩიონ ინგლის-რუსეთის ლიტერატურული საზოგადოების წევრებად: „...თუმცა მე ინგლისელი ვარ, მე ვიცი რუსული ენა, დაბადებული ვარ რუსეთში. იმედი მაქვს, რომ თქვენ ორივე უარს არ გვეტყვიან და აგრეთვე ნებას მოგვცემთ აგარიჩიოთ. ინგლის-რუსეთის ლიტერატურული საზოგადოების წევრებად.

ჩვენი მოზანია დავამყაროთ მეგობრული ურთიერთობა თქვენსა და ინგლისელებს შორის. თუ შემძლია რამე სარგებლობა მოგიტანოთ, მზად ვარ გემსახუროთ.

ღრმა პატივისცემით თქვენი ბრწყინვალეების მორჩილი მსახური

ე. კ. კაზალეტი.

მე ვმოგზაურობდი ამიერკავკასიის მხარეში 1858 და 1859 წლებში“ (შ. გოზალიშვილი, ილია ქვეყავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები, თბ. 1978, გვ. 77-78).

როგორც ქართველი მკვლევარი შ. გოზალიშვილი აღნიშნავს, ილია ქვეყავაძე და რაფიელ ერისთავი ინგლის-რუსეთის ლიტერატურული საზოგადოების წევრებად აურჩევიათ და იმავე საზოგადოების ინგლისურ გამოცემებში დაუბეჭდავთ კიდევ ილია ქვეყავაძისა და რაფიელ ერისთავის ნაწარმოებები.

ზემოთ მოტანილი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ილია ქვეყავაძის ურთიერთობას ინგლისურ კულტურულ სამყაროსთან მრავალმხრივი და ღრმა შინაარსიანი ხასიათი მქონდა და ეს ურთიერთობები ემსახურებოდა ინგლისელ და ქართველ ხალხთა კულტურულ დაახლოებას, სულიერი ნამყაროს გამდიდრებას, ამ ორი ერის ეროვნული კულტურის განვითარებას, რაც საკაცობრიო პროგრესს ემსახურებოდა.

ამავე მასალიდან ირკვევა, თუ რაოდენ დიდად აფასებდნენ ინგლისელი მოღვაწენი ილია ქვეყავაძეს, მის მდიდარ სულს, მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას, შემოქმედებას, რომელიც სწორედ რომ განსაკუთრებულ ენთოშიაზს ქართული კულტურის ისტორიაში.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ეკრანული სისრულე

„მოთარაანთ ქვრივი“

(წიგნის 30 ფლისტაჰი)

დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის, „საქართველოს უგვირგვინო მწერელ“ წოდებული ილია ჭავჭავაძის ღვაწლის 136 დატრავიკული დატრავის 55 წლისთავთან დაკავშირებით კინოსტუდია „ქართული ფილმი“ განიზრახა „მოთარაანთ ქვრივის“ ეკრანოზება.

ეს იყო ქართველი ხალხის მამულისწოდებელი ილია ამ დროისათვის ილიას არც ერთი ნაწარმოები არ იყო ამტკვედლებული ეკრანზე.

თითქმის მთელი ათეული წლის განმავლობაში შემდეგ სწორედ იმამამ საქართველოში დატრავდა სახელმწიფო პრემიის ხუთჯანს დატრავიტი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი მისიედი კიანურელი. სტუდიაში მას მიაწოდეს ჭავჭავაძის „მოთარაანთ ქვრივის“ ეკრანოზება.

ქვე კიდეც ურთობის ასაკში თითქმის წლისში. კიანურელს ბედმა არგუნა იმ დატრავიკული პროცესისა გატვირთვა, როცა მელოგიარე საქართველო თავის უკვდავ შვილს მოაწოდინდა აქვე მიაკილებდა. ვალერიან გუგუნიას დატრავიკული, მწუხარე შემახილი — „ჩიქი ქართველებში“ და მულმოლოდარკილი მწუხარე ერთი ხანმოდმოდ შემორჩა მ. კიანურელის შთანტულებიან ბუნებას.

დიდი სოციალური ძვრების ეპოქაში ილია ჭავჭავაძის სახელსა და უწარსაზარ შემოქმედებით მემკვიდრეობას ერთხანს დუმილის ფარდაც კი გადაეფარა. ლიტერატურულმა ანდერბმა დიდი მამულიშვილისა და მოქალაქის ტიტულური დეჟლის მიმართ ყოველად გაუმართლებებელი რეჟინონისტული გამოხდომებები შემოგვიანებეს.

მაგრამ შეუძლებელია ისტორიის მიწისს უკვლამ დატრავილებმა, პროგრესის შემერება, აზროვნებისათვის „ტახტს“ დატრავა. ისტორიის სახწორი ბოლოსდაბოლოს შეუძლია უტყუარად იხრება სიმართლისაკენ.

კინოსტუდიამ „მოთარაანთ ქვრივის“ სცენარზე მუშაობა მიაწოდ მწერელ აკაკი შელიაშვილსა და მისიელ კიანურელს.

სცენარისტები შეეცადნენ ადრეკატური კინემატოგრაფიული სახე მიეცათ ი. ჭავჭავაძის ამ

ნაწარმოებისათვის, მაგრამ ეს არც ისე იოლი იყო, ვაგან დრავზე, თვით ილიას სიცოცხლეში „მოთარაანთ ქვრივზე“, გამოიქვია აზრი, რომ ეს მოთარაანთა „შუბლატისტური სახანთისა“ იყო.

სცენარისტებმა შექმნდების დინამოურობისათვის ფაქტის ექსპონირებელი მაწილში შეიტანეს ახალი ეპიზოდი — გიორგისა და კესოს შეხვედრა უნივერსო სტუდიაში — კესო გაიტაცა დამუშავებულმა ცხენმა, გიორგის ვაჟკაცობაში და დატრავილობაში იხსნა იგი უტყველო სიყვარულსაგან.

გიორგი შეხვედრე კი არა, მექინიებელ დაუძრემს არმილხა და კესოს.

სცენარში შემოეყვანეს ახალი სახე — გლეხის შემწვინებელი შემოწვინელი ქალი მავყალა, რომელმაც უარულად გაშიქნურებულა გიორგიზე, მაგრამ გიორგი ვერც ამინგებს ამ გრძობას, რადგან ნიანთვის კესოს გარდა არაგინ და არაფერა აღარ ქარებობს.

სცენარისტებმა ნაწარმოებიდან თითქმის შელიანად ამოიღეს არაჩვეულებრივად კოლორიტული ფიგურა — სოსია მეწისქვილი, აკაკი ძენდა, ბუღალაზეველი, გულჩაბეტელი, ჩუმი და ანატოლ ყვანასაგან დატრავიკული, რომელს „ნაწარსკვლავი მარტო ამისულისყო სადღაც და როდუნდაც და ტახტი მარტოვე მიაღიოდა დინატი და მწვანე-ნიანდა, ტპილად და უწყინილია“.

ამისთან დაკავშირებით, საყურადღებოა ცნობილი რუსი კრიტიკოსისა და კინომტკიცის ვიქტორ შელოვისკის მოსაზრება, რომელიც მან განათქვამა ამ სცენარის გატრავის შემდეგ:

„მოთარაანთ შემწვინებელი და თითქმის სცენარისტი ცოტა რამ არის ვადკეთებელი. სცენარში მიიტყუებულა გიორგისა და კესოს შეხვედრის ბირობითი ეკრანში.“

ეს პირიპირობაზე შეიძლებოდა წახველა, მაგრამ ფრიად ხეყვია სოსია მეწისქვილის უფულებელყოფა სცენარში.

წიხქვილიან საქართველოში ძალიან მომცროსა და წოჭკერ გიორგიგვირდლა ატებულია, ამიტომაც საქართველოში მეწისქვილი წილადარკაცად არ ჩათვლება.



ოთარაანთ კვრივის ოჯახი საქმალ შედ-
ლებული საშუალო ოჯახი, რომელიც დაქირა-
ვებული მუშების გარეშე შრომობს.

სოსია ღარბია, თუ ვიმსკვლებთ თანახმაყო-
ლებების მისდამი დამოკიდებულებით.

ბ. კუკუავედესთან საზოგადოებრივი უთანა-
სწორება ერთმანეთისაგან ამორებს არა მხო-
ლოდ ბატონისა და ოთარაანთ კვრივის ოჯახ-
ებს, არამედ ოთარაანთ კვრივსა და სოსიასაც.

ბ. კუკუავედემ მხატვრის ინტუიციით ვეჩი-
ვენა გლეხობის შიგნით ფენებად დაყოფის
ილუმინატიბი.

ამან მოთხრობა გადაარჩინა ხალხისწინის
ნაკლევანებათაგან.

მე ამას ვწერ, როცა ფილმი არ მიწასვს,
მაგრამ მე შენაება მეწიხვეილი, კლასიკური
ნაწარმოების ინსცენირებისა უმჯობესია არ
შევიცვალოთ ძირითადი სიუჟეტური მანერები.¹

კინოს ისტორიაში აღბათ ძალზე იშვიათად
შეგვხვდებით, რომ კლასიკური ნაწარმოების იმ-
რანინისციის შემდეგ არ ამტუდებოდა კრიტიკ-
ის, საზოგადოების დაფა იმის თაობაზე, თუ „რა
იყო“ და „რა შეცვალეს“. ეს დაფა აშვითად
წყდება რეჟისორის სასარგებლოდ.

არც „ოთარაანთ კვრივის“ ეკრანიზაციის
ისტორიაა გამონაკლისი.

ჭერ კიდევ კინოსტუდია „ქართული ფილმ-
თი“ არსებულ სამხატვრო საბჭოს სხდომაზე
(1937 წ. 21 მაისი) სარეჟისორო სცენარის გამ-
ხილებისას გაიმართა უცომარისობის, პირუთენე-
ლი საუბარი სცენარში შესულ ყოველგვარ
ცვლილებებსა და თვით ყოველ ფრაზაზეც კი.

ამავე სხდომაზე მ. ჭიაურელიმ გამოთქვა
თავისი შეხედულებანი, რომელიც ფრაზად სპო-
ნტერესისა „ოთარაანთ კვრივის“ რეჟისორული
წაკითხვის თვალსაზრისით. იგი „ქართული და
მსოფლიო ლიტერატურის უშესანიშნევს ნა-
წარმოებად“ მიიჩნევს „ოთარაანთ კვრივს“, მაგ-
რამ როგორც რეჟისორი, უფლებებს იტოვებს
„რიტორულად შეხედოს მასალას“.

„აქ არის გლეხის ოჯახის განცდანი და მე-
ორე მხრივ, იმ სიუჟეტით, რაც ილიამ მოგე-
ცა, არის თუ არა ოთარაანთ კვრივი უნიკალურ-
რი ფიგურა მსოფლიო ლიტერატურაში ან ეროვ-
ნული მოკლემა ქართველი ქალისა? ასეთ დე-
დას ჩვენ რუსეთშიც შეგვხვდებით, უკმეხი, პირ-
რდაპირა. შეიძლება პურის რაგში გლანძღოს
სამშობლო, მაგრამ ხუთი შვილი მისცეს მას,
ტანჯი რომ მოდიოდეს, დაწვება და თავს შეხ-
წირავს იმავ საშობლოს, ასეთი ქალი შეიძლე-
და იყო ისლეთში. ჩინეთში. მაშასადამე, ჩვენ
აქ უნდა ვეძიოთ სხვა ანარქიდი, რომ ჩაეწვდეთ
ოთარაანთ კვრივის სახეს, ასეთი სახეები არ-

სებობს. და რა მოხდა? ქაომაი მოსტატა...
გუბერნატორთან წავიდა ის, რომ ოთარაანთ
კვრივი მშრომელია? დღეს ქალებს ჩვენი
ცენტრი შრომობს. მოდიო, ასე სექტატორად
ვილაპარაკოთ: რომელ დედას არ უყვარს შვი-
ლი? აი, თუნდაც მოვარაგონთ ცნობილი მოთ-
ხრობა, რომელიმეც ქალებს ქაღამა უფრია. დე-
დაშენის გული მომიტანეო. ვაფა ვაჟყა მისი
სურვილის შესასრულებლად, მივიდა დედასთან
და უთხრა, შენი გული მიწადო, წაიღო. მირ-
ბის, წამოჭრა ქვას ფეხი და წაიჭა „ვიამე-
შვილი, ხომ არაფერი გეტყვიან?“ — უთხრა
დედი, გულმა, ასეთია დედა ის, რომ დააქ-
ვიდა შვილის საფლავს? ეს კანონზომიერია.

ოთარაანთ კვრივის სახე წარმოიშვა სამოც-
იან წლებში, ქართველი საზოგადოების სახე
და ოთარაანთ კვრივმა შეგვიწინა ერის ტრა-
დიციები.

დ. ეს აკეთა მამ, რატომ გვაძლევებს ეს
ნაწარმოები?

მ. ჭიაურელი: ჩვენ გვაძლევებს ვერო-
კუნძური ნაწარმოები, ეს უდავოა. ჩვენ ეს
გვაძლევებს, ჩვენ ვტოვით, მაგრამ ამის სხვა
ამბავი — გიორგის სახე. მე არსად შემ
ხედეოთა ახეთი კონცეფცია, რომ ემას თა-
ვისი დედოფალი შეგვარებოდეს. გიორგი
რა ექნებოდა წაკითხული? „ვეფხისტყაოსანი“,
„ახესალამ და თეორია“. აქ უნდა ვეძებოთ მისი
გრძნობები „ვეფხისტყაოსანი“ ილია ერთგვარ იდე-
ალურიადის ახდენს გიორგისას. მან გიორგი
გლეხობიდან გამოჭყო, თორი ჩოხა ჩააცვა,
დორწმეოქორული დაუენა და ეს თავადი-
ვალს ჰგავდო.“ გიორგი მეოცნებე ახალგაზრდა
კაცი იყო და მოეწონა ეს შექალი. რა მოეწონა
ეკნობი? ქალი? არა! ეფეოფერია ის, რითაც
სხვას არ ჰგავდა, მოძრობა, ხიარული, უოფა-
ქცივა, მის აქნებ სუხტ ცხოველში უნახავს ასე-
თი ანგელოზი, „დელი, შეხედე მავ ანგელოზ-
სო“, იგი იგი, რა ცოტა სდომებია ამ ეცეს!

მაშასადამე, მისი სიყვარული არის უანგა-
რო, ბრმა სიყვარული, და არა გლეხური — მკლ-
აუებს, კბილებს, ფეხებს, რომ მოუღინჯავენ,
ჯანმრთელი იყოო. გიორგი შორხა ამისაგან.
ეს არის ორიგინალური სიყვარული და ეს
არის მსოფლიოში უნიკალური კოლიზია სიყვ-
არულისა...“!

ამ მსჯელობაში ჩანს, როგორ სიღრმეს ეძე-
ბდა იგი ეკრანული პერსონაჟისათვის. მანშობ-
ბური მოკლერებისა და მანშობური ვიწროების
გაიზიანების შემეიული ოსტატე ცდილობდა ოთ-
არაანთ კვრივისა და გიორგისათვისაც ასეთივე
„მანშობური თვალთახედე“ მიწასადაგებინა.

„რა გააკეთა გიორგიმ?“ ასეთი კითხვი
მიმართა ჭიაურელმა სხდომის მოწაწილებს და
თვითმე შეიტდა აფხსნა:

— ჩვენ ვცოთ ხერხეულიძეების გიორგია,
რა ვაკეთა გიორგიმ? ვაზი გააშენა? თუ ის

¹ В. Шкловский. Письмо М. Чиаурели. საქ. სსრ, თეატრის, მუსიკისა და კინოს
სახ. მუზეუმი ფ. 1, ს. 178, №41, 6 205, 85/54.



მუშაობს მიწაზე, ეს მისი მოწოდებაა. პირუტყვი უყვარს და გალახა მოქამაგირე? სხვა რა გმირობა ჩაიდინა?

ს დო ლ ი ა მ ე : ილია ქვეჭავჭავის აწუხებდა ერთი ამბავი — ორი კლასის ამბავი ამას შეეწირა თვითონ და წინამურტე დაეცა. რატომ უნდა ეძებნოთ გიორგის გმირობა?*

მ. კინემატოგრაფი მანც არ გაიზარა კოლეგების აზრი მის შესახებ, რომ დოდის ნაცვლად პურის მკა შეეტანა ფილმში. არ გაიზარა ისიც, რომ ახალი პერსონაჟის — მავკალას შემოყვანით მავურებლის თანაგრძნობა მავკალასაკენ გადაიხრებოდა („მე მიყვარს ორგანულად დაკავშირება. მავკალა აკავშირებს თუ არა ორგანულად? უმეტესად აკავშირებს!“). კესოსა და გიორგის სიყვარულის ამბავი მან ფსიქოლოგიურ პლანში უფრო გადაწვიტა, ვიდრე სოციალურში.

სახოლოდ ფილმმა ამით დიდად წააგო, ურველ შემთხვევაში, ილიასათვის დიდად მტკივნეული კლასთაშორის „ჩატებილი ხიდის“ პრობლემა დაჩრდილა სხვა წვრილმანმა საკითხებმა და ფილმში ფონად გამოყენებული ნაშღვითი. ჩატებილი ხიდის რეალისტული ხედი სრულიადაც ვერ იქცა დიდი პრობლემის ეკრანულ სიმბოლოდ.

სავსებით ბუნებრივია, რომ კლასიკოსის ნაწარმოების პერსონაჟი თითოეულ მკითხველს თავისებურად აქვს წარმოდგენილი. ისიც ბუნებრივია, რომ შემოქმედს უცილობელი უფლება აქვს სუბიექტურად წაიკითხოს და იხე წარმოგვიდგინოს იგი. მ. ჭიაურელმა საკიროდ მიიჩნია კინემატოგრაფიულად გაემთავრებინა ხასიათები, შეეტანა ცვლილება სიუჟეტში:

წინასართვისობრო საბუშოსთან დაკავშირებულნი ეს სიძნელენი — სცენარზე მუშაობა, მსახიობების შერჩევა, გადამღები ჭგუფის კოლექტივის შექმნა, — რაც ბუნებრივად თან ახლავს ნებისმიერ ფილმზე მუშაობას, სრულიად უმნიშვნელოდ მოჩანს იმ სიძნელეთა ფონზე. მ. ჭიაურელს რომ შეხვდა ფილმის გადაღების პროცესში.

ბოლო და ბოლოს, სიძნელეები უკან დარჩა. ფილმი მ თვეში დასრულდა.

მავურებისათვის საკმაოდ უმნიშვნელო საკითხია გადაღების პროცესის დაბრკოლებანი, იგი ფილმს მხოლოდ მისი საბოლოო შედეგით აფასებს.

იყო თუ არა ფილმი ილია ქვეჭავჭავის უკვალი კალმის საკადრისი?

კრიტიკა ერთსულოვანი აღმოჩნდა მხოლოდ სხრქ სახალხო არტისტის ვერიკო ანჭაფარიძისეული ოთარაანთ ქვრივის შეფასებისას.

მსახიობმა თავისი ეკრანული გმირისათვის გამოყვეთა ორი ზუსტად დამახასიათებელი ნიშანი:

1. ოთარაანთ ქვრივი ქალია, რომელსაც თარა ვისი ადამიანური უფლების დაცვა შეუძლია.

2. ოთარაანთ ქვრივი უერთგულენი დედაა, რომელმაც მთელი კლობა შეიღ შეაღია.

ვერიკო ანჭაფარიძის ტრაგიკული არტისტული დიპაზონის შესანიშნავ დასტურად დარჩება ფილმის ერთ-ერთი უბადლო ეპიზოდი — ოთარაანთ ქვრივის სამგლოვიარო პროცესში, შეილის გაცეცხულ ცხედარს მიაცილებს. („სამართლიანად შეადარა დ. ბენაშვილმა ეს კადრი „იბალიური რენესანსის ფერწერული ოსტატების ნიმუშებს“). გაქვეცხდილი ხასიათის თითქმის ყოველგვარო არტისტული ენისაგან განპარტული მსხიობი უმეცარესად შერჩეული ზუსტი ინტონაციით ახერხებს ამ ეპიზოდისათვის განკუთვნილი ორი-სამი ეკრანული წუთი აქციოს ზელოვების მწვერვალად. აღბათ ზუსტად ამ ორსამი წუთთან ზიარების იმედად მისი მავურებელი ყოველ ფილმზე.

მადლი არტისტული ხელოვნებით წარმოსახა მსახიობმა ოთარაანთ ქვრივის სიცოცხლის ტრაგიკული ფინალიც, როცა „გატუდა ეს რკინის დედააკაციც, ეს ფესვმგარი ხეც წამოაქცია ქავრმა დედისამ“.

კინემატოგრაფიულად ეფექტური და ფსიქოლოგიურად დამაჭერბელი აღმოჩნდა მ. ჭიაურელის მიერ ჩამატებული ეპიზოდი — გიორგისა და კესოს პირველი გაცნობა.

მსახიობი გ. შენგელაია ი. ქვეჭავჭავის მიერ გაიდელბულები გმირის (მომხილავი გარეგონების, სიმართლისყოყნაზე, გამრჯე, გონებარგანსილი) მშენიერებისადმი სწრაფვას გვისახავს ადამიანურ უფლებად, რეჟისორი კი კინემატოგრაფიული ხეობებით ცდილობს შეუქმნას ფონი, რომელიც გვიმტკიცებს — ადამიანისათვის ამ უფლებას წართმევა სიცოცხლის აზრის წართმევას უფრის.

შეძლო თუ არა რეჟისორმა ილიას ფილოსოფიის კინოდეკლარაციის შექმნა ორ კლასს შუა დაკარგული კაცობის, „ხედატებილობის“ პრობლემის შესახებ? უნდა ვაღიაროთ, ვერ შეძლო. ფილმის რეალისტობაში და ფინალში წარმოვადგინოთ ექსპლიტურად ჩატებილი ხიდი ძალზე ნაკლებდამაჭერბელი სიმბოლოა საამისოდ.

დიდი ილიას — მოაზროვნის, პოეტის, ფილოსოფოსის შემკვიდრებობაზე გაზრდილ მართველ მავურებელს არ შეიძლებოდა ამ მწკვეთ სოციალური პრობლემის გაილბედა ამ მსოჩვენებოდა სცენარისტებისა და რეჟისორის მიერ ჩამატებული ეპიზოდი — გიორგის დალუპვის მიზეზად კესოს გამოყვანა. ი. ქვეჭავჭავის არ გაუილოდებია ამ ხიდის აქეთ-იქით მდგომი კლასების დახლოებისა და ურთიერთგაწირვის საკითხის გადაჭრა. სულაც არაა შემთხვევითი შტრიხი, რომ გიორგი სხვის მიერ ცუდად გაკეთებული ზვინის გასწორებისას ილუპება. ეს მხოლოდ მისი ხასიათის შტრიხია, სრულყოფი-

ლებიანი სწრაფების ადამიანური უფლებების გამოყენებაა მისთვის ხელმისაწვდომი ფორმით. კლასთა ურთიერთდაპირისპირების, „ხილ-ჩატეხილობის“ ილიასეული კონცეფცია ყველაზე სრულყოფილად ილია ჭავჭავაძის „ოთარის კერძები“ წარმოდგენილია არჩილის და კესოს მხატვრულ სახეებში, მათ ვრცელ დიალოგებში.

ეკრანულმა პერსონაჟებმა მასუბრებლამდე ვერ მიატანეს მწერლის წუხილი.

1958 წლის დასაწყისში ფილმი ითარგმნა რუსულ ენაზე საკავშირო ეკრანისათვის. ფილმების საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილის, მთავარი რედაქტორის ნ. ასლამანოვის დასკვნაში ნათქვამი იყო:

„...თავის დროზე, ლიტერატურული სცენარის განხილვის შემდეგ აღინიშნა, რომ ავტორებმა ფაქიზად ისარგებლეს ლიტერატურული პირველწყაროთი და გიორგის პირადი დრამის ფონზე შეძლეს დამატებლად ეტყენებინათ ქალბატონზე გამიჯნურებული უბრალო ადამიანის ტრაგედია, გაეშთღებინათ სოციალური თემის ფესვები.“

ფილმში ეს სოციალური აზრობრივი დატვირთვა კიდევ უფრო მეტადაა გამაფრებული, თუმცა, უნდა აღინიშნოს, ფილმის დამდგმელმა რეჟისორმა მ. ჭიაურელია თავი ვერ დააღწია წარსულის ერთგვარ გაიდევლებას...“

ძნელი წარმოსადგენია, რა შეიძლება მივიჩნიოთ წარსულის გაიდევლებად. ავტორი კონკრეტულ მაგალითს კი არა, ზოგად განმარტებას სწერდებოდა. მაგრამ თუ ეს ბრალდება სინამდვილეს შეეხება მება, მაშინ აბსურდულად ჩანს რეჟისორის მთელი ნაღვაწი ამ მოთხრობის ეკრანიზებისას. დიდი ილია ხომ სწორედ საპირისპირო მისაზრების დასტურად ჰქმნიდა ამ მოთხრობას.

ამ დასკვნის ავტორი კიდევ უფრო დაბეჭთებით იყენებს თავის უფლებამოსილებას, როცა მოითხოვს ფილმის „მერვე ნაწილიდან, კესოსა და არჩილის საუბრიდან“ (ამ სიტყვების შემდეგ — ფინი რაღა, წინა?) მთლიანად ამოშალოს ფრაზა: „ეგ ცრემლიანი ცოდნა თუ ცოდნაინი ცრემლი უკანისა უკანა სწვავს და მჭუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნაბი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მიელს ტვის მოტარს, რომ ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი გაამტრელოს და იგერ ორსვე ნაპირს გაერთიანებს.“ ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნაინი ცრემლი უკანისა — შუქია წინისი და შუქი ხომ... დასაწყისია განთიადისა.“

რუსულ დედანში საკმაოდ უხვიორდაა თარგმნილი ეს ციტატა. ამ ფრაზებში ისედაც აღარ ჩანს ილიასეული მსოფლმხედველობა — ტანკვით, ცრემლით, შეცნობის ტკივილებით სავსე გზას კაცობრიობის პროგრესის, ადამიანთა გადარჩენის გზად რომ მიჩნევიდა, ხოლო მისი სრული ამოშლით საკავშირო მასუბრებლამდე

საერთოდ ვედარ მივიდოდა ის სიღრმე, რაც სწავლავდა ჩაქსოვილი ილია ჭავჭავაძის ამ მხატვრულ ტილოში.

ფილმი, რომელიც ი. ჭავჭავაძის დიდი მემკვიდრეობის პირველი ეკრანული ცდა იყო, ქართველმა მასუბრებელმა ადგილობრივებით არა, მაგრამ ინტერესით და გულთბილად მიიღო. ფილმს წარმატება ჰხდა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მოსკოვში.¹ საკავშირო მასუბრებელმა, ბუნებრივია, სხვა გრძნობის, ფხიზელი თვალით დაინახა და შეაფასა ფილმი.

კრიტიკოსმა რ. იურენევმა რეჟისორის, მხატვარ ლ. მამალაძის, ოპერატორების და კანდელაკისა და დ. ფელდმანის ნამუშევარი ედუარდ მანცა, დომიგესა და გ. გაგარინის ფერწერულ ნამუშევრებს შეადარა. ვრცლად ისაუბრა კომპოზიტორ ს. ცინცაძის „ღრმად ემოციურ და მელოდიურ მუსიკის“ დირხებაზე, ხოლო არჩილის მხატვრული სახის შეფასებისას კვლავ იჩინა თავი პრინციპულმა სხვაობამ თვალთახედვაში, რომელიც ქართველ და საკავშირო მასუბრებელს შორის შეიძლება იყოს წარმოშობილიყო ქართული კლასიკური ნაწარმოების ეკრანიზებისას. ქართველი მკითხველის ასოციაციაში არჩილის სახე დაკავშირებულია ეპოქალურ ტკივილებთან, ამიტომაც შემსრულებლისაგან ითხოვს ამ ტკივილების ადეკვატურ ასახვას. საკავშირო მასუბრებლისათვის, რომლისთვისაც პირველწყარო უცნობია, იგი მხოლოდ მეტატონის მხატვრული სახის ასახვის ცდაა და ამიტომ მისი უოველგვარი ინტერპრეტაცია მისაღებია.

კრიტიკოსმა მაღალი შეფასება მისცა მახიომ ვ. ანჯაფარაძის ოსტატობას, „საერთოდ კი ფილმი მიიჩნია „მაღალი ოსტატობისა და უძველესი ნიჭიერების ნაწარმოებად“.

ფილმი წარდგენილი იყო ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

1958 წლის 31 იანვარს თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სახელზე მოსკოვიდან სასინარყო ცნობა მოვიდა — მ. ჭიაურელის „ოთარის კერძები“ მიენიჭა ვენეციის კინოფესტივალის საპატიო დიპლომი.

შემდგომ წლებში კინოეკრანზე გასცხლდა ილია ჭავჭავაძის „გლახის ნამბოზი“ და „კაცია-ადამიანი“? მაგრამ, ვფიქრობ, არც ერთ მათგანში სრულყოფილად არ ასახულა ავტორისეული აზროვნების სიღრმე.

ქართული კინემატოგრაფი კვლავ ვალშია დიდი ილიას უკვდავი სახეობის წინაშე, ახალი თაობის მიერ კინემატოგრაფიული თვალთახედვით წაკითხვასა და ეკრანულ სიცოცხლენების ი. ჭავჭავაძის უწარმაწარი მემკვიდრეობა

¹ P. Юрнев — «Отарова вдова», газ. «Советская литература», 1958 г. 29 марта.

შალვა მარკოზაშვილი

პრობუმი მსახური

1895 წელს, როცა ილია ჭავჭავაძემ სოფელ საგურამოში, გურამიშვილების ნაშობხლარზე, სამსართულიანი აგურის შენობის აგება დაამთავრა, ფართოდ აღნიშნა სახელწოდების დღე — ილიაობა.

საზეიმოდ გამოიურებოდა მწერლის სტუმართმოყვარე სახლი და ეწოდა. საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსული სასურველი სტუმრები კეთილ მასპინძელს ულოცავდნენ სახელწოდების დღეს და უსურვებდნენ წელთა სიმრავლეს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ილიას სახლის ახლოს, ბებერი, ტანმალეი კაკლის ხის ქვეშ ტევა არ იყო, ფართო ეწოდა ორ და სამ მწკრივად გაშვებული გრძელი სუფრები, ისმოდა ზურნის ხმა, შედუღუკები ერთმანეთს ეჭიბრებოდნენ, უკრავდნენ სალამურს, ჩონგურს, დაირას.

საგურამოელმა გუთონსდელამ თავოუხის თავიული მიართვა იუბილარს და ტკიბილქართულით მიულოცა სახელწოდების დღე, შეთევვეებმა არაგვი დაქერილი ცოცხალი მიართვეს. ვის ხილი მოჰქონდა, ვის — ბოსტნუელი.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ილიაობას იხილდა არა მარტო ჭავჭავაძის ოჯახი ან საგურამო, არამედ მთელი ქართველი ხალხი, მთელი საქართველო. მოზეიმე ხალხსა და ვარდ-ყავილებით დამშვენებულ ეწობას იდუმალოდ ეხმატკიბებოდა შენობის სახურავზე ატანილი მოზრდილი, აღისფერი დროშა, რომლის ლალ შრიალში უკეთესი მომავლის რწმენა იხატებოდა.

სიხარულისგან თვალმებარწინებულ ილიასა და მის მეუღლეს დროადარო მიუახლოვდებოდა ხოლმე შინდისფერ ჩონა-ახალუხში გამოწყობილი მოხდენილი გარეგნობის უმწველი, რომელიც მოკრძალებით რაღაცაზე ეთათბირობდა მასპინძლებს.

მსახურის ვინაობით დაინტერესებულ სტუმრებს ოლღამ სიამოვნებით გააგებინა, რომ უმწველი, საგურამოელი გლეხის შვილი, იაკობ თარაშვილი ადრე დაობლიდა და მათ ოჯახში აღიწარდა, იქვე ისწავლა წერა-კითხვა;

ილია იაკობთან ერთად გლეხების სუფრასთანაც მივიდოდა ხოლმე, რამდენიმე წუთს მა-

თან დაქდებოდა. სადღეგრძელოსა და სიმღერას მოისმენდა.

აგერ მოხუცი თაზია გზირიშვილი ძლივს წამოდგა ზეხზე, სავსე ქაშანურის ჭამიდან, რომელიც აკანალებულ ხელში ეკავა, ღვინო ეღვრებოდა.

თაზიამ მამაშვილურად დალოცა ილია და ჭამი ბოლომდე დაცალა. ხელმეზუმწუკიანი, წვერგაუპარხავი, აკანალებული თაზია სხევების დახმარებით ისევ თავის ადგილზე რომ დაჯდა, ილიამ მოხუცს თავზე აკოცა, მერე ჭამი გამოართვა. მერიკიფეს შეავსებინა და სტუმრები გულთბილად ადღეგრძელა.

როგორც წესი, ნადიმის დასასრულს იმართებოდა ჭიდაობა, ცეკვა, ხევისრები კეჩნაობდნენ... ილიას ჭიდაობა უფრო ართობდა, გამარჯვებულებს აქებდა და ასაჩუქრებდა კიდევ.

იაკობმა კარგად იცოდა, რომ ილიას ლოთებთან შეხედრდა ზარავდა, აკი გლეხებს ხშირად ეუბნებოდა, სასმელმა არ დაქლიოთ, არ ილოთოთ, სამარცხვინო ყოფაში ჩაგაგდებთ და შქვეს ჩანმრთელობასაც ავნებსო. ამიტომ, თუ ვინმე ნასვამი ხმას აიმაღლებდა, გაქირვეულებოდა, იაკობი მაშინვე მასთან გაჩნდებოდა, წესრიგისკენ მოუწოდებდა. ლოთი სუფრას ტოვებდა და კარგად ორგანიზებული ილიაობა უველასათვის სასიამოვნოდ მთავრდებდა, ის დღე სტუმრებს კეთილმოგონებად რჩებოდათ.

საგურამოელი იაკობ თარაშვილი ობლობაში აღიწარდა. ცხრა თვის ძლივს იქნებოდა, დედა რომ გარდაეცვალა. ძუძუმწოვარა, უსუსური პატარას აღზრდა ძალიან გაუძნელდა დაქვრივებულ მშველელ ზაქარიას.

დღით ობოლ ბავშვზე განსაკუთრებით თავი გაღად ბიძის ცოლმა ნინომ, მან საკუთარი შვილივით შეეყვარა იაკობი. სამწუხაროდ, ბავშვს მალე მამაც გარდაეცვალა.

ბედდ, იაკობი ჩანსალი გამოდგა, ისე გაზარდა ნინო ძალომ, რომ პატარას თითქვ არ წამოსტკივებია.

ოთხი-ხუთი წლის ბიჭუნა, რომელმაც შინ შეისწავლა ცეკვა და სიმღერა, ყველას სიყვარულს იმსახურებდა.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ძია ალექსიმ პატარა იაკობი ილია ჭავჭავაძის ეწოში მი-



იყვანა. ილია და მისი მეუღლე შინ იყვნენ. ალექსი თარაშვილი ილიას მეურმედ ემსახურებოდა. მას სოფელში გამარჯე და შრომისმოყვარე კაცად იცნობდნენ. მწერალსაც მისი ნაწილები მოსწონდა. აჯახებდა და ენდობოდა.

ილიამ ალექსისთან პატარა ბავშვი რომ დაიწახა, თავზე ხელი გადაუსვა, მისი ვინაობით დაინტერესდა.

ეს ჩემი ობოლი ნათესავია, — უთხრა ალექსიმ. — მშობლები აღარ ჰყავს და ჩვენ ვზრდით. ილიას მეუღლემ სიბრალულით თავი გადააქნია. ილიამ იაკობს აღერსიანად მხარზე ხელი მოუცავს. მერე შორიახლო მდგომ მოურავს მიუბრუნდა და უბრძანა. ამ ბიჭს თავილი და ხილით გაუშასხმდელიო.

სალამო ხანს, როცა ალექსიმ შინ წახვდა და აპირა, ქალბატონმა ოლღამ მეურმეს ქაღალდში შეხვეული მატერია გაუწოდა და უთხრა, პატარა იაკობს ამით შარვალიც გამოუვა და პერანგიც, შეუყერეთო და კიდევ მოიყვანე ხოლმეო.

იმ დაუეწიარო დღის შემდეგ, როცა ილია და მისი მეუღლე სოფელში იყვნენ, ალექსის ხშირად მიჰყავდა იაკობი მათთან.

ქალბატონი ოლღა ქალაქიდან ისე არ დაბრუნდებოდა, რომ იაკობისთვის ჩასაცემელ-დასახურის ან ტკბილეული არ მოეტანა.

ილია ჭეჭეჭავაძე ყოველ დღესასწაულზე, როცა საგურამოში იყო, წინამურემ ქოსა გიორგის ავალბედა, აღეწერა ობოლთა და გაპირვებულთა ოჯახები. გიორგიც ერთგულად ასრულებდა დავალებას და აღწერის შემდეგ მოწოდებდა სიას მიუტანდა ილიას. ის კი გიორგისავე ხელით საჩუქრებს უგზავნიდა მათ. გულნატყენს არავის ტოვებდა.

— ილია ჩვენი მფარველი ანგელოზია. — ამბობდა ალექსი.

— ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ბედით და ჩაგრულთა ქომაგი, — უმატებდნენ სხვები.

პატარა იაკობი ბიძისგან მეურმეობას სწავლობდა. როცა საჭირო იყო, კამერებს ურემთან მორეკავდა, უდღელს დაადგამდა, დროადრო ვაჟკაცურად შეჰკვივებდა და ზოგჯერ ლაშათთანად სახრესაც გადაუტაკაყუნებდა ხოლმე. გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა საქონელს, რომ ნარგავები არ დაეზიანებინათ.

ერთ საღამოს, როცა ილია ეზოში ყვავილებს რწყავდა, იაკობმა სადღაც გაიწახა პირმოტეხილი დოქი, ვაგისო წყლით და შეუდგა ყვავილების რწყვას. ილიას მოეწონა ბავშვის საზრიალო და შეაქო. მას შემდეგ იაკობი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ კეთილი მწერლის გული მოეგო, ილიას მადლობა დამესახურებინა.

იაკობ თარაშვილმა ილიას მეუღლის დახმარებით შეისწავლა წერა-კითხვა. ქალბატონი

კმაყოფილი იყო პატარა შვიგირდის უურადღად, ბითა და გულისხმიერებით.

ქალბატონმა ოლღამ შვიგირდს ქართული წერა-კითხვისა და ანგარიშის გარდა რუსული ასოებიც შეასწავლა. თბილისიდან მოუტანა საყმაწვილო წიგნები, რითაც დიდად გაახარა თავისი აღსაზრდელი.

მაშინ იაკობი ათი-თორმეტი წლისა იქნებოდა. როცა ილია ჭეჭეჭავაძემ მეურმე ალექსის და მისი მეუღლის თანხმობით ბიჭი თავისთან გადაიყვანა საცხოვრებლად.

ილიამ და მისმა მეუღლემ გულმოდგინედ მოციდეს ხელი იაკობის აზრდას. განსაკუთრებით ქალბატონი ზრუნავდა ბიჭზე: ასწავლიდა, არიგებდა, აკითხებდა წიგნებს, თავისუფალ დროს კი თვითონ უკითხავდა და უთარგმნიდა რუსულიდან. იაკობი უურადღებით უსმენდა უფროსებს, სიამოვნებით ასრულებდა მათ რჩევადარჩევებებს.

იმხანად საგურამოში ზმა დაირხა, ბატონმა და ქალბატონმა იაკობი შვილად აიყვანესო, სოფელში სიყვარულით იხსენიებდნენ კეთილ მზრუნველებს.

იაკობი თანასოფელიებთან ამაყობდა ილიასა და ოლღასთან სიხელოვით, თავს ბედნიერად თვლიდა მათთან თანადგომით.

სოფელში კარგად იცოდნენ, რომ ილია არც ფიზიკურ შრომას თავილობდა, თავისი ხელით რგავდა მცენარეებს და გულმოდგინედაც უყვლიდა. მწერალს განსაკუთრებით უყვარდა იასამანი და მალბი, ზვიარა ვარდი. იაკობმა არა ერთი და ორი მცენარე ახარა მწერლის ბაღში. იაკობს ძალიან აკვირვებდა, რომ ილია არ ერიდებოდა გლეხებთან შრომას: ხშირად უნახავს ილია ფწილით კალაზე გასული, ეტლის ბორბლის შეღებვის დროს როგორ აზვიებდა საღებავს, როგორ გულმოდგინედ აღვიებდა ქურას... იცოდა, რომ ილია გამარჯე, შრომისმოყვარე კაცის დამფასებელი იყო, სძულდა ცულულუტები, ქურდები, მოლაყბებები.

ილიას კარ-მოდამოში მუდამ სისულთავე სულევდა. მწერალი თვითონ აქცევდა ამას განსაკუთრებულ ყურადღებას. იაკობიც მთელ დღეს საქმიანად ტროალებდა. წესრიგს იცავდა, საჭირო შემთხვევაში მითითებას აძლევდა მელორესა თუ მეხბორეს, მზარეულსა თუ მეტელეს...

ილია სამი წლის განმავლობაში აშენებდა საგურამოს სახლს. ზოგჯერ ფიზიკურადაც ეხმარებოდა მშენებლებს, განსაკუთრებით ხალისს გრძნობდა მაშინ, როცა მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა, ამ მშენებლობის დროსაც, იაკობი ჯერ კიდევ ყმაწვილი, ილიას გვერდით საქმიანობდა, ხან კალატოზებს ეხმარებოდა, ხანაც მეურმეებს.

შალვა მარკოზაშვილი
პრეტული მსახური

ილიას მსახურს ლაშათიანი ჩაცმა-დახურვა უყვარდა, სოფელში ურიგოდ გასულს ვერავინ ნახავდა. ტანზე მოხდენილად მორგებული ჩოხა-ახალუხი ამშვენებდა. მოხუტუკო თმაზე ნაზღის პატარა კუდი იტურა, მსხვილი, შავი თვალები, ოდნავ მოკაუტებული ცხვირი და კაკობი უღვამი მის შავგვრემან სახეს კიდევ უფრო ხანდაზმიან გამომეტყველებას აძლევდა.

გლეხი კაცის კვალობაზე იაკობმა უვლადფერი კარგად იცოდა: ვაზისა და ხეხილის მოვლა-პატრონობაში ხომ ტოლს არავის უდებდა, პირუტყვის მოვლაში სხვებს აძლევდა რჩევას, იცოდა მეურნეობა, მეტელეობა, რასაც ხელს მოჰყავდებდა. უსათუოდ დროზე და კარგად უნდა შეესრულებინა.

ეწოს ცენტრალურ ნაწილში, სადაც ტანაშოტილი ცაცხვის ხეები დგას, ილიას ინიციატივით მოეწყო საჩვენებელი საფუტკრე. იაკობი დაუახლოვდა შრომისმოყვარე მეფუტკრე დანიელ მასლოვს, გულმოდგინედ საქმიანობდა მასთან და მალე მეფუტკრეობაც ისწავდა. თავისუფალ დროს იაკობი დანიელს სანაწავლიდა ქართულს, ძნელად გამოსათქმელ სიტყვებს რამდენჯერმე ამეორებინებდა. სამაგიეროდ, დანიელი რუსულ ენაში ავარჯიშებდა მას და ხშირად ესაუბრებოდა რუსი მეწარმეების, მათ შორის, ლევ ტოლსტოის შემოქმედებაზე. ილიასა და ოლღას ახარებდათ მათი ასეთი მეგობრობა.

იაკობ თარაშვილს ერთი თვისება ჰქონდა, დროდადრო სხვის საქმეში ერთოდდა. მართალია, მისი ასეთი ჩარევა უყოველთვის სამართლიანი იყო, მაგრამ სოფელში ზოგს არ მოსწონდა და რამდენჯერმე უხერხულ მდგომარეობაშიც კი ჩაუყენეს. დაინახავდა თუ არა უპატრონოდ მიტოვებულ საქონელს, მაშინვე მოძებნიდა მის პატრონს და საუკედურობდა, უხერხოდ, თუ პირუტყვი გინდა, უნდა მიხედო კიდევ, თორემ საქონელია, სხვისა ბაღსა თუ ბოსტანში გადავა და მოსავალს გაათიანებდესო. ზოგჯერ, უსაქმურად გაჩერებულ თანატოლს რომ შეხვდებოდა, დატუქსავდა, რა სიამოვნებას გრძნობ უქმად უიალში, ხელ-ფეხი რომ გააძვრიო და იმუშაო, ღმერთი არ გაგიწვრებაო.

ერთ დღეს ტყეში სანადიროდ წასული იაკობი შინ ლოყავალურკებულნი დაბრუნდა. ხელში ვეებერთელა ცული ეჭირა. ილია დანტერესდა, რა დაგემართათ და მსახურმაც უვლადფერი დაწვრილებით უამბო:

— ბატონო, აი, ჩვენებური გრიგოლი ტყეში ვწახე, აულია ეს ცული, მისდგომია მუხის ხეს და მსხვილ ტოტებს აჭრის. მე გავუჭარდი, რას ჩეიხარ, შე უღმერთოვ, განა სხვა ხეები არ არის, რომ მუხაზე არ ახვიდნენ-მეთქი? მან მიასახუბა, ბატონ ილიასგან ნებართვა აღებულ იქნა და შენ მანდ ხმაგაწვევითლი იყავიო. გული მომივიდა, ავადი ხეზე, წავართვი ცუ-

ლი და დაბლა ჩამოვტი, მალე ისიც ჩამოვიდა, გამომტყიდა, ვერ დამეწინა და ლოყაზე ქვა მომარტყა.

ილიამ დინჯად მოისმინა იაკობის ნაამბობი და უთხრა: — ეგ ძალიან კარგია, რომ მუხის ტოტების მოჭრის ნება არ შეიცვია, მაგრამ რომ ვერ მორიგებულხართ და შენთვის ქვაც უსვრია, არ მომწონს, უნდა გერჩია, რომ ჩემთან მოსულიყო და მე მოველაპარაკებოდი.

— ბატონო, გამხეტებულნი იყო და არ მისმენდა. მაინცდამაინც მუხის სამარკლები უნდოდა, — თავი იმართლა იაკობმა.

საგურამოელი ტუხუნა მოძღვრისშვილი სოფელში წელმეგარ გლეხად ითვლებოდა, ვენახი და ბაღი კარგი ჰქონდა და არც ცხაარ-ძროხა ჰყავდა სხვაზე ნაკლები, მაგრამ ცოტა ხელმართედა კაცი იყო.

ერთ საღამოს მოურავმა შენიშნა, რომ ილიას ბაღიდან ტუხუნა ქორფა კიტრებს იპარავდა, მან ქურდი ბატონთან მიიყვანა. ილიამ ტუხუნას უსაუვედურა, შენგან ქურდობას არ ველოდი და ძალიან მიკვიროსო.

— ბატონო, შემთხვევით ერთი-ორი კიტრა მოწვევით. ეგ რა ქურდობაა, — თავი იმართლა ტუხუნამ.

— შემთხვევით მოწვევდა არ გამიგონია და ვინძლო ეგ აღარ გაიმეორო, — უპასუხა ნაწვევმა ილიამ.

გავიდა დრო. ტუხუნას დაავიწყდა ილიას გაფრთხილება და ქურდობაზე ხელმეორედ დაიჭირეს. მას ღობე გაეტება, ლოყაწითელი ვაშლებით უბე გაეცხო და. ის იყო წასვლას აპირებდა, რომ იაკობი სწვედა კალთაზე, შეანჭდრია და ვაშლებიანად ილიას კალთაზე. ილია გაუყურა: სირცხვილი შენ, მოძღვრისშვილო, რომ კიდევ ქურდობაზე დაიჭირეს, ვაშლი თუ გინდოდა, რატომ არ მოთხარი... როდის იყო, ჩემთან სათხოვნელად მოსული კაცი უარით გავისტუმრე, მიკვიროს, ქურდობას რატომ კადრულობ ამ ხნის ადამიანი?

ტუხუნას შერცხვა, აიძრია. — ერთხელ გაგაფრთხილე ქურდობისათვის, დაგავიწყდა, მეორედ კიდევ იჭურდე, ვაშლი მოიპარე და ღობეც გამოიტყე, ერთი მოთხარი, ამას პატიოსანი კაცი იყადრებს?

— დამნაშავე ვარ, ბატონო! — ძლივს ამოილულულა ტუხუნამ.

— მო, კარგი, ეგ ვაშლი წაიდე და ამიერიდან ჩემს კარ-მიდამოს აღარ გაეყარო.

ტუხუნამ ვაშლი იქვე დაუარა და ჩქარი ნახივით გაშორდა იქაურობას.

რამდენიმე დღის შემდეგ მოძღვრისშვილმა ძღვენი გამოუგზავნა ილიას და თან სატუქარი სთხოვა. ილიამ თავი შორს დაიჭირა, მაგრამ არ მიიღო, მოციქული დაავალა, ჩემი სარუქარი ის იქნება, ტუხუნას სოფელში ქურდი კაცის სახელი რომ არ ექნება, ხალხი დააფასებს



როგორც პატრიარქის და, აი, მაშინ შეეუბრა-
დებოი.

ქალბატონ ოლღას ძმა ზაალ გურამიშვილი
კუთხუთხი იყო. მისი დაუფიქრებელი ქცევა
და მოქმედება ხშირად სიცოცხლის იწვევდა მნა-
ხელში.

ილიას მსახურს ებრალებოდა ქუანაყლული
ზალიყო და არა ერთხელ გამოქომაგებია. ბევრ-
ჯერ გაუყიციხავს თანასოფელელი უსაქმური ბი-
ჭები;

— მაშ, ეს ქვეყნის სამართალია? — უთქ-
ვამს გაგორა მამხალაშვილს თანასოფელელები-
სათვის, — ზალიყო თავადისშვილი ერქვას
და იაკობი კი გლეხად ითვლებოდესო?

— ნუ წსუხარ, გაგორ, მე ჩემი გლეხისშვი-
ლობა სრულიადაც არ მაწუხებს, რას მიქვიან
წოდება, კაცი უნდა იყოს ნამდვილი ადამიანი
და არა თავადიშვილობით დამშვენებული, —
უპასუხა ხალისიანად იაკობმა.

ერთხელ სოფლის გზაზე მიმავალი იაკობი
მარამ გელძემ რომ დაინახა, მეზობელ დედა-
კაცებს გადაულაპარაკა: აფსუსი არ არის, ასეთ
კარგ ჭეღღს დედამამა არ ჰყავდეს, ამის მზე-
რით არ ტყბებოდნენო.

— მაგას რა უჭირს, ღმერთმა მშობლების
ნაცვლად კარგი პატრონები მიუჩინა, იცოცხ-
ლონ მისმა აღმზრდელებმა, რომ ობოლი დაა-
ვუყავსო, — უპასუხა ილიას პურის მცხო-
ბელმა სოფოი უნდილაშვილმა და სიყვარულ-
ით გადადევნა თვალი იაკობს.

თავისუფალ დროს იაკობს უყვარდა ილიას
შინამოსამსახურებთან ლექსების კითხვა. პო-
ემა „კაკო უაჩალი“ გაწვირებული ჰქონდა. წა-
კითხულისა თუ გაგონილის მიწვიდედელი თბრო-
ბა ებრალებოდა, გლეხები სიამოვნებით უსმე-
ნდნენ.

ერთ დღეს იაკობმა ილიას სამახსოვრო წიგ-
ნი „გეფხიტყუასანი“ გამოიტანა გარეთ და
თანატოლებს მოკლედ, მაგრამ საინტერესოდ
უამბო მისი შინაარსი. წაუკითხა ნაწევრები,
რის შემდეგაც ხალისიანად დაუმატა: ეს ძვი-
რფასი წიგნი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწა-
რმოებია ჩვენს ენაზე, რუსთაველის უკვდავი
პოემა ქართველი კაცის გულის საუნჯეაო.

კვირა ისე არ გავიდოდა, იაკობი ორჯერ მა-
ინც არ სწევოდა ბიძის ოჯახს, ბიცოლასა და
ბიძაშვილებთან ხილი ან ტკბილეული არ მიე-
ტანა, სიყვარულით არ მიხმატებოდა. ნი-
ნო ძალო გულში იკრავდა იაკობს და ლოცვა-
ურთბევას უგზავნიდა ოლღასა და ილიას.

1907 წელს ილია კავკავაძე ჭანგატეხილი
შეხვდა. ხან გულს უჩიოდა, ხან საერთო სის-
უსტეს. მის გულწარმობობას ქვეყნად გა-
მეფებული საშინელი რეპრესია იწვევდა: ცხო-
ვრება უსახარულო იყო, ყველგან უსამართლ-
ობა ზეიმობდა.

ფიციური სისუსტის მიუხედავად ეგვიპტეში
დროულად გაემგზავრა პეტერბურგს, რუსეთში
ხელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელს დასწეროდა.
პეტერბურგში თან ახლდნენ დღენიადაც მასზე
მზრუნველი ადამიანები — გულისხმიერი მეუ-
ღლე ოლღა და ერთგული მსახური იაკობი.
რუსეთში ყოფნის დროს შეატყობინეს ილი-
ას მოურავისა და მისი მეუღლის მკვლელო-
ბის ამბავი.

აკვისტოს ბოლოს ილია თბილისიდან საგუ-
რამოში გამგზავრებას აპირებდა.

მე აკვისტოს დილას ილია ჩვეულებრივ ად-
რე ადგა, ეზოში ბოლოს სცემდა. ოლღაც
ადგა, ქალბატონს უგუნებობა ეტყობოდა, სა-
შინელი წინათგრძნობა აწუხებდა. ილიას შეე-
მუღღარა: გოთაყვა, ნუ წვალობ დღეს საგურა-
მოში, სხვა დროსთვის გადავლოთ, გული ცუდს
მიქაღის და ვერ ვისვენებო. ილიას მის ნათქ-
ვამზე გაღიმა და მეუღლემ დაამშვიდა, ოლი-
ყო, გულს ნუ აყუყუბი, საშოში არაფერიაო.

იაკობსაც მოუხვენრობა ეტყობოდა, მშობ-
ლიურ სოფელში გამგზავრება რატომღაც ეძ-
ნელებოდა.

— ნეტავ დღეს არ მივდიოდეთ საგურამო-
ში, ბატონს ემუქრებიან, ვერ გამიხდენია რომ
ვუთხრა, — ეუბნებოდა იაკობი ილიას ერთ
ნათესავ კაცს, რომელიც იმ დღეს მათთან სტუ-
ნადა იყო.

როცა ილიამ მეეტლეს ეტლში ცხენების შე-
ბმა უბრძანა, მხოლოდ მაშინ გაბედა იაკობმა
ბატონთან მისვლა და მოკრძალებით მოახსენ-
ა:

- ბატონო, დღეს ნუ წავალთ...
- რატომ, იაკობ?
- წუხელ სიწმარში მე და თქვენ სისხლში
ვცურავდით...

ილიამ თავი მძიმედ გადააქინა, გაღიმა და
იაკობს უთხრა:

— მერტა, შე კაი კაცო, შენ რას გერჩიან,
თუ მოკვლა, მე მომკლავენ.

იაკობმა ვერაფერი ჰქადრა ბატონს, მან კა-
რგად ისოდა, რომ ილია თავის გადაწყვეტი-
ლებას არ შეცვლიდა, გაჩუმება არჩია და მე-
ეტლესთან მივიდა. თედო ლაბაურს ცხენები
უკვე შეემა ეტლში, მაგზავრებს ელოდა. მალე
ქალბატონი და ბატონი ეტლში მოთავსდნენ.
იაკობი მეეტლის გვერდით დაჯდა, მსახურს
წელზე კობდა მორგებული, ილიას ნაჩუქა-
რი ვერცხლის ქამარ-ხანჯალი აშვენებდა. ყო-
ველ შემთხვევისთვის, რევოლვერიც თან წა-
მოიღო.

თედომ ცხენებს თავისებურად დაჰკვივდა,
თან მათარხი მოუქნია და ეტლიც ადგილი-
დან დაიძრა.

მაგზავრებს უგუნებობა ეტყობოდათ, თი-
თქოს ყველა ერთ საფიქრალს მოეცვა, ხმა-
მოუღებლივ მიუახლოვდნენ წიწამურს ირგ-

ვლივ გამეფებულ მყოფროებს დროდადრო შეეტლის შეძახილი არღვევდა.

წიწამურის ხევთან ილიას წყალი ჰქონდა გამოყვანილი. გზადმიმავალი მწერალი ჩვეულებრივ იმ წყაროსთან რამდენიმე წუთს შეჩერდებოდა ხოლმე შესასვენებლად. იმჯერადაც ასე მოიქცა, ეტლი შეაჩერებინა და დაბლა ჩამოვიდა, სამგზავრო თუნუქის გასაშლელი ჭიქით წყალი დალია, ოღლასაც შესთავაზა. მაგრამ ქალბატონმა უარი უთხრა. ილიამ წყაროს წინ რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა. აქ უხდა შეხვედროდა მოურავს; მწერალმა ერთხელ კიდევ დახედა საათს, მერე ღრმად ამოისუნთქა, ეტლიმ ჩაქდა და შეეტლეს ცხენების გარეკვა უბრძანა. ხეცს მალე გასცილდნენ და მათ თვალწინ არავის მომზიბდელი მიდამოები გადაიშალა.

უცებ, თითქოს დედაშიწა შეიძრაო, უცნაური ხმა შემოესმათ, ტყიდან ყვირილით გამოვრბოდნენ შენიღბული ადამიანები. ერთმა მათგანმა ლაბაურს შეჰვიკრა, რომ ეტლი გაეჩერებინა. იაკობი არ დაბნეულა, წინ აეუარა ილიას და ქალაქიდან წამოდებული რევოლვერი იმიწვლა. მან ფეხში დასტრა პირველი თავდასხმელი გოგლა ბერბიჭაშვილი. მაშინვე ერთდროულად იგრიალა რამდენიმე თოფმა და მწერლის ერთგული მსახური იაკობი გზისპირას დაეცა.

ბერბიჭაშვილის გასროლილმა ბერდანის ტყვიამ გული გაუგზირა ილიას. ერის მოკირნახულებს ესეც არ აკმარეს, თოფის კონდახით შეუმტკრიეს შუბლი. ქალბატონ ოღლასაც უდი-

ერად მოექცნენ: სცემეს, დასტრეს და ზადაკარგული მიატოვეს. მერე ქალბატონი იხელთეს, გაძარცვეს მგზავრები, შეაგროვეს ძვირფასეულობა და ტყეში გაურიწარდნენ.

წიწამურის საზარელმა ტრაგედიამ ადამრთა მთელი საქართველო. ქართველი ბალი წყევლა-კრულვას უთვლიდა ბნელეთის მოციქულებს, რომლებმაც სიცოცხლეს გამოასალმეს ჩვენი ერის ღირსება და სიამაყე.

რამდენიმე დღის შემდეგ ილიას ცხედარი საგურამოლან თბილისში გადასვენეს, რომ საკადრისი პატივით მიეზარებინათ მთაწმინდის წმინდა სავანესაოვის.

ოღლა სამეურნალოდ დედაქალაქში წაიყვანეს, ხოლო ილიას ერთგული მსახურის ცხედარი მშობლიური სოფლის მიწამ მიიბარა.

საგურამოედებმა ცხარე ცრემლით დაიტირეს იაკობი.

ილია ქვევავაძის დაკრძალვის დროს, ალბათ, ბევრს არც კი ახსოვდა, რომ სადაც, არცთუ შორეულ სოფელში, საგურამოს მიწას მიბარეს მწერლის უერთგულესი მსახური იაკობ თარაშვილი. მოგვიანებით ილიას თავყანისმცემელი გ. ახალციხელი წერდა:

...ქართველმა საზოგადოებამ უნდა დაავადლოს ქ. მ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ მართლვად მაინც მოაწყონ იაკობ თარაშვილი, საფლავი შედარწერით. ამ პატარა, მაგრამ ღირსეული კაცის სახელოც შეფაროს ილიას დიდებულ ჩეროს და მით უკვდავყოს იგი“.



დიდი ილია უმცროს მეგობარმა მოგონებებში

როდესაც წიწამურის ტრაგედია მოხდა, მე მაშინ წლინახევრისა ვყოფილვარ. ასე რომ, დიდი ილია კვაკვაძემ მე ფიჭიკურად არ მინახავს.

სამაგიეროდ, როდესაც წამოვიწაირდე, გავხდი ჯერ სკოლის მოსწავლე, ხოლო შემდეგ სტუდენტი, განგებამ თუ შემთხვევამ წილად მარგუნა ჩვენი ქვეყნის ისეთ მოწინავე ადამიანებთან სიახლოვე, რომელნიც ძალიან ახლო მეგობრულ დამოკიდებულებაში ყოფილან დიდ ილიასთან. ზოგი მათგანი (პროფ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გრიგოლ რცხილაძე, კოტე მარქანიშვილი და სხვ.) ილიას დამეგობრებია პეტერბურგში და მათი მეგობრობა არ შეწყვეტილა დიდი ილიას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

მათ ძლიერ უყვარდათ დიდი ილია და როგორც კი იპოვნიდნენ საბაბს, მოგვიყვებოდნენ ხოლმე თავიანთი უფროსი მეგობრის, ილიას ცხოვრებიდან უცხო და საინტერესო ეპიზოდებს. მსმენელი დიდ სიყვარულს ილიასადმი ამ პიროვნებებს იმაზე შეატყობდა, რომ როგორც კი იხინი დაიწყებდნენ დიდ ილიას შესახებ რაიმეს თხრობას, მოიშველიებდნენ ხოლმე იმ ეპიტეტებს, რომლებითაც ხატება ილიასადმი ლ. ანდრონიკაშვილის მილოცვა. („დიდი ილია“, „საქართველოს სულიერი მემკვიდრე“, „ჩვენი ბედალი“, „საქართველოს ცოცხალი მემკვიდრე“ და სხვა და სხვა).

პატარაობისას დიდი ილიას შესახებ გვიამბობდა მემ და ჩემს ამხანაგებს ცნობილი ექიმ-გიორგი ავალიშვილი, რომელიც, როგორც მემ შევიტყუე, ილიას მეზობელი სოფლიდან, შიდალხიდან იყო. გიორგი ავალიშვილი ფრიად განათლებული და მაღალი კულტურის მქონე პიროვნება იყო. იგი ექიმად მუშაობდა და სარგებლობდა მაღალი ავტორიტეტითა და პატივისცემით. ჩვენ სკოლაში მივიყნას გვასწავლიდა. და, თავის გაკეთილებზე მორჩებოდა რადრო გვიამბობდა ბიოლოგიიდანაც და საზოგადოებად მეცნიერების დარგებიდანაც; მას ხშირად ნახავდით საადგილმამულო მანკის დიდ ღარბაწმით, ხალაც ის გამოდიოდა წმინდა ეკონომისურსა და ფინანსურ საკითხებზე; გიორგი

ავალიშვილს უყვარდა ექსკურსიების ჩატარებაში მონაწილეობის მიღება. ერთხელ, როდესაც სკოლამ (მუშაინტარულმა ტექნიკუმმა) მოაწყო ექსკურსია წინანდალში მამულის დასათვლიერებლად, ექსკურსიას გამოიწვია სკოლის ექიმიც — გიორგი ავალიშვილი. დასვენების დროს გვიამბო გ. ავალიშვილმა წიწამურის ტრაგედიის შესახებ. მასხვს, იგი ძლიერ დედავდა და რამდენჯერმე იმეორებდა „ურჯულთ ავაკცებმა მოკლეს ილია“, „ბრწყინვალე ილია“, „ჩვენი ნამდვილი განმანათლებელი“. ეს წინადადება რამდენჯერმე გაიმეორა. იგი დიდ ილიას, როგორც პოეტს ძალიან მაღლა აუწევდა და რუსთაველის გვერდით მიუჩენდა ადგილს, ხოლო როგორც მოღვაწეს, მოაქვდა და პატრიოსტ ადარებდა ვახტანგ VI-ს. გ. ავალიშვილი დროდადრო პარაფრაზად ატარებდა დიდ ილიასა და ვახტანგ VI პიროვნებებს შორის. იგი ასე მსჯელობდა: როგორც ვახტანგ VI-ს არ დარჩენია არც ერთი კუთხე ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, რომელიც მან დიდი გარდაქმნები არ აწარმოა, ისე დიდმა ილიამ ჩვენი ერის სინამდვილე მთლიანად ძირფესვიანად შეისწავლაო მისი გაუმჭობების მიზნით, ვახტანგ VI დააარსა სტამბა, დაიწყო ბეჭდვა, რით ჩამოუყარებდა მას „იერიას“, რომელიც დააარსა დიდმა ილიამ ვახტანგ VI მოიწვია კომისია და საქართველოს ისტორია შექმნა, ილიას ცალკე კომისია არ მოუწვევია, მაგრამ მთელი თავისი გამჭირბაი ნიჭი საქართველოს ისტორიის შექმნასა და მის დაცვას შეაღია; ვახტანგ VI დაბეჭდა თავის სტამბაში „ვეფხისტყაოსანი“, რითაც მან ეს დიდი ეროვნული განძი დაიცვა შერყვნისა და დამახინჯებისაგან, დიდმა ილიამ სწორედ გმირულად შეუტია „ვეფხისტყაოსნის“ გამო სხვადასხვა წერილზე და თუ დიდ „მეცნიერებს“ და გამარჯვებაც იზეიმა... ცნობილია მისი კამათი ნ. მართან და სხვებთან.

შემდეგ ჩვენ სახელმწიფო უნივერსიტეტში გავცანით დიდ ილიას უმცროს მეგობართა უფრო მრავალრიცხოვან ჯგუფს. ამ ჯგუფიდან ილიასადმი მეტი სიახლოვეთ გამოირჩეოდნენ პროფ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და გრიგოლ



რცხილადე, ცნობილია, რომ ილიას უმცროს მე-
 გობრებში იუვენ არჩიდ ჭორჭადე, კიბა აბა-
 შიძე, კოტე მარჩანიშვილი და სხვები, მაგრამ
 ლ. ანდრონიკაშვილისა და გრ. რცხილადის დიდ
 სიახლოვეს ილიასთან პროფესიონალური მა-
 ჩინდებელი (იურისტობა) უწყობდა ხელს. მე
 დიდ ილიას შესახებ რამდენჯერმე მომის-
 მენია ლ. ანდრონიკაშვილისა და გრ. რცხილა-
 ძისათვის. ამას გარდა საქმე ისე წარიმართა,
 რომ შემთხვევით წავაწყდი. სწორედ ლ. ან-
 დრონიკაშვილის უბის წიგნაკის ჩანაწერებს
 ილიას შესახებ.

დიდ ილიას ლუარსაბი პატარაობიდანვე იც-
 ნობდა, მაგრამ ეს გამოიხატებოდა ილიასადმი
 მხოლოდ თავაზიან მისაღმებლაში. ლ. ანდრო-
 ნიკაშვილი დიდ ილიას პეტერბურგში დაახ-
 ლოებია, როდესაც ლუარსაბი გერმანიი-
 დან პეტერბურგში ახლად დაბრუნებული იყო
 ე.ი. 1898-97 წლებში. აი რას უვებოდა ლუა-
 რსაბი ამის შესახებ: „სახლში ვეახელ ჩვენ სუ-
 ლიერ მეფეს და წარვსდებ მის წინაშე რამდე-
 ნიმე სიტყვით, რომელიც დავათავრე იმით,
 რომ მე შეუერთდი ნაფიცი-ვეკიელთა მემარ-
 ცხენე ჭკუფს. მოგესხებოდა, რომ ეს ჭკუფი
 იცავდა სახელმწიფო დანაშაულში ბრალდებულ
 პირებს. ილია ეპყვავაძეს შევატყუე, რომ ეს ესი-
 ამოვნა, მომიახლოვდა და მითხრა, ემაწვილო,
 ხანდახან მეც მიფიქრია მაგ ჭკუფში შემოსვლა,
 ეს ძალიან მოხერხებული სამიზნოა, თუ კაცი
 კარგი მსოფლიოა. მე იქილად ალბათ ვერ წა-
 მოვალ, მხოლოდ თქვენი იმედი კი შექნებაო“.
 აქ, განმარტავდა ლუარსაბი, ილიამ ხმას დაუ-
 წია და განაგრძო, ძალიან გამახარებთ, თუ „იმ
 ქაჩალ ბებერს“, თავს რომ მაღლა იწევს, გულს
 გაუხეტივთო პოლიტიკურ „ბუნტოვჩიკების“
 დაცვით. ლუარსაბი განმარტავდა, რომ მაშინ
 „პოლიტიკურ ბუნტოვჩიკებს“ უწოდებდნენ მო-
 ნარქისტები რევოლუციონერებს.

როგორც ჩანს, დიდ ილიას ძლიერ ჰყვარე-
 ბოა რუსეთის მონარქიისა და მონარქის შედარე-
 ბა „ქაჩალ ბებერთან“, „თავს რომ აცანცარებს“.
 ლ. ანდრონიკაშვილი მეორე შემთხვევასაც იხ-
 სენებდა: ერთხელ დიდი ილია შეხვედრია ლუა-
 რსაბს, საშინელ წვიმიან დღეს, ის, (ილია) ქო-
 ლტით თავზე მოპობტება შუა ქუჩაში. ლუა-
 რსაბს მიუბრუნია მისთან და მისაღმებასთან
 ერთად უკითხავს—„სიადან მოზრძანდებით ამ
 წვიმა-თავსხმაში, ბატონო ილია გრიგოლის ძეგ?“
 ილია შეჩერებულია და უპასუხნია: „იქიდან
 მოვდივარ“, ამისთან უნიშენია სახელმწიფო
 საბჭოს შენობაზე — „დიდი და ცხარე კამა-
 თი მქონდა, მე ისინი ძლიერ გავაბრაზე, იმით
 კიდე ჩემი შეშინება მოინდომეს, დამისხდნენ
 ცხვირწინ და დამიწყეს ბღერა. მე გადავწყვი-
 ტბი, უფრო მეტად გავაცეცხლებ-მითქი, ავიღე
 ჩემი ნივთები, გამოველ და წამოველ... კოლგა
 კარგად მშველის...“ ლუარსაბს მორიდებულად

უთქვამს: ბატონო ილია გრიგოლის ძეგ?
 შია, ახლა სხვა დროა... ამაზე ილიას უპასუ-
 ხნია: მე არ მეშინიან, რას მიზამენ. რას მიზამს
 ის სათამაშო, რომელიც მაგიდაზე დგას და მო-
 კუნთულ ბებერ კაცს განასახიერებს? წერილ
 და მეტად სუსტ კისერზე აბია შეუფერებელად
 დიდი თავი, რომელსაც წერილი კისერი ვერ იმა-
 გრებსო. საგმარისია ოდნავი შენება, რომ ამ
 ბებერმა იწყოს თავის ცანცარი ან ზემოდან
 ქვევით, თითქოს უველაფერში გეთანხმება, ან
 მარჯვნივდ მარცხნივ და პირუტყუ — თითქოს
 უველაფერზე უნარ ამბობს...

ლუარსაბს ანდრონიკაშვილი უველაფერ ამას
 მიაბობდა, როდესაც მარტო ვრჩებოდი მსა-
 თან და ვესმარებოდი ლექციის ხელნაწერის
 გადაწერა-გადათვრებაში, ხოლო უფრო მზი-
 რად სტუდენტთა მთელი ჯგუფის თანდასრე-
 ბით. ჩემთან ერთად ამ ეპიზოდებს ისმენდნენ
 დიმიტრი პოლუმორდინოვი, გიორგი (გორა)
 ჩაჩავა, ტოგო ხოშტარია, სოსო ჭაბიაშვილი, მი-
 რიან მაჰავარიანი, გ. კეშელავა და სხვები. უფ-
 როსებიდან შემიძლიან დავასახლოო სოსო მრევე-
 ლიშვილი, ფატი გოკიელი, ბესარიონ ელენტი,
 თინა წერეთელი, ვლადიმერ მაყაშვილი, ივანე
 არსენაშვილი, იროდიონ კანანაძე და სხვები.
 ასეთ საუბრებს ხანდახან შესწრებიან ტიციან
 ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, უშანგი ჩხეიძე, ცნო-
 ბილი დრამატურგი შანშაიშვილი და სხვები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ტრადიცია,
 რომელსაც იცავდნენ როგორც გრ. რცხილადე,
 ისე ლ. ანდრონიკაშვილი, როდესაც ილიას შე-
 ხახებ გვიყვებოდნენ, ისინი ცდილობდნენ გად-
 მოეცათ საკუთარი კომენტარების გარეშე. ერთი
 სიტყვით ცნობილ იურისსსა და ორატორს ლ.
 ანდრონიკაშვილს, რომელიც განთქმული იყო
 თავისი ლექციებითა და განმარტებებით, რო-
 დესაც ის ჰეგელის ფილოსოფიას ან ჰენრის
 დერნბურგის პანდექტებს ეტებოდა — აქ, დიდ
 ილიას „ფიქრთა და ზრახვათა“ გადმოცემისას
 ვერ იცნობდით, ის იყო ფრთხილი, ილიას შე-
 ხახებ მხოლოდ ილიას სიტყვებით მსჯელობდა.
 ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. ასე-
 ვე გამოუთრებოდა დიდ ილიასთან დამოკიდე-
 ბულებაში გრ. რცხილადეც. ამრიგად, ილიას
 უმცროსი მეგობრების მოგონებანი არ წარმო-
 ადგენდნენ „მოგონებებს“ ამ სიტყვის ფართო
 მნიშვნელობით: მათი მოგონებები იყო აღდგენა.
 გამეორება იმისა, რაც თავის დროს თქვა ან,
 გააკეთა ილიამ, მათმა უფროსმა მეგობარმა;
 ილიას სხვა უმცროსი მეგობრებიც ჰყავდა, მათ-
 თვის მე არ მომიხმენია, მაგრამ შევსწრებივარ,
 როდესაც ისინი მოდიოდნენ ლუარსაბს ანდრონი-
 კაშვილთან, ან ქუჩაში ხვედებოდნენ ერთმანეთს,
 უძველად, დიდ ილიას მოგონებდნენ და მაშინ,
 თუ ისხდნენ, ფეხზე წამოდგებოდნენ და მაგარად
 ართმევდნენ ხელს ერთმანეთს. ასეთ აღმია-
 თაგან შემიძლია გავიხსენო დიდი რეესოსრა

კოტე მარჭანიშვილი, უნივერსიტეტი ბელეტრისტი მიხეილ ჭავჭავაძის სახელი, კრიტიკოსი გერონტი ქიქოძე, სტუდენტობის დროს დასრულდა და სხვები.

გრიგოლ რცხილაძე იგონებდა, როდესაც დაგვიანდა, ილია თავისებურად, დიხვად შეგრძობდა, ეს იყო ნაშანი, რომ მან შეეძლო (დრო მქონდა) ჩვენთვის მოეხსინა. მივირბენდი მასთან და მაშინვე მომპურდა კითხვებს: როგორ ხარ, რას აკეთებ, გაქვთ თუ არა ორგანო, ვინ წერს, რა საკითხებზე, ვინა დროშია გამოდის თქვენი ორგანო და სხვა და სხვა.

ახლა კი დროა, გავეცნოთ დიდ ილიას, როგორც მომხსენებელს, უმაღლეს სასწავლებელ კურსდამთავრებულთა წრეში. ესეც გრ. რცხილაძის ნაშრომაა. უმაღლეს სკოლადამთავრებულ ქართველ ახალგაზრდებს ჩამოუყალიბებიათ ფილოსოფიურ-ლიტერატურული წრე — წრეში სულ მთუ 7 კაცი შედიოდა, წრის წევრები თითქმის ყოველ კვირა იკრიბებოდნენ სხვადასხვა ბინაზე და გამოდიოდნენ ლიტერატურულ-ფილოსოფიური მოხსენებებით, რის შემდეგ, როგორც წესი, იმართებოდა კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ერთ ასეთ შეკრებაზე, რომელზეც მოხსენებით გამოდიოდა არჩილ ჭოჭოძე, მოუწვევიათ ილია ჭავჭავაძეც. მოხსენება ეხებოდა ენობილ ფრანგ სოციოლოგისა და ფილოსოფოსის გიუიოს ესთეტკურ შეხედულებებს. სხვათა შორის, წრის შეკრებაზე მოუწვევიათ კ. აბაშიძეც, ა. წერეთელი და ვაჟა-ფშაველაც. წრის მიუშობას დასწრებია მხოლოდ დიდი ილია. ამ ფაქტს, ამბობდა გრ. რცხილაძე ცოტა არ იყოს დაულონებია წრის წევრები, მაგრამ მოხსენება კი არჩილ ჭოჭოძის დიდი პათოსით წაუკითხავს. მოხსენებას მოჰყვა კამათი, ილია ჭავჭავაძე მხოლოდ უსმენდა მოკამათებს. მაშინ ერთ-ერთ წევრს მიუმართავს მისთვის: ბატონო ილია, ძალიან გვინტერესებს თქვენი აზრი ამ განმარტებული სო-

ციოლოგის შესახებ და, გთხოვთ, გვიყვარს რაიმე, ისე ნუ წაბრძანდებითო. დიდ ილიას უბასუბნია, რომ იგი გიუიოს ამ რამდენიმე წლის წინ გაეცნო. მაგრამ ზოგა რამ გაუგებია ლევადავის, თორემ ისე გამოხსენდა ზოგადი სიტყვებითი მოწინააღმდეგე ილიას წინააღმდეგ არა მხოლოდ ილიას, მე მოგვრებას ჩემ წიგნებში გიუიოს, კარგად ჩავუკვირდები და მომავალ კვირას მოგახსენებთო ჩემ აზრს. მაშინ, განავრცობდა გრ. რცხილაძე, წამოხტა. არჩილი, და გამოუტანა დიდ ილიას გიუიოს 2 წიგნი, მართდა ილიას და თან დასძინა — აი, იხეხეთ, ძებნა არ დაგვირდებიათო. ილია დაგვემშვიდობა. დიდი პატივით გავაცოდეთ ჩვენი ერის წინამძღოლი, დასძინა გრ. რცხილაძე.

მეორე კვირას ილია დანიშნულ ბინაზე მისულა 18 წუთით სხვებზე ადრე. გამოსულა გრ. ცელი სიტყვით. დაინტერესებულთათვის მიუცია განმარტებები, გადაუცია წიგნები არჩილისათვის და წახულა. გრ. რცხილაძე ჰყვებოდა: ვერ მივეცით ვერც ერთი შეკითხვა, რომ ალიას ამომწურავი პასუხი არ გაეცაო. მაგრამ ეს აღტაცება მალე დარბილია მეორე, უფრო ძლიერმა აღტაცებამ. არჩილი მისწვდა თავის წიგნებს და შეჰკივლა, აი, საკვირველებამ! მე დაუჭრელი ახალი წიგნები მოუტანე და, ეს რას ვხედავ, დამბრუნა ნახევრად დაუჭრელი იგივე წიგნებითო. მართლაც, ვნახეთ წიგნები და ზოგი თავი ნახევრადაც არ იყო დაჭრილი. ჩანს, ილიას გიუიო შეგადავიც წაეითხა. მაშინ უფრო გაგვიცხოველდა ის აზრი, თუ რა დიდი ნიჭი და მიგნების, რა დიდი ინტუიციის კაცი იყო ჩვენი ილია, — დასძინა გრ. რცხილაძემ და განავრცობდა: გიუიოს ლიტერატურულ-ესთეტკური და ფილოსოფიური შეხედულებანი ხელწამოსაკრავი არ არის, მათ გაგებასა და ამოხსნას სხვები თავს ატევენ და ბევრს ვერა გაუგიაო. დიდმა ილიამ კი შეგადავიც წაეითხა გიუიო და მისი ცოდნით ყველა გაგვიკვირვავო.

ილია ჭავჭავაძე და სამსხე-ჯავახიში

ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა. ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქევინა, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელგანთქმული დროში, თითქმის იგია ჩვენი სულის აღმატებულების აყვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა, სწავლა, განათლება, მამულსათვის თავგამებულ სოციალური თითქმის იქიდან ვფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთ დროს“.

ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივ საინტერესო პუბლიცისტური წერილი „ოსმალის საქართველო“, რომელიც 1877 წელს დაიწერა, ასე იწყება: „ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისი სულის ღონეს, თავისი სულის ძეგრას, თვის ჴნეობით და გონებით აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას“. ილია გულმოკლული ლაპარაკობს ოსმალეების ნიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა შესახებ. „...ოსმალის საქართველოს დიდი პატივსაცემი და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვით-არსებობისათვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია. ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალთა ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთს ეცოდნებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალის ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დაღვინებისათვის და მათდა და ჩვენთა სასახელოდ ძლევითაც მოხილ იქმნა“.

საინტერესოა ი. ჭავჭავაძის მოსაზრება ქრისტიანობის გავრცელებაზე საქართველოში. დიდი ილია ქრისტიანობის შემოტანის პიონერად საზარტოს საქართველოს თვის წმინდა ნინოს ეგნოსტულად დიდი ხნით ადრე ე. ი. პირველ საუკუნეში. „პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ ეკრპ-მსახურება სუფევდა.

ქრისტეს აქვთ პირველ საუკუნეში ადრეკი მეფეს (80 წ.) უნდოდა კრპო-თაყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისთვის საშინელი ბრძოლა აუტება სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევე წმინდა ნინოს მოსვლამდე“ (ი. ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. 84, „ოსმალის საქართველო“ გვ. 548, გამოცმ. „საბჭოთა საქართველო“, 1984 წ.).

დანაწევრებული საქართველოს გაერთიანების იდეა პირველად საზრტო საქართველოში წარმოიშვა. წადილი ერთობისა უველას ახარებდა და მით უმეტეს ისტორიის ეს პერიოდი სიამოვნებას ჰგვრიდა ილია ჭავჭავაძეს. და სწორედ ამან ათქმევინა მას, რომ „მეექვსე საუკუნის დასასრულს კლარჯეთის და ჭავჭავთის მთავარი გუარამ კურაპალატი, ბაგრატიონის გვარისკაცი, ბიზანტიის შემწეობით შეიქმნა მეფედ ქართლ-კახეთისადა და ამგვარად დიდი ნაწილი საქართველოსი შეერთდა საქართველოსვე ეხლანდელის ოსმალის საქართველოს შემწეობითა“ („ოსმალის საქართველო“).

სადევიდ არ ჩაუთვლია არასოდეს ი. ჭავჭავაძეს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ ავტორის ვინაობისა და წარმოშობის საკითხი. იგი შოთა რუსთაველს მესხეთიდან თვლიდა, ეკრძოდ სამცხე-საათაბაგოში მდებარე დაბა რუსთავიდან. ამის საბაბს იძლეოდა გენიალური შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. თავის ბრძნული აზრებით რუსთაველის შესახებ მან სწორი ორიენტაცია მისცა არა მარტო ისტორიკოსებს, არამედ რუსთაველოლოგებსაც. „უწარჩინებულენი მაშანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ეხლანდელის



ოსმალის საკართველოს შვილი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიკვდილო „ვეფხისტყაოსნის“ შთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხარას კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თავის საშობო-ლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგო-ლია“ (იქვე, „ოსმალის საკართველო“, გვ. 56).

სამხრეთ საკართველო დღენიადაც იბრძოდა ქართველი ხალხის სულიერი განადგურებისაგან გადასარჩენად. აშენებდნენ ციხე-კოშკებს, მონასტრებს, ეკლესიებს, ბეჭედადნენ სასულიერო და საერო ხასიათის წიგნებს და ქართული ენის გადარჩენად სიცოცხლესაც წირავდნენ. ამის მაგალითად მართო გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება და მოღვაწეობა იგმარებდა.

— „...სამცხე-კლარჯეთის ქართველი — წერს ი. ჭავჭავაძე — მიდიოდნენ საბერძნეთის სწავლის მისაღებად, ნასწავლი მოდიოდნენ უკანედ და ზღერდნენ სწავლასა საქართველოს ხალხთა შორის. იმ დროს, როდესაც ტფილისსა და გარემო ადგილებში მამადიანობის გავრცელებას მეცადინეობდნენ თავისი არაბულის წიგნების შუამავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველი საღმრთო და საერო წიგნებს ქრისტიანობის მხარეგმინდნენ და ქრისტიანობის გამტკიცებისათვის აწესებდნენ მონასტრებსა, რომლებშიაც უმარწილებისათვის სასწავლებელთ მართავდნენ“.

მესხ განმანათლებლებს პეტრე ხარისჭირაშვილს. ივანე გვარამაძეს („კონწე მესხი“), მიხეილ თამარაშვილსაც მიეძღვნა დიდი ილიას მიერ წარმოთქმული სიტყვა გენიათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს 1888 წელს. „მღვდელთმთავარი გაბრიელ ეპისკოპოსი ხარწმუნოებას ამეცნიებდა და მეცნიერებას ხარწმუნოებდა“.

სწორედ მესხმა განმანათლებლებმა მთელი თავიანთი ცხოვრება და მოღვაწეობა მოახზარეს ღვთისმეტყველებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების დაკავშირებას, ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლას, უცხოეთში — კონსტანტინეპოლში, მონთაბანში (საფრანგეთი) ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, იტალიაში და სხვაგან ქართული სკოლებისა და ქართული სტამბების დაარსების დიდ საქმეს. ისინი თავიანთი მრწამსით დიდი ილიას მიუდგებები იყვნენ.

სამცხე-ჯავახეთიდან ი. ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიისათვის“ მასალებს აწვდიდნენ ერის საამაუო შვილები, მისი თანამოაზრეები ივანე გვარამაძე („კონწე მესხი“), ილია აღზაზიშვილი, ვასილ კოტონაშვილი, ალექსანდრე ფრონელი (ყოფშიძე), იოსებ ნებაძე და სხვები. ისინი მხარში დგანენ საქართველოს „უგვირგვინო მუფს“ და იბრძოდნენ დიდი მესხეთის უცეთში მერმისისათვის.

ივანე გვარამაძე („კონწე მესხი“) იყო სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მკვლევარი, პუბლიც-

ტი, პოეტი, ხალხური სიტყვიერებისა და ისტორიული-სტილიზაციური, ეთნოგრაფიული-სტილიზაციური მასალების შეგროვებ-მეცნიერ-მკვლევარი.

იგი თავისუფლად ფლობდა ქართულს, სომხურს, ლათინურს, რუსულს, გერმანულს, საფრანგულს, იტალიურს, ეკლესიასთან (რასთან — საფრანგულს) ივანე გვარამაძემ დაარსა სამრევნო დაწესებულება სკოლა, სადაც ახალციხელი ბავშვები მშობლიურ ენაზე იღებდნენ განათლებას და ეწაფებოდნენ პატრიოტულ და მაღალწინგობრივ იდეებს.

ივანე გვარამაძის ნაშრომებია: „ქართლის ცხოვრება“, „მშობლები და მათი შვილები“, „წამება მიქელ გობროსისა“, „უცხოელთა კონა“ და სხვები. საინტერესოა მისი ჩანაწერი ახალქალაქის ამირანის გორის თქმულებაზე (გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი 1894 წ. №161).

პეტრე ხარისჭირაშვილმა კონსტანტინეპოლში დაარსა ქართული სკოლა თავისი სახსრებით და სტამბოლის ბაზარზე გაიღულ ტაძარ-ქართულ ბავშვებს თვითონ უძღულობდა და სასწავლებელში მიჰყავდა. ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე და საფრანგეთში ქალაქ მონთაბანში სცემდა ქართულ წიგნებს და აგზავნიდა საქართველოში. ასევე აქცოლდა საქართველოს სიუყვარულში დაფრთხილი მიხეილ თამარაშვილიც ი. ჭავჭავაძე ამჟობდა ასეთი ქართველების საქმიანობით უცხოეთში. ისინი ილიას სიტყვით „სარწმუნოებას ამეცნიებდნენ“ და მეცნიერებას ხარწმუნოებდნენ“.

40 წლის მანძილზე მრავალმხრივი, დიდი ეროვნული სამუშაოები გასწია ჭავჭავთში (ახალქალაქში) ილია აღზაზიშვილმა. იგი მხარში ედგა ილია ჭავჭავაძეს. სისტემატურად თანამშრომლობდა ეურნალ „ივერიაში“ და აგრეთვე გაზეთებში „დროებაში“, „ივერიაში“.

ილია აღზაზიშვილი დიდად განათლებული ადამიანი იყო. ქართულ მწერლობაში გათავისცნობიერებული, უძველესი ისტორიის საუკეთესო მკვლევარი, კაცთმკვარე, სინდის-ნაპუსხე ეტალონად ითვლებოდა. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მხარში ედგა და ცოდნა და განათლება შექმნიდა ახალქალაქის მხარის სოფლებში. ახალქალაქში მის მიერ გახსნილი აფთიაქი ხალხის კეთილდღეობას ემსახურებოდა. „ხელმოკლეებს იგი უფასოდ ამლევიდა წამლებს“. თვითონ იყო ფერწალიც, ტიპიცი და კარგი მკურნალიც.

ილია აღზაზიშვილი იყო ილია ჭავჭავაძის თანამესაზრე, საზოგადო მოღვაწე, მწერალი ქველმოქმედი, საქართველოს უძველესი კუთხის ჭავჭავთის ამგდარი. იგი უოველთვის ღირსება და ღატკათა მხარეს იყო. მან კარგად იცოდა, რომ გლეხობის საშველი მანამ არ იქნებოდა, სანამ ისინი არ გაანადგურებდნენ მემამულეებს: „უკვენ მანამდის, — წერდა ი. აღზაზიშვილი



გულეჩებს, -- არა გეშველებათ რა, ვიდრე გეშველეთ მებატონეები არ მოისპობიან-ო".

ილია ჭავჭავაძე სისტემატურად უგზავნიდა ილია ალბაზივილის ახალ დაბეჭდილ წიგნებს და უფრანდ-გაზეთებს ახალქალაქში. ეს განმანათლებული კი ნათელს ჰფენდა მთელს ქაჯახებს. იგი აღმინებდა მკურნავდა არა მარტო წამლებით, არამედ სულიერადაც, უღვიძებდა მათ ქართული ენისა და წიგნებისადმი, საქართველოს წარსულისადმი დადებითად.

ილია ალბაზივილის ორმოცი წლის მოღვაწეობა ქაჯახეთში (ახალქალაქში) და მისი ურთიერთობა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, გაზეთებთან „დროებასთან“, „ივერიისთან“, კერძოდ კი ილია ჭავჭავაძესთან სპეციალურ შეხვედრას მოითხოვს (მართალია, წიგნი გამოცემულია, მაგრამ ბევრი მისი მარგალიტი მიმოხრეულია ხალხში).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია ალბაზივილის დიდი ღრული მიუძღვის ვახილ კოპტონაშვილის უფრანდისადმი ჩაოყვანილობაში და ილია ჭავჭავაძესთან მის დაკავშირებაში. იგი ახალბედა მწერლებს უსწორებდა კორექსპონდენციებს, წერილებს, მოთხრობებს და ამით ფართო გზას უხსნიდა მას გაზეთ „ივერიაში“ დასამკვდრებლად, ფართო ასპარეზზე გამოხატვლად.

იგი ქაჯახივილის სახელაბის სამცხე-ქაჯახეთის ისტორიული მუზეუმის მდიდარ ფონდებში სხვა მრავალ საინტერესო საბუთებთან ერთად დატოვა ვახილ კოპტონაშვილის (1888-1957 წ.წ.), ჩვენი საუკუნის დასაწყისის მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, „გაზეთების ივერისა“ და „დროების“ კორექსპონდენტის ტოპოგრაფისა და მოღვაწეობის ამხანაგელი მახალციხი.

სამცხე-ქაჯახეთის განმანათლებლები იყვნენ რელიგიის „მსახურნი“. აქ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში ედგნენ ხსენებული პირები, ისინი ფორმალურად ატარებდნენ „წმინდა მამების“ ანაფორას, ხოლო შენაარსით პროგრესულად მოაზროვნე აღმინანები იყვნენ, უფრო ხშირად ტერმინი „ხალხისანი“ სხვანაირ ახსნას პოულობდა სამცხე-ქაჯახეთში. ისინი იყვნენ ხალხ მოაზროვნე მფლავლები, პედაგოგები, მოხელეები, მათ დახმარებული ხალხის შეგნებაში განათლება და კულტურა შექმნიდათ. როგორც აღვნიშნეთ, სამცხე-ქაჯახეთის პროგრესულად მოაზროვნე აღმინანებს თავისი კონცეფციით გვერდში უდგას ვახილ კოპტონაშვილი. იგი თავისებურ პიროვნებაა, როგორც მოაზროვნე XIX საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისისა.

მრავალმხრივ საინტერესოა ვახილ კოპტონაშვილის, როგორც მასწავლებლის, ისტორიკოსის, ეთნოგრაფის, ხალხური სიტყვიერების

შემკვრების, მწერლისა და უფრანდისტი მოღვაწეობა. მისი მოთხრობები, წერილები და სხვა ნაწარმი ხასიათს გამოკვლევები სისტემატურად იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“.

ვახილ კოპტონაშვილს ილია ალბაზივილიმ გაუკვალა გზა უფრანდისტური მოღვაწეობისა და მწერლებისაკენ. გააცნო იგი ილია ჭავჭავაძეს, როგორც ნიჭიერი ქაჯახი. როგორცათვის კუთხისათვის, საშრობლოსათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო.

ვახილ კოპტონაშვილი 1888 წლიდან დაიწყო სისტემატურად გაზეთ „ივერიაში“ მოღვაწეობა. მისი პირველი ფელეტონი „ომაღლხან ჩოღანი“ (ზღაპარი) 1888 წლის გაზეთ ივერიის №76-ში დაიბეჭდა. ამ ფელეტონმა მას დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭა.

შემდეგ მას მოჰყვა მოთხრობა „ადგილის დედი“ („ქაჯახელების ცხოვრებიდან“ „ივერის“ №79-ში აქ მებატონულ ფორმებშია გამოცემული თუ როგორ ეწერება აღმინანის სიცოცხლე ადგილობრივ რელიგიურ დღესასწაულებს).

1894 წელს გაზეთ „ივერის“ №22-ში ქვეყნდება ვ. კოპტონაშვილის „ეთნოგრაფიული შენიშვნები ახალციხის მაზრის ქართველთა შესახებ“, სადაც შედმიწვევით იყო გამოცემული ამ რეგიონის სოფლის მეურნეობა, ეკონომიური ურთა-ცხოვრება, ხასიათი, ტანისამოსი, ლაპარაკის კილო, ზნეობა, სკოლები, ზოგიერთი ქორწინების და ნიშნობის ჩვეულებანი, სახლქარის მოწყობილობა, სახსარი ფულის მოგება. ამ ეთნოგრაფიული ზასიათის წერილმა სახელი გაუთქვა ვ. კოპტონაშვილს.

ცხრაასიან წლებამდე გაზეთ „ივერიაში“ რეგულარობით იბეჭდებოდა შენაინშავი მოთხრობა „აკო დიკვანი“. ხალხური საუნჯიდან ამოკრული იქნებოდა, ფელეტონი „მგზავრის დღური“ (ქართველი მგზავრის არდაგანის საწაუწი), „უცნობა ქაჯახეთში და ზოგიერთი ცრუმორწმუნეობა ქართველებისა“. ილიამ დასოფელ რუსთავის შოთა რუსთაველის შესახებ და მრავალი სხვა ინფორმაცია.

ვახილ კოპტონაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გაზეთ „ივერის“ თანამშრომლებთან ა. ნანიშვილთან, გრ. ყიფშიძესთან, სტ. კრეულაშვილთან (სანო), ილია ხონელთან (ბახტაძე), არ. ახანაშროვთან და სხვებთან.

პირადედ იცნობდა ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილს, ივანე მაჩაველს და ხარბანდ ეწადებოდა მათ ნაწერებს.

„ივერიაში“ მოთხრობა „აკო დიკვანის“ გამოქვეყნებამ ბევრი მიწინააღმდეგე გაუჩინა ავტორს, მოთხრობა მიმართული იყო სამღვდლოების წინააღმდეგ. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით თვითონ ვ. კოპტონაშვილი: „იმავე ხანებში სურვილი მქონდა ჩემი მოთხრობა „აკო დიკვანი“ პატარა ბროშურად გამოცემა, მაგრამ ნება არ დამართო მაშინდელმა ცენზურ-



რამ, რომელიც დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ბიუროკრატ-ბოხოლა სამღვდლოებისა (ეგვარქოსის, ეპისკოპოსების, გაბღენილ-გარყვინილ არქიმანდრიტების და მიკროთამე ბლაღოჩინ-დეკანოზების), რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ თავმოყვარეობით, ანგარათმოყვარეობით, ჩაღდობით და განცხრობითი ცხოვრებით იყვნენ გამსჭვალულნი და კაკო დიკვანის (მოთხრობის მთავარი გმირის) მსგავსის გაქირვებული ცხოვრება მათ არ ენაღვლებოდათ. პირქით, ამისთანა უბედურს ხელში შესცქეროდნენ, იქნებ რამე საჩუქარი ჩამოგვიტანოს სოფლიდანო...

ცენზორმა... მავნებლად გამოამაცხადა და ასე მიიპასუხა: „იხილ დიდი შეცდომა გავგეპარა, რომ გაზეთ „ივერიაში“ მოთხრობის დაბეჭდვის ნება მოგვცეთ. თქვენ თქვენს მოთხრობებში სამღვდლოების პატიოსან სახელს ჩირქსა სცხებთ და ვიღაც „კაკო დიკვანი“ თავისი მღვდლის მიერ დაჩაგრულ პიროვნებად გამოგვავთ და ექოშაგებთ. ეს ამხედრებაა დიკვენების, სამღვდლოებისა და ეკლესიის წინააღმდეგო...

— უნდა აღვინიშნო, რომ ამ პატარა მოთხრობის დაბეჭდვის შემდეგ ბევრმა ადგილობრივმა ბოხოლა და გაუმძღარმა „სულის მამებმა“ ზიზღის თვლით დამწყეს მზერა და ჭუღამ ცდილობდნენ დავებულდებინეთ სკოლის ინსპექტორებთან, რომ როგორმე მარცხი მოეგოთ და სამსახურიდან დავებოყვეთ“ (ვ. კობტონა-შვილი, „ავტობიოგრაფია“ „სამცხე-ქავახეთის“ ისტორიული მუზეუმის მასალები № 1079).

ასევე ანტირელიგიური შინაარსისა ვ. კობტონაშვილის ნარკვევები „ყეენოზა ქავახეთში“, „აღდგომის დღე“, „ოსმალ-ხან ჩოვანი“ და ბევრი ნაწარმოები, რაც იმას მოწმობს, რომ იგი ბეჭითად ზრუნავდა ხალხში განათლების შესატანად, რომ გამოეყვანა ის ჩამორჩენილობისა და უმეტრების მდგომარეობიდან.

ილია ჭავჭავაძის ძალიან მოეწონა და ხოტბაც შეხასა ვასილ კობტონაშვილის მიერ მესხეთში, ახალციხის მაჯრაში ჩაწერილ ლექსს, რომელიც 1894 წლის გაზეთ „ივერიის“ №80-ში დაიბეჭდა:

„ვასუქე ხორცი, ვალადე,
სულს გადავადექ მტერად:
ვერც იმან აცხონა სული,
ვისც ოქრო დაღა კერათა“.

ილია ჭავჭავაძის აზრს, რომ შოთა რუსთაველი იყო სამცხე-საათაბაგოდან, მესხეთის რუსთავიდან მხარი დაუჭირა ვასილ კობტონაშვილმა. მან გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა წერილი „ღებინდა სოფელ რუსთავის — შოთა რუსთაველის შესახებ“. სხვა საინტერესო დებულებებთან ერთად წამოყენებული იყო შოთა რუსთაველის სოფელში, რუსთავში, ძველის დაღმის საკითხი, მაგრამ „წინამურის ტრაგედიის“ შემდეგად ხორცი ვერ შეიხსა ამ დიდებულ ჩანაფიქრს.

მადლიერებით უნდა აღვინიშნოს, რომ კობტონაშვილის თავისი ეროვნული კონცეფციის გამოსაჩენად დიდად შეუწყო ხელი ილია ჭავჭავაძემ და მის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულმა ნაწარმოებებმა.

ცხრაასიან წლებში დიდი ილიას მეშვეობით მოევიდნა მესხეთს ალექსანდრე ფრონელი (ყოფშიძე). იმერეთიდან ვადმოსული გვარი ყოფშიძეებისა ქართლში, ფრონის ხეობაში დაშვიდრდა და აქედანვე მიიღო ფრონელის სახელწოდება. აი, რას წერს თედო სახოკია: „1900 წელს აღ. ყოფშიძე დაინიშნა მომრიგებელ შუამავლად მესხეთ-ქავახეთში, საცა დაჰყო 4-მ წელიწადს. იქ თავისი თვლით ნახული და თავისი ყურით გაგონილი დაუღლო საფუძვლად თავის ისტორიულ მონოგრაფიას ამ ფაქტურად საქართველოს მოწყვეტილი მხარის სატირალ ხედ-იღბლის გასათვალისწინებლად ქართველ მკითხველთათვის“ — (თედო სახოკია „ჩემი საუკუნის ადამიანები“, გამომ. „საბჭოთა საქართველო“, 1984 წ. გვ. 149-150).

უფროსმა ძმამ გრიგოლ (გიგო) ყოფშიძემ ყოველმხრივ შეუწყო ხელი თავის ძმას მესხეთში წაშულიყო და თავისი სიტყვა ეთქვა. რასაკვირვოა, ილია ჭავჭავაძის თანხმობის გარეშე ის არ შეიძლებოდა. ამიტომაც მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ მესხეთს — სამცხე-ქავახეთს ალექსანდრე ფრონელი (ყოფშიძე) მოსახსურებოდა.

ალექსანდრე ფრონელი (ყოფშიძე) დიდ მუშაობას ეწეოდა სამცხე-ქავახეთში. ი. ჭავჭავაძემ აღფრთოვანებული იყო მისი საქმიანობით. ელოდებოდა მისი წიგნის გამოცემას „დიდებული მესხეთი“. მაგრამ ვერ მოეწერო, წიგნი 1914 წელს გამოვიდა. აი, რას წერდა შესავალში ალექსანდრე ფრონელი (ყოფშიძე): „ერთად ერთი სახაბი და მიზეზი ამ კრებულის დაბეჭდვისა სწორედ ისაა, რომ მოაგონოს ქართველს — დროა ვიფიქროთ და ვიზრუნოთ სამშობლოს იმ კუთხეზე, რომელმაც გვარაქა კანონმდებელი: ბეჟა და აბუღა, შეუღარებელი შოთა, ღვთისმეტყველი: ექვთიმე; გიორგი და ნეტარი მამა გრიგოლ ხანძთელი, ეს საკვირველი მნათობი ქართული სინაისი“.

ალექსანდრე ფრონელმა (ყოფშიძემ) ხუთი წლის განმავლობაში მთელი თავისი საქმიანობა სამცხე-ქავახეთს შესწირა. მისი წიგნის ქვესათურები: „მიხეილ მეფისაშვილის გარდაცვალების გამო“, „მამადიან ქართველების გადასახლება“, „მთავარი დაიკონი ჭარბიძე“, „შოთა რუსთაველი“, „ვარძია“, „სამშობლო ქვეყანა“, „სამცხე-საათაბაგო“, „ქავახეთი“, „ფოკიოვი, ერუშეთი, არტანი, ჩულურეთი, კოლა“, მიგვანინების ალექსანდრე ფრონელის დიდ განსწავლულებაზე და შინაგან ინტელექტზე.

ძნელად მოიძებნება მეორე ადამიანი, რომელსაც ასე ჰყვარებოდა სამცხე-ქავახეთი. იმე-

რეთში დაზადებული კაცი, ქართლში დავაუკაცებული, თბილისში ინტელიგენტად ჩამოყალიბებული მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობს, კი... ცხელი ს... — სამხრეთ საქართველოს უძველეს კუთხეს. სწორედ ისედაც დაჩაგრულ ქვეყანას მალამოსავით ედებოდა ალექსანდრე ფრონელის ნაწერები. ხუთი წელი მისთვის შეება იყო და ზრუნავდა ზვალინდელი დღის გაუმჯობესებისათვის.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო გასული საუკუნის მიწურულს, 1879 წელს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება, რომლის მზრუნველი ხელი მთელს საქართველოს წვდებოდა. ამ საზოგადოებას პირადად დაუახლოვდა იოსებ სოლომონის ძე ნეზაძე. იგი ახალციხის რაიონის სოფელ ღრეღში დაიბადა 1847 წელს. ჯერ თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა, შემდეგ კი უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგის უნივერსიტეტში წასულა, მაგრამ ხელმოკლეობის გამო ვერ დაუმთავრებია. პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნებულია, ახლოს გაუცვინა, დაახლოვებია ილია ჭავჭავაძეს და აქტიურად ჩაბმულა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში.

ი. ჭავჭავაძის მითითებით და სამზრუნველო კომიტეტის განკარგულებით იოსებ ნეზაძე მიაღწინეს ახალციხის მაზრის სოფელ ტაძრისში ქართული სკოლის გამგედ. ეს იყო 1880 წელი. ამ წელს ი. ნეზაძემ ტაძრისში გახსნა ერთკლასიანი სკოლა.

დიდმა ავტორიტეტმა, მოსწავლეთა სიმრავლემ დღის წესრიგში დააყენა ახალი სკოლის აღწინის პრობლემა. აი, რას წერდა: „იოსებ ნეზაძე მე-19 საუკუნის 80-იან წლებში სამზრუნველო კომიტეტს: „სკოლის შენობა აუცი-

ლებელია, საზოგადოებამ უნდა აზრუნოს მისი აგებისათვის, მცხოვრებლები აღუქვამენ საზოგადოების შემწეობას მუშაობით და სხვადასხვა მასალების მოტანით. მომავალ წელს შეუძლებელი იქნება შეგიძლების მიღება უადგილობის გამო“ (ვ. ლომიძე, გაზეთი „ბორჯომი“, 1884 წლის № 145).

ილია ჭავჭავაძემ პირადი ინიციატივით ახალგაზნადი სკოლისათვის, შენობის შესაკეთებლად და ინვენტარის შესაძენად საზოგადოების 85 მანეთი გაუგზავნა. (მაშინ, როდესაც უღელი ხარი 8 მანეთი ღირდა.) 85 მანეთი დიდ საქმეს გაუეთებდა ტაძრისელებს. სამზრუნველო კომიტეტს სკოლისათვის დამატებით გამოუგზავნა სახელმძღვანელოები, სხვადასხვა თვალსაჩინოებანი, სანგარიშო და გარკვეული თანხა სკოლის სახურავის შესაკეთებლად.

ტაძრისის სკოლა ემსახურებოდა სოფლებს საკირეს, დგარს, ქვაბისხვეს, დვირს. ი. ნეზაძე საკირის სკოლის გამგედ 1905 წლამდე მუშაობდა. შემდეგ გადაიყვანეს თბილისში ქალთა გიმნაზიის დირექტორად.

ი. ჭავჭავაძისთან ახლო ურთიერთობა ჭკონდა აგრეთვე იოსებ ნეზაძის უმცროს ძმას ილიკოს, რომელიც პეტერბურგში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე სწავლობდა.

ილიკო (ილია) ნეზაძე ი. ჭავჭავაძემ სტეფანწმიდაში (ყაზბეგში) გააგზავნა მასწავლებლად, სადაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მითითებით ეწეოდა დიდ საგანმანათლებლო მუშაობას. ილიკომ იქაური კალი შერიოთო და სტეფანწმინდაშივე დაასრულა თავისი ცხოვრება.

დიდი ილია ჭავჭავაძის დამსახურება ქართველი ერის წინაშე. ფასდაუდებელია მისი ამაგი, როგორც მთელი საქართველოსათვის, ასევე მისხეთ-ჩავახეთისათვის.

„მგზავრის წერილები“ პერსონაჟ ლელთ ლუნიაზე ჰყვენს ლიტერატურათმცოდნეობაში მრავალი აზრია გამოთქმული. გამოჩნდნენ ლელთ ლუნიაჲს პროტოტიპის მძიებელნიც, მაგრამ ეგვი არავის შეუტანია იმაში, რომ იგი მწერლის პოზიციის გამოხმატველია, რომ ლელთ ლუნია ერკვენულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ილიასეული პროგრამის მალწუბე-ლია. სწორედ ლელთ ლუნიაჲს ათქმევიწიებს მწერალი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეუფდნოდესო“, რაც „ერთობა დაშლადელი“ და „ერთ-სუფლობა დავარდნადელი“ ერისა და მერმინდელი „გა-ლახული“, „ვრდომილ-კითხილი“ და „მოსრი-ლი“ ქვეყნის ურთიერთშედარებისას სწორედ რომ დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადე-ნად საბრძოლო მოწოდებად ედერს.

მწერალი თითქოსდა ლელთ ლუნიაჲსთან საუ-ბარში ამოწმებს თავისუფლებისათვის, ერკვენუ-ლი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის თავისი იდეის სისწორეს, თერგისა და მუნივარის შედა-რებაში რომ გამოკრთა შეფარვით. — „ებლა რომ მშვიდობიანობა არის?“ — ეკითხება ლელთ ლუნიაჲს თავისივე პერსონაჟის ოპონენ-ტად ქცეული მწერალი და, ცხადია, რომ ამ ეკითხვით სასწორის პინებზე დებს ორ სხვადა-სხვა ღირებულებას; ერთ მხარეს თავისუფლე-ბას, მაგრამ ამასთან განსაცდელით აღსავებ ცხოვრებას, სამშობლოს დამოუკიდებლობისათ-ვის წარმოებულ მძიმე ბრძოლას მთელი მისი ტრაგიკული სიღიადით და ერკვენული დამოუ-კიდებლობის დაკარგვის ფასად მოპოვებულ უსაფრთხოებას, მშვიდობას, როგორც გარ-კვეულ ღირებულებას, მეორე მხარეს ილიას თანამზრახველი ლელთ ლუნია უწყყმანოდ ირ-ჩევს პირველს, სამშობლოს დამოუკიდებლობის-სათვის მძიმე ბრძოლის გზას: „რამ არნ მშვი-დაბა? უმზარ სატევარს უანგი დაედვის, უსრ-ბოლო წყალჩი ბაყუნი, ჭია-ჭუაი, ქვემქრომი გამრავლდის. უდევარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის რამ არნ მშვიდაბა ცოცხვად კაცთათვის? რამ არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარილ მშვიდობა მიწაჩიც გვეყოფის“. ციტი-რებული ტექსტი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს მთელი დამაჩერებლობით, რომ მსხვერუდ ლელთ ლუნია, როგორც ნაწარმოების პერსონაჟი, ილიას თანამოაზრეა, მწერლის პოზიციის გამო-

ხატველია. საერთოდ, ვფიქრობთ, ილია ჭავ-ჭავაძის მთელ მხატვრულ შემოქმედებაში ძნე-ლია მოიძებნოს მეორე პერსონაჟი, რომელიც ახე ადეკვატურად გამოხატავდეს მწერლის ერკვენულ-მსოფლმხედველობრივ პოზიციას.

და მაინც, „მგზავრის წერილებში“ არის ერთი ეპიზოდი, ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთი ფურ-ცლის ლელთ ლუნიაჲსეული ვადმოცემა-შეფასე-ბა, რომლის თაობაზეც მწერალი ერიდება თა-ვისი პოზიციის პირდაპირ გამჟღავნებას. „მარ-თალია თუ არა ჩემი მოხვეცე, მე მაგის განსჯაში არ შევალ“ — აცხადებს ილია და იქვე დახ-ტენს: „ან რა ჩემი საქმეა ეგა?“ ეს უველაფე-რი, ცხადია, ლიტერატურული მისტიფიკაციაა და არა მწერლის მართლაცდა დაუინტერესებე-ლი თუ ნეიტრალური პოზიციის მაჩვენებელი. ნაწარმოების ხსენებულ ადგილში ლელთ ლუნია მსქელობს ჩვენი ქვეყნის წარსულის ერთ ისეთ ჩრდილოვან და უადრესად მტკივნეულ ეპიზოდ-ზე, რომლის თაობაზეც ერის ფიქრთა მპყრო-ბელ მწერალს არ შეიძლება არა ესაქმებოდეს რა. საქმე ეხება საქართველოს მთლიანობის დარღვევის შემდეგ ქვეყნისათვის შეჩენილი უმ-ძიმესი სენის, შინააშლილობის ერთ კონკრე-ტულ გამოვლინებას, ერთ კერძო შემთხვევას — კახელთა ლაშქრობას ქართლში და ხევს არშის ციხის აღებას. ლელთ ლუნია ამ ბრძოლის ის-ტორიას ახე გულმოგვემს: „კახელთა ლაშქრო-ბით შევიწროებულ ხევს ბატონისათვის (იგუ-ლისხმება ქართლის მეფე) დახმარება უთხო-ვია, მაგრამ მოხვეცებს ვერ დახმარებია. კახე-ლებს მრავალი მოხვეცე მიემარში მოუღლავთ და ხსენებული ციხე აღლიათ. ყოფილა ერთ პიეტ-რობით (ჭკუა-გონებით) სახელგანთქმული დრო-ული მოხვეცე. ყოლია მას უღამაჟესი ასული. განურჩავს ამ კაცს კახელ მოლაშქრეთა დათ-რობა ღვინით და ამ გზით ციხის დაბრუნება. მოუწოდებს ბლომად ღვინო. შეუგზავნია ციხეში და „მადღვინობა შეუთქვინა“ თავისი მჭეთუნახა-ვი ასულისათვის. ღვინოს მოწყურებულ, ლამა-ზი ქალის მზირალ კახელებს „თავი მოუღორე-ბიათ“, უგონოდ დამთვრალან. ქალს ციხის კა-რები გაუხსნია, შესულან შეუმჩნევლად მოხე-ციები და ერთიანად ამოუხოცათ მივარალი კა-ხელები. შემდგომში მოხვეცებს არავის ერის-თავისთვის უცნობებიათ ციხის აღება და მას იმ

ქალის მამისათვის უბოძებია ის ციხე და წა-
ლობის სიგელი.

„ეშ რა ვაჟკაცობა უყოფილა?“ — კით-
ხულობს მწერალი. — „რად არა? კეთიანი ვაჟ-
კაცობა ეგებ არნა: სად ღონე ვერ ღონობს,
იქაიდ ხერხს ეშუდენის“ — პასუხობს მოხვე-
„მაგ კახელების ამოხოცვის ამბით რა უნდა გე-
თქვა? კელავ კითხულობს მწერალი. ლელთ
ღუნია, უძეკელია, კარგად გრძნობს თავის მო-
ნათხრობის ჩრდილოვან მხარეს და პასუხობს,
რომ ახლა კართველები ძმები ვართ, ეს ამბავი
კახელების მიმართ მტრობისათვის კი არ მთ-
ქვამს, არამედ იმის აღსანიშნავად, რომ ძველ
დროს ერთგულუნებას, თავდადუნებას, ვაჟკაცობას
დედი გასავალი მქონდა, ახლა კი ადამიანი სარ-
ჩო-საბადებელს სიცრუით, შეძავ-მრუშობით,
ფიცის გატუნებით, ერთ-ურთის ღალატით შოუ-
ლობსო. ლელთ ღუნისა სწორედ ამ სიტუნებებს
მოსდევს ზემოთ-მოსობობით ფრავა მწერლისა:

„მართალია თუ არა ჩემი მოხვე, მე მაგის გან-
სკაში არ შევალ. ან რა ჩემი საქმეა ეგა?“,
რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიტერატურუ-
ლი მისტიფიკაციაა და არა მწერლის მართლაც-
და დაუინტერესებელ-ნეიტრალური პოზიციის
მაჩვენებელი.

რატომ ჩართო მწერალმა ეს საჩოთირო ეპი-
ზოდი ნაწარმოებში?

კითხვის პასუხი მხოლოდ ის უნდა იყოს, რომ
ნაწარმოების ამ ეპიზოდში გადმოცემულია ჩვენი
ისტორიის ერთი მტივირებული ფურცელი და დი-
დი ილია, ვითარცა ერის მტეირისუფლები და
რეალისტი მწერალი, თვალს ვერ აარიდებდა და
ვერც შევალაშებდა მას. უნდა ვიფიქროთ,
რომ, პირიქით, ილიას სწორედ რომ გაიზნუ-
ლად შეაქვს ნაწარმოებში ხსენებული ეპიზოდი
და, რაღა თქმა უნდა, გარკვეულ იდეურ-აზრობ-
რივ დატვირთვასაც აძლევს მას.

ჩვენი ისტორიის ამ ეპიზოდისა და მისი
ლელთ ღუნისათული შეფასებისადმი მწერლის
დამოკიდებულება ისევ ნაწარმოების ძირითადი
იდეიდან უნდა იქნას გარკვეული. როგორც
ვიცით, ნაწარმოებში ლელთ ღუნია ეროვნული
დამოუკიდებლობის იდეის მქადაგებლად არის
გამოყვანილი. ადარებს რა ერთმანეთს წარსულს
და აწმყოს, ლელთ ღუნისა სიმპათიები აშკარად
პირველს ეკუთვნის. ლელთ ღუნისა თვალსაზ-
რისი უცვლელი რჩება მოცემული ისტორიუ-
ლი ეპიზოდის შეფასების დროსაც. მიუხედავად
შინაშლილობისა, ძმათამკვლელი ომისა, მიუხე-
დავად ყველაფრისა, ლელთ ღუნისათვის ისევ
ძველი დრო სჯობს ახლანდელს, აწმყოს. ლელთ
ღუნისა მხივდვით შინაშლილობის, კუთხური
განკერძობულობის და ძმათამკვლელი ომების
მიუხედავად ძველი დროის ადამიანები ზნეობ-
რივი თვალსაზრისით მაინც მაღლა დგანან თა-

ნამედროვეებზე. ძველად ქართველი თუ
ერის სამსახურს არა (ერთიანი საქართველოს
დაშლის შემდეგ) თავისი კუთხის სამსახურს
მანაც „იღებდა თავს“. ძველი დროის ქართვე-
ლები არ იყვნენ „განათოობულნი“ და ერთმა-
ნეთს დაპირისპირებულნი. ლელთ ღუნისა თა-
ნამედროვე ქართველები კი ზნეობრივი გახრ-
წნის გზაზე დამდგარან. „ტყუობით, მეძავ-მრუ-
შობით, ფიცთა გატუნებით, ერთ-ერთ ღალატით“
ცდილობენ სარჩო-საბადებლის მოპოვნას. რაც
შეიებება მწერლის პოზიციას მოცემულ შემთ-
ხვევაში, დიდი ილია მდუშარედ ეთანხმება თა-
ვისი პერსონაჟის მოსაზრებას, მძიმედ უკრავს
თავს თავის თანამოაზრეს, მდუშარედ და მძი-
მედ — ლელთ ღუნისა მიერ მოთხრობილი ის-
ტორიული ეპიზოდის სიმწვავისა და სიმძიმის
გათვალისწინებით. ბარემ აქვე აღვნიშნავთ, რომ
დიდი ილია, ჩვენი ეროვნული ნაკლოვანებების
მოურიდებულად პირში მზრახველი, ჩვენი მკაც-
რი მსაჯული და ერის შორსმჭვრეტელი მოძ-
ღვართმობღვარი, საერთოდ ერიდებოდა ჩვენი
ისტორიის ჩრდილოვანი ეპიზოდების გაშუქე-
ბას. ჩვენი ქვეყნის წარსულს დიდი მწერალი
არ აიღვალბებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, პედა-
გოგიური მოსაზრებებით, არც მის ჩრდილოვან
ფურცლებს ამზურებდა. ილიას წინაშე ზრსე-
ბითად ხსება, კიდევ უფრო რთული ამოცანა იდ-
გა, ვიდრე დავით გურამიშვილის წინაშე. ილიას
თავისი აწმყო, თავისი დრო, თავისი თანამედ-
როვე საზოგადოება მყავდა ცქეული კრიტიკის
ობიექტად. ისეთი საზოგადოება, რომელშიც
„...არვის დიდსა, არც პატარასა ქვეყნის ტკივი-
ლით არ ტკივა გული“. დრო, როცა ერის კუთ-
ხური განკერძობულობის სენი კი არა, „გან-
თითობულობისა“ და ზნეობრივი გახრწნილო-
ბის უმძიმესი დაავადება ანადგურებდა, როცა
ქართველმა დაივიწყა ერის წინაშე თავისი ყო-
ველი მოვალეობა; დაივიწყა ყოველივე საზო-
გადო, რაც გარდუვალად იწვევდა „ერის გათა-
ხსირებას“. ასეთ ვითარებაში, ცხადია, დიდ მწე-
რალს მიზანშეწონილად არ მიჩანდა ჩვენი ისტო-
რიის ჩრდილოვანი ფურცლების გამოშვებება,
ერის ზნეობრივი აღზრდისა და გაწმენდა-
განმტკიცებისათვის მწერალს ესპირობოდა
პოზიტიური მაგალითები წარსულიდან — მეფე
დიმიტრი თავდადებული და ძმები ხერხეული-
ძეები, ბერი თედორე და არაგველები, დავი-
თი, თამარი, ცოტენ... ამ მხრივ „მგზავრის წე-
რილების“ ხსენებული ადგილი მართლაც გა-
მონაკლისია, მაგრამ, როგორც ვნახეთ, იგი
მაინც არ ეწინააღმდეგება მწერლის მიერ შე-
მუშავებულ სტრატეგიულ ხაზს; ამ შემთხვევა-
შიც დიდი ილია თავის პერსონაჟთან ერთად იმ
თვალსაზრისზე დგას, რომ, მიუხედავად ყველა
ნაკლოვანებისა, ძველი დრო ქობს ახლან-
დელსო.

უელსის მარქსული მუშაობი კარდიფის ცენტრში მდებარეობს და თითქმის სრულად მოიცავს ამ კუთხის ყველა თავისებურებას. მუშეუმი აღწერს უელსის ცხოვრებას უძველესი დროიდან. ქვის მასიური ფსადის მიღმა მრავალი განყოფილებაა: გეოლოგიური თუ ზოოლოგიური, ბოტანიკური და მრეწველობის, არქეოლოგიისა და ხელოვნების. მუშეუმი ამ კუთხის ცხოვრების ამსახველი ბევრი ექსპონატია. აქვე შეხვდებით იმპრესიონისტების, მათ შორის პიხაროს, მანეს, მონენა და რენუარის ტილოებს, რომლებიც მუშეუმს დებმა გვერდოლინ და მარგარეტ დეივისებმა უანდერძეს. მათ ინგლისში პირველმა კლასიკურ იმპრესიონისტების ნაშუაგვრებს შეგროვდა. ეს სურათები კი მუშეუმის ხელოვნების განყოფილებაში ერთერთ უმნიშვნელოვანეს კლექციას წარმოადგენს. აქ, იმპრესიონისტების ნაშუაგვრების გარდა შეხვდებით სკულპტურებს, ეერამიკოსა და ვერცხლის ნაწარმს და თითქმის ყველა მიმდინარეობის მხატვართა ფერწერულ ტილოებს.

მუშეუმი ექსპოზიციების გარდა მანხველს რეგულარულ კონცერტებს და ლექციების საინტერესო პროგრამებს სთავაზობს. მუშეუმი ყოველწლიურად ოცამდე დროებით გამოფენას აწყობს. გამოფენები ეწყობა, როგორც მუშეუმის შენობაში ასევე კარდიფში მდებარე მის ორ ფილიალში. კარდიფის გარდა უელსის სხვა ქალაქებში ეროვნული მუშეუმის კიდეც შვიდ ფილიალს შეხვდებით.

ჯ. რ. რ. მანხველსის სახელი ლიტერატურული რუბრიკების ფურცლებზე ხშირად ჩნდება: ქვეყნდება მისი ინტერვიუები და გამოსვლები ლიტერატურის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე, დიდი ინტერესით ვანიხილება როგორც მისი საკუთარი თხზულებანი, ასევე წინასიტყვაობანი და კომენტარები სხვა ავტორთა წიგნებისათვის. (მანხველის დამსახურებაა აგრეთვე წიგნის ანოტაციის ვირტუოზულ ლიტერატურულ ჟანგად გადაქცევა).

ორი ათეული წლის წინათ მანხველი ნეო-ვანგარდისტულ გაერთიანება ე. წ. „ჩგუფი მმ“ შედლოდა. ეს ჩგუფი აერთიანებდა ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებულ ისეთ მწერლებს, კრიტიკოსებსა და პოეტებს, როგორებიც იყვნენ: უმბერტო ეკო, ნანი ბალესტრინი, ალფრე-

დო ჯულიანი, რენატო ბარილი და სხვ. „ჩგუფის“ ფორმალისტური ტენდენციები რეაქციური სტანდარტული მასიური კულტურის (რომელიც უარყოფითად მოქმედებდა ენის განვითარებაზე) შემოტევის მიმართ. ამჟამად მანხველი თავის ლიტერატურულ ეტაპებად აღიარებს ძველი დროის „ფორმალისტებს“: სახელგანთქმული ნახევრად ლათინურ-იტალიური „მეკარონის“ შემქმნელს, თეოფილო ფოლენგოს (1491-1544), პიეტრო არეტინოს (1492-1556), დანიელო ბარტოლის (1608-1686).

სამოციანი წლების მეორე ნახევრიდან ჯორჯო მანხველი უარს ამბობს სიუჟეტის აგების თანამედროვე ფართულ მოდელსა და პარინციპებსზე. ტრადიციული გმირის ტრადიციულ გეგმებზე, ტრადიციული თხრობის დროზე და ცდილობს თავის შემოქმედებაში შექმნას ე. წ. „ბაროკოს სტილის ტრაქტატის მოჩვენებითი ატმოსფერო“. (თუმცა რა შუაშია „ბაროკოს ტრაქტატები“, ეს მკაცრად სტრუქტურირებული თხზულებანი, არც ისე ნათელია: როგორც ჩანს ავტორისათვის დღეა მნიშვნელობა აქვს მათთვის დამახაზიათებელ დეტალების სიუჟეტსა და მრავალფეროვნებას, რომელიც მათ შუა საუკუნეების „სუმებს ანათესავებს“).

ხშირად მანხველი ახლებურად კითხულობს კლასიკას. წიგნი „ლიტერატურა როგორც სიურუჟი“ ძირითადად ინგლისურენოვან მწერლების შემოქმედებას ეძღვნება: დეფოს, დიენსს, სტივენსონს, პოსა და ნაბოკოვს. წიგნი „ციტუზური“ რომლისთვისაც მანხველიმ ვიარეგოს პრემია მიიღო, წარმოადგენს პოლემიკას მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე. პარადოქსულ დასათურებაში „ასი უგრძელესი რომანი“ არის ტემპარიტების მარცვალი: ასი პაწაწინა მოთხრობა თითქმის ამოწურავს ყველა ტიპის რომანის ყველაზე ვაგრცემებული სიუჟეტური სქემის კრებულს-სოციალურს, მეცნიერულ-ფანტასტიკურს, დეტექტიურს, ისტორიულს, ფსიქოლოგიურს, კათოლიკურს და ა. შ.

თავის ერთ-ერთ ბოლო სიურეალისტურ რომანში „ჩაოხებითად“ მანხველი წარმოადგენს მოდელს ტრადიციული ე. წ. „გამოცდის“ რომანისა, სადაც გმირი ბოროტ ძალებს ებრძვის. ეს ჩანაფიქრი ავტორს საშუალებას აძლევს შექმნას



პაროღია ახლა მეტად მოდურ „ინტერტექსტუალობაზე“.

პარადოქსულია მთავარი გმირის განცხადება, რომლის გამოც იგი მზადაა აიტანოს უველანაირი ტანჯვა: მას სურს „დაიღუპოს თავი“ და ჯოჯობეთის სრულუფლებიანი წევრი გახდეს. როგორც ბაროკოს სტილის მსგავს რომანს შეეფერება, გმირს ჰყავს მფარველიცა და მტერიც, მაგრამ ჩვეულების საწინააღმდეგოდ ისინი კულისებს მიღმა როდი არიან. შარლატანი (იგივე სატანა) უველას დასანახად ეხმარება რჩევებით. ე. წ. „თოჯინა“ კი (რომელიც სულში ჩაუსახლდა და იგივე ეშმაკია) შინაგანად ტანჯავს. გმირა ორივე მათგანთან განიხილავს სიცოცხლისა და სიკვდილის პრობლემას (ამ დროს იქმნება კლასიკური „გარდაცვლილთა დიალოგი“) და იგი მზადაა გამოცდისათვის. რომანის ფინალში დანტეს პაროდირებასაც ვხვდებით. ეს ავტორის ერთგვარი „ბუნტის“ კულმინაციაა. უოველნაი-

რი გამოცდის შემდეგ „თოჯინა“ დამურთავს გამოცდის გმირიდან (გათამაშებულია ავტიკური სული-მტრედის სხეულთან განშორების მოტივი) და სხივმფინარე ქალწულად იქცევა. იგი გმირს ფრთებს მიამაგრებს და ისიც გაეშურება ტახტისაკენ, რომელზეც საშინელი სახეები ჩანან. ალბათ, მათგან ანგელოზები გამოიჩევიან, ირონიულად დასძენს ავტორი.

როდესაც ეცნობით ამ მახვილგონიერ წიგნს, რომელიც თანამედროვე სიურრეალიზმის სტილშია დაწერილი, გაცნობთ ავტორისეული გამომგონებლობა. ცდილობთ წარმოიდგინოთ, როგორი იქნებოდა სამყაროს უფრო ტრადიციული სურათი მისი შექმნა რომ მოესურვებინა მანგანელის ფორმის ვირტუოზს, რომელიც მკითხველს დღემდე სთავაზობს ლაბორატორიულ ექსპერიმენტებსა და ანტისამყაროს მრუდე სარკეს.

ჩ ვ ე ნ ი შ ი ს ა შ ა რ თ ი: თბილისი, №50007, დადიანის ქ. № 2.
 ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — 89-85-81, შთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32.
 პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78. განყოფილებათა გამგეები — 72-26-85
 პრესის — 72-26-30, „ციცქრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 07. 08 87 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. 10. 87 წ., ქალაქის ზომა 70x108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 1924. უე 11111. ტირაჟი 70.000

საქართველოს კ კ ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
 Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

3360 60 333.

613/180


საქართველოს
საქართველოს
0560360 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ